

ნოდარ ნულეისკირი
თათია შენგელაიას თანაავტორობით

აფთრები 2

რომანი



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

რედაქტორი
ირმა ჩინჩალაძე

ISBN 978-9941-454-92-9

© ნოდარ ნულეისკირი, 2014
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014

საკვირველია,

სიყვარული ვარლამ არავიქისაც რომ შეუძლია

ქალისა და კაცის ურთიერთობაში სასწაულები ხდება. ერთ-ერთი ასეთი სასწაული იასა და ვარლამს შორისაც მომხდარა. უფრო უკეთ, ვარლამს დამართნია ეს სასწაული. პოლიტპატიმრების ცოლების, დედებისაც კი, დებისა და, ასევე, შვილების გაუპატიურება ადლის¹ მეთაურს, ვარლამ არავიძეს, ხელობად ჰქონია ქცეული. დღეში ორი-სამი შეურაცხყოფილი ქალი გამოდიოდა თურმე უფროსისკარიდან. არ დაინტერესებულა ამ ქალებით. მათთან ურთიერთობას, როგორც დილით სამსახურში გამოცხადებას, ისე მიიჩნევდა. იასაც ასე მოექცა, მაგრამ მეორე დღეს თავს შეატყო, რომ რალაც ანუხებდა, რალაც სურდა, გაოცდა ფრიად. „რა არის ეს რალაც?“ – ჰკითხა თავისთავს და აღმოჩნდა, რომ „ეს რალაც“ ია ხალდანის ნახვა იყო. ასეთი სურვილი სხვა ქალთან არასოდეს დაბადებია. ან თუ დაბადებია, მოუყვანიათ, ე. ი. მოურთმევიათ მისთვის ქალი. ამჯერად კი ვარლამმა დოქსოპულოვი იხმო და გაანდო, ია ხალდანთან უნდა ნავიდე, საქმე მაქვსო. „არის!“ – მხედრულად კი გამოეჭიმა თურმე დოქსოპულოვი, მაგრამ შემფოთებულა ფრიად. „როდის?“ – ფრთხილად უკითხავს. „როცა მოამზადებ შეხვედრას“, – უბრძანებია. დოქსოპულოვს ფეხზე დაუყენებია თავისი საიდუმლო რაზმი და დღისით, მზისით „ობიექტის“ ასათვისებლად გაუგზავნია მხარის მმართველი. ამავე დროს, დამჭირველთა უპირველესი, თვითონ არავიძე, მიდიოდა „ობიექტზე“, – საგანგებო შემთხვევა იყო ეს! დოქსოპულოვს ყოველმხრივ უნდა მოემზადებინა არამც თუ ის

¹ ადლი – არავის დამჭირველი ლაშქარი ანუ ადრინდელი „ჩეკა“.

„ობიექტი“, სადაც არავიძე მიდიოდა, არამედ მიმდებარე მიდამოც. რისთვის მიდიოდა უფროსი ია ხალდანთან? მწერალ სანდრო ხალდანის საქმე დამთავრებული იყო უკვე. პროფესორებიც: სულხანიშვილი და გედევანიშვილი სანდრო ხალდანთან ერთად აფთრის მიერ ამოთხრილი ორმოდან სხვა ორმოში გადაიტანეს და იქ დაასამარეს სამუდამოდ. მათი საქმეებიც ერთხელ და საუკუნოდ საქალაქში ეწყო. მაშ, რა იყო კიდევ გამოსარკვევი, რისთვის მიდიოდა შეფი პოლიტპატიმრის ცოლთან? თუ მოსწონდა, ბრძანებდა და ხუთ წუთში მოჰკვრიდნენ. მოწონების გამო ვარლამი ქალს იქით არ ეახლებოდა – ასე ფიქრობდნენ ადღში, ასე ფიქრობდა დოქსოპულოვი. რისთვის იყო საჭირო ეს „ნასვლა“, ვერ აეხსნა. არც არავინ ეკითხებოდა ამას, მაგრამ მაინც ცდილობდა თავისთვის ამოეხსნა, კითხვაზე პასუხი გაეცა. ერთადერთი ეჭვი რჩებოდა – არავიძე ეძებდა საეკლესიო განძის საზღვარგარეთ მყოფ პატრონს, იმ განძისა, რომელიც პროფესორების სახლებში იპოვეს. ია ხალდანს ეგებ რაიმე დამატებითი ცნობა მიეწოდებინა. დოქსოპულოვი ვერ დაუშვებდა იმას, თუ ვარლამ არავიძეს ვინმეს მიმართ რაიმე გრძნობა, თუნდაც სიბრალულის, სინანულის, შეწყნარების... აღეძვრებოდა. არავიძე იყო შეუვალი, მტკიცე, ძლიერი პიროვნება. შეეძლო, თუ საქმე მოითხოვდა, დღეში რამდენიმე ადამიანი გაესტუმრებინა საიქიოს. თან საღამოს თავანყვეტილად ექეიფა. ასე იცნობდნენ მას. დოქსოპულოვიც ასე იცნობდა. „ია ხალდანთან მისვლა“ გენერალური დამჭირველისა და მხარის მმართველისათვის იოლი არ იყო. მით უფრო იმათ ეძნელებოდათ, ვინც ამ „მისვლას“ მოამზადებდა. მთელი ის ქუჩა, უბანი, სადაც ია ცხოვრობდა, ცალკეული ოჯახი, უნდა დაემუშავებინათ ისე, ამ მისვლის შესახებ, თუ თვალს მოჰკრავდნენ, არსად არაფერი ეთქვათ. მეტიც, წინასწარ უნდა შეეპყროთ მოქალაქე, ვინც ვითომ არ დაემორჩილებოდა დამჭირველებს, აკრძალულ საათებში თავისი ბინიდან თავი გამოეყო. ასეთი ადამიანი რომ არ აღმოჩენილიყო, უნდა მოესყიდათ ვინმე და სხვათა დასაშინებლად სახალხოდ, ხმაურით, სამაგალითოდ დაესაჯათ.

დოქსოპულოვს არ მოსწონდა საგანგებო რაზმის ნამუშევარი. ყველა ოჯახი „დაამუშავეს“, ყველა სავარაუდო შემთხვევა გა-

მოთვალეს, ხალხი ისე დააშინეს, პირობას იძლეოდნენ, ერთ თვეს არ გამოეხედათ გარეთ, მაგრამ დოქსოპულოვი მაინც უკმაყოფილო იყო. არ მოსწონდა ეს „მისვლა“. ვარლამ არავიძე ია ხალდანთან თუ მივიდოდა და ეს მისვლა განმეორდებოდა, მაშინ? მაშინ რა ექნა?.. იქ, ახლომახლო, არავინ უნდა სახლებულიყო, საერთოდ არავინ ყოფილიყო. ხალხის გაფრთხილება-დამუშავება, დაშინება-დატერორება საკმარისად არ მიაჩნდა. არავის მხარის გენერალური დამჭირველი, მთლად მხარის მმართველი, პოლიტიკატიმრის ცოლთან დადისო – რომელიმე აგენტის აგენტი ამას ცენტრს შეატყობინებდა. პასუხს დოქსოპულოვს მოსთხოვდნენ, გენერალური დამჭირველის ვიზიტი ცუდად ორგანიზებული იყო. ვთქვათ, აგენტის აგენტებს დოქსოპულოვი დაენდოთ, თვითონ ხელმძღვანელობდა ამ ქსელსაც, თუმცა ერთი აგენტის აგენტი დოქსოპულოვსაც ჰყავდა მიჩენილი, რომელსაც პირადად არ იცნობდა. ამ უხილავ აგენტსაც დაენდო და ცენტრში ინფორმაცია არ გაეგზავნა. თუნდაც ერთი ადამიანი, შემთხვევით გზად მიმავალი, თუ ნახავდა ვარლამის მანქანას ხალდანების ჭიშკართან მდგარს, თანამშრომელი რომც არ ყოფილიყო, მაგოგის ქვეყნის მოქალაქე ხომ იყო! – ევალეობდა ინფორმაცია, სადაც საჭირო იყო, იქ მიენოდებინა. ამ ინფორმაციის შემდეგ არა მარტო დოქსოპულოვი, აგენტის აგენტებიც უნდა დამშვიდობებოდნენ ადლში მუშაობას. რამდენიმე დღით უნდა გადაედოთ ეს შეხვედრა და ია ხალდანის ახლომახლო, მთელ ქუჩაზე, უბანში ვინც ცხოვრობდა, ყველა გაესახლებინათ, გადაესახლებინათ ან ციხეში ჩაეყარათ, ვის რა დანაშაულს უპოვიდნენ, იმის მიხედვით. დანაშაულის პოვნა არ იყო ძნელი. ადამიანი უცოდველი არ არის. ყოველთვის შეიძლება დანაშაულის აღმოჩენა – ფიქრობდა დოქსოპულოვი და თავისი ნააზრევი თანდათან, უფრო და უფრო მოსწონდა. დოქსოპულოვმა თავისი გეგმა, ყოყმანის შემდეგ, გაანდო ვარლამს. უფროსს ძალზე მოეწონა ოპერატიული მუშაკის გამჭრიახობა. დამნაშავეთა დაჭერის ახალი გეგმაც მოსულიყო ცენტრიდან. იმ გეგმით, ორასი ადამიანი უნდა შეეპყროთ არავში. ეს ღონისძიება სწორედ დოქსოპულოვის გეგმას მიესადაგებოდა. ვარლამ არავიძემ თავის საიმედო თანამშრომელს განაზრახი მოუწონა, ერთი

თვის ხელფასით დააჯილდოვა და შესრულებაც მას დაავალა. ია ხალდანთან მისვლა კი დროებით გადადო.

ორი ღამე დასჭირდა ბრანძი დოქსოპულოვს იმ ქუჩის მცხოვრებთა პირადი საქმეები შეესწავლა, სადაც ცხოვრობდა ია ხალდანი. თითქმის ყველას უპოვა დანაშაული. ია ხალდანის ყველა მეზობელი დამნაშავე აღმოჩნდა. ზოგს ძველი ცოდვები მოეკითხა, ზოგსაც ახალი. ვინც ვაჭრობის ქსელში მუშაობდა, იმათ ეკონომიკური დივერსია დაბრალდა, ვინც წარმოება-დანესებულებაში მუშაობდა – იდეოლოგიური დივერსია, ხოლო თუ ვინმეს ნათესავი ან ახლობელი საზღვარგარეთ ჰყავდა, იმათ ხომ სამარე წინასწარ უნდა გაეთხარათ! შავსიელებიც საკმაოდ აღმოჩნდნენ. კიდევ ორი ღამე და ია ხალდანის ყველა მეზობელი, ქუჩაზე მცხოვრები დიდ-პატარა, გადამკვეთ ქუჩაზე თუ გვერდით ქუჩაზე, ახლო-მახლო მცხოვრები ყველა მოქალაქე აყარეს და იზოლატორში მოათავსეს, ზოგი პირდაპირ ციმბირში ეშელონს გააყოლეს, ზოგიც სხვაგან სადღაც მოუსავლეთში გადაასახლეს.

დოქსოპულოვმა თავის უფროსს ია ხალდანისაკენ მიმავალი გზა პირნმინდად გაუსუფთავა. ამის შემდეგ „მისცა უფლება“ ქალს სტუმრად სწევოდა.

როცა იას მეზობლებს აპატიმრებდნენ, ყველა, მათ შორის იაც, ფიქრობდა, რომ რაღაც შეთქმულება აღმოაჩინეს, ალბათ „მესამე პარალელური ცენტრი“ იპოვეს, ხალხს იმიტომ აპატიმრებენო. თვით დოქსოპულოვს რომ გამოეცხადებინა დაპატიმრებულთათვის, ია ხალდანთან მისასვლელ გზებს ვნმენდო, უდანაშაულო ადამიანებს იმიტომ გაპატიმრებო, არ დაუჯერებდნენ. პატიმრები, საბარგო ვაგონებში რომ შეყარეს და ციმბირის გზას გაუყენეს, კმაყოფილები იყვნენ, ზოგი თავს ბედნიერადაც კი გრძნობდა. სიკვდილს მუდამდღე ელოდნენ. მთელი ოჯახი შავსიელი იყო, ციმბირი შევებად მიიჩნდა თითოეულ მათგანს, ბოლოს და ბოლოს, მოიხდიდა მაგოგის ქვეყნის წინაშე „დამნაშავე“ სასჯელს და იმ ჯოჯოხეთური შავი სიიდან ამოიღებდნენ.

ხალდანების სახლის წინ ვარლამ არავიძის მანქანა, დაცვის მანქანებიანად, ხალხისათვის შეუმჩნეველად უნდა მისულიყო. როგორ მიეღწია ამისათვის? – უჩინმარჩინის ქუდს ხომ არ დაახუ-

რავდა მანქანებს? გზებსაც ისე ვერ გადაკეტავდნენ, თუ მცხოვრებლებს ამ ქუჩებიდან მთლიანად, სრულიად, პირნმინდად არ აკრეფდნენ. მართლაც ისე აკრიფეს ხალხი, რომ მეზობელ ქუჩებშიც კი არავინ ჭაჭანებდა.

თუ ვარლამ არავიძეს ეს ქალი საყვარლად უნდოდა და ამ სახლში, ამ გზებზე ხშირად ივლიდა, მაშინ საერთოდ უნდა აეყარათ აქედან მცხოვრებლები. თუ ერთხელ მივიდოდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ, მაშინაც არ იყო სასურველი აქ უცხოთა შეხვედრა. ვინ იცის, რა ინფორმაცია გაუონავდა ცენტრში – გოგში. თვით ადლში, თვით თავის ზესაგანგებო განყოფილებაშიც კი ეგულებოდა დოქსოპულოვს გოგისა და მაგოგის აგენტები. თვითონაც ხომ გოგის აგენტი იყო, მაგრამ აგენტის აგენტი უფრო საშიში იყო, უფრო ცბიერი და ვერაგი. ყოველი შემთხვევისათვის, თავი ქუდში რომ ჰქონოდა, ხალხი იმიტომ აყარა და ციმბირის გზას გაუყენა, თორემ არც ისე იყო საქმე, დოქსოპულოვი აგენტის აგენტებს ხელალებით გაენირათ. მას პატივს სცემდნენ, რადგან ეშინოდათ მისი. დასმენას ასე ადვილად ვერ გაუბედავდნენ. მაგრამ გოგისაგან, მისი აგენტურისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი და დოქსოპულოვიც ამიტომ ფრთხილობდა.

ახლა მას იასთან შეხვედრა დარჩენოდა. უნდა შეხვედროდა ქალს და ვარლამ არავიძის სტუმრობა ეუნყებინა. ეძნელებოდა ეს შეხვედრა. მთელ ამ ოპერაციაში ყველაზე რთულად ამ შეხვედრას მიიჩნევდა. ხალხის გადასახლება არ გასჭირვებია, ქალთან შეხვედრა კი ეძნელებოდა. ია ხალდან იმ პატიმრის მეუღლე იყო, ვინც მალულად დახვრიტეს მისმა მუშაკებმა არავის ჭალაში, ხოლო აფთარმა ეს „მალული დახვრეტა“ ამხილა, გვამი მიწიდან ამოთხარა, მკლავი მოაგლიჯა და ქალაქში, როგორც სამხილი, ისე შემოარბენინა. ახლა რა უნდა ეთქვა ამ ქალისათვის? რითი ენუგეშებინა? სხვა დროს, სხვა ვითარებაში რის ნუგეში, რა ნუგეში!.. პოლიტპატიმრის ცოლი იყო – შიშითა და კანკალით უნდა დალოდებოდა თავის აღსასრულს. ახლა კი რთული ვითარება შეიქმნა, – ვარლამ არავიძეს საყვარლად ხომ არ უნდოდა ეს ქალი? აბა, ხალხის მტრის ცოლს ამდენს ვინ ებოდიშებოდა? ნესით და რიგით, ისიც უნდა დაეპატიმრებინათ და შვილი უპა-

ტრონო ბავშვთა თავშესაფარში გაეგზავნათ. თუ ცოლს არ დააპატიმრებდნენ (ზოგჯერ ასეც ხდებოდა), ხალხის მტრის შვილი უსათუოდ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში უნდა აღზრდილიყო, ვინაიდან დედა მაინც შეეცდებოდა მამის გამართლებას და ბავშვის აღზრდას ვერ წარმართავდა ისე, როგორც სახელმწიფოს სჭირდებოდა. უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა მაღალ დონეზე იდგა, პოლიტიკურ დამნაშავეთა შვილებს მაგოგის ერთგულ შვილებად ზრდიდნენ.

დოქსოპულოვს დაბალი, ვიწრო შუბლი ჰქონდა, იმდენად ვიწრო, რომ მუდამ გადახოტრილი თმისაგან წარბებს ერთი თითის დადება ჰყოფდა. ამას შუბლიც არ ეთქმოდა, მაგრამ რას ვიზამთ, „დოქსოპულო“, როგორც მას შემოკლებით ეძახდნენ, ასეთი შუბლით შეექმნა ღმერთს.

იმ პატარა შუბლშიც კი ტრიალებდა მწირი აზრი, ძირითადად ასეთი: „არის, უფროსო!“, „როგორც მიბრძანებთ, გენერალურო!“, „დავალება მიღებულია, უპირველესო!“, „დავალება შესრულებულია, გენერალურო!“ და მისთანანი. აი, დადგა დღე, როდესაც სხვაგვარი აზრი, უფრო უკეთ, ეჭვი დატრიალდა იმ ვიწრო შუბლში და ამან ძალზე შეანუხა, მოსვენებაც კი დაუქარგა. „ვაითუ, ია ხალდანი ვარლამ არავიძეს საყვარლად უნდა?“ მაშინ? მაშინ ვაი შენს დოქსოპულოს, თუ ერთი ზედმეტი სიტყვა წამოსცდებოდა!.. სიფრთხილე, დიდი სიფრთხილე მართებდა, არც იქით უნდა გაეხედა და არც აქეთ. ოფიციალური, ცივი და სიტყვაძუნნი უნდა ყოფილიყო, როგორც ყოველთვის. ამ ფიქრებით მიდიოდა ია ხალდანის ბინისაკენ. იცოდა, წინასწარ შეესწავლა; დღეს არც ია და არც მისი ჯეგე სკოლაში არ იქნებოდნენ. ია ქმარს გლოვობდა და გარეთ არ გამოდიოდა. მოსასამძიმრებლად ნათესავებიც კი ვერ მოდიოდნენ. ია ხალდანი მთელი დღეები გამოკეტილ ოთახში იჯდა და დაჭერას ელოდებოდა. რაკი ამდენი მეზობელი აყარეს, ალბათ მეც მომადგებიანო, ფიქრობდა.

დოქსოპულოვი მარტო შევიდა იასთან, მხლებლები, ვინიცობისთვის, გარეთ დატოვა. იასათვის სულერთი იყო, დოქსოპულოვი შემოვიდოდა, თუ ვინმე რიგითი დამჭირველი. კარზე

დაკაკუნებას და მოულოდნელ სტუმრობას კარგა ხანია, რაც ელოდებოდა. ქალი შავად იყო შემოსილი, მხოლოდ ბროლივით თეთრი ნიკაპი მოუჩანდა.

– ჩვენ მზად ვართ! – გამოსძახა სიშავიდან ქალმა და ციხეში წასაღებად ჩანთასთან დაიხარა, ალება სურდა: მზად იყო წასასვლელად, ოღონდ ჯეგესთან ერთად. უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გასაგზავნად ბავშვს არამც და არამც არ დაანებებდა. ასე ჰქონდა გადანყვეტილი, ამისათვის იყო მზად.

– პატიმრის მეუღლე! – გაისმა დოქსოპულოვის ხაფი ხმა ოთახში, – თქვენ გელაპარაკებათ ზესაგანგებო განყოფილების უფროსი ბრანძი დოქსოპულოვი.

ტყავის ქურთუკიდან საბუთი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა, საქმიანად დაჯდა, უბის ნიგნაკი გადაფურცლა და წერას მიჰყო ხელი.

„გიცნობთ, ვინცა ხართ“, – გაივლო გუნებაში იამ, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დოქსოპულოვმა ნიგნაკში დრო და რიცხვი ჩაიწერა. ვითომ ამა და ამ რიცხვში ამა და ამ საათზე პატიმარყოფილ სანდრო ხალდანის ოჯახში ვიყავიო. შემდეგ თავი აიღო და ია გააფრთხილა:

– თქვენთან მობრძანდება გენერალური დამჭირველი, მხარის მმართველი... – ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა რატომღაც.

შორიახლოს იდგა შავად აღმართული და გულხელდაკრეფილი. შავი თავსაფრით თავდარქმულს, კოჭამდე სცემდა ძაძის კალთები. სიშავე იდგა შუა ოთახში, მხოლოდ ტურჩებითა და ნიკაპით თუ ამოიცნობდით ქალს. გვერდით ბავშვი ედგა, შეშინებული დედას ბარძაყზე ეკვროდა.

– ვარლამ არავიძევე, – შეძრწუნდა ქალი უცებ, მღელვარებისაგან თვალთ დაუბნელდა, ენა წაერთვა და „ეეე“ მეტად გაგრძელებულად და უაზროდ წარმოთქვა.

– მე მგონი დიდი პატივია! თქვენ ეს უნდა დააფასოთ...

ეს სიტყვები იამ კი გაიგონა, მაგრამ მხოლოდ დოქსოპულოვის წასვლის შემდეგ გაიაზრა, ვარლამ არავიძე შენთან მოდისო

– ისეთი თავზარდამცემი ცნობა იყო იასათვის, რომ ზეზეულად მოკვდა ქალი, გაქვავდა, გახევდა ადგილზე. დოქსოპულოვმა კარი რომ გაიხურა, იმის შემდეგაც კარგა ხანს იდგა უძრავად. თითქოს ენა ჩაუვარდაო, ვერაფერი ჰკითხა დოქსოპულოვს: რატომ მოდიოდა?.. იქით რატომ არ მიჰყავდათ?.. როდის მოვიდოდა?.. გარეთ გაიხედა, წასულიყვნენ, არავინ ჩანდა. ელდამ ენაც წაართვა და გონიც, ეს კითხვები მერე დაიბადა, როცა დოქსოპულოვი თვალს მიეფარა, კითხვები თანდათან გადაიზარდა ეჭვებში, ეჭვებმა შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ზღვა დააყენა: „მოვკლავ, – ბობოქრობდა, – სანდრო მომიკლა! დავმალავ დანას და ჩავეცემ გულში...“ – დაბუტბუტებდა. ბავშვმა არ შემამჩნიოსო, პირზე იფარებდა ხელს. „ხვალ მოვა ალბათ, – ფიქრობდა დაჟინებით, – ხვალ მოვკლავ, დღეს მოვა, დღეს მოვკლავ!.. სანამლავი ჯობია, დანას წამართმევს, ეშმაკობით უნდა მოვერიო“. რა სანამლავი ჰქონდა შინ? – ახლა ამაზე დაიწყო ფიქრი. უცებ გაახსენდა რომ ჩხრეკის დროს, თუ რამ მჭრელი დანა ჰქონდა, წაიღეს. რა სანამლავი, რის იარაღი! – აზრი არ ჰქონდა ამაზე ფიქრს. მაშ, ზოგიერთებით, მისი საყვარელი უნდა გამხდარიყო? არა, ვერ მოესწრებოდა ამას ვარლამ არავიძე! ძალით მას ყველაფერი შეეძლო, ნებით კი ია სანდროს მკვლელს საყვარლად არაფრის დიდებით არ დაუდგებოდა. უკიდურეს მღელვარებაში, საოცარ სულიერ წამებაში რამდენიმე საათმა შეუმჩნევლად გაირბინა. კარებზე ნაცნობი კაკუნი გაისმა და იამ ამოისუნთქა, – მოსახდენი უნდა მოხდესო, გაიფიქრა და კარი დამჭირველმა შემოაღო. ვარლამი მოვიდა თავისი ამალით: დოქსოპულოვითა და რიკტაფელოვით. ვარლამს, რაც თვალშისაცემი იყო, არ ეცვა თავისი განუყრელი სამოსი – ჩექმები, ბოლომდე გულაბნეული კიტელი და ხაკისფერი გალიფე შარვალი. შუა ოთახში დადგა. გადით, ქალთან მარტო დამტოვეთო, ანიშნა ამალას. ყველანი ერთ წამში გაიკრიფნენ. მეორე ოთახიდან, უფრო უკეთ, პატარა შუშაბანდიდან ჯეგემ შემოყო თავი.

– ოჰ, ამას ვის ვხედავ! – გაუხარდა ვარლამს, საუბარს ბუნებრივად დაიწყებდა. ბავშვს გაუბამდა საუბარს.

– მოდი, ჯეგე, მოდი! ჯეგე გქვია, ხომ? – თვითონ მივიდა ბავშვთან, – მე გადანყვეტილი მაქვს დაგეხმაროთ. – დაიხარა, ბავშვს ლოყაზე მოუთათუნა და მისთვის საგანგებოდ წამოღებული სათამაშო რევოლვერი გაუნოდა.

„ჰმ, ჯეგე, ბავშვის სახელიც კი იცის!“ – გაიფიქრა იამ.

– სინდისს გეფიცებით, მოხდა გაუგებრობა. მე მახსოვდა თქვენი თხოვნა, არ ვაპირებდით თქვენი ქმრის სიკვდილით დასჯას, ამიტომ არ მომიკითხავს პატიმარი, ვფიქრობდი, ხვალ მოვიკითხავ, ზეგ მოვიკითხავ-მეთქი. როცა მოვიკითხე, უკვე დაგვიანებული იყო. გაქცევის მცდელობის დროს უსვრიათ. სინამდვილეში ერთი ობიექტიდან მეორეში გადაჰყავდათ. სანდროს და იმ პროფესორებს კი უფიქრიათ, დასახვრეტად მივყავართო და გაქცევა უცდიათ... ბადრავს პატიმარი გვირახით მიჰყავს ხოლმე არავის ჭალაში და მეორე იზოლატორიც იქვეა.

– სიცრუეა! – შეჰკივლა იამ, – სანდრო არსად არ იყო გამქცევი, მით უფრო პროფესორები: გედევანიშვილი და სულხანიშვილი!.. მოუგონეს... მკვლელებმა პასუხი უნდა აგონ!..

– რაღა თქმა უნდა! – ისინი უკვე მიცემული არიან პასუხისგებაში!.. მაგრამ თუ გაქცევის მცდელობა მართლა იყო? აქ კი მეც უძღური ვარ... – თქვა რიხიანად ვარლამმა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჯეგე მეორე ოთახში აჩხაკუნებდა ახლადნაჩუქარ რევოლვერს. მხოლოდ ეს ჩხაკუნი ისმოდა ოთახში.

– დაბრძანდით, ქალბატონო ია, თუ დამიჯერებთ, თქვენთან კეთილი მიზნით ვარ მოსული.

– რა გნებავთ?! – ცივად იკითხა იამ.

არ დამიჯდარა, მაგიდასთან იდგა. ვარლამი დაჯდა.

– დაბრძანდით, მე გთხოვთ დაბრძანდეთ და მომისმინოთ!..

ია დაჯდა ანგარიშშიუცემლად.

– მე არა ვარ ისეთი ურჩხული, როგორც თქვენ, პატიმრის ცოლებს გგონიათ. ოღონდ მე ვარ გოგისა და მაგოგის ქვეყნის მტკიცე დამცველი. ყოველი ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძირშივე აღმოიფხვრება ჩემ მიერ. ყოველი სულდგმული ადგილზე იქნება ლიკვიდირებული,

ვინც ამ გზაზე წინ გადამიდგება. თქვენი ქმარი აღმოჩნდა ავერ-
ბახისტი...

– ჩემი ქმარი არასოდეს, არც ერთ პარტიაში არ ყოფილა...
– შეაწყვეტინა იამ.

– ა, ბატონო, საბუთი! – ვარლამმა ამოიღო არავის მხარის
მწერალთა საერთო კრების გადაწყვეტილება და იას წინ დაუდო,
– ავერბახი ხომ იცით, ვინც არის. თქვენს ქმარს გერმანიის იმპე-
რიალიზმთან კავშირი ედება ბრალად. მიუხედავად ამისა, მე მას
არ დავხვრეტდი, თქვენი ხათრით...

ია გაფაციცებით ათვალეერებდა მწერალთა გვარებს, ვინც
ხელი მოაწერა სანდროს ავერბახისტობას, თვალს არ უჯერებდა,
რამდენიმეჯერ ნაიკითხა.

– ნუთუ ამ ადამიანებმა მართლა მოაწერეს ამ წერილს ხელი?
– იკითხა გულუბრყვილოდ.

– წერილი კი არ არის, მწერალთა კრების დადგენილებაა, ამ
ხელმოწერებს მთელი კრება, ე. ი. მთელი მწერლობა ადასტურებს.
მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაპირებდით მის გადასახლებას და არა
დახვრეტას. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ არ დამცალდა დახმა-
რება. ამაში ბრალი თვითონ მიუძღვის, სულ არ შემინყო ხელი!..

– რა გნებავთ ჩემგან? – კვლავ ცივად მიახალა იამ.

– მნებავს დაგეხმაროთ, პატიმრის ოჯახს ხელი გავუწოდო...
სხვა არაფერი.

– ახლა? ახლა უკვე ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს. – მიუ-
გო იამ.

– აქვს აზრი!.. თქვენც და თქვენმა შვილმაც უნდა იცოცხლოთ
და თანაც კარგად უნდა იცხოვროთ! მე მინდა ჩვენ გულახდილად
ვილაპარაკოთ, ოღონდ ეს ბავშვი... თუ შეიძლება, მას გაასეირ-
ნებენ ავტომანქანით... დოქსოპულო! – გასძახა კარის მიმართუ-
ლებით, თან წამოდგა და კარისკენ წავიდა.

ვიდრე ვარლამი კარს გამოაღებდა, დოქსოპულოც შემოვიდა.
იამ ვერ მოასწრო თქმა: არა, ეს არ შეიძლებაო. ვარლამ არავიძე
ისე ადამიანურად ლაპარაკობდა, ვერც გაუბედა მტკიცე უარი.
დოქსოპულო რომ შემოვიდა, მერე გაჯიუტება კიდევ უფრო
სახიფათოდ და უხერხულად მიიჩნია და ჯეგეს უთხრა:

– ნაყევი, შვილო, ნაყევი, გაგასეირნებენ მანქანით და ისევ უკან მოგიყვანენ.

ჯეგე დოქსოპულოვს დაეჭვებულად, მაგრამ მაინც გაჰყვა.

ვარლამი და ია პირისპირ დარჩნენ. სამარისებური დუმილი ჩამონვა. ვარლამს შარვალ-კოსტუმი ჩაეცვა. თეთრ, ქათქათა პერანგზე კოსტუმის ფერთან შეხამებული შალსტუხიც კი ეკეთა. იამ ეს ყველაფერი მხოლოდ ახლა დაინახა. სულ სხვაგვარი ვარლამი მოსულიყო მასთან, შავი თავსაფრის ქვემოდან, მართალია, კარგად არ ჩანდა ვარლამის მორთულობა, მაგრამ ქალი გუმანით ხვდებოდა – ვარლამს ჩაეცვა ისე, როგორც სანდრო იცვამდა. გუნებაში მწარედ გაელიმა და ღიმილს მოჰყვა სიტყვა „არამზადა“... ისხდნენ და ისხდნენ გაჩუმებულნი.

– რა გნებავთ ჩემგან! – მოთმინება დაკარგა იამ.

უცებ ვარლამმა არც აცივა, არც აცხელა, ქალის ფეხებთან დავარდა და ფეხის ტერფებს კოცნა დაუნყო. ქალი ყველაფერს მოელოდა და ამას კი არა. ვერც კი ნამოდგა, სკამზე ხომ იჯდა, ძირს ჩამოეშვა შხვართი ფეხები, ფეხები სულ ბოლომდე, სწორედ ტერფამდე ჯვალოს კაბით იყო დაფარული, ფეხზე შავი წინდები ეცვა და იმ წინდებზე შავი ფლოსტები, იმ შავ წინდებს და ფლოსტებს კოცნიდა, მისი ქმრის მკვლელი და ნამუსის ამხდელი მამაკაცი.

– მაპატიე, ია, თუ შეგიძლია, მაპატიე, ყველაფერი კეთდება შენი სიყვარულისათვის, თუ დამიჯერებ, ასეა. მე მყავს ულამაზესი ცოლი, გარს მეხვევიან ულამაზესი ქალებიც, მაგრამ შენ სხვა ხარ!.. მე არ მინდა მოძალადე ვიყო, მე მინდა სიყვარული!.. – კაცი იას ფეხებს გულში იხუტებდა და ეფერებოდა. მე არ მცოდნია სიყვარული, არ მცოდნია, ქალი რა არის!..

ია უცებ მოეგო გონს, ნამოდგა, მოიშორა მამაკაცის მკლავები.

– კარი მაინც დავკეტოთ. – უთხრა ქალური სინაზით.

ვარლამმა იმ წამს გაათავისუფლა ქალი, წამოხტა, სიხარულისაგან ლამის თვალები ამოუხტა ბუდიდან. ვარლამს მართლა მონატრებოდა ნაზი სიყვარული. ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა მდედრისა და მამრისა. სხეულის ყველა ნაწილი ჯა-

ლათობის სამსახურში ეყენა: თავი სულ მუდამ იმაზე ფიქრობდა, ამ ჯერზე ვინ გაეჩხრიკათ, ვინ შეეპყროთ, ვინ დაეხვრიტათ... ხელები ხელმონერით მკვლელობას ადგენდნენ, ზოგჯერ ასრულებდნენ კიდეც. საჯალათო საქმე უზადოდ შეასრულა ვარლამ არავიძის ფეხებმაც, როცა ჩექმის ნალიანი ცხვირი სანდრო ხალდანს ნიკაპში ამოარტყა და სკამიდან გადააგდო ნიკაპგახლეჩილი. საჯალათო იყო მისი სარეცელიც, რომელიც ადღში უფროსის კარის გვერდით გაემართა. ამ ნუთებში არ შეეძლო ჯალათობა. ეს ლამაზი ქალი, რომელიც შავ ძაძებში გახვეულიყო, უნდოდა გვერდით ჰყოლოდა და მოფერებოდა. უცებ ქალმა მეტი მოინდომა, „კარი მაინც დავეკეთოთ“... ვარლამი ადგილზე ბავშვივით ცქმუტავდა და გაოცებული ელოდებოდა, რას იზამდა ქალი. იამ კარი გულდაგულ ჩაკეტა, მოტრიალდა, გვერდით ჩაუარა ვარლამს. ახლავე გამოვალო, დაუბარა, თან ანიშნა, იქ, აბაზანაში უნდა შევიდეთ. ვარლამმა აღარ იცოდა, რა ექნა ნეტარებისაგან თუ აღტაცებისგან, როგორ გადაეხადა ქალისათვის მადლობა. თან თავს ატყობდა, რომ უმწეო იყო. მოეჩვენა, ახლა, ამ ნუთას ეგებ ვერც ეცხოვრა ამ ქალთან. ბოლთის ცემას მოჰყვა ნერვიულობისაგან. თვალით ეძებდა სანოლს, სადაც უნდა განხორციელებულიყო დაუოკებელი ვნება. აოცებდა მამაკაცური სისუსტე, რომელიც დაუფლებოდა. ძალადობას ისე შესწევოდა, თავისუფალი, ჭეშმარიტი და უბრალო სიყვარულის ეშინოდა. „არაფერია, ლოგინში ყველაფერი დალაგდება“, – გაიფიქრა. თავი გაიყოჩაღა და განაგრძო ოთახში წინ და უკან სიარული. „საკმარისია მისი სხეული მომეკაროს, – ფიქრობდა დაჟინებით, – მოულოდნელობის გამო მემართება“... არ ელოდა იას ამგვარ საქციელს. „მუხლებზე დავარდნამ გამოინვია ქალის შეცვლა, – ფიქრობდა, – შემოვა დაბანილი და აქ, ამ სანოლში ჩამინვება“... სანოლთან დადგა და იქითკენ იყურებოდა, საითაც ქალი შეიმალა. გაოგნებული იდგა და ელოდა. ასეთ მდგომარეობაში ვარლამი არასოდეს ჩავარდნილა. ქალს ასე არასოდეს დამორჩილებია. არავის ჩავარდნია ფეხებში, ფეხის ტერფებზე არავისთვის უკოცნია. რა იყო მისთვის ქალი? უბრალო ნივთი, რომელსაც მამაკაცი ხმარობდა. რაც უფრო ლამაზი იქნებოდა ეს ნივთი, მით უფრო

უკეთესი იყო, რასაკვირველია, მაგრამ ის მაინც ნივთი იყო და მეტი არაფერი. იმ დღეს ვარლამს დაენგრა თავისი შეხედულება ქალზე. თურმე ქალი სხვა რამ ყოფილა, ვიდრე უბრალო ნივთი, და ვარლამს არ სცოდნია. „მწერლები წიგნებს რომ წერდნენ ქალზე, თურმე მართლები ყოფილან“, – ნაღვლიანად ფიქრობდა, იდგა და ელოდა.

სამოთხის ჭიშკარივით გაიხსნა სააბაზანოს კარი და გამოვიდა მზეთუნახავი. ვარლამისათვის მზის ამოსვლას ჰგავდა აბაზანიდან იას გამოსვლა.

იას შავი თავსაფარი მოეხსნა, შავი ხალათი შიშველ ტანზე მოესხა, შიშველი ფეხები და მოშიშველებული მაღალი ყელი მოუჩანდა. გაფითრებული მოდიოდა, თვალები რისხვით ანთებოდა. მოვიდა თამამად, გადაიხსნა შავი ხალათი, გამოიჩინა მთელი სხეული, თეთრ ბარძაყებზე სისხლის ზოლები ჩამოსდიოდა.

– ჰა, სისხლის მსმელო, დალიე ჩემი სისხლიც! – ელვასავით აკვესებდა შავ თვალებს. ხალათი გაეხსნა, ხელებით გაეჭიმა, როგორც დაჭრილი შავი ფრინველი, იდგა შუა ოთახში და მამაკაცს შესცქეროდა ზიზლით.

ქალს სამართებლით დაესერა სხეული. ზოგან მეტი მოსვლოდა, სისხლი თქრიალით სდიოდა.

ვარლამი უცებ მოეგო გონს. მამაკაცური უმწეობა, რაც წელან დაეუფლა, გაუქრა, კვლავ ნაცნობი შინაგანი ძალა იგრძნო, კვლავ იქცა ვარლამად, გატრიალდა და კარისაკენ გაემართა. სწრაფად გავიდა გარეთ.

– დოქსოპულო, ეს ქალი იზოლატორის საავადმყოფოში გადაიყვანეთ! იმოქმედეთ კანონის შესაბამისად!.. – მიუგდო გარეთ შეკრებილებს, ჩაჯდა თავის ემოცდაცხრაში და წავიდა. რიკტაფელოვმა თავისი რაზმით გააცილა უფროსი, ერთი მანქანა წინ, მეორე უკან მიჰყვებოდა არავიძის ემოცდაცხრას.

დოქსოპულო კი ოთახში რომ შევიდა, ია გულშელონებული ეგდო ტახტზე, ქალი სისხლში ცურავდა.

– რა მოხდა? – ერთმანეთს ეკითხებოდნენ დაბნეულები.

– მოჰკიდეთ ხელი და წავიყვანოთ! ჩქარა! ნაბრძანებია იზოლატორის საავადმყოფოში!

- სასწრაფო არ გამოვიძახო?

- იქ გაუნევენ სასწრაფო დახმარებას! ჩქარა! - ბრძანებებს იძლეოდა დოქსოპულო.

- დავანვინოთ რამეზე...

- წყალი შევასხუროთ, გონზე მოვა!.. - ერთიანად სისხლში ამოსვრილ ქალს თავს დასტრიალებდნენ დამჭირველები.

ორ მოხეულ ვირზილას, უფრო გამორჩეულებსა და ძლიერებს, ჩაეველოთ დაჭრილი ქალისათვის ხელი და კარისკენ მიჰყავდათ.

- კიბესთან მოაყენეთ მანქანა! ჩქარა! - პირველი ის მანქანა მოადგა, რომელშიც პატარა ჯეგე იჯდა, მძღოლმა ხომ არ იცოდა, მათი წასვლის შემდეგ რაც მოხდა ხალდანების სახლში, ადგა და პირდაპირ მოაყენა მანქანა. ამასობაში ის მანქანაც მოვიდა, რომლითაც ია ხალდანი უნდა წაეყვანათ. ჯეგემ რომ დაინახა, ფერმიხდილი დედა ორ კაცს ჩამოჰყავდა კიბეზე, კივილი ატეხა.

- ბავშვი მოაშორეთ აქაურობას! - ჩამოსძახა მძღოლს ზემოდან დოქსოპულომ. მძღოლმა-დამჭირველმა ჯეგე მანქანაში შეათრია. ბიჭუნამ - დედა, დედაო - ისეთი ღრიალი ასტეხა, რომ გულწასული ია გამოაფხიზლა, ამასობაში ქალი ძირს ჩამოიყვანეს და მანქანაში ჩასვეს კიდევ. ბავშვის ნიოკობამ ია მთლად მოიყვანა გონს, ახლა მან ატეხა ნივილ-კივილი.

- მომიყვანეთ ჩემი შვილი! ჩემი ჯეგე მომიყვანეთ! ჯეგე! ჯეგე! - დედის ხმამ ბავშვი უფრო შეაგულიანა, უკბინა ხელზე დამჭირველს და გამოექცა, მოვარდა მანქანასთან, სადაც დედა ეგულებოდა, იამ შვილისაკენ გაიშვირა ხელები, ჯეგე მანქანის კარებს მიანყდა, მაგრამ დედა-შვილი მოგლიჯეს ერთმანეთს. ჯეგეს სხვა მანქანისაკენ მიათრევდნენ, ია კი „შავ ყვავში“ კიოდა.

- შვილო! ჩემო უბედურო შვილოო!.. - მანქანიდან მოისმოდა იას ხმა.

- დედა! დედააა! - განწირული მიჰკიოდა შვილი დედას.

„ყველა ჭირს უნდა გაუძლო, შვილო!..“ - მოთქმით ნათქვამი სიტყვები მისწვდა ჯეგეს ყურთასმენას. ჯეგე ხალდანმა მაშინ სისხლში ამოსვრილ დედას მოჰკრა თვალი და შორიდან მისი სიტყვებიც გაიგონა, ყველა ჭირს უნდა გაუძლოო.

საოცრებაა, მაგრამ სიბრალულის გრძნობა პარლამ არავიქნასაც ჰქონია

ხალდანების სახლში მომხდარის მერე, მეორე დღესვე, ვარლამ არავიძეში ადამიანობის რალაც გრძნობამ გაიღვიძა. სინდისის ქენჯნა არასოდეს განუცდია მანამდე, არ ასვენებდა იასადმი სიბრალული და სინანული იმის გამო, რომ მასთან თავისი ვერ გაიტანა, თანაც არ უნდოდა ამ ქალის სიკედილი დაეშვა, უყვარდა თავისებურად, მოუვლიდა, თან გადაჰყვებოდა, თავის პატივისცემას დაანახვებდა და იქნებ მერე გაჩარხულიყო მათ შორის რაიმე.

11 წლის ჯეგემ კი მაგოგის ქვეყნის მტრის შვილებისათვის განკუთვნილ განცალკევებულ არავის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ამოყო თავი, სადაც მთავარი იყო ყმანვილების მორალურ-იდეოლოგიური აღზრდა. ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მაგოგის ქვეყნის მოლალატეთა შვილებს შეყრიდნენ ერთ დიდ ოთახში და მათი მორჩილების გამოსამუშავებლად აჩოქებდნენ და შეგონებით ლექციებს ისე უკითხავდნენ.

შემოვიდნენ ოთახში იდეოლოგიური აღმზრდელები. უპატრონო ბავშვები სასწრაფოდ, უკვე ლამის მექანიკურად მუხლებზე დავარდნენ.

ჯეგე დგას გაჯგიმული.

– დაიჩოქე, შე ლანირაკო! – უთხრა არავის უპატრონოთა თავშესაფრის მთავარმა აღმზრდელმა, ქალბატონმა დოდომ.

– რატო? – იკითხა გაკვირვებულმა ბავშვმა.

– ქვეყნის მოლალატის შვილი რომ ხარ, იმიტომ, შენში უნდა აღიზარდოს ნამდვილი მაგოგელი. უნდა გაიზარო, რომ შენს მშობლებს დანაშაული მიუძღვით და შეიგნო და მოინანიო.

– არა!

ქალბატონმა დოდომ ბაღს დაუმორჩილებლობისათვის სილა გააწნა. ბიჭუნას ლოყა აუვარვარდა, თვალებში ნაპერწკალმაც იელვა, თუმცა ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია.

დაიჩოქეო, კიდევ უთხრეს პატარას. ჯეგე გაკერპდა, ქვემო-დან პატარა გოგომ ფრთხილად ჩამოქაჩა შარვლის ტოტზე:

– დაიჩოქე, ჯეგე, – უთხრა და მერე ხმას დაუნია, – გვეტყვიან რალაცებს და ნავლენ.

ჯეგემ წარბშეკრულმა კუმტად ჩახედა თავისი მუქი თვალებით, იმდენად მუქი თაფლისფერი თვალებით, რომ გუგასა და თვალის ფერს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდი.

– ადექი! – თავისი გადამდები შეუპოვრობით უპასუხა ჯეგემ.

გოგონა ანგარიშმიუცემლად წამოდგა, ნელ-ნელა წამოდგენ დაწარჩენი ღლაპებიც, სულ ოცდახუთიოდე ბაღლი.

აღმზრდელები დაიბნენ, ამდენი ბავშვის ცემა დაეზარათ. ჩამწკრივებული პატარები ოდნავ შეშინებულნი იყვნენ, მაგრამ ჯეგეს სიკერპე გადამდები აღმოჩნდა. ფეხზე მდგომებმა მოისმინეს მთავარი აღმზრდელის, ქალბატონი დოდოს, მორიგი ლექცია.

– გახსოვდეთ, პატარებო, მაგოგის მომავალ მოქალაქეებო, თქვენი მშობლები აწყობდნენ დივერსიებსა და პროვოკაციებს, ჰარმონიული თანაცხოვრება აუცილებელია ქვეყნის წინსვლისათვის, უნდა ავერიდოთ ჩიხურ სიტუაციებს და საბოლოოდ მივალწიოთ შეთანხმებულ თანაარსებობას, მიუხედავად თქვენი წარმომავლობისა, თუ ქვეყანა მაგოგის ძირგამომთხრელებად არ გაიზრდებით, შესძლებთ ამ ქვეყანაში წარმატებულებიც იყოთ და ბედნიერებაც. შედეგად თქვენ ყველანი მაგოგის საამაყო შვილებად უნდა გაიზარდოთ, და არასოდეს შეუდგეთ თქვენი მშობლების მსგავსი საქმიანობის გაგრძელებას და მათი აზრების გატარებას.

– ვერ გავიგე! – ჯიქურად თქვა ჯეგემ. ბავშვის შეუვალობამ და უდრეკმა სიჯიუტემ აღმზრდელს თავისი აზრის გაშლის სურვილი მალევე დაუკარგა.

ია ხალდანი იზოლატორის საავადმყოფოში სიკვდილს ებრძოდა, იმის გარდა, რომ მთელი სხეული დასახიჩრებული ჰქონდა, საჭმელზე უარი განაცხადა და დამუნჯდა.

ამასობაში კი ჯეგე უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში არა-ადამიანურ პირობებში, სიცვიესა და შიშში, უძილო ღამეებში ლოცვით ცდილობდა გადაელახა და განედევნა ხილვები და მოლანდებები, რომელიც დაენყო, კომმარული ზმანებები, სახენაშლილი ადამიანები, მიცვალებულები, მკვლელობები. „მამაო ჩვენოს“ ბუტბუტებდა ბიჭუნა გაუჩერებლად, თუმცა საზარელ კადრებს ვერ იშორებდა თავიდან, რომლებიც ძილის წინ მოსვენებას არ აძლევდნენ.

ერთი კვირა მიილია. ვარლამ არავიძე ადგილს ველარ პოულლობდა. იას ნახვა უნადა. რასაც გადაწყვეტდა, რაც უნდა დაესახა მიზნად, მუდამ გაჰქონდა თავისი, ვინ გაბედავდა მის სურვილს წინ აღდგომოდა, ვარლამი სანადელს ყოველთვის აღწევდა. და ეს ია ხალდანი რაღა იყო? სიყვარული ენვია ვითომ? თან ქეშმარიტი? წრიალებდა კაცი, რომელსაც მაგოგის ქვეყანაში ყველაფრის უფლება ჰქონდა და ხელთ ეპყრა უსაზღვრო ძალაუფლება. საკუთარ თავთან ბრძოლას ველარ გაუძლო ვარლამმა, თავს ვერაფრით სძლია, ან რატომ უნდა აეკრძალა საკუთარი თავისათვის რაიმე და ბოლოს, როგორც იქნა, დოქსოპულო იხმო კაბინეტში.

- დოქსოპულო, ია ხალდანი უნდა ვინახულო.

- არის, უფროსო! - კი თქვა დოქსოპულოვმა, მაგრამ ვაი შენს დოქსოპულოს, ნირი წაუხდა, - რას მიბრძანებთ, უპირველესო? - იკითხა მაინც.

- ია ხალდანი როგორმე ამ ქვეყანაზე მომიბრუნეთ და შინ თავისი ჯეგეიანად დააბრუნეთ, მერე დრო გავა და სახლში ვეახლები, მაგრამ ახლავე მინდა, რომ იზოლატორის საავადმყოფოში ვნახო.

- როგორც მიბრძანებთ, გენერალურო! - წაიბუტბუტა დამჭირველმა, მის ვინრო შუბლში იმედგაცრუებისა და ნალველის წვრილი წყვეტილი ზოლები გადაეხლართნენ ერთმანეთს. „უპირველესს სიბრალული შეჰპარვია თურმე“.

„რა აუცილებელია ახლა მაგ ქალის დანდობა, განა ქალები ცოტა ახვევია ვარლამ არავიძეს?“ მოსაწყობი იყო ახლა ვარლამისა და იას შეხვედრა, თუმცა იზოლატორის საავადმყოფოში ამის მოხერხება საკმაოდ იოლი იყო, არც ვისიმე დაპატიმრება და

არც გადასახლება არ იყო ამჯერად გზის გასანმენდად საჭირო. უბრალოდ გულდასაწყვეტია, ასეთ შეუვალ ადამიანს, როგორც ვარლამ არავიძეა, გაუგებარი სისუსტე რომ შეუდგა წყალივით, ამან დაანალვლიანა დოქსოპულოვი ფრიად.

ამ ქვეყნიერებისაგან გამოთიშული ია, თეთრ პერანგში, გდია იზოლატორის საავადმყოფოს ერთ-ერთ სანოლზე, ჩასძახიან ექიმები რალაც გაუგებარ სიტყვებს, ვერ ესმის მათი.

ვარლამისათვის ოდესლაც ყველაზე სასურველი ქალი ამჯერად სრულიად უსასოო ნახა უპირველესმა. შეიძრა არავიძემი ურჩხული, შეძრწუნდა კაცი, მას ხომ უყვარდა ია.

- ია, - დანვდა ვარლამი ქალის თლილ თითებს და თავის ბანჯგვლიან ხელში მოაქცია, - ძვირფასო, გევედრები, არ მოკვდე.

იამ როგორც კი დაინახა თავისი ქმრის მკვლეელი, უმაღ გამოფხიზლდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თუმცა თვალეში სიბნელე ედგა, მაინც მოეგო გონს, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. ვარლამმა შეატყო, ჩემი ხმა ესმისო და ქადაგად დავარდა.

- ია, საყვარელო, არაფერს მოგაკლებ, შვილსაც დაგიბრუნებ, კარგადაც გაცხოვრებ შენც და შენს ჯეგესაც.

თვალეზაშავეებული ია, მხეცივით პირგამეხებული, ჭერს მიშტერებოდა, ამ ადამიანისადმი ღვარძლი და სიძულვილი აძლევდა ძალას, გაეთრია სიცოცხლის კიდევ რამდენიმე წამი უდრეკად და სულში დაუტეველი ზიზლით.

- ია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, რომ იცოდე, რაები მოვიმოქმედე შენი გულისათვის. - ია იმდენად მიმზიდველი და მიუნვდომელია ვარლამისათვის, უჭირავს მისი თეთრი, თლილ-თითებიანი, ლამაზი ხელი თავის, ჯალათის, ხელში და აგრძელებს სიყვარულის ახსნას.

- მთელი შენი უბანი გადავასახლ-გავაციმბირე, რათა მე და შენ ბედნიერებისა და სიყვარულით ტკობის საშუალება მოგვცემოდა.

ვარლამის ბოლო სიტყვებმა იას ყურიდან ტვინში კი შეაღწიეს, მაგრამ ვერ აღიქვა რიგიანად, რა უთხრეს, თუმცა ვარლამის სიტყვებმა საბოლოოდ დააბრუნა ამქვეყნად.

- მე თუ არ გენადვლები, ჯეგე გყავს, იცოდე, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ხომ არ დატოვებ? - ელოდა ვარლამი პასუხს, თუმცა ნატანჯი და ლონემიხდელი ქალი სიტყვას არ ძრავდა.

- ჯეგესაც მოგგვრი და არც არაფერს მოგაკლებ, - განაგრძობდა ვარლამი.

შვილის სახელის გაგონებაზე ქალმა სხვა შინაგანი ძალა იგრძნო.

- სახლში როდის გადამიყვან და შვილს როდის დამიბრუნებ? - თვალეხი ჭერისათვის არც კი მოუცილებია, ისე კი უნდოდა დაებოლოვებინა „შე ჯალათო“, მაგრამ ვერ გაბედა, ჯერ ხომ სჭირდებოდა დედა შვილს.

- როგორც კი შეძლებ იზოლატორის საავადმყოფო დატოვო, გპირდები, გიპატრონებ, ია. - წარმოთქვა მგრძნობიარე ადამიანად ქცეულმა ვარლამმა.

- შვილი დამიბრუნე, სანამ ცოცხალი ვარ, - კბილებში გამოსცრა იამ.

ვარლამს არასოდეს ნდომებია ვისიმე სიყვარული, არადა, იას სიყვარულის გამო ბრძოლაც კი შეეძლო, ისიც კი აღარ ანალვლებდა, მასზე რას იტყოდნენ ან იფიქრებდნენ, უფრო სწორად კი ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა. ის ხომ უპირველესი იყო.

- მაშინ ხვალ გადამიყვანონ სახლში, - ამოთქვა იამ.

- როგორც იტყვი, - უპასუხა ვარლამმა. ასეთი ლამაზი ქალი არასოდეს ენახა თავის დღეში, სასონარკვეთილი, არამქვეყნიური, როგორც მარმარილოს ქანდაკება, მიუნდომელი, როგორც ქალღმერთი, არადა, სიკვდილ-სიცოცხლის პირას მყოფი. ისევე, როგორც მრავალი ადამიანის ბედი მაგოგის ქვეყანაში, იას სიცოცხლეს მასზე, ვარლამ არავიძეზე იყო დამოკიდებული, ის საკუთარი სატრფოს სიკვდილს ვერა და ვერ დაუშვებდა.

იას ჩაბნელებულ თვალებში სიცოცხლის ნაპერწკლად მხოლოდ ჯეგე ციალებდა. ვარლამ არავიძეს თავის დღეში მსგავსი შეწყნარების აქტი არასოდეს განუხორციელებია. თუმცა თავს ზევით მისთვისაც კი აღარ იყო ძალა.

ია დააბრუნეს თავის სახლში, ჯეგე გამოიყვანეს უპატრონო ბავშვთა სახლიდან და დაუბრუნეს დედას. ყოველგვარი ემოციისაგან დაცლილ იასათვის ეს იმდენად ბურუსით მოცული რეალობა იყო, რომ რიგიანად ვერც კი გაიაზრა.

ჯეგემ როგორც კი თავისი ნატანჯი დედის სილუეტი დაინახა, ჩაეკონა, ჩაეხუტა. ფერმკრთალმა დედამ იმავე კიბეების თავზე ჩაიკრა გულში შვილი, რომელზეც რამდენიმე დღისა თუ კვირის თუ საუკუნის წინათ დააშორეს საკუთარ ნაშიერს.

ია ოდნავ შეირხა, მიუხედავად იმისა, რომ მასში, როგორც ქალში, ჩაკლული იყო ყველაფერი, ჩახუტებაზე შვილის სიყვარული გამაცოცხლებელი ზარივით ანკრიალდა მის სულში. ნამიერი შვება და ნეტარება იგრძნო, შვილი ისევ გვერდით ჰყავდა.

ლიარდ ლუპდღვი

უკვე სამი წელიწადია, ია და მისი ვაჟი ჯეგე ხაფანგში გამომწყვდეულებივით, ამ უკაცრიელ უბანში მარტონი, თავისსავე სახლში ტყვეებად იქცნენ. იამ როგორც კი შეიტყო, მთელი უბანი შენი გულისათვის გადავასახლეო, იმ სატანჯველის გარდა, რაც ამ კაცმა მოუტანა ოჯახს, ახლა თურმე სხვათა ოჯახების დამლუპველიც გამხდარა ია, მისი მიზეზით გაუმწარებია ვარლამს ამდენი ოჯახი და ვინ იცის, იქნებ სანდროც იას გულისათვის მოუკლავს. საკუთარ სახლში ტყვედაც კი იქცა და შვილის გამო იძულებული იყო მიჯაჭვოდა ცხოვრებას. ია ხალდანი ველარ უძლებდა ყოფას, რომელშიც აფთარმა ჩააგდო. ვარლამ არავიძე რეგულარულად გზავნიდა მის სახლში დამჭირველებს, უგზავნიდა პროდუქტს, მუდამ კონტროლში ჰყავდა, როგორც ერთი რიგითი ტუსალი. დღეები დღეებს მიეწყო, კვირა კვირას მიჰყვებოდა, თვეს თვე ცვლიდა და წელიწადი წელიწადს, იასათვის საშველი არსაიდან არ ჩანდა. ია ხალდანს სიკვდილის გარდა არაფერი აღარ უნდოდა. დღითი დღე მაგოგის ქვეყნის უპირველესის მოლოდინში იღეოდა ქალი. უსასრულო მოლოდინში, არავის უბანში მესამე ზამთარიც დადგა. სიცვიეს მოჰყვა იას მდუმარე ერთი თვეც. ია საკუთარ განცდებში ჩაიკეტა და უკვე შვილს ველარ ხედავდა. ჯეგე ამჩნევდა დედის გაუცხოებას, გრძნობდა, რომ უბედურება შავი ფრინველივით მათ თავზე ტრიალებდა, მოიწევდა მათკენ, იმ ერთადერთი ადამიანისაკენ, დედისაკენ. ამ მტაცებელს შეეძლო კიდევ წაერთმია ჯეგესათვის დედა და დაეობლებინა ბიჭი. ყმანვილი ყველაფერს აკეთებდა, რათა დედამისისათვის რაიმე სიხარული მიენიჭებინა და რითიმე ესიამოვნებინა, ხან მისთვის საყვარელ მელოდიებს უკრავდა

პიანინოზე, ხანაც ალერსით ცდილობდა გამოეხსნა დედა ბნელი ფიქრებისაგან. ბიჭუნა როგორც ახერხებდა, ისე უვლიდა დედას, ზრუნავდა იმ ერთადერთზე, ვინც კი გააჩნდა. საჭმელსაც თვითონ უკეთებდა, როგორც შეეძლო. ფიჩხებსაც მოათრევდა არავის ტყიდან და ბოლო დღეები ღამეების თევაც დაიწყო, შუშაბანდში გაიყურებოდა და ელოდებოდა, დედამისი როდის მიიძინებდა. „თავს რაიმე უბედურება არ აუტეხოს დედაჩემმა“, – ფიქრობდა ჯეგე. ია დროდადრო გამოანათებდა ხოლმე მუდამ მოქუფრული და დადარდიანებული თვალებიდან სიყვარულის სხივებს შვილისადმი, დროდადრო გონზეც კი ველარ იყო. ბავშვის გული ბოლმას ველარ იტევდა, მამა მოუკლეს და დედას უჩაგრავდნენ.

ხვალ 28 დეკემბერი ღებოდა, ჯეგე და ია ერთ დღეს იყვნენ დაბადებულები. ია გაშტერებული, დაჭყეტილი თვალებით იწვა სანოლში, ჯეგე მალ-მალე შედიოდა დედის დასახედად.

ბიჭუნა თავის შუშაბანდში განმარტოვდა, დედისათვის შავტარიანი მჭრელი პატარა დანით სანახევროდ გამზადებული საჩუქრის ჩორკნა განაგრძო. ღამე ისე მიილია, ბავშვს არც უგრძნია დროის გასვლა. მამამის სანდროს უსწავლებია მისთვის ხეზე კვეთა თავის დროზე.

იჯდა ჯეგე მარტო და თლიდა სპილოსა და სპლიყვს, დედაშვილს, სპლიყვს თავისი პატარა ხორთუმი დედის ტანზე მიებჯინა, რომელიღაც წიგნიდან ნანახი სურათის მიხედვით თლიდა, პატარა გული ბოლმით ევსებოდა, რალაც უხილავი ართმევდა დედას.

– არა ვარ მე კაი ბიჭი, არ იცი შენ ეს წინასწარ, დე! – თლიდა და ბურღუნებდა, თან თვალები უწყლიანდებოდა.

ბავშვური გუმანით გრძნობდა, რომ თავს დატეხილ უბედურებასთან გასამკლავებლად უმწეო იყო, მაგრამ მზად იყო ებრძოლა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის, რასთან მოუწევდა შეჯახება, ოღონდ დედა დაეცვა და შეენარჩუნებინა როგორმე მისი სიცოცხლე.

თლის ბიჭუნა ხის ფიგურას და აგონდება ის დრო, რამოდენიმე წლის წინ, როდესაც მისი ოჯახი ჯერ კიდევ ბედნიერი იყო.

„– გახსოვდეს, ხეს ნაზად უნდა მოექცე, მთავარია მოთმინება, უხეშად ნუ გამოიყენებ იარაღს, თორემ ნაჩიქნი გამოვა და არა ის, რაც ჩაიფიქრე, – უთხრა ოდესღაც მამამისმა ჯეგეს.

– და ხეზე მუშაობა რისთვის მინდა? – ჰკითხა ბავშვმა.

– მე რაც ვიცი, გასწავლი და შენ როდის და როგორ გამოიყენებ, ეგ უკვე შენზეა, მაგას ცხოვრება გაჩვენებს, თუ არ გაინტერესებს, შევეშვათ, – ლმობიერად უთხრა სანდრომ.

– არა, მაინტერესებს, – მიუგო ბავშვმა.

– მაშინ გავაგრძელოთ, ნუ იძაბები, ჯეგე, მშვიდად და ნუ ჩქარობ, – რბილი ხავერდოვანი ხმით უხსნიდა მამა შვილს, – ეგრე არა, ჯეგე, თორემ თითებს მიათლი ზედ, ცოტა ნელა, ბიჭუნავ. – ღიმლიანი სახით ეუბნებოდა“.

ჯეგეს გონებაში ცოცხლდებოდა ბავშვობის მოგონებები. ხალდანებს სახლში ძველი პიანინო ჰქონდათ, დედა ხშირად ამეცადინებდა თავის ერთადერთ შვილს, გამოვიდოდა შუა ოთახში გულში ჩახუტებული ნოტებით, მიუჯდებოდა ინსტრუმენტს და მოიხმობდა ხოლმე ჯეგეს თავისთან.

„ია ხალდანმა ჩვეულებისამებრ დაისვა ვაჟი გვერდით, ნოტები გადაუშალა ბიჭუნას წინ. ჯეგეს თითქმის ნებისმიერი მელოდის აწყობა შეეძლო, აბსოლუტური სმენა ჰქონდა. მან უნაკლოდ შეასრულა დედის დავალება, უშეცდომოდ დაუკრა ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, იმდენად გაზუთხული ჰქონდა, რომ ნოტებში ჩახედვაც კი არ სჭირდებოდა უკვე. ია ხალდანი დედობრივი სიამაყით სავსე, გასხივოსნებული უყურებდა თავისი ბიჭუნას მორბენალ თითებს კლავისებზე, „ჩემი ლამაზი თათები ჩემი“, – ფიქრობდა ია.

ჯეგემ დაასრულა დაკვრა.

– მიშგუ ლადელ სი, – ჩაიკრა იამ ბავშვი გულში, მიეალერსა, – შენ ჩემი სიხარული ხარ, – თავზე გადაუსვა ხელი ბაღს.

როგორც კი პიანინოს ხმა მიწყდა, სანდრო გამოვიდა თავისი კაბინეტიდან.

– ჰა, ია, დამითმობ ჩემს ბიჭს თუ არა?

– შენი არ არის, მარტო ჩემია, – ამბობდა დედა თან გულში იხუტებდა. ბოკვერივით ეგლისებოდა ბიჭიც.

- კაი, ბატონო, როგორც იტყვი, - სიცილით უთხრა სანდრომ და შებრუნდა კაბინეტში.

ჯეგემ მამას თვალი გააყოლა, ცნობისნადილი კლავდა, რას აკეთებდა საათობით დაკეტილი კარის მიღმა, იმ ოთახში, სადაც დედაც კი ერიდებოდა შესვლას.

- რაო, უკვე მამიკოსთან გინდა? - იკითხა თვალეებით მოცინარმა დედამ. ჯეგეს ლოყები შეეფაკლა სირცხვილისაგან, - მიდი, მოუსვი აქედან, მამიკოს ბიჭი ყოფილხარ თურმე.

ბავშვმა როგორც კი დედისაგან ნებართვა იგრძნო და იგუმანა, რომ დედას არ სწყენია, შურდულივით გავარდა მამამისის კაბინეტისაკენ. ოთახის კარი დახურული იყო, დააკაკუნა, სახელურს ფრთხილად მოჰკიდა ხელი და ოდნავ შეაღო.

- მოდი, ჯეგე, მოდი.

სანდრო ხალდანის კაბინეტი გადაჭედილი იყო წიგნებით, მის სანერ მაგიდაზე გადაშლილი წიგნები ერთი მეორეზე შემოდებული, დასტა-დასტა ფურცლები, მელანი. სანდრო კარის ზღურბლიდან არც კი ჩანდა. წიგნებით დახვავებული მაგიდა, არეული იყო ირგვლივ ყველაფერი. ცნობისნადილით შეპყრობილი ბავშვი მამამისის სანერ მაგიდასთან აიტყუა.

- მა, რას აკეთებ? - იკითხა ვაჟმა.

- ვმუშაობ, ვეძებ რალაცას და მგონი ვიპოვე კიდეც.

- რა?!

- როგორ აგიხსნა, ჯეგე, რალაცას ვიკვლევ, იოლად რომ გაიგო, ასე გეტყვი, ღვთისმოშიში უნდა იყოს ადამიანი, ადამიანს ღმერთის კი ეშინია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, რა თქმა უნდა, ერთი რამ მინდა იცოდე, შვილო, ღმერთის გარდა ადამიანს მშველელი არ ჰყავს, ადამიანი ეჭვების ბუდეა, ვარკვევ, ვიკვლევ, რა არის ის მომაკვდინებელი ცოდვა, რის მერეც, სინანულის შემთხვევაშიც კი, უფალი არ პატიობს ადამიანს, ვთვლი, რომ მსგავსი რამის ჩადენა ადამიანის ძალებს აღემატება, ძველ ჩანანერებსა და წმინდა წერილებში ვეძიებ, ასეა თუ არა, საკუთარი კვლევის დასასაბუთებლად მჭირდება და ძალიან საინტერესო რამეს გადავანყდი, - სანდრომ ბავშვს შეხედა და როდესაც მის თვალეებში ინტერესი შეამჩნია, განაგრძო, - იყო ასეთი

ეპისკოპოსი თეოფილე, მოგვიანებით წმინდანადაც კი შეირაცხა, მართალია, იგი კათოლიკე იყო, მაგრამ ამას ჩემი კვლევისათვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს, თეოფილემ თავისი საეპისკოპოსო პოსტის შესანარჩუნებლად სული მიჰყიდა ეშმაკს, მერე კი მოინანია და შეწყალებულ იქნა ღვთისმშობლის მიერ.

– ანუ ღმერთი ადამიანს ყველაფერს აპატიებს?

– ასე მარტივად არ არის, შვილო, სინანული თუ ძალუძს ადამიანს, თუ მოინანიებს, აპატიებს ალბათ, – სანდრომ თემის შეცვლა ამჯობა, თუმცა ვერ მოახერხა, სიტყვა სხვა რამეზე გადაეტანა.

სანდრო ჩაფიქრდა, ბავშვისათვის უნდა ეთქვა თუ არა, რომ სინანულის შემთხვევაში ადამიანს შესაძლოა ყველაფერი შეენდოს, ბაღმა ჯერ რა იცის, სინანული რა არის. სანდრო წამოდგა თავისი მაგიდიდან, წიგნების თაროებში მოძებნა პატარა ლოცვანი, ჩაიმუხლა ბავშვთან.

– მომისმინე, ჯეგე, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, გახსოვდეს, მე თუ რამე შემემთხვევა, ამ ოჯახში კაცი შენლა დარჩები და იას შენ უნდა მიმიხედო.

– მამა! – წამოიძახა შეშინებულმა ბავშვმა.

– დაიმახსოვრე, რაც გითხარი, ახლა კი ყურადღებით მომისმინე, – სანდრომ ლოცვანი გადაშალა, – ჩვენს ქვეყანაში ლოცვას კრძალავენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთი არ უნდა ვადიდოთ. ყოველ ღამე, ძილის წინ, „მამაო ჩვენო“ უნდა ჩაიკითხო. დავალებას გაძღვე, ზეპირად ისწავლე ეს ლოცვა და ყოველ ღამე ძილის წინ თქვი ხოლმე, – მერე სანდრომ მკაცრი ტონი შეარბილა, – დამიჯერე, შვილო, ვიცი, რასაც გეუბნები.

– ვისწავლი, – ამ სიტყვით გამოართვა ჯეგემ მამას პატარა ლოცვანი, – თან დღესვე! – დააყოლა მერე მტკიცედ.

ჯეგე მამის კაბინეტიდან ჩაფიქრებული გამოვიდა.

– მორჩით უკვე კაცურ საუბრებს? – იკითხა დედამ.

– კი, მაგრამ რალაც სამეცადინო მომცა!

იას სიცილი აუვარდა როგორც კი შვილის პატარა თათუნებში ლოცვანს მოჰკრა თვალი. ქალის სიცილის ხმა სუფთა ზარის წკრიალივით გაისმა ხალდანების სახლში. სულის მოთქმის მერე

იამ შვილს უთხრა, – „მამაო ჩვენოს“ რომ ისწავლი, მერე სკოლის გაკვეთილებიც სასწავლი გაქვს, იცოდე, – გაოგნებულმა ჯეგემ დედამისს ახედა, – ასე სალამოსკენ, შევთანხმდით?

– შევთანხმდით! – უპასუხა დაბნეულმა ბიჭუნამ და თავის შუშაბანდში მიიყურსა“.

თლის ჯეგე ფიგურას, რომელიც საცაა უკვე მის ჩანაფიქრს დაემსგავსება, ნამდვილ სპილოებს ჰგვანან თითქმის. ბიჭუნას ბედნიერი ნლები აგონდება.

„სულ ერთი თითის ტოლა ჯეგე ზოოპარკში მშობლებთან ერთად სეირნობისას ფარშევანგების გალიასთან შეჩერდა. ელოდა, ფარშევანგი კუდს როდის გაშლიდა. ახლოს მიინია ფრინველების ვოლიერთან და მერე გაკვირვებულმა მშობლებს გახედა.

– დედა, რატომ აქვს ფარშევანგს კუდი მოგლეჯილი?

იამ და სანდრომ ფრინველი შეათვალიერეს, საცოდავ სამეფო ფრინველს მართლაც არ ჰქონდა კუდი.

– ადამიანებმა მოაგლიჯეს ალბათ, – თქვა სანდრომ სათვალის სწორებით.

– ასეთ ლამაზ ფრინველს როგორ შეიძლება რამე დაუშავო? – ნანყენი ხმით იკითხა ჯეგემ.

– დამიჯერე, ჯეგე, ცხოვრებაში გაცილებით უფრო დიდი სისასტიკეც არსებობს, და ბევრი რამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი ფარშევანგი, – უთხრა იამ შვილს და ბავშვი სხვა ვოლიერისაკენ წაიყვანა“.

ზის მიღილი ჯეგე თავის შუშაბანდში და მიყოლებით ღამეების თევისაგან ამოღამებია ყმანვილს თვალები. ხელები დაუბუჟდა, მაინც ჯიუტად განაგრძობს ფიგურის თლასა და დამუშავებას.

თითები სიცივისაგან გაეთოშა, მტევნები ცივი ოფლით დასველებია, თლის დედისთვის დაბადების დღის საჩუქარს.

„ყველაფერი კარგად იქნება“, – აგულიანებს საკუთარ თავს ჯეგე. გამთენიისას ბიჭუნამ დედას ისევ დახედა საძინებელში. „როგორც იქნა, ჩასძინებია“, – გაიფიქრა გულდამშვიდებულმა ბიჭმა. ჩუსტები გაიხადა და ტანსაცმლის ამარავე ფრთხილად შეძვრა სანოლში, არ გავალვიძოო და ოდნავ მილულა თვალები.

„დილით დედის გაღვიძებამდე უნდა ავდგე“, – გაივლო გუნებაში და ძილს მიეცა. საცაა გარიჟრაჟი დადგებოდა, მაგრამ თუნდაც ერთი საათი რომ ჩასძინებოდა, ძალებს მოიკრებდა მეორე დღისათვის, ასე გრძელდებოდა კვირები, თეთრად ათენებდა ღამეებს გარდაუვალი უბედურების მოლოდინში.

ცივი და ჩუმი დილა გათენდა. ჯეგეს შიშისაგან სულ მთლად სველს გამოეღვიძა, სიზმრიდან აჰყვა, რომ რაღაც ვერ მოასწრო, გული გამალებით უცემდა. „ვაიმე, დედა“ – ერთადერთი, რაც გაიაზრა. ია ხალდანის ისევე სანოლში იყო და ერთი შეხედვით მშვიდად ეძინა. ჯეგემ შვებით ამოისუნთქა, გული, რომელიც ბაგაბუგით უცემდა, დაიმშვიდა. გამოძვრა სანოლიდან, ტანთ გამოიცვალა, ვინაიდან სამოსი დასველებოდა, თოვლიც მოსულიყო, გადათეთრებულა არავის უბანი.

დედის გაღვიძებამდე ცეცხლს დავანთებო, იფიქრა ბიჭმა, ძალიან ციოდა სახლში. ტანსაცმელი იქვე, სანოლზე დატოვა, გამოთლილი ხის ფიგურა, სპილო და სპლიყვი გამოსაჩენ ადგილზე, პიანინოს თავზე შემოდო და ეზოში შეშის შემოსატანად გავიდა.

ჯეგემ თოვლი სახლის კართან ფეხების დაბაკუნებით ჩამოიბერტყა, ხუთიოდე შეშის ნაჭერი ეჭირა ხელში, კარის ზღურბლთან შედგა, დედამისი შუა ოთახში დგას დიდი სარკის წინ და ხელში ჯეგეს ბასრი შავტარიანი დანა უკავია, ჯეგეს შარვლის ჯიბეში დარჩენოდა, ტანთ როდესაც გამოიცვალა, მაშინ.

ჯეგემ დაყვირება ვერც კი მოასწრო, მხოლოდ გაივლო ფიქრად „დედა, არა!“ და თვალწინ დაუდგა სცენა ორიოდე წუთით ადრე, ვიდრე მოხდებოდა ის სინამდვილეში, საზარელი ნამები, თუ როგორ გამოიღადრა დედამისმა ყელი სარკის წინ. ჯეგე გაქვავდა, ვერ დაიძრა ადგილიდან. ია უყურებს თავის ბროლის ყელს, გვერდულად სარკეში, თითქოს თვალის ზომავს, სასიკვდილი ჭრილობა სად უნდა მიიყენოს. ორიოდე წუთიც და იამ ზუსტად ისე მოიკლა თავი, როგორც ცხადად იხილა ჯეგემ. ბიჭი გახევებული დგას კარის ზღურბლთან, ია ხალდანის მთელი ტანით, მონყვეტით, უსულოდ ეცემა იატაკზე. ჯეგეს ხელები ჩამოუცვივდა, შეშა დაიყარა. ზამთარი მასში მთელი არსებით ჩადგა, სიცვიემ სულამდე შეაღწია, თავისი მე-15 დაბადების დღე ამგვარი მოუვლინა განგებამ.

ჯეგე დედამისს მივარდა. იას ძაძებში გახვეული სხეული წითელი სისხლით იღებებოდა, ხის ფიცრულ იატაკზე სისხლის გუბე დადგა, დედამისთან დაჩოქილ ჯეგეს ხელებში დედის თავი ეკავა, სისხლი თქრიალით სდიოდა ყელიდან. ბიჭუნას ხელები საკუთარი დედის სისხლში გასვროდა. ჯეგე ღრიალებდა, ერთადერთი სიტყვა „ღერმევერთ“ ამოყვა მის განწირულ მოთქმას. არავის დაცარიელებულ უბანში მისი ხმა არავის ესმოდა.

ბიჭის ღრიალი ცას სწვდებოდა, დედა ჩააკვდა ხელში, ხომ ნახა წინასწარ, მაინც ვერ შეძლო მისი გადარჩენა. ქალმა ხროტინში განუტყევა სული. მისი დაჩრიავებული სხეული თანდათან ცივდებოდა.

ია ხალდანის სხეული გაიყინა, დამძიმდა. ჯეგე ცრემლებისაგან დაიცალა.

„რა ვქნა ახლა“, – ფიქრობდა დედის სისხლში ამოგანგლული სვანი. საშველად გაიქცეს სადმე, სასაცილოა, თანაც ცხედარს არაფრით დაანებებდა ამ აფთორებს საჯიჯგნად.

„დავმარხავ დედას და წავალ აქედან“.

კარის ზღურბლთან დაყრილი შეშის ასაკრეფად გაემართა ჯეგე და ცივისსხლიანივით დაინყო აზროვნება. დაანთო ცეცხლი, გაათბო წყალი, დაბანა დედა, ჩააცვა ახალი სამოსი და გამოაწყო. იატაკზე დააგო სუფთა ზენარი და დედის ცხედარი ზედ დაასვენა. გავიდა მერე გარეთ. ეზოში ერთი ატმის ხე ედგათ. იას ატამი უყვარდა, ყოველთვის შეჰხაროდა მის მოვარდისფრო ყვავილებით დაპენტილ ტოტებს გაზაფხულზე, მაშინ, როცა მშობლები ცოცხლები ჰყავდა, იმ დროს, როდესაც ბედნიერები იყვნენ.

მიადგა ჯეგე ატმის ძირს. „ამ ხის ძირში დავკრძალავ“, – გაივლო გუნებაში. თოვლი ნიჩბით გადანმინდა, მერე მოიტანა ბარი და შეუდგა თხრას. შუადღე იყო უკვე და ამიტომ მიწა არ იყო გაყინული, მზე დაჰნათოდა ობოლ ჯეგეს თავზე.

„ღრმა ორმო უნდა ამოვთხარო, აფთარმა რომ არ ამოაგდოს დედაჩემის ცხედარი“, – ფიქრობდა და მიწას ჯიჯგნიდა. ბიჭუნას სამოსს დედის სისხლი შეაშრა მზის სხივებზე. ციოდა. თხრიდა შეუსვენებლად მიწას, ოფლი ჩამოსდიოდა ღვარად ყმანვილს, მაგრამ შურისმაძიებლის თვალეებში ნაპერწყლები კვესავდნენ. მის

თაფლისფერ თვალეში ცრემლის ადგილი აღარ იყო. თხრიდა ორმოს, რათა ცხედარი მიეზარებინა მინისათვის. „მერე თოვლს მივაყრი, რომ არ ჩანდეს, დედა სად დაეკრძალე“, არადა თოვლი ყველგან გამდნარიყო თითქმის. „მოვიფიქრებ რამეს“, – ფიქრობდა ჯეგე და თხრიდა, თხრიდა და ფიქრობდა. „ლიარდ ლუმდღვე სი, ჯეგე ხალდანი, ლიარდ ლუმდღვე სი“, – ბურტყუნებს ბიჭი და თხრის დედისათვის სამარეს. არავის უბანში ჯეგეს მშველელი არავინ იყო.

დაისი დგება არავის უბანში. „მეტრანახევარზე მეტი ნამდვილად იქნება, ასე ვერა, აფთარი ვერ ამომიგდებს დედას“, – ფიქრობს ჯეგე. ცუდად არის, გულისრევამდეც კია მისული, თუმცა დაღლილობას ვერ გრძნობს. სასონარკვეთის მწვერვალზეა და ჭკუიდან შეცდენის ზღვარზეც შიშითა და უმწეობით გამწვანებული ბიჭი, დედის სისხლით გასვრილ სამოსა და სხეულს შემშრალი ოფლის წვეთებიც შეერია. „მთავარია ახლა დამჭირველები არ მომადგნენ“. მაგრამ არა, მათ პროდუქტი მკაცრად, კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით მოჰქონდათ. „დღეს კვირაა და არა ოთხშაბათი, დღეს არ არიან აფთრები მომსვლელები“. ჯეგემ სამარის ახლოს მინაში ჩაასო ბარი და ატმის ხის ტანს ეყრდნობა სულის მოსათქმელად. ორმო მზად არის, საღამო დამდგარა უკვე. მზე არავის მთების მიღმა მიიმალა, ცა შევარდისფრებულა, ჯერ კიდევ აღწევენ მზის სხივები მოჭირხლული ხეებით დაფარული გორებიდან. „უნდა ვიჩქარო, თორემ ღამე ნამომადგება თავზე“. სვანი ყოველგვარი ემოციებისაგან დაცლილი და ზეადამიანური ძალით აღვსილი შედის ოთახში, სადაც დედის ცხედარი დაუსვენებია თეთრ ქათქათა ზენარზე. ბიჭუნამ დაიწყო მამამისის ბიბლიოთეკაში გადამალული ლოცვანის ძებნა. მოჩხრიკა სადღაც სანთელიც. „წესი წესია“, ფიქრობდა და თან ეძებდა ასანთს.

დაჩოქილი ჯეგე სანთელს ამაგრებს ფიცრულ იატაკზე, ფურცლავს გვერდს გვერდის მიყოლებით და თვალის ცეცებით ეძებს „ლოცვა გარდაცვალებულთას“.

ჯეგემ ლოცვის კითხვა დაიწყო.

„მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა, მონათა შენთა, მშობელთა ჩემთა, სანდროსი და იასი და ყოველი მონათესა-

ვეთა ჩემთა, და სასოებით მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა, მამათა, ძმათა და დათა, მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი, მიეც მათ საუკუნო ხსენება“.

ჯეგე ემხოზა იატაკზე, შუბლით ეხება ფიცარს, მიცვალებული დედის თავის მოპირდაპირე მხარეს.

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, ლოცვითა ყოვლად ნმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ყოველთა ნმიდათა, შეგვინყალებს, ამინ“.

ბიჭუნა ასრულებს ლოცვების ბუტბუტს. „უფალო შეგვინყალებს“ იმეორებს მორჩილად.

სანთელი იღვენთება იატაკზე, ჯეგე დედამისს ეფერება თავზე, კოცნის მას თმებსა და შუბლზე. იცის, უნდა დაემშვიდობოს, მაგრამ ვერ ელევა. სანთელი იწვის, ჯეგე გახევებული, მუხლზე დავარდნილი, გულგახეთქილი თავს დატეხილი უბედურებით, ბავშვის ცრემლიან თვალებში შურისძიების ნაპერწკლები ინთებიან დროდადრო.

– უფალო, მე უსამართლობას ვებრძვი ანი, შურისძიების გზას ვირჩევ, მინდა უბრალოდ, რომ სამაგიერო მივუზღო აფთრებს და მინდა, რომ სამართლიანობა აღსდგეს, მაგრამ გვედრები... – ბიჭუნას თვალებს ცრემლები მოანყდნენ ისევ, იღვენთება სანთელი, ცრემლად იღვრება ბავშვი, – ღმერთო, გემუდარები, ურჩხულად ნუ გადამაქცევ.

სანთლის ალი და ბავშვის ალალი და ნრფელი ცრემლები ადის არავის უბნიდან ღმერთთან. ჯეგემ დედაც გამოიტირა და საკუთარი თავიც. პატარა ვაჟკაცმა დედა ზენარში გადაახვია და სცადა ხელში აეტატებინა. მძიმეა ცხედარი, დაღლილია ჯეგე. სანთელი ჩაქრა. დედის უსულო სხეულთან ძალ-ღონეს იკრებს. „ღმერთო, მომეცი ძალა“. ერთი ხელი დედის კისრის ქვეშ შეაცურა, მეორე ცხედრის მუხლს ქვემოთ და ნელა წამოდგა. ბიჭუნას მუხლები უკანკალებს, მძიმეა და ყინულივით ცივი ტვირთი, რომელსაც ეზიდება, მიჰყავს ჯეგეს მიცვალებული დედა ამოთხრილი სამარისაკენ.

რის ვაივავლახით გამოიყვანა ია ხალდანი ვაჟმა მშობლიური სახლიდან, მიიყვანა ატმის ძირამდე, შედგა წამით, ხელები ღონე-

მიხდელი ჰქონდა და დაუძღურებისაგან უკანკალებდა კიდეც, მაინც ვერ უშვებდა დედას ხელს.

„ლიარდ ლუშდლე სი ჯეგე ხალდანი, ლიარდუშდლევი სი“, – ამ სიტყვების თქმით ჩაუშვა შვილმა დედა სამარეში.

ჯეგემ ბარით მიწის მიყრა დაიწყო, მარხავდა დედას და იმარხებოდა თვითონ. ცა მტრედისფრად იღებებოდა უკვე, სიცვივსა და ყინვას ვერ გრძნობდა ბიჭი. როგორც იქნა, ორმო ამოივსო. ბნელდებოდა. ჯეგემ დედის საფლავთან მუხლი მოიყარა.

– მთელს ჩემს ცხოვრებას იმაში გავლევ, რომ შენ გამო შური ვიძიო, დედა! ვფიცავ, თითოეულ ადამიანს, ვინც ამ მდგომარეობამდე მიგიყვანა, ვანანებინებ, რომ მოველინენ ამ ქვეყანაზე, სიკვდილს აფთარს სანატრელს გავუხდი! – თქვა ჩამოღამებულ არავის უბანში ჯეგემ. მისი ხმა არავის ესმოდა, ირგვლივ არავინ იყო.

გათოშილი ჯეგე შინ, მშობლების სახლში შევიდა, ღუმელში შეაგდო შეშა, ააგიზგიზა ცეცხლი. გაყინულ ხელებს ითბობდა, ბიჭუნას საკუთარი სხეულისაგან გვამისა და სისხლის სუნი ეცა და სულით ხორცამდე შეიძრა.

„ხვალ გრძელი დღე მექნება, უნდა მოვემზადო“.

დაადგა ვედროთი წყალი ღუმელზე გასათბობად. მოგვიანებით იბანავა, ტანთ გამოიცვალა. მერე კი სახლში დაიწყო ძებნა, რა დასჭირდებოდა პირველ რიგში, რა წაეღო თან, ჩაიცვა თბილად, გადანყვეტილი ჰქონდა, ტრამალეთის ქვეყნისაკენ წასულიყო, მაგოგის ერთ-ერთ შორეულ პროვინციაში. „გამთენიისას გავალ, მატარებელს გავყვები“. მონახა თავისი ზურგჩანთა და მზადებას შეუდგა. მოჩხრიკა აფთრების მიერ გამოგზავნილი პროდუქტების ჩანთა, მოიძია მორჩენილი 2 პური და ჩაიდო ზურგჩანთაში. პატარა, მჭრელი, შავტარიანი დანა ჯიბეში ჩაიგდო. მიადგა მამამისის ბიბლიოთეკას. იქ, წიგნებში, გადამალული ფული ეგულებოდა, იპოვა ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ“. გადაშალა, ყდასა და პირველ ფურცელს შორის იყო ჩადებული თანხა. „ეს ფული კაი ხანს გამატანინებს თავს“, – გაიფიქრა ჯეგემ. დახურა წიგნი და ჩაჩურთა ზურგჩანთაში.

ხალდანების ეზოს წყარო კვეთდა. გავიდა ეზოში, აავსო მომწვანო მათარა პირთამდე წყლით, შემობრუნდა მერე შინ და მათარაც ჩააგდო სამგზავრო ჩანთაში.

ჯეგე მიუჯდა გაციებულ ღუმელს, შეუნთო ცეცხლს შეშა, ხმელ შეშას ნაკვერჩხლებიდან ტკაცატკუცით მოედო ალი. ხელები ღუმელს მიაფიცხა, თან ფიქრობდა: „წყალი, ფული, პური მაქვს, მთავარია აქედან გავიქცე და არავის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში აღარ ამოვეყო თავი“.

მზე ამოინვერა თუ არა, მოისხა ჯეგემ თავისი თბილი შავი ქურქი, ჩაიცვა ყავისფერი ბათინკები, მოიგდო ზურგჩანთა მხრებზე, პიანინოს თავზე შემოდებული ხის ფიგურა – სპილო და სპლიყვი აიღო, გამოვიდა ეზოში და დედის საჩუქარი ატმის ძირას, საფლავზე დადო. ზურგი აქცია მშობლიურ სახლს, გაიარა ეზო, გადაიარა წყარო, გამოიხურა ჭიშკარი და გაუყვა გზას.

მიდის ჯეგე არავის უბანში, სადაც კაცის ჭაჭანება არ არის. დაადო თავი მაგოგის ქვეყნის არავის მთავარი რკინიგზის სადგურისკენ. „ტრამალეთის პროვინცია აქედან შორს არის, იქ ვერ მომაგნებენ, არავის უპატრონო ბავშვთა სახლში არ მოვხვდები ცოცხალი თავით, ფულიც მაქვს და თავსაც გავიტან, როცა გავიზრდები და აფთარს გადავაგინყდები საერთოდ, სწორედ მაშინ დავბრუნდები მაგოგის ქვეყანაში და აფთარს გავანადგურებ თავისი ჯიშ-ჯილაგიანად, იმ დროისათვის ვარლამ არავიძე მკვდარიც რომ იყოს, ამოვთხრი“, – ფიქრობდა ჯეგე.

სუსხია არავის უბანში, ცა ნაცრისფერია, სქელი ბურუსია დილიდან, თოვს კიდევ. „თუ დიდხანს ითოვებს, კარგიც კია, დედაჩემი სად დავკრძაღე, ვერ იპოვიან აფთრები“. ბარდნის, ჯეგეს შავი თმის ქოჩორი შეუთეთრდა თოვლისაგან. ბარდნის, ცივა. ბიჭუნას დედის გახსენებაზე, თავშეკავეების მცდელობის მიუხედავად, მსხვილი ცრემლები მაინც მოწყდნენ თვალებს. მუქ ღრუბლებში, ღია ნაცრისფერ ქულებს შორის ერთი პანანა ადგილიდან მზემ სხივების გამოსროლა მოახერხა, ცივი სხივები ჩამოეშვნენ ჯეგემდე. ბიჭუნას ერთი ცრემლი ლოყაზე მიეყინა. მიიწევს წინ თმადათოვლილი ყმანვილი თოვლში და ლოყაზე ცრემლი უბრწყინავს.

გზა ტრამალეთისკენ

მაგოგის ქვეყნის არავის ცენტრალური რკინიგზის სადგურზე, როგორც ყოველთვის, აუარება ხალხი ირევა. ბზიკების სკასაც კი ნააგავს შორიდან რომ შეხედო. იქვეა ბაზარიც, ძირს დამპალი საკვები პროდუქტები აზელილა თოვლ-ჭყაპსა და ტალახში. აქვე ოქროც შეგიძლიათ შეიძინოთ. „ხაჭაპური, ცხელი ხაჭაპური!“ გაჰკივის ქალი და მოაქანებს თეთრი, გაზლიქნული ცელოფნით გადაფარებულ ლანგარს, რომელშიც ხრაშუნა, უყველო, მარილიან-მაკარონ გარეული, ზეთში გვარიანად ნაცურავები, ფენოვანი ხაჭაპურები ელოდება მყიდველს. თოვს მაგოგის ქვეყანაში, გადაუღებლად ბარდნის ცა ნაირნაირი ფორმის ფიფქებს. ჯეგე თვალებს აცეცებს აქეთ-იქით, ათვალიერებს დამჭირველები ხომ არ არიან სადმე. „მთავარია აქაურობას გავეცალო“, – ფიქრობს და ტურტლიანი ბეტონის კიბეების ავლით, მიინევს ბილეთების ჯიხურისაკენ. ჩაჟანგულ რკინას ალაგ-ალაგ მომწვანო საღებავის ფერიც კი შერჩენია, ეს ჯიხური, წარწერით „ტრამალეთი“, სხვა ჯიხურებისაგან განცალკევებით დგას. ჯეგემ შეათვალიერა არემარე, საეჭვო თითქოს არაინ ჩანს. ხალდანი მიადგა ჯიხურს, თვალი მოჰკრა ბილეთების გამყიდველ დედაკაცს, მას ხასხასა ნითელი პომადა ნაედლიბნა ტურჩებზე, თმები ჩალისფრად შეელედა, ჯიხურში „კერასინკა“ ანთია, ჯიხურის პატარა თალოვანი ფანჯრიდან ჯეგეს ნავთის მწვავე სუნი ეცა ცხვირ-პირში.

– ერთი ბილეთი ტრამალეთამდე, ქალბატონო, – წარმოთქვა ბიჭუნამ, სიბოხემეპარული, ოდნავ ხრინწიანი ხმით. გარეგნობის მიხედვით 17 წელს მაინც თუ მისცემდით და არა ნაკლებს.

დედაკაცმა ბიჭუნას გაუღიმა, ბილეთი მოჭრა, კუპის ნომერი მიაწერა, ბეჭედი დაარტყა და ქვითარი ამოარტყა.

- 10 მანეთი და 95 კაპიკი, - გაიღრიჭა ქალი. მარცხენა კბილი აკლდა და ეს მის ნაყალბევ ღიმილს საერთოდ სპობდა.

ჯეგემ ფული გადაიხადა, ხურდაც ჩაითვალა. „მგონი მეშველა, შეუმჩნეველად ვახერხებ გასვლას“, - გაივლო გულში და გაემართა მატარებლისაკენ.

- მატარებელი ტრამაღეთისაკენ გადის მეორე ლიანდაგიდან! ყურადღება, ყურადღება! მატარებელი ტრამაღეთისაკენ გადის მეორე ლიანდაგიდან! - გაჰკივის მეგაფონიდან დედაკაცის მჭახე ხმა.

ჯეგე მიადგა მატარებელს, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას დაძაბულია, სადმე დამჭირველი არ შემხვდესო, ქურდულად მიიპარება. ავიდა მატარებელში პატარა ყანგიანი რკინის საფეხურებით, მოიძია თავისი კუპე, „უჰ, რა კაია, მარტო ვარ!“ - გაიფიქრა და მშვიდად მოკალათდა ნარზე, მოიხსნა ზურგჩანთა და გვერდით დადო.

მალევე გაიღო რკინის კარი, დაფრთხა ჯეგე, გამცილებელი ქალი შემოვიდა თეთრეულის შეკვრით და ჯეგეს მოპირდაპირე სანოლზე, მეორე სართულზე შემოაწყო.

- მალე გავა მატარებელი? - იკითხა მოუთმენლობით შეპყრობილმა სვანმა.

- ჯერ არა, ასე ნახევარ საათში. - მიიღო პასუხი მოღიშარი ქალისაგან.

ცქმუტავს ჯეგე, „როდის დაიძვრება ეს დედააფეთქებული, - ფიქრობს თავისთვის, - დამჭირველებმა არ მიპოვონ, არ დამიჭირონ“, - ადგილს ვერ პოულობს ხალდან.

რკინის კარი გვერდულად, ხრჭიალით გაიხსნა ისევ, შემოვიდა ორი ახმახი კაცი. ერთს ახურავს ნაცრისფერი კუბოკრული კეპი, აცვია ხაკისფერი ხვერდის შარვალი, ხაკისფერივე ფილეტი, რომელიც მრგვალყელიან, მოშვებულ ბაც ნაცრისფერ ზედატანზე ზემოდან აქვს მოცმული. ზურგზე ცალი ხელით მოუგდია რუხი ქურთუკი. მეორე ტიპს აცვია შავი ჯინსის შარვალი და მუქი მწვანე, ჭაობისფერი პერანგი, ზედ შავი ხვერდის გაცრეცილი ფილეტი, ყელზე თხელი ნაჭრის შარფი აქვს შემოხვეული, ილიაში შავი ქურქი აქვს ამოჩრილი. ორივე მის მოპირდაპირედ

ჩამოსხდა, ერთმანეთს გადახედეს, უსიტყვოდ დაილაპარაკეს თითქოს.

– რა გქვია, ბიჭი? – ჰკითხა კეპიანმა, ბექამ.

ჯეგე უნდობლად უყურებს ორივეს, მართალია, სახის გამომეტყველების მიხედვით აფთრებს არ ჰგვანან, მაგრამ მაინც რა იცი, ვინ ვინ არის, დუმს ჯეგე. უცნობ კაცებს კი ტურჩების კიდეებში ელიმებათ.

– მე ბექა მქვია, ეს ლუკაა, – ცერით ანიშნებს ბიჭუნას ჯერ საკუთარ თავზე და მერე მეგობარზე, – და შენ რა გქვია, ვაჟკაც, ა?

– ჯეგე ხალდანი ვარ მე, – დაუფიქრებლად მოსხლტდა ბაგეებს სიტყვები, საკუთარი გვარიც კი უთხრა მოსულთ.

– ჯეგე, იგივე გიორგი ანუ, – გადაულაპარაკა ბექამ ჯეგეს.

– ბატონო? – ვერ გაარჩია ბავშვმა უფროსების ნაუბარი.

– არა, არაფერი, – მიიღო ლუკას პასუხი.

რახუნითა და ხრჭილით გაიღო რკინის კარი, ახალგაზრდა ყმანვილი გამოჩნდა კარში, ასაკით ნორჩი, თუმცა საკმაოდ მკაცრი გამომეტყველებისა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი. „აშკარად დამჭირველია“, – გაუელვა ჯეგეს თავში. სიმწრის ოფლის წვეთებით დაეცვარა საფეთქელი.

კეპიანმა ბექამ ჯეგეს მღელვარება შეატყო, მეგობარს, ლუკას, ოდნავ გაკრა მხარი, ისიც მიუხვდა სათქმელს.

– საით მიდიხართ? – გაისმა მტკიცე და რიხიანი დამჭირველის ხმა.

– შენა, ბიჭი, საით გაგინევია? – კითხვითვე შეუბრუნა ბექამ.

– გეკითხებით, საით მიდიხართ? მიპასუხეთ!

– ტრამალეთში, – მოუჭრა ლუკამ.

– და შენ? – ჯეგეს სახიდან მოვარდისფრო ფერი დაეკარგა და ქალღლის ფერი დაედო.

– ეს ბიჭი ჩემი ძმისშვილია, თავის ოჯახში უნდა ჩავიყვანო.

– თქვენი საბუთები!

კაცებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, ბექა ფანჯრის მხარეს იჯდა, ლუკა, დამჭირველის ანუ კარის მხარეს. ლუკამ ნაძალადევი და

ზანტი მოძრაობით გადაანოდა თავისი და მისი თანმხლების, ბექას, საბუთები დამჭირველს.

ამასობაში ბექამ თავის საფულეში დაიწყო ძრომიალი. კარში გაჩხერილი ყმანვილი საბუთებს ათვალიერებდა.

– ერთი, ჩემი ძმა, აი აქვე, აი ამ ფანჯრიდანაც კი ჩანს, ორი ფეხის ნაბიჯზე სახაჭაპურეა და მაგარი მოშიებულები, თანაც დაღლილები ვართ, ოთხი დიდი ხაჭაპური და ოთხიც დიდი კუბდარი ამოგვიტანე ძმურად რა, – ბექამ ამ სიტყვებით ფული ლუკას მიანოდა, ლუკამ კი ფეხზე წამოუდგომლად გადაანოდა დამჭირველს.

ყმანვილი დამჭირველი დაიბნა, ავტომატური მოქმედებით გამოართვა ფული.

– მოიცა, მოიცა, ბარემ – საფულიდან კიდევ ამოაცურა ბექამ ქალაღდის ფული, – ლუდიც წამოგვიღე, ასე 4 ბოთლი, შეგიძლია შენთვისაც იყიდო რამე, უეჭველი მოგრჩება. დამჭირველი დგას გახევებული, ლუკა დამატებით კიდევ ანვდის ფულს.

– ჰე, დროზე, თუ არა და დაიძრება ანი მატარებელი საცაა, – დააყოლა ლუკამ.

– გიო, ლუდს დაღევ თუ მინერალკა გირჩევნია? – ჰკითხა ბექამ ჯეგეს ბიძისათვის შესაბამისი ტონით.

– რა ვი, ბიძია, თუ ფული კიდევ დაგრჩა, მინერალკა მირჩევნია, – უპასუხა შეგულიანებულმა და გათამამებულმა ჯეგემ.

ბექამ კიდევ ამოაცოცა ფული თავისი საფულიდან.

– ორი მინერალურიც მომიტანე ძმისშვილისათვის ჯიგრულად და შენთვის გინდა ლუდი იყიდე და გინდა ლიმონათი. Не знохна? – თქვა ბექამ და კუდამოძებულ პატარა აფთარს თვალი თვალში გაუყარა.

– დროზე ქენი, თორემ წყურვილით და შიმშილით დავიხოცოთ ლამის. – მიღლილი ხმით უთხრა ლუკამ, მისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე.

დამჭირველმა ფული აიღო, საბუთები დაუბრუნა კაცებს და გაუჩინარდა.

ჯეგე ეჭვითა და ცნობისმოყვარეობით უყურებდა ამ ვითარებას. ეს ბიძიები არათუ აფთრები არ იყვნენ, დამჭირველის გაცურებაც კი შეეძლოთ.

ახალგაზრდა დამჭირველი მალე გაძეძგილი ცელოფნებით გამოცხადდა.

ჯეგეს გაოცებისაგან თვალები გადმოსცვივდა, ლუკამ და ბექამ კი ეს ისე მიიღეს, როგორც ჩვეული ამბავი.

– ოოო, გაგახაროს ღმერთმა. მოიტა, მოიტა აქეთ, – ხელით ანიშნა ლუკამ, არც კი შერხეულან ადგილებიდან. დამჭირველმა დანაბარები მოუტანა და ფეხებთან დაუდო კაცებს.

– კაი ბიჭი ხარ, მადლობა, – უთხრა ბექამ.

ყმანვილი კართან აიტუზა. დამჭირველი დგას კარის ზღურ-ბლთან და არ იცის, რა ქნას.

– რამე ხომ არ გინდა, ჯიგარო? – ჰკითხა ბექამ.

– არა, აარაფერი, – მიიღო დაბნეული პასუხი.

– აბა, მშვიდობით გატაროს ღმერთმა ცალკე შენ – შენს გზაზე და ცალკე ჩვენ.

ლუკა წამოდგა, – ნახვამდის, – უთხრა ყმანვილს და „კაიუ-ტის“ კარი ცხვირნინ მიუხურა.

შეუდგნენ უცნაური კაცები სადილობისათვის სამზადისს. ჯეგე ჯერ გონს ვერ მოსულიყო, გაისმა მატარებლის მოგუგუნე, ყრუ ხმა. „დაიძრა, როგორც იქნა“, – გაივლო გულში. „მეშველა მგონი“, – იმშვიდებდა აფართხალებულ გულს ჯეგე ხალდანი. გაშალეს კუპის პატარა მაგიდა, დაანყვეს ზედ კუბდარ-ხაჭა-პურები, გახსნეს ლუდები მაგიდის კიდეზე რკინის კბილანებიანი თავსახურის ჩამოკვრით და ხელის ნაშველებით, ჯეგეს მინერალ-კა გაუხსნეს და გაუნოდეს.

– ლუკა, დანა გაქვს?

– აუ, არა.

– მე მაქვს, – ამოიღო ჯეგემ თავისი პატარა შავტარიანი დანა და გაუნოდა უფროსებს. დაიჭრა კუბდარი, მიჰყვა ხაჭა-პური. მატარებელი აგრძელებდა მშვიდად სვლას.

– რას გაურბიხარ, იქნებ მოგვიყვე? – უთხრა რბილად ლუკამ.

– გრძელი ამბავია, – უპასუხა ჯეგემ მადლიერებით, მაგრამ მაინც ხისტად და ოდნავ უნდოდაც.

– კუბდარი გირჩევნია თუ ხაჭაპური? – ჰკითხა ბექამ.

– კუბდარი.

- გზა გრძელია და თანაც დრო ბლომად გვაქვს - მიუგო ბექამ, კეპიანმა ტიპმა.

ჯეგე მოშიებულზე კუბდარს ილუკმებოდა, აყოლებდა მინერალურს და მატარებლის ჩაქ-ჩაქზე უფრო და უფრო ნელდებოდა მისი უნდობლობა ამ მისთვის მეტად უცნაური ადამიანებისადმი.

მატარებელი მიქროდა, სალამო დგებოდა და ჯეგეს ეჭვები ბექასა და ლუკასადმი თანდათან ქრებოდა. ორთქლი გასდიოდა ტრამაღეთისაკენ მიმავალ მატარებელს, მიდიოდა ჯეგე ხალდანი და უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. დანაყრდნენ მგზავრები.

- აბა, გვითხარი, გიო, რა შეგემთხვა ამისთანა? - ჰკითხა ბექამ და თან ლუდი მოწრუპა, - ან შენი მშობლები სად არიან? ჯეგე გასუსულია, არ იცის, გაანდოს თუ არა, რაც თავს გადახდა.

- ხომ არ გწყინს, გიოს რომ გეძახი, თუ გირჩევნია, ჯეგეს დაგიძახებთ ჩვენც.

ხალდანი კრინტს არ ძრავს. ლუკაც და ბექაც მშვიდად ელოდებიან, როდის დაფქვავს ჯეგე თავის ამბავს. ცას იისფერი შეერიო, ფანჯრის მიღმა მოჩანს სალამოს ცა, ვარდისფერ, იისფერსა და მუქ ნაცრისფერში გარდამავალი ღრუბლებით. ჯეგემ დუმილი დაარღვია, მოჰყვა, რაც შეემთხვა. მშობლები, მთელი მისი ოჯახი, უბანიც კი როგორ გაამწარა ვარლამ არავიძემ, მერე დედამისმა როგორ გამოიღადრა ყელი, ისიც კი არ დაუმალავს, რომ ეს საშინელება რამდენიმე წამით წინასწარ ნახა და დედის გადარჩენა ვერ მოასწრო; როგორ დაკრძალა დედა საკუთარ ეზოში. მოჰყვა ჯეგე თავის ამბავს უცხოებთან. მერე გაჩუმდა და დაძაბული მზერა მიაპყრო ბექასა და ლუკას, თუმცა მათ სახეებზე ვერაფერი ამოიკითხა.

- არავის უპატრონო ბავშვთა სახლში არ დამაბრუნოთ! - წამოიძახა უცებ ჯეგემ.

- არა, ჯეგე, რა სისულელეა, - ნაამბობისაგან პირველი ლუკა გამოერკვა.

ჯეგე შიშმა მოიცვა, ჩათვალა, რომ არ დაუჯერეს. უყურებს ორივეს დაჟინებით, წამები გადის, კი გონებაში ისევ ცხადად ხედავს კადრებს, ფრაგმენტულად, ის მათ გასვენებას ხედავს,

ორივეს ერთნაირად ღამით კრძალავენ. ისევე, როგორც დედის სიკვდილი წინასწარ დაინახა, მსგავსი განმეორდა ახლაც.

ლუკამ ჯეგესაგან სხვაგვარი შიში იგრძნო.

– რა დაინახე ახლა?

გაფითრებული, თვალეგაშტერებული ჯეგე ენას ვერ იდგამს.

– თქვი, ნუ გეშინია, რაო, ვიბრიდებით თუ? – ირონიულად იკითხა ლუკამ.

– ორივეს ღამე დაგკრძალავენ, მაგრამ ეგ მალე არ იქნება, მგონი, – ძლივს ამოღერდა ჯეგემ სათქმელი.

ლუკამ და ბექამ ერთმანეთს შეხედეს თვითკმაყოფილი ღიმილით.

– თქვენ ჩემი არ გჯერათ, გგონიათ მოვიგონე ყველაფერი, – ნაიდუდღუნა ჯეგემ.

– შენ ახლა იმისთანა რამ გვითხარი, რომ გვინდა თუ არა, გეჯერა.

ჯეგე სიფრთხილით კი უყურებს ამ კაცებს, მაგრამ ალლოთი ხედება, რომ მას არ გაყიდიან.

– შენ არ იფიქრო ბევრი იმაზე, რაც ახლა დაინახე და არც იღარდო, მიხედები ოდესმე, რაც გვითხარი, – განუმარტა ლუკამ, – ჯეგე, ისე ღამეებს თუ ათევედი, თან უსასრულოდ, დაგეძინა იქნებ, – შესთავაზა ბექამ, – ვიფხიზლებთ ჯერ. ასე რომ, დამჭირველების ნუ შეგეშინდება. ტრამალეთამდე მშვიდად ჩახვალ, ჩვენთან ერთად ან ჩვენ გარეშე.

– ბატონო?! – იკითხა ემოციებისაგან გადაღლილმა ჯეგემ.

– არაფერი, ჯეგე, ჩვენ ტრამალეთის შესასვლელშივე უნდა ჩამოვიდეთ, გათენებისას მივადგებით მაგ ქალაქს, მანამდე ნაგეთვლიმა იქნებ.

დაძაბული და დარეტიანებული, გონებრივად გათანგული ჯეგე მატარებლის უხეშ სანოლზე მიეგდო.

– ჯეგე, რჩევას მოგცემ, მატარებლის ბოლო გაჩერებამდე არსად ჩამოხვიდე, იქ ისეთი მიყრუებული ადგილია, ვერავინ მოგაგნებს. – გაიგონა ბექას სიტყვები სვანმა და უმაღვე მიიძინა.

ჯეგე, „რუსი“ და „პატარა გოგო“

დილა დამდგარა, მზე აჭყიტებს მძინარე ჯეგეს მონითალო ლოყაზე და მის ოდნავ გაღებულ ტურებზე სისველე ბზინავს. მატარებელი გაჩერდა, ბოლო სადგურია. ჯეგემ თვალები გაახილა, ბეჭა და ლუკა ნასულან, რატომღაც გული დასწყდა. კუპის პატარა მაგიდაზე ნარჩენი კუბდარ-ხაჭაპურების ნატყხები ზურგჩანთაში ჩაყარა. შავტარიანი დანა ჩაიგდო ჯიბეში. წამოჯდა, ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე.

მალევე კარში გამოჩნდა მოხდენილი გამცილებელი ქალბატონი.

– ბოლო გაჩერებაა, ყმანვილო.

– რა ქალაქია? – იკითხა ჯეგემ.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება ჰელეთში, – მიუგო გამცილებელმა.

„მამ ჰელეთი“, – გაიფიქრა ჯეგემ.

– შენთანები დაგხვდებიან? – იკითხა დაეჭვებულმა ქალმა.

– რა თქმა უნდა, – იცრუა ჯეგემ.

– კარგი დროის გატარებას გისურვებ ჰელეთში, – დაუტოვა სიტყვები გამცილებელმა და წავიდა.

– გმადლობთ, გმადლობთ! – მიაძახა პასუხად ჯეგემ და წარიდნ წამოდგა.

ის ახალ ცხოვრებასთან შესახვედრად და შესაჭიდებლად მიემართებოდა. როგორც კი ჯეგე მატარებლიდან ჩამოვიდა და ფეხი მაგოგის ქვეყნის ტრამალეთის რაიონის, ქალაქ ჰელეთის მინაზე დადგა, მიხვდა, რომ აქ დამჭირველები მართლაც ვერ მიაგნებდნენ. იოლია ამ ქალაქში დაკარგვა. უსასრულო სივრცე, თვალუნვდენელი ტრამალები, რია-რია, უამრავი ადამიანი, ზოგი

ჩანაღვლიანებული, ზოგიც გაბოროტებული სახით, მათ სახეებზე, ნაკეთებსა და ნაოჭებშიც კი ჩამჯდარა სასონარკვეთა, დაღლა, მღუმარე სევდა და ღრმა სულიერი იარები.

დადის ჯეგე ჰელეთის უზარმაზარ რკინიგზის სადგურის მიდამოებში. „აქ ვერც დამინახავენ და ვერც შემამჩნევენ, ისეთი აურზაურია“, – გაიფიქრა.

ათვალიერებს ყმანვილი თავის ახალ რეალობას. აქვეა ბაზარი, გამაღებული ვაჭრობა, ლოთები, ბომჟები. ბაზარშივე ყიდიან სპირტს და არაყს უწოდებენ მას.

– ახლა 100 გრამი მაინც დამისხი, ფულს მერე მოგცემ. – ეხვეწება ერთი ლოთი არყის გამყიდველს.

ვილაც ძია კაცი, გაურკვეველი ეროვნების, ხის მომცრო სკამზე ზის და გარმონზე უკრავს, მის ფეხებთან ამოტრიალებული ქუდი დევს და შიგნით რამდენიმე ხუთკაპიკიანიც კი გდია. აუტანლად ცივა. ბაზარი გადაჭედილია ხალხით, ყველა წინასაახალწლო სამზადისითაა დაკავებული, 31 დეკემბერია ჰელეთში. მოსული ტანის ქალი, ძლიერი მკლავებითა და კასრის მსგავსი სხეულით ევაჭრება ხილ-ბოსტნეულის განყოფილებაში დახლის მეორე მხარეს მდგომ გამყიდველ დედაკაცს და ვაშლზე ფასის დაკლებას მოითხოვს. მყიდველ ქალბატონს ცალ მხარზე ქალის შავი მომცრო ხელჩანთა აქვს ჩამოკიდებული. ჩამოიქროლა უცებ ვაჭარსა და მუშტარს შორის ჯეგეზე ოდნავ უფროსმა ბიჭმა, გამოგლიჯა ქალს ჩანთა და შურდულივით გავარდა.

– დაიჭირეთ, ქურდი! დაიჭირეთ! – გაჰკივის გაძარცვული ქალი.

ლამის მთელი ბაზარი, ადამიანები, რომლებიც ამ სცენას შეესწრნენ, იგუდებიან სიცილით, ჯიბგირი გარბის უკანმოუხედავად. ჯეგე გახევებული დგას და უყურებს მოხარხარე ხალხს.

ჯეგე ხალდანისათვის ახალი სამყარო საინტერესო აღმოჩნდა. აქ მისთვის ყველაფერი უცხოა. დაბოდილობს ბიჭი ჰელეთის სადგურისა და უშველებელი ბაზრის მიდამოებში და ხარბად ისრუტავს ნანახსა თუ გაგონილს, ათვალიერებს გამწარებულ ადამიანებს, აკვირდება მათ საქციელს. „თითქოს ვერც მხედავენ“, – გაივლო გუნებაში. შემოვლითი დაზვერვის, დათვალიერებისა

და გარემოს ათვისების შემდეგ მიატოვა ბაზარი და მისი შემოგარენი. სადგურში შებრუნდა ისევ, იქნებ ვინმე მამამისის მეგობარს გადაწყდომოდა სადმე. მწერალ სანდრო ხალდანს, როგორც ჯეგეს ახსოვდა, უამრავი მეგობარი ჰყავდა. დაბორილობს ჯეგე ამ ნაღვლიანი სახეების ზღვაში და ნაცნობს ვერავის ხედავს.

მოულოდნელად ჰაერში თოფის ხმა გაისმა. ბრბო ორად გაიყო, გარბის ერთი ახალგაზრდა, სუსტი აღნაგობის ყმაწვილი. – მიშველეთ! – ყვირის განწირულად. მას მისდევს მოშიშველებული დანით მდევარი, – მოგკლავ, შე ბოზო! – მისძახის თავის მსხვერპლს. მდევარს კი ჯანიანი გამშველებელი მოსდევს, თან ჰაერში ისვრის პისტოლეტიდან, – არ გაბედო! – მისძახის დანით შეიარაღებულს. ხალხი ამ სცენას უყურებს და ყველას, განსაკუთრებით მამაკაცებს, ერთბაშად სიცილი წასკდათ.

ამ სურათით თავზარდაცემულ ჯეგეს კივილი აღმოხდა: – რა გაცინებთ, მას ხომ დანა აქვს! – სულ დაუნვრილდა ჯეგეს ხმა, მაგრამ ძახილი ბრბოსათვის გამომაფხიზლებელი აღმოჩნდა, ადამიანები გონს მოეგნენ, დაიძრნენ მსხვერპლისაკენ, თუმცა უფრო სეირის სანახავად და იმის გამოსარკვევად, თუ რა მოხდა და არა ვინმეს საშველად. იარაღიანი გამშველებელი წამოწეოდა დანიან მდევარს, ამჯერად დროულად მოხერხდა გაშველება, მკვლევობის გარეშე გადაიჭრა საკითხი. ჯგრომ გადაფარა ყველაფერი, ასე რომ, თუ როგორ განვითარდა მსხვერპლის, დანიანი მდევრისა და იარაღიანი გამშველებლის მოქმედებანი, ჯეგეს აღარ უნახავს. გაეცალა სადგურს და ისევ ბაზრისაკენ აიღო გეზი. „იქნებ მყიდველებში გადავანყდე ვინმე ნაცნობს“, ათვალეირა ადამიანთა სახეები, მაგრამ ნაცნობი ვერავინ იპოვა. ამასობაში მოშივდა კიდევ და მიყუჩებული ადგილის ძებნა დაიწყო. მოიძია ასეთი ადგილი ნაგავსაყრელთან ახლოს, სადაც მასზე ასაკით უმცროსი ბიჭი და გოგო უშნოდ ებღალაძუნებოდნენ ერთმანეთს.

– დიმა, ნუ მირტყამ, მტკივა! – წამოიტირა გოგონამ.

– ასე შენი ადგილი გეცოდინება, „პატარა გოგო“.

მათ შემხედვარე ჯეგეს ჭამის მადა დაეკარგა, მათ შორიახლოს დგას და უყურებს.

დიმა გოგოს ტყეპას მოეშვა, გახსნა ქალაღდის პარკი, ხელში რომ ეჭირა, ჩაყო შიგ პირისახე და ღრმად იყნოსა.

– იმპორტული ნებოა, არ გინდა, კიდეე გაყნოსინო, შიმშილს საერთოდ ველარ იგრძნობ!

– მგონი ღმერთი მართლაც არსებობს, – ამბობს მინაზე გაგორებული და გაბრუებული გოგო.

– ღმერთი? და ახლა შენი ღმერთი დაგვაპურებს არა? – ამბობს დიმა, – ნებო ერთადერთია, რაც გვჭირდება, ჭამაც არ არის საჭირო!

– ღმერთი არსებობს! – პასუხობს „პატარა გოგო“, – დედა მენატრება, მართალია, გამომაგდო სახლიდან, მაგრამ მაინც მისი შვილი ვარ, – ბუტბუტებს გოგონა თავისთვის, – დედა, „პატარა გოგო“ შინ ბრუნდება, – ბავშვს ცრემლებით ევსება დაბინდული თვალები. დაფლეთილი სამოსი აცვია და ხელისგულებით მოტიტვლებულ მხრებს იფარავს, სცივა.

– ღმერთი არ არსებობს! იქნებ ისე გაბრუვდი, რომ მე გეჩვენები ღმერთად, აა? – დიმა იცინის და ნებოს ყნოსავს.

– ნუ ამბობ ასე, აი, რომ გავიზრდები, საკუთარ ბიზნესს გავხსნი, ჩემი რესტორანი მექნება. რა კაი იქნებოდა, ახლა რესტორანში რომ ვიყოთ, იქ ბევრი საჭმელია.

დიმა კვდება სიცილით, სახე შეშლილისას მიუგავს.

ჯეგეს გული მოუვიდა, მათაც ვერ ამჩნევენ ირგვლივ უფროსები.

– ჩვენ ობლები და უჩინრები ვართ, – ამოთქვა ბოღმით დიმა.

ჯეგემ განზე დგომა ველარ შეძლო და მათთან მივიდა.

– შენ დიმა გქვია და შენ რა გქვია, პატარა გოგო?

– თვითონ ვინ მიგდიხარ? – უთხრა დიმამ.

– ჯეგე მქვია მე.

– ფა, ჯეგე რა სახელია?!

– ის სახელია, რაც მშობლებმა დამარქვეს, – დინჯად მიუგო ჯეგემ, – თქვენთან ერთად რომ წავიხემსო, სანინალმდეგო ხომ არ გექნებათ რაიმე, მარტო ჭამაშიც კი ცოდოა ადამიანი.

– საშა მქვია, – უპასუხა გოგონამ, – უბრალოდ „პატარა გოგოს“ მეძახიან.

ჯეგე მათ შორის ბეტონის ბელტზე ჩამოჯდა, გახსნა თავისი ზურგჩანთა და ახალ შეძენილ მეგობრებს კუბდარისა და ხაჭაპურების ნატყეხები გაუწოდა.

– ბევრი არაფერი მაქვს, – თქვა ჯეგემ.

დიმა და საშა საჭმლის სუნზე გამოცოცხლდნენ და გამოფხიზლდნენ. კუბდარის ნატყეხებს დაუნყეს ლოლნა, გაუბრწყინდათ თვალები. ჯეგე ცივ ხაჭაპურს მიადგა. „ამათ ხორცი ვინ იცის, რამდენი ხანია არ უჭამიათ“, – გაიფიქრა.

– პურიც მაქვს, – თან უთხრა ბავშვებს.

– ხომ გითხარი, ღმერთი არსებობს-მეთქი, – ნიშნის მოგებით უთხრა „პატარა გოგომ“.

– შენი ღმერთი არ ვიცი, საშა, მაგრამ ჯეგე მაგარია.

ჰელეთის ბაზარში მოარული უფროსები ბეტონის ბელტზე ჩამომსხდარ სამეულს ვერც კი ხედავენ. ილუკმებიან ყმანვილები, კმაყოფილი ჯეგეც სადილობს მათთან ერთად. მოინამცეცეს და მოშიებულები პურზე გადავიდნენ.

– კიდეც გვაქვს პური? – იკითხა დანაყრებულმა დიმამ.

– კი.

– კიდეც რამე გექნება? ჰა? – შესცინა დიმამ ჯეგეს.

– ნყალი.

სიცვივისაგან განითლებული, აქერცლილი და ნაჩვრეტებიანი ლოყიდან დიმას იმედიანი ღიმილი გაუქრა.

– ჰელეთში უპატრონო ბავშვთა სახლები არ არის?!

– არის როგორ არა, – უთხრა „პატარა გოგომ“.

– აბა, თქვენ ქუჩაში რატომ ხართ?

– გამოვიქეცი, – პურის კბეჩით უპასუხა დიმამ.

– და არ გეძებენ? – გაიკვირვა ჯეგემ.

– ვის სცალია ჩვენთვის, – გესლიანად თქვა „პატარა გოგომ“.

– ღამეს სად ათევთ ხოლმე?

– სადგურზე, იქ ძირითადად სკამებზე გვიძინავს, – უპასუხა „პატარა გოგომ“.

– შეიძლება თქვენთან რომ დავრჩე?

- ჰელეთის სადგური დიდია, ჯეგე, - წასკდა დიმა სიცილი, - დავეტყვით როგორმე.

ჯეგე თავის ორ მეგობარს ათვალიერებს, ეხამუშება, თვითონ ჩაცმულ-დახურულია, თბილა, ესენი კი ნახევრად ტიტლიკანები არიან.

დიმას აცვია სანდლები, გაცრეცილი შარვალი და გაქუცული, მოკლემკლავებიანი ზედატანი მოლელილი ყელით, ფერს ადამიანი ვერ გაარჩევს. საშას, იგივე „პატარა გოგოს“, გრძელსახელოიანი, ყელიანი, დაფლეთილი ზედატანი და მუხლებამოგლეჯილი შარვალი აცვია, ფეხებზე რეზინის ჩუსტები.

ჯეგე დამუნჯებული ზის და რცხვენია, თვითონ თბილად რომ აცვია. დუმს და ფიქრობს. თავისი ორი ახალგაცნობილი ჯერ თვალში ეპატარავება საიმიხოდ, რომ თავისი თავგადასავალი მოუყვებს.

- ჯეგე, შენ საიდან ხარ? - ჰკითხა დიმამ ზერელედ.

- მშობლები დამელუპნენ და აქ ჩამოვედი, იქნებ რომელიმე ჩემი ნათესავთაგანი ვიპოვო, - მიუგო ჯეგემ.

- ჰო და რო იპოვო, მიგიღებენ, არა?

- არ ვიცი, - ჩაფიქრებული პასუხობს ჯეგე.

ჰელეთის რკინიგზის სადგურზე ბოლო მატარებელი ჩამოდგა და დაიცალა მგზავრებისაგან. შუალამემ მოანია, დიმა და საშა უყვებიან ჯეგეს თავიანთ ყოველდღიურ თავგადასავლებს. ჯეგე გაყურსული უსმენს. ჩამოლამდა. დიმა მოსაცდელში ერთმანეთის მიჯრით მდგარ სკამებზე აძვრა და დასაძინებლად მოემზადა.

- დღისით შევხვდებით ერთმანეთს, - უთხრა ჯეგეს „პატარა გოგომ“, ლოყაზე აკოცა და ისიც სკამებზე ალოლდა.

- შენ რა, ბუ ხარ? არ უნდა დაიძინო? - გასძახა დიმამ ჯეგეს. ჯეგე მათ მოპირდაპირე ერთ-ერთ სკამზე ზის.

- ჯერ არ მეძინება.

დრო მიიზღაზნება. სადგურის კედელზე უშველებელი მრგვალი საათია ფოსფორის ციფრებითა და ისრებით.

ჯეგე უყურებს მძინარე მეგობრებს, ათვალიერებს მათ, უსმენს მინყნარებულ არემარეს. ჰელეთის სადგური მისი ახალი თავშესაფარია მაგოგის ქვეყანაში.

„დროებით მეც აქ დავრჩები“, – ფიქრობს ჯეგე.

პატარა ფოსფორისფერი ისარი 2 საათს გადასცდა, მეორე მიუახლოვდა ნახევარს. „სამის ნახევარია უკვე, ახალი წელიც დადგა“, – გაიფიქრა ჯეგემ, რომელიც სკამზე ზის მტკიცე გადანყვეტილებით, მკლავები მძიმედ ბარძაყებზე ჩამოუდვია, ხელის მტევნები ჩამოშვებული აქვს, ერთი შეხედვით, დამარცხებული და ხელჩაქნეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ანათებენ მხოლოდ საათის ისრები და ციფრები და მალაზიების ჭრელა-ჭრულა ნათურები. ჯეგე გონებაში ანგარიშობს, რამდენი ფული აქვს. სახლიდან წამოღებისას ფულის გადათვლის თავი სად ჰქონდა, სამ 100-მანეთიანს რომ მოჰკრა თვალი, ახსოვს, მაგრამ არ დაუთვლია. „300 მანეთზე მეტი უნდა მქონდეს წესით, – დაძაბულად ფიქრობს ჯეგე, – გადანყვეტილებები გვხდიან იმად, რაც ვართ, გადანყვეტილებების მიღება მარტოს მომინევს ანი ყოველთვის, სწორად გადავჭერი თუ არა ესა თუ ის საკითხი, ამას დრო მიჩვენებს მერე“. მტკიცედ წამოდგა. ფეხაკრეფით მივიდა მძინარე „პატარა გოგოსთან“, რომელიც ხელისგულებით იფარებდა მკლავებზე სამოსის გადაფლეთილ ადგილებს. მის ფეხებთან დაიხარა, ლამის სუნთქვაც კი შეიკავა და ჩუსტები ფრთხილად გახადა. ხელში ჩაბლუჯული ჩუსტებით დიმასთან გადაინაცვლა. აქ უფრო მეტი სიფრთხილე გახდა საჭირო. სანდლები წკაპუნებით იყო დამაგრებული და ტიტველ, გაყინულ ფეხებზე მიმაგრებული. „აუ, ახლა ამან თუ გაიღვიძა, მერე მიდი და უხსენი, ჩამიშლის ყველაფერს“, – ფიქრობს ჯეგე და ხსნის ჯერ ერთ სანდალს ფხრინინით, მერე ელოდება, ადროვებს, არ იგრძნოს შეხება და არ გავადვიძოო. დიმა უძრავად წევს. გაიხსნა მეორე წკაპუნაც, ჯერ ერთ ფეხზე გააძრო ფეხსაცმელი, მერე მეორეზე. გათოშილი ბიჭუნა ძილში შეიშმუნა.

„ესეც ასე“, – ამოისუთქა ჯეგემ. ამოილლიავა ნაქურდალი სანდალ-ჩუსტები და წავიდა ჰელეთის სადგურში ტანსაცმლის მალაზიის საძებნელად. ჰელეთის უსაშველოდ დიდი რკინიგზის სადგურის ცალ მხარეს, მთელ გაყოლებაზე, რიგში აჭრელებულია ნაირ-ნაირი განათებული მალაზიები, ღამეა და დაკეტილია ყოველი მათგანი. ჯეგე ათვალეირებს გარედან და დაიარება

მდუმარე სიცარიელეში, შემოიარა ლამის ნახევარი სადგური. ცას უკვე მტრედისფერი გადაჰკრავს. ბევრი სიარულის შემდეგ ერთ ვიტრინასთან შეჩერდა, თვალი მოჰკრა სასურველ სვიტერებსა და ბათინკებს. „რაც არის, ეგ არის, მეტი სიარული აღარ შემიძლია“. ჯეგემ ზურგჩანთა მოიხსნა, ძირს დადო. მალაზიის მოპირდაპირე კედელს მიეყრდნო მხრებით, მარჯვენა მუხლი მოხარა და წონასწორობისა და სიმყარისათვის ტერფი მიაბჯინა კედელს, თან დაღლილი სხეული ოდნავ მოადუნა, მოეხსნა დაძაბულობა, მარცხენა ხელში დიმას და „პატარა გოგოს“ ჩუსტებ-სანდალიკები აქვს ამოჩრილი, ამთქნარებს და ელოდება. თანდათან რიჟრაჟიც დგება. კედლიდან ძვალ-რბილში გაატანა სიცივემ, რომელიც უძილობასთან ერთად გამძაფრდა და ლამის კანკალი დაანყებინა.

„ნეტა რას იფიქრებენ ან ერთი ან მეორე, რომ გამოიღვიძებენ და ფეხშიშველები აღმოჩნდებიან, თან მათ გვერდით არ ვიქნები“, – ფიქრობს ჯეგე, ცდილობს სიცივეს მოერიოს, რომელმაც სულამდე ჩააღწია. თენდება, გვერდითა მალაზიები იღება თანდათან.

როგორც იქნა, შერჩეულ ტანსაცმლის მალაზიასაც მიადგა ქალბატონი, ნითური, ბზინავი ხვეული თმებითა და ნითელი, დიდი რგოლი-საყურეებით, ხელში გასაღებების აცმით. ქალმა კედელთან ატუზული ყმანვილი კი შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. საკეტი გადაატრიალა და კარი გააღო. ის იყო, გამყიდველი ქალი მალაზიაში შესვლას აპირებდა, რომ ყმანვილის ბოხი და ხრინწიანი ხმა შემოესმა.

– უკვე შეიძლება მალაზიაში შესვლა? – იკითხა მოთმინება-დაკარგულმა ჯეგემ, რომელიც თავისი ჩანაფიქრის ასასრულებლად საათები გაყურსული ელოდებოდა ამ ჯადო კარის გახსნას.

– შეიძლება, შემოდი, – თქვა ქალმა. ჯეგე მალაზიის გამყიდველს შეჰყვა. პირდაპირ მიადგა ბაც იისფერ, ვარდისფერში გარდამავალ სვიტერს.

– ეს რა ღირს?

– 19.50, – მიიღო პასუხად.

ჯეგემ სვიტერი შეათვალიერა, ახლა უკვე ახლოდან, მანამდე კი საათები არჩევდა ვიტრინის გარედან, თუ რას იყიდდა. ჯეგემ სვიტერი დაკეცა და გადადო გამყიდველის დახლზე.

- ვიღებ, - მერე რუხ ნაქსოვ, მსხვილ ნასვრეტებიან დიდ საყელოიან სვიტერს მიადგა, - ამას რამდენად აფასებ?

მოლიმარ გამყიდველ ქალს, იმის გამო, რომ უთენია კლიენტი იშოვა, თვალები უბრწყინავდა სიხარულისაგან.

- 18-ად მოგცემ.

- კარგი. - რუხი სვიტერიც აღმოჩნდა დახლზე.

- ქალბატონო, იქნებ ფეხსაცმელების შერჩევაში დამეხმაროთ, თბილი ბათინკები მინდა.

- ზომა?

- აი, ამ სანდალიკების და აი, ამ ჩუსტების ზომა მჭირდება.

ქალბატონი დახლიდან გამოვიდა და მალაზიის ბოლოსაკენ გაუძღვა ჯეგეს.

თაროებზე შემონყობილ ნაირ-ნაირ ფეხსაცმელებთან ახლოს მისვლისას ჯეგეს ტყავის სუნი ეცა.

- ამოირჩიე, რომელიც გინდა, - უთხრა გამყიდველმა.

ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელები განცალკევებით შემოენყოთ თაროებზე. ჯეგე დასწვდა ერთ თასმებიან ყავისფერ ბათინკს, მისი ძირი მიაზომა „პატარა გოგოს“ ჩუსტის ძირთან. „ცოტა დიდი ექნება“, გაივლო გუნებაში.

- ეს ხომ გოგოსია? - იკითხა ყოველი შემთხვევისათვის.

- კი, - მიიღო გამყიდველის პასუხი.

- რას აფასებ?

- 35-ად მოგცემ.

- მეორეც მჭირდება, ოლონდ ბიჭისთვის.

- აირჩიე.

ჯეგემ მუქი ნაცრისფერი ბათინკები შეარჩია, მიაზომა დიმას სანდალიკების ძირს, პატარა აღმოჩნდა და დადო თავის ადგილას.

- აბა, ეს ნახე, - მიანოდა მალაზიის გამყიდველმა შავი ბათინკები. ჯეგემ მიაზომა ისევ სანდლების ძირს, თვალის ზომით ოდნავ დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ფეხსაცმელს არ მოეჭირა და დანამდვილებით მორგებოდა.

- კაია, მგონი, ავიღებ ამასაც და ფასი?

- 45 მანეთი.

დახლიდან სვიტერები და ფეხსაცმელები ცელოფნის პარკებში აღმოჩნდა.

- კიდევ რაიმე ხომ არ გინდა? - ჰკითხა ქალმა.

- კი, თბილი წინდებიც გექნებათ, ორი წყვილი, თუ შეიძლება. ქალმა დახლის ქვემოდან ამოიღო წინდების ორი წყვილი.

- და რა ღირს თითო?

- 3 მანეთი.

- კარგი, - უპასუხა ჯეგემ, - დღეს რომელ საათამდე მუშაობთ?

ქალს ლანჩირაკის შეკითხვა გაუკვირდა და ხელოვნურად დანვრილებული წარბები შუბლზე აუვიდა.

- ჩემი ორი პატარა ახლობელი უნდა მოვიყვანო, ჯინსის შარვლები გაქვთ კარგი, მაგრამ ასე თვალის ზომით ვერ ვიყიდი, უნდა მოიზომონ.

- 10 საათამდე ვმუშაობ, - უპასუხა გახარებულმა გამყიდველმა.

- სულ რამდენი მოგართვათ? - იკითხა ჯეგემ.

- 123 მანეთი და 50 კაპიკი, თუმცა, 123 მანეთი, სიფთა ხარ და 50 კაპიკი ალალი იყოს.

- გმადლობთ, გმადლობთ, - გაუნოდა ჯეგემ გამყიდველს ფული და ხურდა ჩაითვალა.

- 20, 30 მანეთად არაჩვეულებრივი შარვლები მაქვს, - უთხრა გამყიდველმა.

- კარგით, დროებით, - ჯეგემ ფული ზურგჩანთის ერთ-ერთ ჯიბეში ჩადო, ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე, მოჰკიდა თეთრ ცელოფნებს ხელი, - ალბათ შევხვდებით დღეს კიდევ, - დააყოლა და კარისაკენ გაემართა.

- შარვლებს იაფად მოგყიდი, დაგიკლებ ფასს, - კლიენტი არ დაეკარგო, დაადევნა სიტყვა გამყიდველმა.

ჯეგე გამოუყვა უკან გზას, სიხარულისა და მოლოდინის გამო დაღლილობას საერთოდ ვეღარ გრძნობდა, ალტკინებული მიდიოდა ჰელეთის სადგურის იმ ადგილისაკენ, სადაც ლამით დიმა და „პატარა გოგო“ დატოვა. ჯეგე მიადგა დიდ მრგვალ საათს,

რომლის პატარა ისარიც მ საათს უჩვენებდა, დიდი ისარი კი მასთან ერთ ხაზზე იყო გასწორებული.

„ჯერ მ საათი ყოფილა, – გაიფიქრა ჯეგემ, – ამათ ისევ სძინავთ“. მან თვალი შეავლო მოკუნტულ დიმასა და საშას, სხვადასხვა სკამზე ეძინათ, სახე სკამის ზურგისაკენ ჰქონდა მიბრუნებული, სინათლეს ემალებოდნენ. ჯეგე ორივეს თავზე წამოადგა.

– ყიყლიყოოოო! – დაიყვირა უცებ, – გათენდა რა ხანია, გაიღვიძეთ, დროა უკვე!

დამფრთხალი „პატარა გოგო“ და დიმა შიშისაგან შეხტნენ, ორივე წამოხტა, დიმამ სკამებიდან მიწაზე გაადინა ზღართანი. ჯეგე დგას, მხრებზე თავისი ზურგჩანთა მოუგდია, იღლიაში სანდალ-ჩუსტები ამოუჩრია, ორივე ხელში თეთრი გაუმჭვირვალე პარკები უჭირავს და გულიანად ხარხარებს.

– რა გაცინებს?! – ნაიბურტყუნა დიმამ.

– შიშისაგან გული კინალამ გამისკდა, – წაიწუნუნა „პატარა გოგომ“.

– თქვენთვის საჩუქრები მაქვს.

– მისმინე, ჩემი სანდლები იღლიაში რატომ გაქვს ამოჩრილი და საერთოდ, რატომ ხარ ასეთი კმაყოფილი, შენიანები იპოვე თუ? – კითხვებს აყრის ახლად გამოღვიძებული და დაბოლმილი დიმა.

ჯეგემ დიმას სანდლები მისცა, „პატარა გოგოს“ ჩუსტები დაუბრუნა.

– იდიოტური ხუმრობები გცოდნია, ჯეგე, – ამბობს დიმა და სანდლების ჩაცმას იწყებს.

– არ იჩქარო, – უთხრა ჯეგემ და ცელოფანი მიანოდა, მეორე თეთრი პრიალა პარკი კი „პატარა გოგოს“ მისცა.

– ეს თქვენი საახალწლო საჩუქრებია. – ბავშვებმა პარკები სასწრაფოდ გაბურჯგნეს.

დიმას გაოცება და ბრაზი აესახა სახეზე.

– დურაკო, ჩვენთვის მოიპარე? – გაუწყრა ჯეგეს.

– არა, დებილო, ვიყიდე, – დაყვავებით უპასუხა ჯეგემ, – ჩაიცვით, თუ მოგერგებათ, მერე გუნებაზე რომ მოხვალთ, იქ

სათქვენოდ ჯინსები დავიგულე, მაგრამ თვალის ზომით ვერ გავბედე ყიდვა.

დიმას სახეზე წყენა შეეტყო, თვალები მოუცრემლიანდა, მაგრამ არ შეიმჩნია, დაჰყვა ჯეგეს რჩევას.

„პატარა გოგომ“ სიცილ-კისკისით სასწრაფოდ გადაიცვა ახალი თბილი ბაცი იისფერი, ვარდისფერში გარდამავალი ნაქსოვი ზედატანი, ამოიცვა თბილი წინდები, თასმებიც ნაჩქარევად გახსნა და ბათინკებიც ჩაიცვა, გახარებული ნამოხტა და გაიარ-გამოიარა. უფროსები დაიარებიან ბავშვების გარშემო, მანამდე თუ მათ შიმშილს ვერ ხედავდნენ, ახლა „პატარა გოგოს“ გაციისკროვნებულ სახესაც ვერ ამჩნევენ.

- ხომ არ გიჭერს ფეხზე? - ჰკითხა მოლიმარმა ჯეგემ.

- არა, - დაბზრიალდა „პატარა გოგო“ - არაფერიც. თანაც რა თბილია, - კისკისებდა გოგონა.

დიმა ნაძალადევი მოძრაობით იცვამდა სვიტერს, ჯეგე ლელავდა, ალბათ არ მოსწონსო.

- მისმინე, დიმა, თუ ფერი არ მოგწონს, ვთხოვ იმ ქალს და გადაგვიცვლის.

- ფერი რა შუაშია, რუხი ძალიანაც მომწონს.

- აბა რა გწყინს? - ჰკითხა ჯეგემ.

- შენგან რაიმე რომ მწყენოდა, სიფათს გაგიერთიანებდი! - თასმებს იკრავს დაბორილებული დიმა და დუდღუნებს.

- უცნაური ტიპი ხარ ისე, ჯეგე, შენნაირი ჯერ არსად შემხვედრია, - დიმამ თასმები ბათინკებზე თავისი გათოშილი, კანაქერცლილი თითებით შეიკრა.

- სუფთა შიზიკი ხარ!

- რა?

- არანორმალური, ფული თუ გქონდა, შენთვის შეგენახა, შენიანები რომც იპოვო, არ მიგიღებენ. მართლა იდიოტი ყოფილა, ტანსაცმელს ყიდულობს ჩემთვის! - ჩაიბურტყუნა ბიჭმა თავისთვის.

- ფული კიდევ მაქვს და მერე გამოჩნდება რამე.

- აი, ხომ ვთქვი, არანორმალური ხარ, - თქვა დიმამ.

- პატარა ხომ არ არის ფეხსაცმელი? - ეკითხება ჯეგე.

- არა, კარგია, - პასუხობს გულმოსული დიმა.

- მოდი, ახლა ბარემ შარვლებიც შეირჩიეთ, არც ისე შორს არის ის მაღაზია, სადღეისოდ კიდევ საინტერესო გეგმები მაქვს, - გამარჯვებულის იერით თქვა ჯეგემ.

- ფსიხ! - ჩაიბურტყუნა დიმამ.

- თუ მზად ხართ, წავიდეთ, - თქვა კმაყოფილმა ჯეგემ.

ჯეგე უსაზღვროდ ბედნიერი იყო თავისი საქციელით, აწი მას აღარ შერცხვებოდა მათ გვერდით ყოფნა, ისინიც, ისევე, როგორც თვითონ, თბილად იყვნენ ჩაცმულები. ბავშვები მიადგნენ მაღაზიას. დიმამ რუხი ჯინსის შარვალი ამოარჩია, „პატარა გოგომ“ კი შავი.

- კიდევ გვაქვს ფული, - უთხრა ჯეგემ, - თუ რამე გინდათ, აიღეთ.

დიმამ მუქი რუხი ნაქსოვი შარფი ამოირჩია, „პატარა გოგომ“ თხელი ვარდისფერი კაშნე.

- სულ რამდენი უნდა მოგართვათ? - ეკითხება ჯეგე გამყიდველს.

- ჯინსები 20 და 25, შარფი 15 და კაშნე 21, სულ 81 მანეთი.

ჯეგემ მაღაზიის გამყიდველს ფული გადაუხადა და ხურდა გამოართვა. ბავშვებმა ჭრელა-ჭრულა მაღაზია დატოვეს. ჯეგე დიმას მოცინარი თვალებით ათვალიერებს.

- რუხი შარვალი, რუხი სვიტერი, რუხი შარფი, ჰოდა, დღეიდან მე „რუხს“ დაგიძახებ.

- „რუხი“! - აიტაცა „პატარა გოგომ“.

- ხომ არ გენწყინება, „რუხი“ რომ დაგიძახო?

დიმას უხასიათობამ და ბრაზმა გადაუარა.

- არა, მომწონს, კაი მეტსახელია.

- ჰოდა, აბა, დღეიდან ჯეგე „რუხს“ დაგიძახებს ყოველთვის.

- კაი, ჯეგე, - წრფელი სიცილით უპასუხა „რუხმა“.

- ღამე, როდესაც თქვენ გეძინათ, მთელი ჰელეთის სადგური შემოვიარე, ერთ პატარა რესტორანს მოვკარი თვალი, ძალიან მშია, თქვენც გეშიებათ, აქედან მარცხნივ გავუხვიოთ და იქითკენ წავიდეთ, - ხელით ანიშნა ჯეგემ.

- რა რესტორანი, ფსიხო? - ჰკითხა „რუხმა“.

- „ქართული სამზარეულო“, - ასე ეწერა, - აუღელვებლად უპასუხა ჯეგემ.

- მე აქამდე მეგობარი არ მყოლია, - ჩაილაპარაკა „რუხმა“.

- არც მე, - უპასუხა ჯეგემ.

- რესტორნისთვის ფული დაგრჩა? და რომ გაგიტავდება, მერე რას იზამ? - მიაყარა კითხვები „პატარა გოგომ“.

- არ ვიცი, თქვენ როგორ გაგაქვთ თავი? ისე ერთი პურიც გვაქვს, იქამდე ვინმე ჩემიანს ვიპოვი ამ სადგურზე.

- ჩვენ ვიპარავთ, შე ბრიყვო, - უპასუხა „რუხმა“.

- ჰოდა, ჯერ ეგ არც გვჭირდება, ხინკალი რესტორან „ქართულ სამზარეულოში“ უეჭველი ექნებათ, არც ძვირია და გემრიელადაც გამოვძლებით, - უპასუხა ჯეგემ.

- შიზიკ! - თქვა „რუხმა“.

ჰელეთის სადგურის ერთ კუთხეში თავს ინონებს რესტორანი „ქართული სამზარეულო“ ხის ღია ფერის აბრაზე ამოტვიფრული ხისავე მუქი ლაქით გადაღებილი, ამოზნექილი, გამოკვეთილი ასოებით. ახალგაზრდები რესტორანში შევიდნენ.

ჯეგე შეუძღვა მეგობრებს მომცრო შენობაში, სადაც დახვდათ ხისავე დახლი, ხის მაგიდები და სკამები, ხის იატაკი, ხისავე შეკიდული ქერი. ჯეგე თამამად მივიდა დახლთან.

- 100 ცალი ხინკალი, და ერთი ცალი რა ღირს?

- 30 კაპიკი, ყმანვილო, - ღიმილით უპასუხა დახლთან მდგომმა ნაადრევად დაკაცებულ სვანს.

- რომელი მაგიდა დავიკავოთ?

- რომელიც გინდა, ყველა თავისუფალია ჯერჯერობით, ხალხი აქ ძირითადად საღამოს მოდის ხოლმე, - განუმარტა შეკვეთის მიმღებმა კაცმა.

- რა გქვია, თუ მეტყვი? - ჰკითხა კაცმა, თან ტილოთი ასუფთავებდა დახლს.

- ჯეგე. რამდენ ხანში იქნება ხინკალი?

- ორმოციოდე წუთში მოგართმევთ, - მიუგო კაცმა.

- სულ 30 მანეთისაა, ხომ? - იკითხა ბიჭუნამ და ფული გაუნოდა.

- კი, 30 მანეთი უნდა ზუსტად. - გამოართვა ყმანვილს ფული მზარეულმა, - ძალიან მოშიებულები კი ყოფილხართ ისე! - სიცილით დააყოლა.

ჯეგე შეფიქრიანდა. - ისე მართალი ხართ, მაგდენს ვერ მოვერევით, 50 ხინკალი და ლუდი თუ გაქვთ, მოგვიტანეთ, რაც მომივა მაგ ფულით.

- გვაქვს, მოგიტანთ, სამი ბოთლი გამოგივა.

ჯეგემ კუთხის მაგიდა ამოირჩია, „რუხი“ და „პატარა გოგო“ მიუსხდნენ მაგიდას, ჯეგემაც დაიკავა თავისი ადგილი.

„რუხი“ უყურებს ჯეგეს აღმაცერად.

- ანუ დაფანტავ იმ ფულს რაც გაქვს და მერე ჩვენთან ერთად მოიპარავ კიდეც, შიზიკ?

- არ ვიცი, ვნახოთ, - გულუბრყვილო ღიმილით უპასუხა ჯეგემ.

- ქურდობისათვის ციხეში რომ სვამენ ეგ იცი, ჯეგე, არა? - დამცინავად უთხრა „რუხმა“.

ჯეგეს პასუხი არ გაუცია.

- ციხეზე თუ გსმენია რამე? - ჩააცვიდა ღიმა, - ციხეში ნამყოფი ჯერ ვერ იქნები, ისე რამდენი წლის ხარ?

- თხუთმეტის, - უპასუხა ხალდანმა.

- ოჰ, ჩემზე სულ სამი წლით ყოფილხარ უფროსი, მე კი ვიფიქრე სადღაც ჩვიდმეტის მაინც იქნებოდი, ნამეტანი ჯანიანი ხარ და დიდის შეხედულებაც გაქვს, თურმე თითქმის ჩემი ასაკის ყოფილხარ.

ჯეგე დუმს და უსმენს, დროც გადის.

- ციხეზე ბევრი არაფერი მსმენია, არავის უპატრონო ბავშვთა სახლში ნამყოფი ვარ. ისევ იქ რომ არ მოვხვედრილიყავი, გამოვიქეცი.

„რუხი“ უყურებს ჯეგეს და მრავალმნიშვნელოვნად ეღიმიება.

- კაი ტიპი კი ხარ, ჯეგე, მაგრამ მართლა შიზიკი ხარ.

- ალბათ, - წყენის გარეშე პასუხობს ჯეგე.

- მოგვიყვივი შენზე რაიმე, ჯეგე, - ამოიღვა ენა „პატარა გოგომ“.

– ძია კაცო, ჩვენი ხინკალი მალე იქნება? – გასძახა პასუხის გაცემისაგან თავის ასარიდებლად ჯეგემ მზარეულს.

– ჩაყრილია უკვე, – მიუგო დახლიდან კაცმა.

– ძალიან მშობია, თქვენ არა? – ჰკითხა მეგობრებს ჯეგემ.

– მაგ გრძნობასთან, შენგან განსხვავებით, შერჩეულები ვართ, ჯეგე, – უპასუხა „რუხმა“.

ბავშვებისადმი კეთილგანწყობილმა მზარეულმა სამი ლუდი მოიტანა და მაგიდაზე დააწყო, მოიტანა აგრეთვე თეფშები, შავი პილპილი და ხელსახოცები.

– 5 წუთი და ხინკალიც იქნება, – თქვა მზარეულმა.

ჯეგეს მოუთმენლობა ეტყობა, „რუხი“ და „პატარა გოგო“ კი მშვიდად ელოდებიან.

მზარეულმა მოიტანა შეკვეთილი 50 ხინკალი, ლანგარს ოხშივარი და ხორცის სუნი ასდის. „რუხი“ ეჭვით უყურებს ამ გაუგებარ საკვებს.

– და ეს როგორ უნდა ვჭამო?

– ხელით, აი, ასე, თუ გინდა, შავი წინაკაც მოაყარე ზემოდან, – დაიჭირა ჯეგემ ცხელი ხინკალი ორივე ხელით, – როცა ჩაკბიჩავ, სცადე წვენი არ დაგელვაროს თეფშზე, წვენი ძალიან გემრიელია და ჭიპი, ანუ ხინკლის კუდი, არ უნდა ჭამო. ოჰო, ცხელია.

შეუდგა ჯეგე მაგალითის მიცემით ხინკლის მირთმევას. მიჰბაძეს „რუხმა“ და „პატარა გოგომ“. შეექცევიან ხინკალს რესტორან „ქართულ სამზარეულოში“ სამნი და, მათ გარდა, იქ არავინ არის. მიაძღნენ გემოზე, გაავლეს მუსრი. გაბეყილები, კმაყოფილები წრუპავენ ლუდს. ათიოდე ხინკალი კიდევ დარჩა თასზე.

– ჯეგე, გინდა ციხის ამბებს მოგიყვები, – ეუბნება „რუხი“.

– მიდი, აბა, გამაოცე.

– ბიძაჩემი, – დაიწყო თხრობა დიმაძე, – ზონაზეა და კი მითხრა, როდესაც აქედან გამოვალ, ჩემთან წაგიყვანო, მაგრამ ეგ იმისთანაა, ისევ დაიჭერენ და ისევ ქუჩაში ამოვყოფ თავს. ეე, ჯეგე, კანონიერ ქურდებზე თუ გსმენია რამე, ააა?

– არა.

- აი, მე კი ვიცი, რომ ერთ ტიპს ციხეში ხელი მოაჭრეს ქურდებისადმი უპატივცემულობის გამო. - „რუხმა“ ჯეგეს გამომცდელი თვალით შეხედა. ჯეგეს სახიდან ფერი დაეკარგა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მათთან არც იყო და ველარც ხედავდა.

- ეე, შიზიკ, რა მოგივიდა? - შემფოთებით ჰკითხა „რუხმა“.

- გამახსენდა რალაც.

- რა?

- მამაჩემის საფლავი არც ვიცოდით მე და დედაჩემმა, სად იყო, აფთარმა ამოთხარა გვამი და ხელი მოაგლიჯა, მოარბენინებდა შუა ქუჩაში აფთარი მამაჩემის მკლავს, ასე გავიგეთ, რომ მამაჩემი დაუხვრეტიათ.

„რუხი“ დაიბნა და ჩუმად გააგრძელა ლუდის წრუპვა. ჯეგე ნელ-ნელა გონს მოეგო.

- რაო, ციხეზე რას ამბობდი? - იკითხა ჯეგემ.

- ციხეში მოხვედრა ჯოჯოხეთში მოხვედრაზე უარესია, თუ არსებობს ისიც.

- ჰო, ალბათ, - უაზროდ დაეთანხმა ჯეგე.

- ქუჩაში ყოფნას აჯობებს ისევე ბავშვთა თავშესაფარში დავბრუნდე. თან ეს იდიოტიც მართლა თუ ბიძამისმა წაიყვანა, მირჩევნია მაგოგის უპატრონო ბავშვთა სახლში ვიყო, ვიდრე მართო ქუჩაში, ამის გარეშე ვერაფრით გავიტან თავს. - თქვა „პატარა გოგომ“.

- კი ელოდები შენი ნათესავების გამოჩენას, მაგრამ მიგიღებენ კი?! მოლალატის შვილები სანათესაოშიც არ უყვართ.

ჯეგემ გაკვირვებით შეხედა.

- მივხვდი, მამა დაგიხვრიტეს, როგორც მოლალატე, მწერალი ხომ არ იყო შემთხვევით? - ჰკითხა „რუხმა“.

- კი.

- გასაგებია.

- მაგოგის ქვეყანაში სიმართლის მთქმელებს კლავენ, თუ სხვაგვარად ვერ ერევიან. აი, ციხეში კი სულ სხვა „პალაჟენიაა“, იქ ქურდები აკონტროლებენ ყველაფერს, მათ პატივს სცემენ, განსაკუთრებით თუ ნაღდი ქურდია და ჯიბგირობიდან მოდის,

გადის ეტაპებს და მოკლედ, მთელი ამბავია, აი, რომ გავიზრდები, კანონიერი ქურდი გავხდები და ყველას ჩემი პატივისცემა და შიში ექნება.

– ქურდი და კანონიერი, ეგ რა არის? – ინტერესით იკითხა ჯეგემ.

„რუხს“ თავშეუკავებელი სიცილი წასკდა, ძლივს მოიბრუნა სული.

– რა ვთქვი ამისთანა?

– არაფერი.

– ეე, ჯეგე, შენ რომ მოგაბარონ ციხე, წესრიგს როგორ დაამყარებდი? – შაყირით ჰკითხა „რუხმა“.

ჯეგე სერიოზულად ჩაფიქრდა.

– პირველ რიგში, ცალ-ცალკე კამერებში ჩავსვამდი, ერთმანეთს რომ არ დაუშავონ რამე.

– მერე? – ლადაობს „რუხი“ და დიდი ინტერესით უგდებს ყურს მეგობარს.

– თითო საკანში შევეშვებდი ფარშევანგს, თუ არ დააზიანებდნენ, ალბათ მერე შეიძლება თანასაკნელის შეშვებაც.

– სხვა გამოსავალი ვერ ნახე?! რა ფარშევანგი, შე შიგნაკრავო?! – სიცილის მულამი დაეკარგა „რუხს“, – ჯერ ერთი, ლამის მთელი მაგოგის ქვეყანა ციხეშია, ერთ საკანში 50 ადამიანიც კი შეიძლება იყოს, ან მაგხელა ციხეს რა ააშენებს, თითო კაცი თითო კამერაში რომ იყოს და მერე მაგოგის ქვეყანაში მაგდენი ფარშევანგი არ არის და მგონი მთელ მსოფლიოშიც.

– რა ვიცი, მე ასე შევამონმებდი, ადამიანი სასტიკია თუ არა, აი, მაგალითად, თუ ფარშევანგს კუდი მოაგლიჯა, ის ადამიანისთვისაც შესაძლოა საშიში იყოს.

– შენ უფრო დარტყმული ყოფილხარ, ვიდრე მეგონა, – დაადგინა „რუხმა“, ლუდის სმისას უცებ ისტერიული სიცილი აუვარდა.

– არა, კაი სცენა კი იქნება, რომელიღაც პრისტუპნიკი ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებს საკანში მარტო და მის ირგვლივ ფარშევანგი დასეირნობს.

„პატარა გოგოსაც“ აუვარდა კისკისი, იხოცებიან, იგუდებიან სიცილისაგან, აროხროხდა მზარეულიც, რომელმაც ყური მოჰკრა ბავშვების საუბარს.

– ფა, ფა, ფარშევანგი!

ხარხარებს „რუხი“ ჩაბჭირებამდე. გულიანად, ცრემლებამდე იცინა.

– კაი ტიპი კი ხარ, ჯეგე, მაგრამ არანორმალური ხარ, ჯი-გარო! – თქვა „რუხმა“ და აწყლიანებული თვალები სვიტერის სახელოთი მოინმინდა.

ჯეგემ კი გაუღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– ისე სწორად კი მოიფიქრე, ჯეგე, თანასაკნელი გვერდით არ უნდა ჰყავდეს, – აგრძელებს ხარხარს „რუხი“, – რომ ვერავის ჰკითხოს, ეჩვენება თუ არა.

– უბრალოდ, ფარშევანგი ძალიან ლამაზია და არ უნდა მოგინდეს მისი დაზიანება, – ჩაიდუღლუნა ჯეგემ.

– მართალი ხარ, ჯეგე, უდავოდ. – ცრემლებს ინმენდს „რუხი“ და ისე ეთანხმება მეგობარს.

სამეულმა რესტორანში მოლხენის შემდეგ ისევ სადგურზე გადაინაცვლა. შებინდდა, მეგობრები მშვიდად ისხდნენ ლურჯ სკამებზე, ლაზღანდარობდნენ. ჯეგე გამოეთიშა მათ საუბარს, მოულოდნელად თვალი გაუშტერდა და წამოიწყო.

– ახლა რასაც გეტყვი, არ დამიჯერებ. მოგაკითხავს ღამე ბიძაშენი, – ჯეგეს თვალები გაუწითლდა, აენვა და ცრემლები წამოსცივიდა.

„რუხი“ შეფიქრიანდა, „პატარა გოგო“ შეშფოთდა, თუმცა ორივე ჩუმად უყურებდა ჯეგეს და მის გამოდარებას ელოდა.

– მოყოლა რთულია, პირველად დედაჩემზე ვნახე, თუ როგორ გამოიჭრიდა ყელს, რამდენიმე წუთით ადრე, მერე ზუსტად ისე მოხდა, როგორც გონებაში ვნახე. დედაჩემი თვითონ დავმარხე და დავიფიცე, რომ მის გამამწარებელზე შურს ვიძიებდი, ამიტომაც გამოვიქეცი არავიდან, ვიფიქრე, აქ დამჭირველები ვერ მომაგნებენ-მეთქი.

„რუხი“ და „პატარა გოგო“ უსმენდნენ. ჯეგე თავის ამბავს ყვებოდა, ცრემლები მოსდიოდა და ვერ ხვდებოდა რომ უხმოდ

ტიროდა, სიტყვა სიტყვას მიჰყვებოდა, „რუხი“ კი ყოველი ნათქვამის სიმართლეში რწმუნდებოდა თანდათან.

– მეორედ, მატარებლით მგზავრობისას, ორი კაცი დამემგზავრა, გონებაში ვნახე, ღამე როგორ დაკრძალავდნენ. ჩამაცივდნენ, რა ნახეო და ვუთხარი.

– რაო?

– რა?

– ღამე დაკრძალვა კანონიერ ქურდობას ნიშნავს, თან ქურდად რომ დაკრძალეს, იმას. – განუმარტა „რუხმა“. – ჯეგე, მომისმინე, ეს რაღაც, რაც გჭირს, გაიხსენე, აბა, ვისთან გაქვს ნათქვამი?! – ჰკითხა დამფრთხალი ტონით.

– იმ ორს ვუთხარი ჩემი ამბავი, არც იმათ დამიჯერეს და ალბათ არც შენ გჯერა, – ყველაფერზე ხელჩაქნეულის ტონით უპასუხა ხალდანმა.

– შე შტერო, ისინი რომ დაგიჯერებდნენ, უდავოა და მეც მჯერა, მაგრამ ეგ შენი გადამეტებული გულახდილობა დაგლუპავს, ერთხელაც იქნება.

ჯეგემ გაკვირვებით გახედა ალელვებულ „რუხს“.

– მე რა მომივა? – იკითხა „პატარა გოგომ“.

– ეს ასე არ ხდება, არც ვიცი, როგორ ხდება, დამწყველა ღმერთმა ალბათ.

– ღმერთი არ განარისხო, – ნაიჩურჩულა გოგონამ, – ამას თუ ბიძამისმა მართლა ხვალ მოაკითხა, ეგრევე ჰელეთის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში დავბრუნდები.

– კიდევ რა ნახე ჩემზე? – ჰკითხა ეჭვით „რუხმა“.

– ერთი ის ვიცი, რომ „რუხს“ ჩემ გარდა სხვებიც დაგიძახებენ.

– კანონიერი ქურდი გავხდები?

– კი.

– ჩემი სიკვდილი ნახე?

– არა. – წრფელი და მართალი თვალებით შეხედა ჯეგემ მეგობარს თვალბში.

– ხვალ დაშორება თუ მართლა მოგვინევს, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, შიზიკ, სიკეთე ჩემთან არ დაგეკარგება, აუცილ-

ბლად შეეხვედებით ისევ და ძმაკაცურად ჩემი ერთი რჩევა გაითვალისწინე, შენი უნარის ამბავი ყველგან არ წამოაყრანტალო, ყოველ მეორეს პირში ნუ მიახლი, რა ელოდება.

– ვეცდები, – მშრალად მიუგო ჯეგემ.

– სიცოცხლის ბოლომდე მეგობრად მიგულე, ჯეგე, – დაასრულა თავისი სათქმელი „რუხმა“.

– შენ რას იზამ? – ჰკითხა გოგონამ ჯეგეს.

– რესტორან „ქართული სამზარეულოს“ მფლობელი ჩემი ნათესავი, შავყან ხალდანი ყოფილა, არ ვიცი, მიმიღებს თუ არა, მაგრამ მივალ და ვთხოვ, თავისთან სამუშაოდ ამიყვანოს რამედ, რისი გაკეთებაც შემიძლია, იქნებ შემიკედლოს.

– მიგიღებს, – უთხრა „რუხმა“.

ჯეგეს ცრემლები შეაშრა სახეზე.

– რალაცას ვყვებოდი და არ მახსოვს, რა ვთქვი? – ჰკითხა გონს მოსულმა ჯეგემ მეგობრებს.

– ყველაფერი კარგად იქნება, მეგობარო! – უთხრა გადაჭრით „რუხმა“, – რომც მომაკითხოს ხვალ იდიოტმა ბიძაჩემმა პეტრემ და წამიყვანოს ქალაქ გაგაში.

ჯეგეს მოაგონდა თავისი ნათქვამი სიტყვები ბუნდოვნად და გულის სიღრმეში ინანა, რომ თავისი საიდუმლო გაანდო ბავშვებს.

მოსალამოვდა. ლაპარაკის სურვილი სამივეს დაეკარგა, ჩუმად ისხდნენ, მოლუშულები, უპატრონონი, უყურებდნენ ერთმანეთს მუნჯურად. მძიმე დუმილში დაალამდათ თავზე, „რუხი“ და „პატარა გოგო“ გადაბრუნდნენ ჰელეთის რკინიგზის სადგურის მოსაცდელის ლურჯი სკამების საზურგეებისაკენ და ემოციურად გადაღლილები მიეცნენ ძილს.

ჯეგე კი მეგობრების მსგავსად არც გაგორებულა სკამებზე და არც დაძინება უცდია. ელოდა ჩასაფრებულებით, თავის გონებაში ამჯერად ნანახის რეალურობაში დარწმუნება უნდოდა. დიდხანს არ მოუწია ლოდინი. ორიოდ საათში მიჩუმებულ ჰელეთის სადგურში, ჯეგეს შორიახლოს, უცხო სილუეტი გამოჩნდა, რომელმაც სკამებზე მძინარე ბავშვებს მოჰკრა თუ არა თვალი, მათკენ გამოემართა.

„რუხის“ ბიძა“, – გაივლო ჯეგემ გუნებაში.

მაღალი, სუსტი, მხრებში კითხვის ნიშანივით მოხრილი ლანდი მათკენ მოდიოდა. თავს წამოადგა მომლოდინე ჯეგეს.

– ბიჭუნა, დიმიტრის ხომ არ იცნობ, დიმასაც ეძახიან, – იკითხა მოსულმა ხმადაბლა.

– იგივე „რუხი“, – ჩაიბურტყუნა ჯეგემ, – თქვენ ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა მერე და ბრაზით ახედა ციხიდან ახალ გამოსულს, რომელიც მისთვის მეგობრის წასართმევად ეახლა ამ დანყევლილ ჰელეთის სადგურს.

– პეტრე მქვია, ბიძამისი ვარ, – აუღელვებლად უპასუხა კაცმა მშფოთვარე სვანს.

– „რუხო“, ოე, „რუხო“! – დასძახა მძინარეს ჯეგემ.

ახლადრჩინებული „რუხი“ ზღაზვნით გადმობრუნდა ჯეგესკენ.

– რა იყო, კიდე ყიყლიყო? – ნამძინარევი და ფრიალ უკმაყოფილო ხმით იკითხა მან.

– ბიძამ მოგაკითხა! – ზედმეტად გამოკვეთილად და გულისწყვეტით აღმოხდა ხალდანს ეს ორი სიტყვა.

– რაო? – „რუხი“ წამოჯდა, თვალები ფართოდ გაახილა და მოსულს ახედა. – ასე მალე არ გელოდი, ბიძია, – უპასუხა მერე ნალელიანად.

– ახლავე უნდა წავიდეთ, დიმა, წამოიღე, თუ რაიმე ნივთი გაქვს, მანქანა გველოდება, – რბილად, მაგრამ ნაჩქარევად მიუგო ბიძამისმა.

– დიმა არა, „რუხი“ მქვია ანი, – წაიბუზღუნა თვალებანითლებულმა, დაბოლმილმა ბიჭუნამ.

– მამ „რუხი“, – გაეცინა ბიძამისს, – კაი, „რუხო“, დაემშვიდობე შენს მეგობრებს და მე აგერ იქ, იმ მაღაზიის უკან დაგელოდები, – ხელით ანიშნა კაცმა კუთხის მაღაზიაზე, რომლის აბრაც ელექტრონათურებით იყო განათებული.

– კარგი, – მორჩილად უპასუხა ბიჭმა.

კითხვის ნიშნის მსგავსი სილუეტი, კუთხის მაღაზიას გასცდა და გაუჩინარდა.

ამასობაში გოგონამაც გამოიღვიძა, ფეხები სკამზე შემოაწყო, ხელები თავის მუხლებს შემოაჭდო მღუშარედ.

- უნდა ნავიდე, - თქვა „რუხმა“. ჯერ გოგონას ესროლა მზერა დამნაშავესავით, მერე ჯეგეს შეხედა გაოგნებული სახით.

- ნადი შენი! - ველარ შეიკავა ცრემლები გოგონამ, ისე უთხრა „რუხს“.

- ჯეგე, ღამე რომ მოვიდოდა ბიძაჩემი, ისიც იცოდი და ელოდი? - ვერ დაფარა გაოცება „რუხმა“.

- კი.

რუხი დგას ფეხზე, გულმოსული ყველაფერზე, მის მარცხნივ „პატარა გოგო“ მასთან განშორებას ვერ ეგუება, მის პირისპირ კი ჯეგე ზის დაღონებული.

- მიდი, „რუხო“, გელოდებიან, - უთხრა ჯეგემ.

- ეგ ვილაც მერესტორნე მიგიღებს? - ადგილიდან ვერ იძვრის „რუხი“ და გამომშვიდობების ნაცვლად, უაზროდ სვამს კითხვებს.

- სიცოცხლის ბოლომდე მეგობრად მიგულე და თუ რაიმე გაგიჭირდა, მომწერე მაგ რესტორნის მისამართზე, - დაღლილი ხმით უპასუხა ჯეგემ.

ბავშვებისათვის ერთმანეთთან დაშორება უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინათ.

- აუ, ასე არ შემიძლია, - თქვა „რუხმა“, მკლავზე მოჰკიდა მოსლუკუნე გოგონას ხელი და სკამიდან წამოაგდო, - ადე, ჰელეთის უპატრონო ბავშვთა სახლი მაინც გზაზეა და მიგიყვან. აქ მარტო ხომ არ დაგტოვებ.

„პატარა გოგო“ დაჰყვა.

- კიდევე შევხვდებით, მეგობარო, - უთხრა ჯეგემ.

- აბა, შეხვედრამდე მაშინ. - უპასუხა რუხმა.

„პატარა გოგოსა“ და „რუხის“ სილუეტები კითხვის ნიშნის მსგავსი მამაკაცის ლანდს გაჰყვნენ და მალევე მიიმაღლნენ კუთხის მაღაზიის მიღმა. გაქრა ჯეგე ხალდანის ორი პატარა მეგობარი. ჯეგემ საათს ახედა. დილის 6 საათი ხდებოდა უკვე, ასე იუნყებოდა ფოსფორისფერი ისრები და ვეება მრგვალი საათის მანათობელი ციფრები.

დედის გველი

დადგა მორიგი ოთხშაბათი არავში და დოქსოპულოვს შავი დღე გაუთენდა. დამჭირველი, რომელიც ია ხალდანის სახლში პროდუქტის მისატანად და ასევე ყოფილი პატიმრის მეუღლის სრულად გასაკონტროლებლად რეგულარულად დადიოდა სწორედ ბრანძის ბრძანებით, ამ ოთხშაბათს ეახლა თავის უფროსს და მოახსენა, აღარც ია ხალდანია იმ სახლში და აღარც მისი ჯეგეო. როგორ უნდა გაეხედა დოქსოპულოვს, მსგავსი ამბავი შეეტყობინებინა თავისი უფროსისათვის, აქამდე არ ყოფილა დავალება, რომ დოქსოპულოს, როგორც მას ვარლამი ეძახდა, უმაღლეს დონეზე არ შეესრულებინა. ახლა კი ერთი დედაკაცი, რომელსაც თვით ვარლამ არავიძე უწევდა მფარველობას, უქმნიდა პრობლემას. ყოველივე, რაც აქამდე გაეკეთებინა, წყალში ეყრებოდა „ერთი პატიმრის ცოლყოფილისათვის ვერ მიგიხედია, რა სამარცხვინოა“, ფიქრობდა თავისთვის ბრანძი, ია ხალდანის წყალობით ანი უნდა გამოთხოვებოდა სამსახურს, დაეკარგა უფროსის ნდობა, არადა ვისი და რისი გულისათვის. ბევრი არ უფიქრია ბრანძის, თავის დამჭირველებთან ერთად ია ხალდანის სახლის გასაჩხრეკად გაემართა, მიუხედავად იმისა, რომ 31 დეკემბერი იდგა და ყველა ახალ წელს ელოდა.

ხალდანების მიტოვებული სახლი თოვლში იყო ჩაფლული. ქათქათებდა არემარე, თოვლი მუხლამდე იდო, დაადო თავი დოქსოპულოვმა ია ხალდანის სახლისაკენ. პირველმა ბრანძიმ გაკვალა დათოვლილი გზა, მიჰყვნენ მას უკან დამჭირველები. შევიდა თუ არა დოქსოპულო ხის სახლში, ეგრევე შეუდგა საგულდაგულო თვალიერებას, ეგებ რაიმე ეპოვა, რაც მას სამსახურსაც შეუნარჩუნებდა და ვარლამის ნდობასაც. ოთახში ფანჯრებიდან

მკვეთრი სინათლე შემოდის. დოქსოპულომ თვალი მოჰკრა იატაკზე შავ ლაქას და გამარჯვებულის სახით მიუახლოვდა. „სისხლის ლაქაა, რა მნიშვნელობა აქვს, ვისია, მგონი, მეშველა“, – გაიფიქრა ბრანძიმ.

– საქმე მკვლელობასთან გვექონია, – ხის იატაკს ემჩნეოდა ჩაშავებული სისხლის კვალი, სისხლის მიმხმარი წვეთები იყო ყველგან, სარკეზეც კი.

– სახლი გულდასმითაა გასაჩხრეკი. – ბრანძისათვის კი ნათელი იყო, თუ ეს ია ხალდანის სისხლია და მკვდარია პატიმრის ქვრივი, იგი უსათუოდ თავს მოიკლავდა და მისი ვაჟი კი გაიქცეოდა სახლიდან, სავარაუდოდ თვითმკვლელობა მოხდა და ჯეგე აქ არაფერ შუაში იყო. ეს ვერსია ტრიალებდა დამჭირველის ვინრო შუბლში. ყოველგვარი სხვა ახსნა, თუ ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს სისხლი, ბრანძის არ ჰქონია, ვინაიდან ვარლამის მფარველობის ქვეშ მყოფს ვერა სულიერი ვერ გაუბედავდა დაყაჩაღებას, ამ სახლში ვერავინ შეძლებდა შემოჭრას, საერთოდ, მოსვლასაც კი, თუმცა მაინც შესაძლოა სიმართლე სულ სხვაგვარი იყო, ეს სისხლი საერთოდ არ ეკუთვნოდა იას, მიუხედავად ეჭვებისა, ბრანძისათვის სიმართლეს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დოქსოპულომ უკვე იცოდა, ვარლამისათვის რა და როგორ ეთქვა.

– აი, ნახეთ, უფროსო, – ფიქრი გაანწყვეტინა ბრანძის ოპერატიული მუშაკის ხმამ, დამჭირველმა პინკითა და ზიზლით ჯეგეს სისხლიანი ტანისამოსი ანია და ბრანძის გაუნოდა.

ბრანძიმ სიხარული ძლივს დამალა.

– სავარაუდოდ ია ხალდანი მოკლულია მისივე ვაჟის მიერ და თუ ასეა, ცხედარიც აქვე, ეზოში იქნება დამალული, – დაასკვნა დოქსოპულოვმა, – შეაგროვეთ ყოველი ნივთმტკიცება, გვამის ძებნას, თოვლი რომ აიღებს, მერე შევუდგებით, – თქვა და მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. გადაშალა თავისი გაცრეცილი ბლოკნოტი და რაღაც საგულდაგულოდ ჩაინერა. ბრანძი დოქსოპულოვს ახალი თავსატეხი გაუჩნდა, თავად ეთქვა უფროსისათვის ხალდანების სახლში მომხდარის თავისებური „სიმართლე“ თუ დალოდებოდა, ვარლამი როდის მოიკითხავდა თავის იას.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მაინც მოცდა არჩია. ახალი წლებია ახლა, ცუდი ამბით რატომ უნდა გავუფუჭო გუნება-განწყობაო, გადანყვიტა დოქსოპულომ და დამშვიდდა. გავიდა სულ რაღაც ერთი კვირა და 8 იანვარს ვარლამმა დაიბარა დოქსოპულოვი თავის კაბინეტში.

– აბა რას მეტყვი ახალს, დოქსოპულო, რა ხდება კარგი და საინტერესო ხალდანების სახლში, ჯერ ამით დავინყოთ, – უთხრა ვარლამმა.

– არც კი ვიცი, როგორ გითხრათ, უპირველესო, კარგი კი არაფერი, მაგრამ საინტერესო რამ კი ნამდვილად მომხდარა მაგ სახლში. – მიუგო ოდნავი მერყეობით უფროსმა დამჭირველმა.

– და რა არის ეგ ახალი და საინტერესო? – ცნობისნადილი გამოეხატა ვარლამს სახეზე, რომელიც უკვე მერამდენე წელია მოთმინებით ელოდა, ია როდის უხმობდა მას მობოდიშებებითა და მადლიერებით თავისთან, მიიღებდა მას ბოლოს და ბოლოს, როგორც საყვარელს, ისე.

– ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს, ჯეგეს სისხლიანი ტანი-სამოსის ჩათვლით, რომ... – დოქსოპულო გაიტრუნა, დაელოდა უფროსის დასტურსა და ნებართვას, რათა საუბარი გაეგრძელებინა. ვარლამმა წარბები გაოცებით ანია და სახის გამომეტყველებითვე მიანიშნა, განაგრძეო. – ია ხალდანი მოკლულია მისივე ვაჟის მიერ, ხოლო ყოფილი პატიმრის მეუღლის ცხედარი სავარაუდოდ დასაფლავებულია ხალდანებისსავე ეზოში, მართალია, ეგ ამბავი ერთი კვირის წინ ვიცოდი, უბრალოდ ახალ წლებზე თქვენთვის ცუდი ამბის მოხსენება არ ჩავთვალე საჭიროდ.

ვარლამი მალევე მოეგო გონს, ყველაფერს ელოდა და მსგავსი ამბის მოსმენას კი ვერაფრით წარმოიდგენდა. „ეს როგორ გამიბედა“ – პირველი იყო, რაც გაივლო იაზე ვარლამ არავიძემ გულში. მისთვის ცხადი იყო, რომ იამ თავი მოიკლა, შვილი კი უბრალოდ დაკრძალავდა მას, ისიც გასაგები იყო, რომ ამას ბრანდი დოქსოპულოვიც კი მიხვდებოდა. ვარლამს ფრიად მოენონა მისი ერთგული დოქსოპულოვის „სიმართლე“.

– ცხედარი საპოვნელია ჯერ, თუმცა ჯეგე ხალდანზე ახლავე უნდა გამოცხადდეს საყოველთაო ძებნა, ეგ დედისმკვლელი!

- არის, უპირველესო, შესრულებულია უკვე. რაც შეეხება ია ხალდანის ცხედარს, თოვლის აღებას ველოდებით მხოლოდ და ეჭვგარეშეა, რომ ხალდანების ეზოში იქნება დამარხული.

- ჯეგეს როდესაც იპოვით, მე მომგვარეთ, ცოცხალი მჭირდება, გასაგებია, დოქსოპულო?

- შესრულებული იქნება, უპირველესო, თუ, რა თქმა უნდა, ცოცხალს მივაგენით, - თქვა ბრანძიმ.

არავში ზამთარმა გააჭიანურა, გაუსაძლისი ყინვები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მარტის თვემდე არ აიღო თოვლმა, გვიან გაზაფხულზე, როგორც იქნა, გაიკვირტა ია ხალდანის ეზოში ატმის ხე. დამჭირველებმა ატმის ძირას ნაპოვნი ხის სპილოსა და სპლიყვის ფიგურა საეჭვოდ მიიჩნიეს, თანაც ბარი იქვე, ხის ტანის სიახლოვეს, იყო ჩასობილი, ბორცვიანი მინაც ზედმეტად თვალშისაცემად მიიჩნიეს. დამჭირველებმა სწორედ ატამთან დაიწყეს მინის გათხრა და ია ხალდანის უკვე მინისაგან შეჭმულ და დაფლეთილ ზენარში გახვეული ცხედარი იპოვეს. სასწრაფოდ გადაასვენეს მორგში. კმაყოფილი დოქსოპულო ვარლამს ეახლა ექსპერტის დასკვნით. მშვენივრად იცოდა დოქსოპულოვმა, თუ რა დიდი მოუთმენლობით ელოდა ვარლამი ამ დასკვნას. ბრანძი შევიდა თუ არა უფროსთან, ეგრევე მოახსენა:

- ია ხალდანი ბასრი იარაღით არის მოკლული, მას ყელი აქვს გამოლადრული, გენერალურო, - თქვა დოქსოპულომ.

ვარლამმა დასკვნას დახედა, ჩაურბინა ტექსტს გაფაციცებული თვალებით, მერე კი უკმაყოფილო მზერა ესროლა თავის მონა-მორჩილს.

- განა ყველა ბასრი დანა და ყოველგვარი იარაღი არ ამოიღეთ ხალდანების სახლიდან, ხომ შეიძლებოდა ჩემი სიცოცხლე აღმოჩენილიყო საფრთხის ქვეშ, მსგავსი უზუსტობა შენ როგორ გაგეპარა, დოქსოპულო?

- გარნმუნებთ, სახლში არავითარი იარაღი აღარ იყო, უპირველესო, ერთი პატარა შავტარიანი დანა ჰქონდა ჯეგეს, რომლითაც ხეზე ჩორკნიდა რალაცებს, რას ვიფიქრებდი, თუ სწორედ ეს დანა გახდებოდა მკვლელობის იარაღი, - მიუგო დამნაშავედ დოქსოპულომ.

- და რა იცი, რომ სწორედ მაგ დანით მოხდა დანაშაული?

დოქსოპულომ თავის მოძრაობით და ოდნავ სხეულის წინ გადაზნექვით მიუთითა უფროსს, დასკვნა ყურადღებით ჩაეკითხა, ვარლამმა დასკვნას ისევ დახედა და თვალში ერთი ფრაზა მოხვდა - „მიცვალებულის კანზე, მის სასიკვდილო ჭრილობაზე ნაპოვნია ხის მტვერი და ნამცეცები“.

- ეგ დედისმკვლელი! - აღმოხდა ვარლამს.

- რას მიბრძანებთ, უპირველესო?

- მიპოვეთ ეგ ჯეგე, დაუყონებლივ!

- არის უფროსო.

- ყოფილი პატიმრის მეუღლის ცხედარს რა ვუყოთ.

- დაკრძალეთ მის ეზოში ისევ. „ცოცხალმა რახან უარმყავი, ანი მკვდარიც კი უპატრონოდ იქნები არავში, ია, - გაივლო გუნებაში ვარლამმა, - ეს როგორ გამიბედა დედაკაცმა?“ ამ ოდესღაც სანატრელი ქალის გამო გული ღვარძლით აევსო ვარლამ არავიძეს. „ეს როგორ გამიბედა?“ - ეკითხებოდა თავის თავს აფთარი.

- შესრულებული იქნება, გენერალურო. - უთხრა მონური მორჩილებით დოქსოპულოვმა და მისი კაბინეტი დატოვა.

დოქსოპულო თავისი დამჭირველებით არა მარტო ახლო-მახლო ქალაქებსა და სადგურებს მოედო ჯეგე ხალდანის ძებნით, არამედ არავის ტყეებსაც, ამ საქციელს დოქსოპულო თავის უფროსს ამგვარად უხსნიდა, დედის მკვლელისათვის რთულია სიცოცხლის გაგრძელება, იქნებ თავიც კი ჩამოიხრჩო და ცოცხლებში აღარც კი წერია, თორემ ჩემი ბიჭები აქამდე იპოვიდნენო.

ვარლამმაც და ბრანდიმაც მშვენივრად იცოდნენ, ჯეგე უდანაშაულო რომ იყო, მაგრამ ვარლამ არავიძეს ეს ვერსია ანყობდა და ამიტომაც მხოლოდ ეს იყო სიმართლე და სხვა არაფერი.

უბედურ დღესა და უიღბლო ვარსკვლავზე გაჩენილთა შორის იყო ვახო ილორიძე, მისი ოჯახი 11 დედმამიშვილისაგან შედგებოდა, დედ-მამასთან გამუდმებული ჩხუბი ჰქონდა ვახოს, ოჯახში ენით აუნერელი სიდუხჭირე და ლუკმაპურის გასაჭირი იყო მუდამ. ვახო ილორიძეების ოჯახში პირველი შვილი გახლდათ, მას ბავშვობიდანვე მოლანდებები აწუხებდა, რის გამოც დედ-მა-

მისა და და-ძმების მასხრად აგდების მიზეზიც ხშირად გამხდარა. ერთ დღესაც თოთხმეტოდე წლის ვახო მამასთან ჩხუბის მერე სახლიდან წასვლას ეცადა.

- იცოდე, ვახო, თუ ჩემი სახლიდან ფეხს გაადგამ, ველარა-სოდეს მობრუნდები ამ ოჯახში, - ესმოდა მამის ყვირილი ვახოს, რომელიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა თავისიანებისაგან რაც შეიძლება შორს.

ვახო ტანადი, მხარბეჭიანი და ძვალმსხვილი ჭაბუკი გახლდათ, მუშად მუშაობდა ძირითადად, ზოგან მბარავი ესაჭიროებოდათ, ზოგან კი ნახირში წამსვლელი მეხრე, ასე გადიოდა დრო ვახოსათვის, ბოლო პერიოდში მან ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა თავი და რალაც ხანი იქ დაჰყო, მერე კი ისევ განაგრძო თავისი მომთაბარე ცხოვრება, მიდიოდა სხვადასხვა ადგილას, არც ერთ სამუშაოს არ თაკილობდა და ამით შოულობდა ლუკმაპურს. ერთი ნაკლი ჰქონდა ვახოს. მას ხმები ჩაესმოდა და ხშირად ელანდებოდა ხოლმე რალაცები, რომელთაც თავად ხილვებს ეძახდა. ძირითადად გონებაში ჩანაძახებ ხმას მთელი გულისყურით უსმენდა და ემორჩილებოდა. სახლიდან წასვლის მერე იდუმალი ხმის ძახილი უფრო გახშირდა კიდევ. მუდამ ესაუბრებოდა მის უჩინარ მფარველსა თუ მეგობარს, რომელიც, ვინ იცის, იქნებ სწორედ მისი მარტოსულობის გამო გაჩნდა ახალგაზრდა კაცის გონებაში. ერთი წელიწადი გასულიყო თითქმის მას მერე, რაც ოჯახიდან სიდუხჭირეს, გულგრილობასა და დაცინვას გამოექცა. რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა ჭაბუკი, რომ არავის სჭირდებოდა ამ ქვეყანაზე, თავად მასაც არც არაფერი და ვერც ვერავინ აკავებდა აქ, ვახო ილორიძეს გულშემატკივარი და მანუგეშებელი არავინ ჰყავდა მაგოგის ქვეყანაში და არც ვალდებულებები არ გააჩნდა ვინმეს წინაშე, სრულიად თავისუფალი იყო.

ერთ დღესაც იგი საგულდაგულოდ მოემზადა, იყიდა თოკი, შეარჩია არავის ტყის ერთი მიუვალი ადგილი, აძვრა ხეზე, მიაბა ერთ ღონიერ ტოტზე დაგრეხილი თოკი, რამდენჯერმე გადანასკვა, ყულფი გასინჯა, გაუძლებდა თუ არა მის სქელ კისერს, მერე კი სამოსი გაიხადა, ჩამოყარა ხიდან და იანვრის ცივ, თუთარჩელა ღამეში დედიშობილამ ჩამოიხრჩო თავი.

დამჭირველები, რომლებიც დღენიადაგ ჯეგე ხალდანს ეძებდნენ, გაზაფხულზე გადაწყდნენ ტყეში უცხო ჩამოხრჩობილის გვამს, ჩამოხსნეს და მორგში გააქანეს, სულ ორიოდ თვის გარდაცვლილი იყო მაშინ ვახო ილორიძე, სხეული ნახევრად გახრწნოდა მიცვალებულს, ტყეში ცხედარი დაეზიანებინათ მხეცებს.

დოქსოპულომ როგორც კი ეს გასახარელი ცნობა გაიგო, სასწრაფოდ შეატყობინა თავის უფროსს:

– ვიპოვეთ გვამი, რომელიც ყველა ჩვენს ვარაუდს ადასტურებს. ჯეგე ხალდანი ჭკუიდან შეცდა და თავი დედიშობილამ ჩამოიხრჩო არავის ტყეში, სხეულის მოყვანილობა და ასაკი ემთხვევა, თანაც ამ ორიოდ თვის მანძილზე ვისამე დაკარგვა-გაუჩინარებაზე არავითარ ცნობას არ ვფლობთ.

– დოქსოპულო, შენ გინდა თქვა, რომ ჯეგე ხალდანის სხეული იპოვე? დარწმუნებული ხარ?

– მაგის უტყუარი ნივთმტკიცებები არ გაგვაჩნია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ დროს და ვივარაუდებთ, რომ ეს ჯეგე ხალდანის ცხედარია, გამოდის, მას არათუ ქვეყანა, არავიც კი არ დაუტოვებია, ხოლო დროით თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოა, რომ საკუთარი დედის მოკვლის შემდეგ რამდენიმე დღეში მოისწრაფა სიცოცხლე. – დაასრულა სიტყვა დოქსოპულოვმა.

ვარლამისთვისაც კი დამაჯერებელი იყო მსგავსი ახსნა, არავის მმართველი იოლად დარწმუნდა, რომ ჯეგეს უბედური სხეული ეპოვათ ტყეში დამჭირველებს, დედის სიკვდილის მერე მარტო დარჩენილი სხვა გამოსავალს ვერც იპოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟი დედის სიკვდილში დამნაშავე ვერაფრით იქნებოდა, ვერ შეძლებდა დედის თვითმკვლელობის გადატანას. ასე ფიქრობდა უპირველესი დამჭირველი, ვარლამ არავიძე.

– მამ საქმე დახურულია, ია მისმა ვაჟმა მოკლა, ჯეგეს გვამი კი ნაპოვნია, – თქვა ვარლამმა, – ყოჩაღ, დოქსოპულო, შენ ყოველთვის ამართლებდი და ახლაც არ მიცრუებ იმედებს, – უთხრა თავის ქვეშევრდომს საქებარი სიტყვები.

– ვცდილობ, გენერალურო. – უპასუხა კმაყოფილი ღრეჭვით მისმა მორჩილმა დამჭირველმა.

შავყან ხალდანი

თენდება. ხალხი თანდათან შემოდის ჰელეთის სადგურზე. ირგვლივ რია-რია, ხმაური, უმეტყველო სახეების ზღვაა. ჯეგე ზის ხის სკამზე და დროის გასვლას ელოდება. „ჯერ ადრეა, ცოტაც და მივადგები მერე ნათესავს, საინტერესოა, რას მეტყვის“, – ფიქრობს ჯეგე.

ზანტად, ნაძალადევად წამოდგა ფეხზე, უძილობისაგან სისუსტე ერეოდა, ოდნავ თავბრუსხვევა იგრძნო, თავი შეიმაგრა და ნელი ნაბიჯით გაუყვა რესტორან „ქართული სამზარეულო-საკენ“ გზას.

მიადგა ხის ამოთლილ ასოებიან აბრას, მღელვარება მოერია ჯეგეს, დალილობა სადღაც გაქრა. ბიჭი შევიდა შენობაში, მივიდა დახლთან და იქ მისი ნაცნობი მზარეული არ დახვდა, დასწყდა გული, თან ცუდად ენიშნა ეს ამბავი თითქოს.

– შავყან ხალდანის ნახვა მინდა, თუ შეიძლება, – თქვა თვალეზამოღამებულმა ჯეგემ.

დახლთან დგას შუახნის მამაკაცი, შევერცხლილი თმებით, სწორი ცხვირით, ოდნავ დაბერილი ნესტოებით, წვრილი უფერული ტუჩებით, ღია ფერის სახითა და ქერა თმებით, ისევე, როგორც ხალდანების უმრავლესობა, საშუალო ტანის, ოდნავ მოლიმარი ტუჩების ბოლოებითა და თვალეზამოღამებულ ეშმაკუნებით.

– შავყან ხალდანი მე ვარ, – უპასუხა დახლთან მდგომმა ჯეგეს, – შენ რა გქვია, ბიჭო?

– ჯეგე ხალდანი ვარ მე.

– ო, მუშვან ხი?

– იე, ოლონდ სვანური ნესიერად არ ვიცი. მწერალ სანდრო ხალდანის შვილი ვარ. ეგება იცნობდეთ? მამა დამიხვრიტეს,

დედა დამელუპა, გამოვიქეცი, არ დაგიმალავთ, მოლალატის შვილს მეძახიან, – ჯეგემ მღელვარებისაგან ერთიანად მიაყარა სხაპასხუპით ეს სიტყვები, ამოისუნთქა და განაგრძო, – თუ მომხმარე გჭირდებათ, იქნებ სამუშაოდ ამიყვანოთ.

შაყყანს პირისახე უცინოდა.

– რა შეგიძლია?

– პიანინოზე დაკვრა, ან არ ვიცი, რასაც დამავალბებთ.

– ხელფასი რამდენი გინდა? – ეკითხება რესტორნის მეპატრონე ჯეგეს.

– ფული არ მჭირდება, თავმესაფარი და საქმელი მინდა მხოლოდ.

– პიანინო რომ არ გვაქვს? – ამ კითხვის დასმისას შაყყანმა დახლის ნაწილი, ხის ფიცარი აწია, დახლიდან გამოვიდა და ჯეგეს გვერდით დადგა.

– ვიფიქრე, თქვენს მოქეიფეებს ესიამოვნებოდათ მუსიკის თანხლებით მოლხენა, – ამოილულულა მოთენთილობისაგან ფერმიხდილმა სევანმა.

– მშვენიერი აზრია, – გადახვია ხელი შაყყანმა, – რამდენი წლის ხარ?

– თხუთმეტის, – უპასუხა ღონემიხდილმა ჯეგემ.

რესტორნის კუთხეში ხისავე პატარა კიბეა, ხის მოაჯირებით.

– ახლა ამ კიბეს აუყევი, ჯეგე, მეორე სართულზე ორი ოთახია, რომელიც გაგიხარდება, დაიკავე, ერთი კარგად გამოიძინე და მერე ვილაპარაკოთ კაცურად, – ღიმილით უთხრა შაყყანმა და ბავშვი კიბის საფეხურამდე მიიყვანა.

ჯეგემ გაკვირვებით გახედა ნათესავს, თუმცა უსიტყვოდ შეასრულა მითითება. აუყვა კიბეებს. მეორე სართულზე მცირე ზომის შესასვლელი და ორი ოთახი დახვდა, კიბის თავზევე შეალო ჯეგემ კარი, პატარა კოხტა ოთახი და სანოლი სუფთა თეთრეულით. შევიდა ოთახში, ტანთ გაიხადა და სანოლში ჩანვა. თავი დადო თუ არა, ჩაეძინა.

ჯეგე ხალდანმა თვალები რომ გაახილა, შემწვარი ქათმის სუნმა შეულიტინა ცხვირში.

მის სანოლზე ნაცნობი მზარეული იჯდა მოღიმარი სახით.

- გეშიება, ჯეგე, - უთხრა მან და ბავშვს თვალთ მია-
ნიშნა საკვებზე, იქვე, სანოლთან, იდგა პატარა მაგიდა, საიდა-
ნაც მოდიოდა საჭმლის სუნი. ვერცხლისფერ ლანგარზე იდო
დიდ თეფშზე შემწვარი ტაბაკა, გვერდით შოთის პური, მწვანე
ტყემალის სანებელი თეთრ გამჭვირვალე ჭიქაში, ჭიქიდან მოჩან-
და წითელი წინაკის ნაკუნები, ერთი ბოთლი ლიმონათი და დიდი
სახელურიანი თიხის ჭიქა.

- ჯერ შეჭამე და რომ მოლონიერდები, მერე ჩამოდი ქვევით,
გვარიანად კი შეგვაშინე, ორი დღე-ღამე გეძინა, - თქვა მზა-
რეულმა. წამოდგა და კარისაკენ გაემართა. - ისე ნაბი ხალდანი
ვარ მე, ასე რომ, ნათესავად გერგები, - უთხრა ბავშვს ოთახიდან
გასვლისას.

ჯეგემ მშობლების დაკარგვის მერე პირველად იგრძნო მის-
დამი ესოდენ თბილი, ადამიანური დამოკიდებულება, იგი ოჯახის
წევრად მიიღეს. ჯეგეს ცრემლები მოადგა თვალზე, გული აუ-
ჩუყდა. გრძნობების მოზღვავეებისას შიმშილის გრძნობამ სძლია
ყველა დანარჩენს და სვანი მისთვის განკუთვნილ ლუკმას მიე-
ძალა.

შავყან ხალდანმა საკუთარი სისხლი და ხორცი, როგორც
ხალდანს შეეფერებოდა, ისე მიიღო. ამიერიდან აღარც საჭმელი
აკლდა ჯეგეს და აღარც სიცივე აწუხებდა, თავისიანები ჰყავდა
გვერდში. ჯეგეს ახალი ოჯახი გაუჩნდა.

ჯეგე ცდილობდა საჭირო ყოფილიყო, ბიძებს, როგორც
ახერხებდა, ყველაფერში ეშველებოდა. შავყანი კი ჰპირდებოდა
ჯეგეს პიანინოს აუცილებლად ვიყიდი, მოენონებათ მოქეიფებ-
სო, მაგრამ მერე სამაგისოდ ფული არასოდეს რჩებოდა და გადა-
ჰქონდა სამერმისოდ დანაპირები.

ჯეგე ხალდანი თავის ახალ ყოფას იოლად შეეგუა, შავყა-
ნიცა და ნაბიც მას, როგორც თავისიანს, ისე ექცეოდნენ, თავს
გადამხდარის გახსენება ბიჭუნას არ უნდოდა და არც ბიძები
უჩიხიკინებდნენ ბავშვს შეკითხვებით. რესტორან „ქართულ სამ-
ზარეულოში“ ასე მიიღია წელიწადი. ახლა უკვე სამი ხალდანი
მუშაობდა იქ. როგორც იქნა, შავყანმა პიანინოს შეძენას დააყენა

საშველი. დაიდგა პიანინო რესტორნის ერთ კუთხეში და უკრავდა ჯეგე, როცა კი მოისურვებდნენ მოქეიფენი მუსიკას.

ერთ დღესაც დილაადრიან, როდესაც მხოლოდ სამი ხალდან იყო რესტორანში, შავყანი, ნაბი და ჯეგე, შავყანმა საუბარი წამოიწყო:

– ჯეგე, ნელს იქნებ დიდი ამბით აღგვენიშნა შენი დაბადების დღე, 28 დეკემბერს 16 წლის ხდები, თან წინასაახალწლო განწყობას შევიქმნით და საჩვენოდ მოვილხენთ. დავუძახებდი ჩვენებს, გაგაცნობდი. რას იტყვი? – ჰკითხა შავყანმა.

ჯეგეს სახიდან ფერი წაუვიდა, უარის თქმა არ გამოდიოდა, მაგრამ მაგ დანყველილ დღეს ვერაფრით ვერ აღნიშნავდა ზარზეიმით. ჯეგე უსაზღვროდ პირდაპირი იყო მუდამ, ან თევზით გაჩუმება სჩვეოდა, ან არადა ნაჯახივით ისროდა ხოლმე სიმართლეს.

– ბიძა, 28 დეკემბერს დედაჩემის დაბადების დღეც არის, 28-ში დედაჩემმა ჩემ თვალწინ გამოიჭრა დანით ყელი, ჩემი ხელით დავმარხე, რაც გინდათ, მთხოვეთ, მაგ დღეს მე მომლხენი არა ვარ, – კუმტად მიუგო ჯეგემ, ისე, რომ თვალები ფიცრული იატაკიდან შავყანისკენ არც აუნევიდა, მოერიდა თავისივე უხეშობის.

– სხვა დროს იყოს მაშინ, – მშვიდად მიუგო შავყანმა.

ჯეგემ, ბიძებმა რაიმე არ მკითხონო და ორივეს გაერიდა, ვითომ რაიმე საქმე ჰქონდა ზედა სართულზე.

– შენ მაგას თვალი კარგად ადევნე, ნაბი, ვაი თუ მე რამე გამომეპაროს, სადმე ხიფათს არ გადააწყდეს.

– ვადევნებ, შენ მაგაზე არ იდარდო, – უპასუხა ნაბიმ.

– მაგის ნახვის მერე ბავშვი როგორ არის სრულ ჭკუაზე, – ჩაილაპარაკა შავყანმა.

ამასობაში რესტორანს მხარზე ჩანთაგადაკიდებული ფოსტალიონი მოადგა.

– წერილია თქვენთან, – გაუნოდა ფოსტალიონმა კონვერტი რესტორნის მისამართით ნაბის, ნაბიმ კონვერტს დახედა, ჯეგე ხალდანს „რუხისგან“. შავყანმაც შეავლო თვალი წარწერას.

– ჯეგაეე, – გასძახა ნაბიმ, – ვილაც „რუხისგან“ წერილი მოგივიდა.

- ხელი მოაწერეთ, რომ წერილი მიიღეთ, - თქვა ფოსტალიონმა, გაუნოდა კალამი და ფურცელი სიით, ხელი შევყანმა მოაწერა.

ნაბის სიტყვების გაგონებისთანავე მეორე სართულზე ბრაგაბრუგი ატყდა, ჯეგემ ხტუნვა-ხტუნვით ჩამოიბინა კიბეები და წამში გაჩნდა დახლთან, გული გამალებით უცემდა; სუნთქვა ეკვროდა, თვალები უბრწყინავდა.

ნაბიმ წერილი მიანოდა.

- ვინა არის, ბიჭო, ეგ შენი „რუხი“? - ჰკითხა შევყანმა.

- ჩემი მეგობარია, - მოაძახა ჯეგემ, თავქუდმოგლეჯილმა აირბინა ხის კიბეებზე და ტყვიასავით გავარდა თავისი ოთახისაკენ.

ნაბიმ და შევყანმა ერთმანეთს გადახედეს. ფოსტალიონი რესტორნის შენობიდან გავიდა.

- რა გინდა, სადღაც მეგობარიც კი ჰყოლია, - ჩაილაპარაკა შევყანმა.

- ვიცი, ეგ ვინც არის, ადრე ორი ბავშვი, ბიჭი და გოგო რომ შემოჰყავდა ჯეგეს აქ სულ თავიდან, სანამ გავიგებდით, ჯეგე ვინ იყო. ეგ „რუხი“ ერთი მანანწალა ბიჭია, მას მერე აღარ გამოჩენილა.

- გასაგებია. - ჩაფიქრებით უპასუხა შევყანმა.

ჯეგე ოთახში შევარდა, ლოგინზე ჩამოჯდა, სული მოითქვა, კონვერტი გახსნა, ორად გაკეცილი წერილი გაშალა და კითხვას შეუდგა.

„ჯეგე, გწერ რუხის მეგობარი, ბაჩანა ბათურიძე. დიმა დაგვიჭრეს, რაღაც ჩხუბი მოხდა მასა და ერთ ახვარს შორის, იმ ნაბოზვარმა კი ჩხუბში დანით სასიკვდილოდ დაჭრა შენი და ჩემი ძმაკაცი. რუხი ახლა რეანიმაციაშია, აქ ბიჭები როგორც ვახერხებთ, ვეშველებით ფულით. რუხი ხშირად გახსენებდა. ვიფიქრე, იქნებ შენც შემოგვეშველო-მეთქი, რასაც შეძლებ, მოგვანოდე ძმაკაცურად.

ბაჩანა

თავს უფლება მივეცი და რუხის სახელით მოგწერე“ .

ჯეგე გამწარდა, თვალებიდან ლამის ნაპერწკლები წამოსცვივდა. „ბიძებს ფულს ვერ ვთხოვ, თანაც „რუხისათვის“ არ მომცემენ კაპიკს, რა ვქნა?“

ჯეგემ მისამართს დახედა, საიდანაც იყო წერილი გამოგზავნილი, ქალაქ გაგას ფოსტის ბეჭედი ერტყა ზედ, წერილი კონვერტში ჩადო და შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა. ჯეგემ თავი შეიმაგრა და მოჩვენებითი გულდამშვიდებით ჩავიდა პირველ სართულზე.

– რა იყო, ჯეგე, რა დაგემართა? – ჰკითხა შავყანმა.

– მაგისაგან, ბიძაჩემო, წელიწადზე მეტია ველოდები წერილს, ერთმანეთს როდესაც დავცილდით, მითხრა, მაშინ მოგწერო და მარტო ახლა შემატყობინა თავისი ამბავი, – დინჯად და აუღელვებლად მიუგო ჯეგემ, მერე ნაბის მიუტრიალდა, – სია მომეცი, რა არის დღეს მოსატანი, წავალ ბარემ ბაზარში.

– გზად სად გადაუხვევ? – ჰკითხა ნაბიმ.

– ფოსტაში შევივლი და მეგობარს პასუხს მივწერ, – თქვა ჯეგემ, მერე დაფიქრდა და დააყოლა, ჯობია ჯერ პროდუქტები მოვიტანო და მერე გავაგზავნო წერილი ალბათ.

– კაი, ბატონო, როგორც გინდა, – ეჭვით უპასუხა ნაბიმ, რომელიც ჯეგეზე სულ ათიოდე წლით იყო უფროსი.

ნაბიმ სია მიანოდა ჯეგეს, შავყანმა კი ფული გადასცა.

– ფულს მეტობით გატან, წესით, უნდა გეყოს, – უთხრა შავყანმა.

ჯეგე საქმიანად დაიარება ბაზარში, თევზეულობის განყოფილებაში, არჩევს კალმახს, თან თვალებს აცეცებს აქეთ-იქით. ბლომად ხალხი ირევა. ჯეგემ თვალის კიდით მსხვერპლი შეარჩია, ცალ ხელში სია უჭირავს, ტლანქი მოძრაობით შემობრუნდა, ვითომ სიას ჩასჩერებია, ამასობაში მას ვილაც კაცმა ჩაუარა გვერდით.

ჯეგე „უნებლიეთ“ დაეჯახა ამ უცხო მამაკაცს, – უკაცრავად, ძია, – მოუბოდიშა და თვალის დახამხამებაში უკანა ჯიბიდან ამოაცალა საფულე და ჩაიჩურთა თავის ფართხუნა მოსასხამის უბეში. შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას, გაემართა ფოსტისა-

კენ, იქ მისვლისას გახსნა მოპარული საფულე 452 მანეთი იყო სულ.

„ბაჩანა, სულ ეს არის ჯერ, ამ დღეებში კიდევ გამოგიგზავნი რამეს, ბიძაჩემის რესტორანში ვმუშაობ დამკვერელად, თუ რამეა, ისევ იმავე მისამართზე მომწერე, შავყანს ფულს ვერაფრით ვთხოვდი, ცოტაცოტაობით გამოგიგზავნით, რუხს გაუფრთხილდით.

ჯეგე“.

ჯეგე ხალდანმა წერილი და ფული გაუგზავნა მეგობარს, „რუხის“ წერილი კი ფოსტიდან გამოსვლისთანავე დახია.

შემდეგ წყნარად მიაშურა საჭირო პროდუქტების სიით ბაზარს, იყიდა საჭირო საკვები, თევზეულობაში აარჩია კალმახი და გულდამშვიდებულმა დაადო თავი შინისაკენ.

რესტორანში შესვლისას ნაბის უკმაყოფილო მზერას შეეჩეხა.

– ხომ არ დავიგვიანე? – იკითხა შენუხებულმა ყმანვილმა.

– არა. – მიიღო მოკლე და ცივი პასუხი.

ნაბიმ ჯეგეს ნაყიდი პროდუქტი გამოართვა და სამზარეულოში შეიტანა.

დღემ უჩვეულო მდუმარებაში ჩაიარა, საქეიფოდ კი ბლომად ხალხი მოვიდა, უბრალოდ ნაბისაც და შავყანსაც უსიტყვო უკმაყოფილება ეწერათ სახეზე და ორივე ცხვირჩამოშვებული იყო ჯეგეს გამო.

ჯეგე სხვა ვითარებაში გამოჰკითხავდა ბიძებს, რაში იყო საქმე, მაგრამ ამჯერად დუმდა. უთქმელმა დღემ ჩაიარა. ჩამთავრდა ქეიფობანა, რესტორანი მილაგდა, მორიგი დღისათვის ისევ ნესრიგსა და მზადყოფნაში იყო.

დილაუთენია რესტორან „ქართულ სამზარეულოს“ მოადგა ფოსტალიონი, ამჯერად დახლთან თვითონ ჯეგე დახვდა, ნაბისა და შავყანს ეძინათ.

– წერილია თქვენთან, ხელი მოაწერეთ, – თქვა ფოსტალიონმა და სიის ფურცელი ჯეგეს გაუწოდა, – ჯეგემ მოაწერა ხელი საბუთს და გამოართვა კონვერტი.

– გმადლობთ. – უთხრა ჯეგემ ფოსტალიონს. ფოსტალიონმა თავისი წერილების მძიმე ჩანთით რესტორანი დატოვა.

ჯეგემ სასწრაფოდ გახსნა კონვერტი.

„რენიმაციიდან გამომწერეს, უკვე პალატაში ვარ. მადლიერი ვარ შენი, შიზიკ! ჰელეთის სადგურის ავ მოსახვევეში, გარაჟთან, გაბი იკითხე, ჩემი სახელით მიდი.

რუხი“.

ჯეგემ წერილი და კონვერტი დაჭმუჭნა და ნაგვის ურნაში ჩააგდო, დატოვა რესტორანი და გაემართა ავი მოსახვევისაკენ.

ჰელეთის რკინიგზის სადგურზე, ავ მოსახვევთან ახლოს ავტოფარეხთან ბიჭების ჯგუფი ირეოდა. ჯეგე მივიდა მათთან, ეჭვით შეხედეს ჯიბეებში ხელებჩანყობილმა ჯიბგირებმა ახალ-მოსულს. ახალგაზრდებში განსაკუთრებით ერთი გამოირჩეოდა, მაღალი, სუსტი, შავი თმებითა და შავი გრძელი წამწამებით, მუქი ცისფერი თვალებით, ფართო მხრებითა და ტურჩის კიდებებში ყველა უცხოსადმი დამცინავი ღიმილით. ჯეგემ შეატყო, რომ მათში ყოჩი ის იყო. ჩაცმულობაც გამორჩეული ჰქონდა, ჭაობისფერი პერანგი, შავი ჯინსები. მისი სამოსი სისუფთავით გამოირჩეოდა.

– რუხმა მომაგზავნა, გაბის ვეძებ, – უთხრა ჯეგემ ყმანვილებს.

– რა გინდა? გაბი მე ვარ. – გამოეჯგინა ჭაობისფერპერანგ-იანი.

– ფული მჭირდება სასწრაფოდ, უფრო სწორად, „რუხისთვის“ მჭირდება. საავადმყოფოში წეეს, გეცოდინება ალბათ.

გაბიმ შეათვალიერა ჯეგე.

– დღეს მე და გოშა საქმეზე მივდივართ, ნაგიყვანთ თან და ნილშიც იქნები.

– რა საქმეზე? – იკითხა ჯეგემ, – თუმცა სულ ერთია, – დააყოლა.

– თუ მნიშვნელობა არა აქვს, მოდი იმ დროს, როცა გეტყვი.

– რომელ საათზე მოვიდე და სად? – ჰკითხა ჯეგემ.

- 12 საათზე რკინიგზის დიდ საათთან. თუ არ გადაიფიქრებ, მოდი, - უთხრა გაბიმ.

- მოვალ. - მოუჭრა მოკლედ ჯეგემ და გაბრუნდა ხალდანების რესტორნისაკენ.

ჯეგემ ვერაფერი მოიმიზეზა და უბრალოდ ყოველგარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა ხალდანების რესტორანი და გაემშურა პელეთის რკინიგზის სადგურის ვეება მრგვალი საათისაკენ. 12 საათი არ იყო შესრულებული, 20 წუთი აკლდა, ასე აჩვენებდნენ ფოსფორისფერი ისრები. ჯეგემ გაბისა და გოშას მოჰკრა თვალი, მათ დაინახეს თუ არა მოსული ჯეგე, მიუახლოვდნენ.

- ანუ რუხისათვის ყველაფერზე ხარ წამსვლელი? - ირონიულად ჰკითხა გოშამ.

- ის ჩემი მეგობარია, - უკმეხად უპასუხა ჯეგემ.

- ნავედეთ აბა დროზე. - თქვა გაბიმ.

ახალგაზრდები გზას გაუყვნენ, მიხვეულ-მოხვეულებით მიუახლოვდნენ დანიშნულების ადგილს.

მიადგნენ ბინას, რომელიც გაბის ჰქონდა შერჩეული გასაქურდად, სადაც ფული და ძვირფასეულობა ეგულებოდათ. სადარბაზოში კაცის ჭაჭანება არ იყო, საკეტი გოშამ იოლად გახსნა. ასე და ამგვარად გაბი, ჯეგე და გოშა ბინაში უპრობლემოდ შევიდნენ, ბინის პატრონი დასასვენებლად იყო წასული ოჯახითურთ, გაბი და გოშა ბინაში ფულისა და ძვირფასეულობის ძებნას შეუდგნენ.

- ჯეგე, გადი სადარბაზოში და თუ ვინმე საეჭვო გამოჩნდა, გაგვაგებინე, - უთხრა გაბიმ ჯეგეს.

ჯეგემ უსიტყვოდ შეასრულა ნათქვამი. ხალდანს დიდხანს არ მოუწია ავ მოსახვევში ახალშეძენილი ამხანაგების ლოდინი, ისინი სადღაც ნახევარ საათში მშვიდად გამოვიდნენ გარეთ.

- ნავედით. - თქვა გაბიმ.

და სამეული ახლად გაქურდული ბინის არემარეს მოშორდა.

- ხვალ მოდი საღამოს ისევ 9 საათზე, იმავე ადგილას და შენს წილს მოგცემთ, - უთხრა გაბიმ.

- კარგი. - მიუგო ჯეგემ.

ჯეგე ხალდანების რესტორანში ქურდულად შეიპარა, ავიდა ოთახში და შეძვრა თავის პატარა სამფლობელოში.

„ეს რა ჩავიდინე?! ბიძებს რა პასუხი გაცე, რომ გაიგონ, რაში გავეხვიე. მოვჭერი თავი და ეგ არის, ოდესმე ხომ გაიგებენ, დღეს რაც მოხდა, რა სიკეთეც გამიკეთეს, ყველაფერს წყალში ვუყრი, არ მაპატიებენ“. ჯეგე ზის ლოგინზე, ხელებში თავი აქვს ჩარგული. „ეს რა ჩავიდინე?!“ – უწყრება საკუთარ თავს.

დალამდა, გათენდა, ისევ სალამო ჩამოანვა ჰელეთს, ჯეგე დროის გასვლას ვერ გრძნობს, ოთახის კარი ნაბი ხალდანმა შეუღო:

– ჯეგე, რამე მოხდა?

– არაფერი, – უპასუხა ჯეგემ ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს, შეუძლოდ ვარ უბრალოდ, – ფრთხილად დააყოლა.

– ისე საათის რომელია? – ჰკითხა ფიქრებიდან გამორკვეულმა ჯეგემ ნაბის.

– სადღაც 8 იქნება, სალამოა უკვე, – უპასუხა შემფოთებულმა ნაბიმ, – ჯეგე ხომ მშვიდობაა?

– კი, ბიძა, – უპასუხა ჯეგემ დაბნეულად და ნამოდგა, ფერმიხდილი სახითა და ამოღამებული თვალებით.

– საით გაგინევია, ჯეგე?

– საქმე მაქვს, უნდა გავიდე, მოგიყვები მერე ყველაფერს, უბრალოდ ახლა მართლა აუცილებლად უნდა წავიდე.

– კარგი, ჯეგე, მაგრამ ჩვენიანი ხარ და თუ რაიმე უბედურება შეგემთხვა, ჩვენ იოლად ხელისმკერელები არ ვართ, იცოდე, – უთხრა გულისწყევლით ნაბიმ, – ნადი, აბა, მოაგვარე შენი საქმე, – მხარზე მსუბუქად წამოუტყაპუნა ხელი გასამხნეებლად ნაბიმ, ჯეგე კი ოთახიდან გაიძურნა.

– ვატყობ, რალაც დიდ შარში გაყავი თავი, ჩემი და შავყანის თავსატეხი გახდება მალე ეგ შენი საქმე, – თქვა თავისთვის ჯეგეს ოთახში მარტო დარჩენილმა ნაბიმ.

ჯეგე ხალდანი წალასლასდა ჰელეთის რკინიგზის სადგურის ვეება საათისაკენ, ცხრა საათი ახალი დაწყებული იყო, თუმცა თავისი მახვილი თვალით გაბი შენიშნა ხალხმრავლობაში.

– რა ადრე მოსულხარ? – ჰკითხა მეგობრულად.

– ფულის გაგზავნა დღესვე უნდა მოვასწრო.

– ნავიდეთ მაშინ ფოსტისკენ ერთად, – მიუგო უფერულ ჯეგეს სახეგაბრწყინებულმა გაბიმ.

– „რუხს“ მივწერე შენზე და ვკითხე, შენი სიტყვა კი არ გადამიმონმებია, ისე უბრალოდ, სანყენად კი არა.

ჯეგემ უსიტყვოდ გახედა, გაბიმ ძმაკაცურად ხელი გადახვია და ასე მიაბიჯებდნენ ჰელეთის ფოსტისაკენ ორნი.

– „რუხი“ შენ შეგიჩქმევია თურმე მისთვის, შენზე საინტერესო რაღაცები მომიყვა, თან ტყუილად ნამდვილად არ გეძახის არანორმალურს.

ჯეგე ხმის ამოუღებლად მიაბიჯებს გაბის გვერდით. მიადგნენ ფოსტას.

– ძმურად მითხარი, წინაზე ფული რითი იშოვე, თორემ აქ მე ვკვდები ცნობისმოყვარეობით და იქ კი „რუხი“.

– საფუღე მოვიპარე გუშინ, – ამოღერღა სვანმა.

გაბის სიცილი წასკდა.

– მაგარი ხარ, – უთხრა გამხიარულებულმა.

ფოსტაში ერთად შევიდნენ.

– აქ 7000 მანეთია, შენი და ჩემი წილი ერთად გავუგზავნოთ. ფული კონვერტში მოათავსა გაბიმ, პატარა ქალაღდის ნაგლეჯზე კი წაანერა.

„რუხო, ეს არის სულ, რაც მოვახერხეთ.

გაბი და ჯეგე“.

და ქალაღდის ნაგლეჯიც კონვერტში ჩადო, კონვერტი ენით დაასველა და მიანება, მერე ფოსტაში მომუშავე ქალს მიანოდა. გაბიმ და ჯეგემ ფოსტა მალევე დატოვეს.

– ჯეგე, „რუხმა“ შენს არაჩვეულებრივ უნარზე მიაიმბო რაღაც, ჩემზე არაფერს გიგრძნობს გული, ჰა?

მოლაღაობენ გზაზე ჯეგე და გაბი, უღევი ხაღხი ირევა ჰელეთის საღგურზე. ჯეგე უცებ გაჩერდა და საათს ახედა.

– გაიქეცი, გაბი! – უთხრა მოუღოდნელად.

– რაა?

– გაიქეცი თუ არა და დაგიჭერენ. შენ გაქცევას მოასწრებ, – ჯეგე უყურებს საათს, – მე კი დამაპატიმრებენ.

ფოსფორისფერი ისრები მომცრო 9 რიცხვს მიქვავებოდა, მოზრდილი კი სამს უჩვენებდა.

– გზა, გზა! – გაისმა დამჭირველის ომახიანი ხმა.

გაბიმ თვალი მოჰკრა, გოშა დაეჭირათ და ბორკილი დაედოთ მის ხელზე, რომლითაც ღონიერ რიგით დამჭირველზე იყო მიბორკილი.

– გაქცევას მოასწრებ, დროზე გაიქეცი, – ხმადაბლა უთხრა ჯეგემ და ვეება ფოსფორისფერ ისრებსა და ციფრებს მიაშტერდა.

– ესენი არიან. – გაისმა გოშას ხმა.

გაბიმ მოქუსლა, დამჭირველები ჯეგეს ეტაკნენ, ხელბორკილი დაადეს. ჯეგე საათს თვალს არ აშორებდა, თითქოს ვერც აღიქვამდა, თუ რა ხდებოდა მის თავს. „ახლა ათის თხუთმეტი წუთია, ხვალ იმავე დროს ვიქნები ხალდანების რესტორანში“, – გაიფიქრა მან.

იმ ძვირფასეულობაში, რომელიც ნაქურდალი ბინიდან გაყიდეს, ერია ოქროს საათი ბინის მეპატრონის ინიციალებით. საათი არ მუშაობდა და მეპატრონეს ამიტომაც არ ნაელო თან. გოშა, რომელმაც ამ საათის გაყიდვა სცადა, ადგილზევე შეიპყრეს დამჭირველებმა.

ჯეგე დაკითხვის ოთახში ნაათრიეს. იდო მუნჯივით დაკითხვის სკამზე, სიტყვა ვერ დააძრევინეს. უკრეს თავი პირდაპირ არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დანესებულებაში.

ჯეგე საკანში ორ ლანირაკთან ერთად მოხვდა, თერთმეტობდნე წლის ბიჭები ელაზლანდარებოდნენ ახალ თანამოსაკნეს.

– რისთვის ამოყავი აქ თავი? რა ჩაიღინე? – მიაყარეს ახალს კითხვები.

– არაფრისთვის, მალე გავალ აქედან, – ნაილულულა ჯეგემ და საკანში ნარზე ჩამოჯდა.

– ამას მკვლელის სიფათი კი აქვს, მაგრამ ნამეტანი დამფრთხალია, – უთხრა ფრატმა მიშიკოს.

- ჩვენ კი იცი, რა ვქენით? ჩვენი ერთი თანაკლასელი გოგო გავაუპატიურეთ. თვითონ გამოგვიწვია და მერხზევე გადავაგორეთ, შემოვახიეთ სასკოლო ფორმა, წიოდა და კიოდა, მაგრამ თვითონ გამოგვიწვია და...

- რაო, რაო? - გამოერკვა ჯეგე.

ბიჭები ხითხითებდნენ, იხსენებდნენ უნმანურ დეტალებს და თავს იწონებდნენ ამით.

- თქვენ ჩემნაირისაგან, ზიზლის გარდა, არაფერს იმსახურებთ, - თქვა ჯეგემ, წამოდგა და ორივეს კისერში ჩაავლო ხელი, ბიჭები მოიკაკვნენ, მოიკრუნჩხნენ. ჯეგემ თავისი მძლავრი ხელის მტევნები კისრებზე იმდენად მწარედ მოუჭირა, რომ ლანირაკების კისრის მალეები ახრჭიალდნენ.

- დედა! - აჭყივლდა მიშა.

ჯეგეს დედამისის ყელგამოლადრული სახე დაუდგა თვალწინ და ორივე ბიჭს ინსტინქტურად მყისვე გაუშვა ხელი. პატარა მოძალადეებმა წამოიტირეს და მიყუჩდნენ. ჯეგე მიესვენა იქვე წარზე და ხელი თავქვე ამოიღო.

ნაბი და შავყანი, ჯეგე ღამით რომ არ გამოჩნდა, აწრიალდნენ. შავყანმა ჯეგეს ოთახი გაჩხრიკა, ნაბიმ კი მთელი რესტორანი გადაატრიალა, ნაგავიც კი ამოქექა და ჯეგეს მიერ საგულდაგულოდ დაკუჭული წერილი ამოიღო ურნიდან. გაშალა, წაიკითხა და განწირული ხმით გასძახა უფროსს, - შავყან!

შავყანი ნაჩქარევად მოვიდა ნაბისთან, გაფითრებულმა ნაბიმ მას წერილი გადააწოდა. შავყანმა წერილი წაიკითხა და მერე კი ნაკუნებად აქცია.

- გაემზადე ნაბი, წავიდეთ ჩვენი იდიოტი მოვძებნოთ.

- სად ჯანდაბაში ვეძებოთ? - კითხა ნაბიმ.

- არასრულწლოვანთა საპატიმროში, სხვაგან სად? - უპასუხა შავყანმა, - გაგვიმართლებს, თუ იქ ვიპოვით, - გალიზიანებული ხმით თქვა მერე. - თუმცა სანამ იქ მივალთ, დავიაროთ, გავარკვიოთ ხალხში, თუ დაიჭირეს, ვინმე ხომ შეესწრებოდა.

ხალდანებმა ელვის უსწრაფესად შემოიარეს მთელი რკინიგზის სადგური, ნაცნობებში კითხვა-კითხვით არკვევდნენ, ჯეგეს რა გადახდა თავს, ბოლოს მიადგნენ მზესუმზირის გამყიდ-

ველ დედაკაცს, რომელიც ლამის გადაბმულად, დღისითაც და ღამითაც ყიდდა თავის მზესუმზირებს, ვეება მრგვალი საათის სიახლოვეს. დაგრა, ასე ერქვა ამ დედაკაცს, რომელმაც ხალდანებს ნანახი დეტალურად მოუყვა.

– ჰოდა, მოდიოდა ორი, ერთი გაიქცა და ხელში ვინც შერჩათ, ის დაიჭირეს, ბიჭი შტერს ნააგავდა ცოტათი, – ამბობდა ქალი და პირს აცმაცუნებდა, ანკლაპუნებდა მოხალულ მზესუმზირას თავისი მორყეული, ბებრული, მოყვითალო კბილებით.

შავყანმა და ნაბიმ ღიმილიანი სახეებით ერთმანეთს გადახედეს.

– მაღლობა, დაგრა, ამბავი რომ შეგვატყობინე, – უთხრა ნაბიმ, – მაგრამ ეგ მზესუმზირა თუ სულ შენ შეჭამე, რას გაყიდი მერე? – სიცილით ჰკითხა დედაკაცს. ვინაიდან ჯეგე სადღაც ცოცხალი ეგულებოდა, დამშვიდდა და დაძაბულობაც მოეხსნა.

– ბევრი მაქვს, – სიცილითვე უპასუხა დაგრამ.

შავყანი და ნაბი ხალდანები გაეშურნენ ქალაქ ჰელეთის მთავარი სადამჭირველოსაკენ.

– ისე ჩვენმა მუნჯმა იდიოტმა თუ იქ არაფერი თქვა, იოლად დავიხსნით, – უთხრა შავყანმა ნაბის.

– არაფერს არ იტყოდა, თევზივით მუნჯდება, როცა ნერვიულობს, – ხალისით უპასუხა ნაბიმ.

შუალამეს მიადგნენ მთავარ სადამჭირველოს.

– ახლა სერიოზულად, იცოდე! – უთხრა შავყანმა.

– თავისთავად, კოპებსაც შევიკრავ დამაჯერებლობისათვის, – უპასუხა ნაბიმ.

სიცილითა და ფხაკა-ფხუკით მიიწევდნენ სვანები წინ.

– მთავარია თავმეკავება გახსოვდეს, იცოდე, იქ უაზროდ არ ატეხო სიცილი.

– გავააზრიანებ თუ რამეა, – უპასუხა ნაბიმ.

ორივემ კუშტი, მკვახე და მტკიცე სახის მიმიკები დაიყენეს და ჩხუბით შევიდნენ შენობაში.

– ეს რა უსამართლობაა, თან დღისით, მზისით, უდანაშაულო ბავშვის დაპატიმრება, არ ეკადრება მაგოგის ქვეყანას! – შავყანი

რიხითა და ომახიანი ყვირილით შეუდგა კიბეებს. გამოცვივდნენ დამჭირველები.

– მთელი დღეა ჩემს ძმისშვილს ვეძებ, გადავატრიალე ქალაქი, ციხეში ჩასასამელი ხალდანი სად გვყავს ჩვენ.

დამჭირველებმა პატარა რესტორნის მფლობელი იცნეს.

– რაშია საქმე, ბატონო? – იკითხა ერთ-ერთმა მისმა ხშირმა კლიენტმა.

– თქვენ შეცდომით ჩემი ძმისშვილი დაგიპატიმრებიათ! – გაჰყვირის შავყანი.

– არ გეკადრებათ ნამდვილ მაგოგის ჭეშმარიტ დამჭირველებს მსგავსი შეცდომის დაშვება, – სერიოზული ხმით ნაუსისინა ნაბიმ.

შეშფოთდნენ დამჭირველები.

– უფროსი ხვალ დილით მოვა და გაერკვევა ყველაფერში.

– იმეი ხაყლე სი ა? – აღმოხდა შავყანს.

– ანუ რას ამბობო, – უთარგმნა ნაბიმ.

– ჩემმა ძმისშვილმა ღამე ციხეში უნდა გაატაროს? – დაიღრიალა შავყანმა.

– აჯობებს, თუ უფროსს დაურეკავთ, – დინჯად უთხრა ნაბიმ.

დაფაცურდნენ დამჭირველები, სკანდალის ასარიდებლად ნახევარ საათში ქალაქ ჰელეთის სადამსჯელო ორგანოს მთავარი დამჭირველი შენობაში გაჩნდა.

– ოქტო შავბერიძე თქვენს სამსახურშია, – გამოეცხადა შემფოთებული დამჭირველი მოროხროხე შავყან ხალდანს.

– ბატონო ოქტო, მოხდა საშინელი გაუგებრობა, ჩემი ძმისნული დაგიკავებიათ დღეს.

ოქტომ მრისხანედ გადახედა ქვეშევრდომებს, ერთ-ერთი მას ახლოს მიეახლა:

– ბატონო ოქტო, დღეს გოშა რომ დავაკავეთ ბინის ქურდობაზე, იმან მიგვითითა, მგონი სნორედ იმ მუნჯზეა ლაპარაკი.

ნამით გუნება ნაუხდათ ხალდანებს, მაგრამ არ დაბნეულან.

– არაფერი მუნჯი არ არის ჩემი ძმისშვილი! – გაჰყვირის შეურაცხყოფილი შავყანი.

- ბატონო ოქტო, ჩვენ სარწმუნო წყაროდან ვიცით, რომ ნამდვილი დამნაშავე გაგექცათ, - ხმადაბლა და მშვიდად თქვა ნაბიძ.

- ბატონო ოქტო, მაგოგის ქვეყანაში, სადაც დამჭირველები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს საქმეს, შეცდომების დაშვება რა საკადრისია?! - აღშფოთებით განაგრძობს შავყანი.

- იცით, უბრალოდ ჩვენი ჯეგე ცოტა ვერ არის დალაგებული და ამიტომ ნერვიულობს ასე შავყანი, - მშვიდი ტონით უხსნის თვალეზგაფაციცებულ და ყურებდაცქვეტილ დამჭირველებს ნაბიძ.

- დაკითხვისას დაკავებულმა რა განაცხადა? - იკითხა ოქტომ.

- არაფერი, ჩუმად იყო, - მიიღო პასუხად.

- რა უნდა ეთქვა, პა? ისედაც ვერ არის, სულ გადამირიეთ ბავშვი, - ოდნავ დაუნია ხმას შავყანმა, როცა შეატყო ვითარებას, რომ უფრო იოლად მოაგვარებდა ამ საქმეს, ვიდრე თავიდან ეგონა.

- მოიყვანეთ დაკავებული - უთხრა ოქტომ ქვეშევრდომებს, - რა ჰქვია თქვენს ძმისშვილს?

- ჯეგე ხალდანი, ჯეგე ჰქვია ბიჭს.

- მოიყვანეთ ასევე გოშა და დავაპირისპიროთ, - გადანყვიტა ოქტომ.

- მთავარია სამართლიანობა აღდგეს, - თქვა შავყანმა.

ოქტო გამომცდელი, მზაკვრული, ნემსისებრი თვლებით უყურებდა ხალდანებს. - ამობრძანდით ჩემს კაბინეტში, ერთად დაველოდოთ ორთავეს.

- უფ, აგაშენა ღმერთმა, - თქვა შავყანმა, ოქტოს ხელი გადახვია და ერთად აუყვინნ კიბეებს. - ისე, იცოდეთ, ჩემი რესტორანი ნებისმიერ დროს ღიაა თქვენთვის და თქვენნაირი მაგოგის ქვეყნის ნამდვილი დამცველებისათვის.

ოქტომ თავი მიაბრუნა უკან და ნაბიძს გახედა, ისიც აუღელვებლად მოუყვებოდა კიბეებს მათ უკან.

კაბინეტში თავის მაგიდას მიუსკუპდა სადამჭირველოს უფროსი ოქტო შავბერიძე.

- დაბრძანდით, ბატონებო. - დასხდნენ იქვე ხალდანები.

ოქტო ცმუკავს, შავყანსა და ნაბის ნერვი არც ატოკებიათ, მლეღვარება არ შეტყობიათ სახეზე, სხედან და ელოდებიან ჯეგეს გამოჩენას. შემოიყვანეს ჯეგე და გოშა დაკითხვის ოთახში ერთდროულად. ჯეგემ შავყანი და ნაბი რომ დაინახა, სირცხვილისაგან სად წასულიყო, არ იცოდა, თვალი ვერ გაუსწორა თავისიანებს. დასვეს გოშა და ჯეგე პირისპირ, შეკითხვა ჯეგეს დაუსვეს პირველს.

- აბა, მოგვიყვი, როგორ აგიყვანეს.

- არ მახსოვს. - თვალებიდან მდულარე ცრემლები წამოსცვივდა. ჯეგეს ერჩინა, იმ საკანში ჩამკედარიყო, შავყანსა და ნაბის კი არასოდეს გაეგოთ, თუ რა ჩაიდინა მან.

გოშამ ჯეგეს შეხედა და დაიზაფრა.

- ამ ბიჭს პირველად ვხედავ, - მოულოდნელად თქვა გოშამ.

- აბა რომ თქვი, ესენი არიანო?! - დააცხრა მას რიგითი დამჭირველი.

- ბნელოდა, ის ერთი გაიქცა, ახლოდან არც კი მინახავს, ამ ბიჭს არ ვიცნობ.

- მთავარია სამართლიანობის აღდგენა, - თქვა შავყანმა და ფეხზე წამოდგა, - წავიყვანთ აბა, ჩვენს ჯეგეს და დაგტოვებთ ანი, თქვენ კი როცა გაგიხარდებათ, შეგიძლიათ რესტორან „ქართულ სამზარეულოს“ ეწვიოთ. - თქვა შავყანმა. ჯეგეს ქეროში ჩაავლო ხელი და ისე წამოაგდო სკამიდან. წამოდგა მძიმედ ნაბიც.

კაბინეტიდან გასვლისას ჯეგემ სიტყვის დაძვრა დააპირა და პირი მოალო, მის გვერდით მიმავალმა შავყანმა კბილებში გამოსცრა:

- ჩაქუც ელო ჩუჯედგერი.

- ანუ შენი ბუსუნი არ იყოსო, - უთარგმნა მოლიმარმა ნაბიმ. უსიტყვოდ მიერეკებოდნენ შინისაკენ გზააბნეულ ჯეგეს ხალდანები.

როდესაც ხალდანები საკუთარ სამფლობელოში შევიდნენ, ჯეგემ ისევ სცადა აეხსნა რაიმე.

– არაფრის ახსნა არაა საჭირო, ჯეგე. ნერილი, რომელიც დაჭმუჭნე და ნაგვის ურნაში ჩააგდე, ნავიკითხეთ ორივემ, – უთხრა შავყანმა, – ასე რომ, ადი ახლა შენს ოთახში და კარგად გამოიძინე, ხვალ ბევრი საქმე გვაქვს.

– ხომ არ გშია? – დაადევნა ნაბიმ. ჯეგემ უარის ნიშნად თავი გადაქნია და კიბეებზე ცოცხალ-მკედარი ავიდა.

მომდევნო დღეს შავყანმა ჯეგეს ჰკითხა, იმ შენს მეგობარს რა თანხა სჭირდებაო.

– სამი ათასი ალბათ ეყოფა. – მოკლედ და ფრთხილად უპასუხა ჯეგემ.

– ნაბი და შენ ერთად წაბრძანდებით დღესვე ფოსტაში და გადაუგზავნით საჭირო ფულს იმ ლანირაკს.

ჯეგეს სიხარულისაგან სახე გაუნათდა.

– ოღონდ გახსოვდეს, მეორედ არ გაბედო თავზე გადამახტე, გაიგე?

– გავიგე. – მიუგო თვალეგაბრწყინებულმა ჯეგემ.

გავიდა ხანი. ჯეგეს თავისი საქციელის გამო ყოყორობა და ამპარტავნება შეეპარა. შავყან ხალდანის რესტორანში ხშირად დადიოდა მისი ბიძაშვილი მურყვან ხალდანი.

მურყვანი სმის მოყვარული კაცი იყო. თავისი ბუნების გამო უამრავი ადამიანი სცემდა პატივს, მისი ამბავი ყველამ იცოდა ჰელეთში.

იყო ერთი ასეთი ადამიანი, ივანე აბდალაძე, რომელიც წლების მანძილზე ჰელეთის მთავარი დამჭირველი გახლდათ, სწორედ მან ჩასვა მურყვანის და ნანო ხალდანი ციხეში, ვითომდა მურყვანის უფრო იოლი კონტროლისათვის. მურყვანმა ლამის მთელი მაგოგი შეაწრიალა, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოახერხა ნანოს დახსნა ციხიდან. რაღაც პერიოდი მურყვანს ქალაქიდან ნასვლაც კი მოუწია, ხოლო როდესაც ბრუნდებოდა ჰელეთში, ცდილობდა დამჭირველებს მორიდებოდა. დრო მიიზღაზნებოდა და ნანოსაც თანდათან სასჯელის ვადაც უმცირდებოდა. მურყვანი ამასობაში თავის საახლობლოში სანდო ადამიანს ეძებდა და გეგმავდა, როგორ გაესწორებინა მინასთან ივანე აბდალაძე.

მურყვან ხალდანმა მშვენივრად იცოდა, ივანეს ქრთამის ალება უყვარდა, ისიც იცოდა, რომ თუ მოახერხებდა ივანე აბდალაძის ქრთამის ალების ფაქტის დამტკიცებას, ამ შემთხვევაში ჰელეთის უპირველეს დამჭირველს არაფრით დაინდობდა ქვეყანა მაგოგის მთავრობა და ივანე უსათუოდ გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა. ივანესათვის ქრთამის შემთავაზებელი სანდო ადამიანი მურყვანს შერჩეულიც კი ჰყავდა. ეს იყო თორნიკე დვალი. მას მრავალი წლის წინ მამა, ლადო დვალი, ჩაუსვა ჰელეთის მთავარმა დამჭირველმა უსამართლოდ ციხეში და თორნიკეს აბდალაძეზე შურისძიებისა და მისი გამწარების დიდი სურვილი ამოძრავებდა. მიუხედავად ხალდანებისათვის დამახასიათებელი მოუთმენლობისა, მურყვანი სამაგიეროს მიზლვას მაინც არ ჩქარობდა, ელოდა, მისი და როდის მოიხდიდა სასჯელს, ვინაიდან შესაძლო იყო ნანოს სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო, თუ გამჟღავნდებოდა, რომ ყოველივეს უკან მურყვანი იდგა.

ჰელეთის გადახრიოკებულ ველებს კლდეები ერტყა ირგვლივ. მურყვანი ძირითად დროს თავის თანამებრძოლებთან ერთად სწორედ ამ კლდეებს აფარებდა თავს. მას ჰელეთში ნამდვილ მეომრად იცნობდნენ, მისი დაბეჩავება არცთუ ისე იოლი საქმე იყო. ჰყავდა თანამოაზრეები, აჯანყებულები, რომლებიც დამჭირველებს დროდადრო სისხლს უშრობდნენ გაუთავებელი ჩასაფრებებითა და მოულოდნელი დაცემებით. მურყვანის ხალხი მხოლოდ დამჭირველებს ერჩოდა და არასდროს მოსახლეობას. ჰელეთელებმა მურყვანის კაცები მონადირეების სახელით მონათლეს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მურყვანის კაცები ხშირად ნადირობდნენ და თავი ნანადირევით გაჰქონდათ. კლდე-ღრეში უწევდათ მურყვანსა და მის მონადირეებს წლობით მალვა, ნანო ხალდანს ხომ შვიდი წელი ჰქონდა მისჯილი. ბოლოს და ბოლოს, დადგა დღე, როდესაც ნანო გაათავისუფლეს ციხიდან. უდანაშაულო ქალმა სრულად მოიხადა სასჯელი ძმის გამო, ვადამდე მხოლოდ ორიოდე თვით ადრე გამოუშვეს საპყრობილედან და ეს ხელისუფლებისაგან შემწყნარებლობად უნდა მიჩნეულიყო.

თორნიკე დვალი მოადგა ჰელეთის უშმაკის კლდეებს, მონადირეთა თავშესაფარს, და ნელ-ნელა აუყვა ქვა-ლორდიან აღმართს მურყვანის საძებნელად. ათიოდე მეტრი გაიარა თუ არა თორნომ:

– რომელი ხარ? – გადმოსძახა კლდის თავიდან გუშაგმა. კლდეებს შორის დაჭექილ ექოში სამჯერ თუ ოთხჯერ გამეორდა შეკითხვა.

– თორნო ვარ, კაი ამბავი მოვიტანე, – ასძახა მოსულმა.

ქვაბულში მურყვანი ცეცხლთან იჯდა სახედაღრეჯილი და დაღლილი, მიშტერებოდა კოცონიდან აალებულ ცეცხლის მოწითალო-მოცისფრო მოცეკვავე ენებს, მათი ნათება დღის შუქზე გაუფერულებულიყო. თორნიკე ფრთხილად მიუახლოვდა მურყვანს, რომელიც პირისახით მზისკენ იჯდა, მის შორიახლოს კი მონადირენი შემოჯარულიყვნენ. მურყვანმა როგორც კი ფეხის ხმა გაიგონა, ხელით თვალები მოიჩრდილა და თორნიკეს გახედა.

– ოოო, მიშგუ ლადელ სი! მოდი, თორნო, რას ჩამომდგარხარ, აგერ ხორცს ვწვავთ მონადირე კაცები და დაგვეწვიე.

თორნიკე მურყვანის გვერდით ჩამოჯდა.

– კაი ამბავი მოვიტანე, მურყვან ბიძია, – თორნიკე დვალი მურყვანის ბიძაშვილის, ქეთევან ხალდანის ვაჟი იყო და თორნოს ბიძად ერგებოდა. თორნიკეს, ივანე აბდალაძის წყალობით, მამა აღარც კი ახსოვდა, სულ თოთო იყო, როდესაც ჰელეთის მმართველმა ლადო დვალი ციხეში ჩასვა, სადაც მალევე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით, ისე, რომ მისიანებმა მასთან გამოთხოვბაც კი ვერ შეძლეს.

– აბა, რით გამახარებ დისწულო?

– ნანო გამოუშვეს ციხიდან, – ლამის წაიჩურჩულა თორნომ. მურყვანი წამით გახედა, მის მზით დამწვარ სახეზე ღრმა ნაოჭები ოდნავ შეირხა.

– აბა, გამითავისუფლეს მაშ და? ძალიანაც კარგი!

– როდის დავინყოთ, ბიძია, ან მე როგორ მოვიქცე?

– ხვალვე, ჩემს ნანოს კაი ხანი ვერ ვნახავ კიდევ, მაგრამ ეგ არაფერი, ჯერ ამ საქმეს მივხედოთ, – თქვა მურყვანმა, – დღეს ივანე აბდალაძეს ბოლო ქეიფი ექნება. მიანვდინეთ ჩვენიან

ადლელ ბიჭებს, რომ დროა უკვე და თორნიკე დვალი ეახლება მას, – მიმართა მერე თავის მონადირეებს.

თორნიკე დვალი დილაუთენია ატუზული ელოდა ივანე აბდალაძეს მისი კაბინეტის კართან. ივანეს, ჰელეთის მთავარ დამჭირველს, დროულად უყვარდა სამსახურში მისვლა. მიუხედავად იმისა, რომ ნუხანდელი თავანყვეტილი ქეიფის მერე თავიც სტკიოდა და გულ-მუცელიც, მაინც 9 საათის შესრულებისთანავე გამოჩნდა თავისი სამუშაო კაბინეტის სიახლოვეს. თორნიკე როგორც კი შენიშნა, უგუნებობამ მოიცვა.

– ვის ელოდები, ახალგაზრდავ? – ჰკითხა სახემოლუშულმა დამჭირველმა.

– თქვენ გელოდებით, ბატონო, იმედი მაქვს, გითხრეს ჩემ შესახებ, – მიუგო თორნიკემ, – ივანე აბდალაძე, ჰელეთის უპირველესი დამჭირველი, რა პატივია ჩემთვის თქვენთან პირადად შეხვედრა, – მიაყარა დვალმა ქათინაურები.

აბდალაძეს სიამოვნებდა, როდესაც მას ეპირფერებოდნენ. ივანემ თავისი კაბინეტის შავი კარის ვერცხლისფერ საკეტში გასაღები ჩხაკუნით გადაატრიალა, სახე გაეზადრა, ღიმილიც კი მოეფინა მის თხელ ტუჩებს.

– კი, თორნიკე გქვია მგონი, მომახსენეს შენზე გუშინდელ სუფრაზე, კაი, ყმანვილო, შემოდი და მითხარი, ერთი რაში დაგჭირდა ჰელეთში უპირველეს დამჭირველთან მოსვლა.

თორნიკეს თვალეში ეშმაკუნების ვარსკვლავები აუციმციმდა. ადამიანი, ამის შემხედვარე, უდავოდ მოულოდნელ სიხარულს მიანერდა ბიჭის თვალების ამგვარ აკრიალებას.

ჰელეთის მმართველის კაბინეტში რბილი ტყავის ყავისფერი სკამებისა და მოგრძო გალაკული მაგიდის გარდა, თვალში საცემი იყო ხალიჩები. ხალიჩები იყო ყველგან, როგორც იატაკზე, ასევე კედლებზე. ივანე თავისი ადგილისაკენ გაემართა, ჩაჯდა მედიდურად მაგიდის თავთან მდგარ ყავისფერ ტყავის რბილ სავარძელში და კმაყოფილი სახით შეხედა პირტიტველა ყმანვილს. მან ხელით ანიშნა, დაჯექიო და თორნიკე მონინებით ჩამოჯდა, ხელის მტევნები ფრთხილად ჩამოდო მაგიდის კიდეზე და თით-

ბის ნერვიულ მოძრაობას შეუდგა, მათი მაგიდაზე ფრთხილი კაკუნით.

– არც კი ვიცი, როგორ დავინყო, – თქვა მორიდებით თორნიკემ.

– ნუ ლელავ, პირდაპირ მითხარი, რაში შემიძლია მოგეშველო, რაც მთავარია, ჯერ სახელი და გვარი მომახსენე შენი.

თორნიკე წამით გაისუსა.

– ალბათ არ უნდა მოვსულიყავი, – თქვა დვალმა გულისწყვეტით, – მთელი გულით მინდოდა, ვფიქრობდი იქნებ სადამჭირველოში საჩემო ადგილი გამოიძებნოს-მეთქი, მაგრამ...

– რაო, ყმანვილო, დამჭირველი გინდა გახდე და ქვეყანა მაგოგის სამსახურში ჩადგე? მერე და რა არის ამაში შეუძლებელი, რამ დაგალონა? – იკითხა ნასიამოვნებმა ივანემ.

თორნიკემ თვალები დახარა, მაგიდას ჩააშტერდა და საუბარი განაგრძო.

– ჩემი სახელია თორნიკე, გვარად დვალი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარი უფლება არ მაქვს სადამჭირველოში ვიმსახურო, მამაჩემი პატიმარყოფილია...

– ნუ, სამწუხაროდ, ეს მართლაც ურთულესი საკითხია, – მიუგო აბდალაძემ.

– იქნებ არ დაიზაროთ ჩემთვის და მომცეთ საშუალება, რათა მეც შევიტანო წვლილი ჩემი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის შექმნაში, თქვენთან სამსახურში ყოფნით.

– კი, მაგრამ პატიმარყოფილთა შვილებს ეკრძალებათ სადამჭირველოში მუშაობა.

– ეგ კი ვიცი, უბრალოდ მამაჩემი მხოლოდ რამდენიმე თვე იმყოფებოდა ციხეში და მერე კი ფილტვების ანთებით ჩაკვდა იქ. დავუშვათ, ლადო დვალის, ანუ მამაჩემის, ციხეში ყოფნის საბუთები რომ გაქრეს? მერე ხომ ვერავინ შემიშლის ოცნების ასრულებაში ხელს?

– როგორ თუ გაქრეს?

– არ იფიქროთ, რომ ხელცარიელი მოვედი, – თორნიკემ ნელა გაიხსნა თხელი ქურთუკის უბე და ხელი შიგნით შეაცურა, ფრთხილად გამოაძვრინა გულის ჯიბიდან ფულის სქელი შეკვრა

და მაგიდაზე დადო, – ეს მცირედი პატივისცემაა ჩემგან, მომავალშიც არასოდეს დაგივიწყებთ იმ სიკეთეს, რომ მამის სირცხვილი ერთხელ და სამუდამოდ მომაშორეთ. – ზედმეტად ხმამალა და გარკვევით წარმოთქვა ლანვებშეფაკლულმა თორნიკემ.

ივანე ფეხზე წამოდგა, თორნიკეს მიუახლოვდა, უფრო სწორედ კი ფულის დასტას, აბდალაძემ ქალაღდის შეკვრა აიღო ხელში, გადაფურცლა, შეათვალიერა, არ ეცოტავა, მხარზე წამოუთათუნა ხელი პირტიტველა ბიჭს.

– შენნაირები წამდვილად გამომადგებიან. რაც შეეხება მამაშენის გვარის გაქრობას პატიმარყოფილთა სიიდან, მაგას ერთ კვირაში მოგიგვარებ.

– ვიცოდი, რომ გამიგებდით და შეხვიდოდით ჩემს მდგომარეობაში, – უთხრა თორნიკემ.

– ყველანი ხომ ადამიანები ვართ და მცირედი ხელის გამართვა უნდა შეგვეძლოს ერთმანეთისთვის, – თქვა გახარებულმა ივანემ.

ამასობაში ივანე აბდალაძის კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე ადლელი შემოვიდა, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში კარს უკან იდგნენ და კაბინეტში მიმდინარე საუბარს აყურადებდნენ.

ივანე გაშრა, ხელი, რომელშიც ფული ეჭირა, ჰაერშივე გაუშემდა. ადლელებს უკან შემოჰყვა მურყვან ხალდანი.

– რაო, ვანო, არ მელოდი, არა? – დამცინავად ესროლა სიტყვები მურყვანმა.

ივანემ სიტყვა ვერ დასძრა.

– ივანე აბდალაძე, თქვენ დაუყონებლივ გათავისუფლებული ბრძანდებით პელეთის მმართველის თანამდებობიდან, გარდა ამისა, დაპატიმრებული ხართ ქრთამის აღების გამო.

ივანე აბდალაძეს ბორკილები დაადეს ხელებზე. ამის შემხედვარე მურყვანსა და მის პირტიტველა დისშვილ თორნიკეს ერთნაირად უკვესავდათ თვალები აღსრულებული შურისძიების გამო.

მურყვანმა დის გამო შური ბოლომდე იძია, ივანე აბდალაძე 10 წლით ჩააყუდეს საპყრობილეში. ასეთი იყო მემამბოხე მურყვან

ხალდანის ამბავი. ბუნებრივია, გაეგონა მისი ეს თავგადასავალი ჯეგესაც.

ჰელეთის კლდეებში დღემდე იკრიბებოდნენ მურყვანის ირგვლივ მისი მონადირეები, შეიარაღებული კაცები, რომლებიც ჰელეთის შემოგარენს აკონტროლებდნენ, სახელმწიფო მმართველებისაგან დამოუკიდებლად.

ნაბიმ და შავყანმა, რა თქმა უნდა, უამბეს მურყვანს ჯეგეს პატარა თავგადასავალი.

– ჯეგე, მოდი აქ, აბა! – დაიძახა მოულოდნელად მურყვანმა. ჯეგე მის მოპირდაპირე მხარეს დადგა.

– ჯერ ის მითხარი, სვანური რატომ არ იცი, მწერალმა მაშენმა ვერ გასწავლა?!

– ვერ მოასწორო, – უკმეხად უპასუხა ჯეგემ.

– შენი სახელია ჯეგე, იგივე ჯგრაგ ანუ გიორგი.

– ეგ ვიცი.

მურყვანმა შეხედა ბიჭუნას აღმაცერად. „ამ თავხედს დამიხედე“, – გაივლო გუნებაში.

მურყვანმა ამოიღო თავისი განუმეორებელი ნაგანი.

– ამაში, ჯეგე, 7 ვაზნა ჩადის, ახლა ერთ თამაშს გასწავლი, ხო ხარ ვაჟკაცი?

– ვარ.

– ლიმტრაალდმა?

– ანუ ვითამაშოთო? – უთარგმნა დახლიდან ნაბიმ.

ჯეგემ გაკვირვებული თვალებით შეხედა პირგამეხებულ, ნახევრად გამელოტებულ კაცს.

მურყვანმა ერთი ტყვია ჩადო ჯეგეს დასანახად.

– მიდი ერთი, ჯეგე, სასმელი კიდევ მომიტანე და ერთი კაცურად დავლიოთ.

მურყვანი და ნაბი გასუსულები დგანან დახლთან. ორივე მიხვდა მურყვანის ჩანაფიქრსა და ოინს, თუმცა სდუმან და სერიოზული გამომეტყველებით უყურებენ მოსალოდნელ სეირს, თან, რა თქმა უნდა, არაფერს იმჩნევენ.

ჯეგეს ნაბიმ არყის ბოთლი მიანოდა. ამასობაში მურყვანმა ტყვია ამოიღო ნაგანის ბარაბანიდან.

- დროზე! - დაარტყა მუშტი მურყვანმა მაგიდას.

ჯეგემ არყის ბოთლი მიუტანა სვანს.

- დაჯექი აქ!

დაჯდა ჯეგე უმაღვე.

- ახლა აიღე ნაგანი ხელში, დაატრიალე ბარაბანი ვაჟკაცურად, მერე მიიდე საფეთქელთან ლულა და გამოჰკარი სასხლეტს ხელი, ხომ გაიგე?

- გავიგე. - გაშტერებული სახით უპასუხა ჯეგემ.

ჯეგემ ზედმინევნით შეასრულა მურყვანის მითითება: დაატრიალა ნაგანის ბარაბანი და მიიღო ლულა საფეთქელთან. გული ლამის გაუჩერდა, სუნთქვა შეეკრა, შიშისაგან საკუთარი გულისცემაც კი ესმოდა.

- შეგიძლია თვალეები დახუჭო, ზოგჯერ შველის ხოლმე, - ურჩია მურყვანმა.

ჯეგემ სასხლეტს საჩვენებელი თითი გამოჰკრა, გაისმა ყრუ ჩხაკუნი. ჯეგე გამშრალი დარჩა.

ხალდანებს ისტერიული სიცილი წასკდათ. შემთვრალი მურყვანი აროხროხდა. მან ჯეგეს ხელიდან გამოსტაცა ნაგანი და თვალწინ გადაუხსნა, ბარაბანი ცარიელი იყო.

- მახელვეყი გვეზრდება აქ თურმე, ააა? - ამბობს და ხარხარებს მურყვანი. შავყანიცა და ნაბიც იცინიან.

ამასობაში მურყვანმა ტყვია ჩადო ნაგანის ბარაბანში, წამში დაატრიალა, მიიღო ლულა საფეთქელთან და სასხლეტს გამოჰკრა საჩვენებელი თითი. ჯეგე პირდაფრენილი უყურებს ნახევრად შეშლილ კაცს.

რესტორანში ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყრუ ჩხაკუნი გაისმა ისევ.

- ფუ, ისევ არ გამიმართლა ჩემი!.. - აღმოხდა გულდანყვევით მურყვანს.

- ეგ ვერ არის თავის ჭკუაზე, არ შეიმჩნიო, ჯეგე, - დახლიდან დაუძახა შავყანმა კუდაბზიკობის სენისაგან უცებ განკურნებულ ჯეგეს.

ჯეგე დეზერტირია

ჯეგე ხალდანს ჯარში განწევის ასაკი მოადგა. შავყანმა ქრთამით გადაუვადა მაგოგის ქვეყნის სამხედრო სამსახურში ჩადგომის დრო. ჯეგემ მეგობართან, „რუხთან“ ჩასვლა გადანყვიტა გაგაში, მოჰკიდა თავის გახუნებულ ზურგჩანთას ხელი, რომელშიც ისევ ჩააგდო ოდესლაც სახლიდან წამოღებული წიგნი, სენკევიჩის რომანი „ვიდრე ჰხვალ“ და თავისი პატარა ოთახიდან გამოვიდა.

– გაქცევით თავს ვერ უშველი, ჯეგე, – ნაღვლიანად უთხრა ნაბიმ.

– არ ვაპირებ სისხლისმსმელებს ვემსახურო. ჯარში არ წავალ.

– დეზერტირობისათვის დაგაპატიმრებენ, – თქვა გულისწყევტით შავყანმა.

– ქალაქ გაგაში ჩავალ, იქ ვერ მომაგნებენ, – დაამშვიდა ჯეგემ, თუმცა იცოდა თვითონაც, რომ ცრუობდა.

– ნამდვილი ხალდანი ხარ, მაგრამ უაზროდ ჯიუტი. მოგეხადა სავალდებულო, განა შენზე ნაკლები ვაჟკაცები მიდიან იქ?

– მაგას ვერავინ მაიძულებს. დამიჭერენ? ჰოდა, დაე, დამიჭირონ.

გამგზავრებამდე მტკიცე გადანყვეტილებით დგას მხრებზე გაცრეცილ ზურგჩანთამოკიდებული ჯეგე ხალდანი ბიძების წინაშე.

– მშვიდობით გატაროს ღმერთმა, შვილო, – შავყანს თვალები წამოუნითლდა და ყელში ბოლმის ბურთი გაეჩხირა. წლების მანძილზე შვილივით ჰყავდა, ახლა კი ათასი უბედურება და ფათერაკი ელოდა ჯეგეს წინ.

- არ დავგივიწხო, თუ რაიმე გაგიჭირდა, შეგვკატყობინე, იცოდე, - ამოთქვა ნაბიმ.

- როდესაც დრო მოვა და აფთარზე შურისძიებას დავინწყებ, მოგანვდენტ ხმას მაშინ, - გამოსამშვიდობებელი სიტყვების მაგიერ თქვა ჯეგემ.

- შენსას არ იშლი მაინც, - ჩაიბუტბუტა შავყანმა, - შენ გვერდში გვიგულე ყველაფერში, ჯეგე, - თქვა შავყანმა და გადაეხვია თავის გამოზრდილს.

- კაი ახლა, გვეყოფა, თუ მიდიხარ, ნადი, დამეკარგე აქედან, - თქვა ზედმეტი გულაჩუყების გამო საკუთარ თავზე გულმოსულმა შავყანმა.

- მოდი აქ, შე გოთვერანო, - გულში ჩაიკრა შავყანის მკლავებიდან თავდალწეული ჯეგე ნაბიმ, - შენი ამბის მოწვედნა არ დაგავინყდეს ჩვენამდე.

- უცილებლად გაგაგებინებთ, არავში რომ ჩავალწევ, მოგნერთ ნერილს.

ჯეგე ბიძებს გამოემშვიდობა და გულმძიმედ დატოვა ხალდანების რესტორანი.

გაუყვა ჯეგე ხალდანი ჰელეთის რკინიგზის სადგურის მიხვეულ-მოხვეულ გზას, რომელიც ზედმინწენით ჰქონდა ნლების მანძილზე შესწავლილი.

ქალაქი გაგა მაგოგის ქვეყნის ყველაზე მიგდებული ადგილი გახლდათ, ჰელეთიდან მატარებლით 2 დღე-ღამე იყო საჭირო იქ ჩასასვლელად. მიდიოდა ჯეგე ქვეყნის დასალიერისაკენ და დროის მოსაკლავად შეუდგა ბავშვობაში სახლიდან წამოღებული ნიგნის კითხვას. მთელი გზა მის კუბეში არავინ შემოსულა, გაგაში იშვიათად თუ ჩადიოდა ვინმე. რომანის „ვიდრე ჰხვალ“ კითხვას შეუდგა. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იმან, რომ ქრისტიანებს როცა სდევნიდნენ, მათი საიდუმლო ნიშანი იყო თევზი. ჯეგემ ერთი ამოსუნთქვით ჩაიკითხა ნიგნი.

ამასობაში დაჟანგულმა ლიანდაგებმა ხრჭიალი ატეხეს, მატარებელი გაჩერდა. ხალდანმა ფანჯრიდან შეავლო გაგას რკინიგზის სადგურს თვალი, ხრიოკი, უსიცოცხლო ადგილი, მტვერი. რამდენიმე ადამიანის ლანდი მოჩანს სიშორეში მხოლოდ.

„ესეც ქალაქი გაგა. უნდა მოვიფიქრო, „რუხი“ როგორ ვიპოვო“, – გაიფიქრა ჯეგემ და კუპედან გამოვიდა.

მომწვანო-მოყვანგისფრო მატარებლის ვაგონის ვინრო რკინის კიბეზე დადგა თუ არა ფეხი და თვალი მოავლო ირგვლივ გადახრიოკებულ სიცარიელეს, შორიახლოს ორ დამჭირველს მოჰკრა თვალი.

– აი, კიდეც ერთი დეზერტირი, – უთხრა ერთმა მეორეს.

– თქვენი საბუთები! – შეუყვირა დამჭირველმა ჯეგეს.

„გაქცევას აზრი არა აქვს“, – გაიფიქრა ხალდანმა, საფეხურები ზლაზვნით ჩაიარა და დამჭირველებს პასპორტი გაუნოდა.

– ჯეგე ხალდანი! – დააშტერდა დამჭირველი სახელსა და გვარს, შემდეგ კი ფოტოს გასწვრივ დაბადების თარიღს მიაქვავა მზერა და ჯეგეს ეჭვის თვალით ახედა.

– რამდენი წლის ხარ?

– 22-ის! – ომახიანად გასცა პასუხი სვანმა.

ჩაავლეს დამჭირველებმა ხელი დეზერტირს, აქეთ-იქით ამოუდგნენ და გააქანეს განყოფილებაში.

ზოზინით და გულზვიადად მიჰყვება ჯეგე კანონის აღმსრულებლებს. „თუ ჩამსვეს, ეგ არაფერი. „რუხს“ ციხიდან უფრო იოლად ვიპოვი“, – გაივლო გულში.

ჯეგე ხალდანს ხუთი წელი მიუსაჯეს დეზერტირობისათვის და გაგას დახურული ტიპის სასჯელალსრულების დანესებულებაში, „კრიტში“, უკრეს თავი.

ერთი დღეა, რაც ჯეგე კრიტში იმყოფება. მისვენებულია ნარზე. რკინით დაგმანული ფანჯრების ჩარჩოებიდან, ძაფისოდენა ღარებიდან, სუსტი სინათლე შემოდის. საკანი სიგარეტის თეთრი კვამლითაა დანისლული. რული შეეპარა, ძილს მიეცა და მალევე სასტიკ კოშმარში გაეხვია: მოდიან მაგოგის ჯარისკაცები, კბილებამდე შეიარაღებულები, შავი ნიღბებით, ნაბრძანები აქვთ რამდენიმე ათეული ადამიანის მოკვლა. მოაბიჯებენ, ისმის მათი ფეხის აჩქარებული ხმა. სიბნელეში მოდიან სიკვდილის მომტანი ლანდები. დამჭირველები ციხეს მოადგნენ, სიჩუმეში გასაღებების რანკარუნკი ისმის, იღება საკნების კარები, სადაც წინასწარ შეაქურჩეს ის ადამიანები, რომლებიც გასაჟლეტად გაე-

მეტეზინა მაგოგის მთავრობას. ავტომატის ჯერი იცლება, ზოგ საკანს არც ალებენ, რკინის საკნის კარების პატარა სარკმელებში ყოფენ ავტომატის ლულას და ისე ესვრიან ტყვიას პატიმრებს. ციხე გმინავს.

ჯეგეს დახუჭული თვალის ქუთუთოებს მიღმა გაუჩერებლად დათრთიან თვალის კაკლები და ცდილობენ ნანახი აღიქვან. შფოთავს, ცივი ოფლი ასხამს. საკუთარი გულისცემის ხმამ გამოაღვიძა.

– რა ხდება? – იკითხა სიზმრისაგან გამორკვეულმა, ფეხზე წამოხტა და წამით გაქვავდა კიდეც, – ყველას დახოცავენ! – ამოიღრიალა ბოლოს სასონარკვეთილმა.

მისი ყვირილით გამოღვიძებულმა თანასაკნელებმა გაკვირვებით შეავლეს ჯეგეს თვალი.

ჯეგე რკინის ფანჯარას მიანყდა და ძილში ჩაძირულ „კრიტს“ განწირული ხმით გასძახა, – ყველას ჩახოცავენ!

ისე შეშლილივით იმეორებდა ხალდანი ამ ორ სიტყვას, რომ მის დასაშოშმინებლად მივიდნენ.

– ეტყობა, ციხეში პირველად მოხვდა, – ირონიულად ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პატიმარმა.

ჯეგე წამით სმენად იქცა და მერე კი ძარღვებში სისხლი გაეყინა, გაფითრდა და გახევდა, ხშირი ნაბიჯების ხმა მოსწვდა მის ყურთასმენას.

– მოიხედე აქეთ, რა დაგემართა? სახეზე ფერი არ გადევს, – მშვიდად ჰკითხა თანამოსაკნემ.

– დაინყო უკვე, – უიმედოდ, ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით თქვა ჯეგემ, – ყველას ჩახოცავენ, ვნახე... შემოდიან... გვიანია... ხმაური რომ ატეხოს მთელმა ციხემ, იქნებ შეშინდნენ და შეჩერდნენ. – ამოთქვა ბოლოს ჯეგემ და დაბნეული მზერა თანამოსაკნეებს მიაპყრო.

მართალია, ჯეგეს სიტყვებს პატიმართათვის სიცხადე და დამაჯერებლობა აკლდა, მაგრამ ჯარის ფეხის ხმა უკვე ყველას ესმოდა.

- დღეს ასე ოთხმოციოდე ადამიანი ორ-სამ საკანში გადაანანილეს საეჭვოდ, - თქვა ჯეგეს სიტყვების საპასუხოდ ერთერთმა მათგანმა.

ამ სიტყვებზე დანარჩენებიც გონს მოვიდნენ, მისცვივდნენ რკინის ცხაურით აკრულ ფანჯარას:

- ბუნტი ატეხეთ, ყველას ჩახოცავენ - დაიყვირა ჯეგეს გვერდით მდგომმა.

- შემოდიან, - განაჩენის ტოლფასად წარმოთქვა ჯეგემ, - დავილუპეთ. ჯეგე თავისი გავარვარებული შუბლით ცივ საკნის კედელს მიეხრინა.

ხალდანის თანასაკნელები რკინის ჯამ-ჭურჭელს დასწვდნენ და რკინის ფანჯარაზე დაიწყეს რახუნა.

- მაინც ვერ ვუშველით, - უსასოდ აღმოხდა ჯეგეს.

- მთავარია დანარჩენებიც ავიყოლიოთ, - მიიღო პასუხად.

ჯეგეც მიადგა რკინის სარკმელს და ღრიალით გადასძახა მძინარე ციხეს.

- ყველას ჩახოცავენ, ბუნტი ატეხეთ.

აზრიალდა მთელი „კრიტი“. ამასობაში მაგოგის სპეციალური სადამსჯელო ჯარის სადამჭირველო რაზმი ციხეში შემოლაგდა. დაიწყეს ხოცვა, ერთიანად ამოჟლიტეს ყველა, ვისი მოკვლაც ჰქონდათ ნაბრძანები. მერე კი საკნების გაღება დაიწყეს ბუნტის ჩასახშობად, ქეჩოთი გამოათრიეს პატიმრები და აჩვენეს დახოცილთა ცხედრები. გამწარებული პატიმრები გამხეცებულ წინააღმდეგობას უწევდნენ დამჭირველებს, მათ ამის გამო შეუბრალებლად ზედ აკლავდნენ იმ ცხედრებს, რომელთა სანახავადაც მოათრევდნენ. ხოცვა-ჟლეტა გაგას დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დანესებულებაში მთელი ღამე გაგრძელდა. ბუნტი არ ცხრებოდა, არაადამიანური ხმით ღმუოდა მთელი ციხე. საკნიდან საკანში გასძახოდნენ მოკლული პატიმრების სახელებს, გვარებს და მეტსახელებს. გმინვა ყვირილსა და გინებაში, შემდეგ კი ღრიალში გადაიზარდა.

ციხიდან ღმუილი ისმოდა, ციხის გარეშემო უღრანი ტყე კი ბანს აძლევდა პატიმრებს. ჩაკეტილ მთებში ჯოჯოხეთიდან ამო-

მავალ გმინვას წააგავდა პატიმართა ღრიალი. ფანჯრის გისოსებს შორის აღმოდებულ ზენრებს ყრიდნენ, არა ვინმესგან შველის მისაღებად, არამედ ერთმანეთის გასამხნევევებლად გაჰყვიროდნენ. არაადამიანური შეძახილები და ღრიალი ისმოდა გაგაში „კრიტი-დან“, მაგრამ პატიმართა ხმა არავის ესმოდა.

ქალაქი გაგა მუდამ განთქმული იყო თავისი დაუმორჩილებლობით. აქ ყოველთვის თავს იყრიდნენ მაგოგის ქვეყნის ურჩი შვილები. გაგას ციხეში კი სასჯელს ავტორიტეტული ადამიანები იხდიდნენ. ისინი მაგოგის ქვეყნის ინტერესებისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდნენ და ციხიდან შეეძლოთ ქვეყანაში გარკვეული პროცესები ემართათ. ამ და სხვა მიზეზთა გამო აუცილებელი გახდა მათი სიცოცხლის მოსპობა. თანაც ვინაიდან ვერა გზით ვერ დაიმორჩილებდნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ ქვეყნის მმართველთ? ოთხმოციოდე ადამიანის სიცოცხლეს ხომ ვერ შესწირავდნენ ქვეყნის ინტერესებს. დამჭირველებმა ყოველივე მაგოგის ქვეყნის კანონის შესაბამისად შეასრულეს. პატიმრების გმინვა სიბნელეში შთაინთქა.

ჯეგე მისავათებული იჯდა ნარზე, თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული. მაგოგის ჯარისკაცებმა, როგორც იქნა, დატოვეს ციხე. ღამე კი ცის დათმობას ეპირებოდა.

იმ საკნის კარი არც კი გაულიათ, რომელშიც ჯეგე და მასსავით უმნიშვნელო პატიმრები იმყოფებოდნენ.

– ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, – თქვა ჯეგეს დაღონებულმა თანამოსაკნემ.

– ალბათ. – მიუგო ჯეგემ.

გაგას ციხეში პატიმრების გაკონტროლების განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდათ დამჭირველებს. საჭიროების შემთხვევაში თითო-თითოდ გაჰყავდათ სანამებელ ოთახში. „კრიტი“ ერთი ოპერატორი მუშაობდა, მას ამ ადამიანთა წამების გადაღება ევალებოდა. დამჭირველები ჩვეულებისამებრ ამ ვიდეომასალას იყენებდნენ, რათა პატიმრებისათვის ციხიდან გასვლის შემდეგ, წყეული კადრების გამჟღავნების შიშით, ეიძულებინათ მთავრობის ინტერესების გატარება და მათთვის მუშაობა. ყოფილ

მსჯავრდებულებს სხვა გამოსავალი არც რჩებოდათ, კადრების გამოაშკარავების შიშით ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ.

ოპერატორ თედო არავიძეს, ქალაქ გაგას გმირის ნოდება მიანიჭეს ქვეყნისათვის განსაკუთრებული სამსახურის განწევის გამო. ქალაქში მცხოვრებმა დიდმა თუ პატარამ იცოდა, თუ რა საგმირო საქმეთათვის ჩამოჰკიდეს თედოს კისერზე გმირის ორდენი. ერთ დღესაც „რუხმა“ მოძებნა თედო არავიძე და უბოდიშოდ გამოასალმა სიცოცხლეს. ოპერატორის სხეული ერთ-ერთ მიტოვებულ შენობასთან დააგდო, კედელზე კი თედოს სისხლითვე დიდი ასოებით წარწერა დატოვა

ოპერატორი გმირია!

ციხეში მალევე გავარდა ხმა, კანონიერმა ქურდმა, „რუხმა“, გაგას „კრიტის“ ცნობილი ოპერატორი მოკლაო. ამბავმა ჯეგემდეც მიაღწია.

– შენ რა, „რუხს“ იცნობ? – ჰკითხა თანასაკნელმა ხალდანს.

– მაგას „რუხი“ მე შევარქვი ბავშვობაში, – ღიმილით უპასუხა ჯეგემ. გახარებული იყო, რომ რაღაც ცნობა შეიტყო მეგობარზე. „რაც მთავარია, „რუხი“ ცოცხალია“, – გაიფიქრა თავისთვის.

– ალბათ მალე დაიჭერენ და ნახავ კიდევ ძველ მეგობარს, – გამოსძახა წარზე წამოგორებულმა მეორე თანასაკნელმა.

ქალაქ გაგას 1 დახურული ტიპის ზონა, იგივე „კრიტი“, დასახლებიდან მოშორებულ ადგილას მდებარეობდა, უღრანი ტყის მისადგომებთან, ჩაკეტილ ხეობაში. ასე იყო თუ ისე, პატიმართა ყოველ გმინვას ტყე აძლევდა ექოს, ადამიანის ყურთასმენას არ სწვდებოდა მათი შეძახილები.

ბუნტის ჩახშობის შემდეგ დამჭირველებმა მორიგი ტრადიციული სადამსჯელო ღონისძიება ჩაატარეს. პატიმრები ჯგუფ-ჯგუფად გაიყვანეს ეზოში, სადაც მრგვალი, უფუნქციო შადრენის გარდა, არაფერი იყო. ოციოდე მსჯავრდებული ჩააყენეს მწკრივში, რომლის თავშიც 6 დამჭირველი იდგა. თითოეული მათგანი გამეტებით ურტყამდა ხელკეტს პატიმარს, ყოველი მომდევნო კი უყურებდა, თუ რა მოელოდა მას. მწკრივში იდგა ჯეგე ხალდანიც და ისევე, როგორც სხვები, უსიტყვოდ ელოდა

თავის ჯერს. ჯეგეს წინ ერთ-ერთი პატიმარი ცახცახმა აიტანა. ხალდანი დგას გახევებული, წამის გაელეებაში გონებაში წარმოსახვით ხედავს, თუ როგორ ურტყამენ მას და მერე როგორ გდია უღონოდ წარზე თავისსავე საკანში. გამხეცებული დამჭირველები დაილაღნენ კიდევ პატიმრების ცემა-ტყეპით, მაგრამ ცხოველურ ჟინს ვერ იკლავენ მაინც. ჯეგეს რიგმა მოუნია, გამწარებით ურტყამენ ხალდანს, ჯეგე კი ტკივილს ველარ გრძნობს.

- კიდევ გაბედავთ ბუნტს? - გაიძახიან ადამიანობადაკარგული დამჭირველები.

ერთ-ერთი დამჭირველი, რომელსაც სახე მხეცისა უფრო აქვს, ვიდრე ადამიანისა, სულს ძლივს ითქვამს, არადა მაინც განაგრძობს სვანის ცემას.

ცემის დათმენის დღემ უსასოოდ და უსიტყვოდ ჩაიარა გაგას „კრიტიკა“. პატიმრებს დანა პირს არ უხსნიდათ.

მსგავსი სადამსჯელო ღონისძიება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ამ დახურული ტიპის ზონაში. პატიმრების დასაბეგვად მიზეზი, ასე თვეში ორჯერ, მუდამ მოიძებნებოდა.

გავიდა რამდენიმე კვირა მასობრივი ცემის დღის მერე და ციხის ადმინისტრაციის მთავარმა დამჭირველმა სადამსჯელო, ჭკუის სასწავლებელი ღონისძიების გამეორება გადაწყვიტა.

მსჯავრდებულები ისევ შეყარეს ეზოში და ჩაამწკრივეს. ჯეგე მწკრივის შუაგულშია მოხვედრილი. დგანან პატიმრები ერთი მეორის ზურგს უკან და ელოდებიან, ხელკეტებით როდის დაიწყებინან.

ხალდანი მოუსვენრობამ შეიპყრო, გამოვიდა მისთვის განკუთვნილი ადგილიდან, ცემა-ტყეპის დაწყებამდე მწკრივის სათავისაკენ გაეშურა და რიგში პირველი ჩადგა.

- რაო, პირველს შენ გინდა, რომ მოგხვდეს? - დამცინავად ჰკითხა კუნთმაგარმა დამჭირველმა.

ჯეგე მას გამომწვევად გაეჯგვიმა. წელს ზემოთ მუჭში მოჭერილი ბუშტივით გაბერილმა მხარბეჭიანმა დამჭირველმა სახე დაღრიჯა, მარჯვენა ხელის მტევანი მთელი ძალით მოუჭირა ხელკეტს, ტლანქი მოძრაობით მოიქნია და ჯეგეს დაუშინა. ხელკეტმა ჰაერი ზუზუნით გააპო. ხალდანმა მისი ტორი ჰაერში

გააშეშა, მარცხენა ხელით დაუჭირა ხელკეტიანი მტევანი, მარჯვენა ფეხის გვერდითა დარტყმით კი მარცხენა მუხლის სახსარი ჩაუმტვრია. აზმუვლდა დამჭირველი და ჩაიკეცა. ირგვლივ დაბნეულობამ დაისადგურა, გონს მოსული პირუტყვისებრი დამჭირველები მისცვივდნენ ჯეგეს. ერთ გაბეყილს ლამის სული გააფრთხობინა ხალდანმა დიაფრაგმაში დარტყმით და გაუნგრია გულის ფიცარი, ერთ-ერთი დამჭირველთაგანი ჯეგეს ზურგიდან მივარდა, სვანმა იდაყვით მოიგერია ზურგს უკან მყოფი მონინალმდეგე. პატიმრები დაბნეული ცხვრებივით დგანან და არც ირხევიან. კიდევ ერთი დამჭირველი ეძგერა ჯეგეს, ხალდანმა სიმნრით შეკრული მუშტი დაარტყა ხორხში, ახროტინდა მკვრივი დამჭირველი. ჩამსკრივებულ პატიმრებს შორის თანდათან ჩოჩქოლი ატყდა, გამოცოცხლებულად ახმაურდნენ პატიმრები, შემოეჯარნენ ჯეგეს, მაგრამ დაბნეულობისა თუ შიშის გამო მის შველას არ ჩქარობდნენ. მეხუთე დამჭირველი გახელებით გამოექანა ჯეგესკენ, ხალდანმა მისი დარტყმა აიცილა, ქეჩოში ჩაავლო ხელი და უფუნქციო შადრევნისაკენ მოისროლა მისი ნონასნორობადაკარგული სხეული. ამასობაში ბოლო გაშმაგებული ხელკეტიანი მოექანება ჯეგეს შესაჩერებლად, ხალდანმა მის სქელ კისერს გაშლილი ხელი დაახვედრა და დამჭირველი მყისვე გაიშხლართა მინაზე. ძირს ყრიან გალახული დამჭირველები, კვნესიან, ხროტინებენ, ბლავიან კიდევ. ჯეგეს ირგვლივ შემოკრებილ პატიმრებს იმედის ჟრუანტელმა დაუარათ მიმქრალ და დაუძღურებულ სხეულებში. მსჯავრდებულთა სიხარულის ნაპერწკლით აკრიალებულ თვალებში მალევე ჩადგა სიბნელე. პატიმრების ბრბო კბილებამდე შეიარალებულმა დამჭირველთა დაჯგუფებამ გაარღვია და ჯეგე ხალდანი კარცერისაკენ წაათრიეს.

კარცერი სარდაფში ჰქონდათ, ყურუმ სიბნელეში, სადაც ერთი რკინის დამტვრეული ნარი ეგდო და ერთი ელექტრონათურა ეკიდა, რომელსაც მხოლოდ საკვების შენოდების დროს ანთებდნენ, მაშინ, როდესაც რკინის კარის სარკმელი გამოიღებოდა რახუნითა და ხრჭიალით. ჯეგემ საკვებზე უარი განაცხადა, სასმელ წყალს იღებდა მხოლოდ. ხალდანი დარდობდა, მისი საქციელის გამო სხვები არ დაესაჯათ. ძაბავდა სმენას, იქნებ როგორმე

გაეგო, თუ რა ხდებოდა კარცერის მიღმა და დანარჩენებს რა ბედი ეწიათ. მის დაძაბულობას ამძაფრებდა თითო-ოროლა წვე-
თის ხმა. სარდაფში წყალი ჩამოდიოდა, კარცერის ზემოთ მყოფ
სასადილოში მილი იყო დაზიანებული, წყალი ჟონავდა ნელ-ნელა
და ელექტროგაყვანილობის ღარს მოჰყვებოდა. წყლის წვეთების
რიტმული ხმა ყიამეთსა და სამარისებურ სიჩუმეში ტვინს უხ-
ვრეტდა ხალდანს.

იმისათვის, რომ შეამბოხე ჯეგე ხალდანს თავის თანასაკნე-
ლებზე უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა, სვანი სხვა საკანში
შეიყვანეს. გამოფიტული ხალდანი შელასლასდა ახალ საკანში,
სადაც სიგარეტის კვამლის ნისლში 50-მდე პატიმარი იმყო-
ფებოდა. ხალდანის ზურგს უკან რკინის კარი გამყინავი ხმით
მირახუნდა. პატიმრებმა უცხოს ეჭვის თვალით შეხედეს. ნარზე
ჩამომჯდარ ერთ-ერთ პატიმარს კი სახეზე ჯეგეს დანახვისთა-
ნავე ღიმილი გამოესახა.

- ჯეგე! დავიჯერო, შენ ხარ? - თქვა ღია ფერის თმის მქონე
ყმანვილკაცმა, წამოდგა და პირმცინარი ჯეგესაკენ გამოემართა.

- კი და შენ ვინ... - სიტყვა გაუწყდა ხალდანს, როდესაც ნაც-
ნობ პირისახეში ძველი მეგობარი ამოიცნო, - „რუხი“?! - გაება-
დრა ჯეგეს თვალებამოღამებული სახე.

ჯეგე და დიმიტრი, ბავშვობის მეგობრები, ერთმანეთს გა-
დაეხვივნენ. დანარჩენი პატიმრები განცვიფრებით უყურებდნენ
შემოსულს. „რუხი“ მსჯავრდებულებს შორის დიდი ავტორიტე-
ტით სარგებლობდა, მასთან ახლობლობაზე უფრო საპატივცე-
მულო არაფერი იყო. „რუხი“ ოპერატორის მკვლელობისათვის
დააპატიმრეს. სანამ ჯეგე კარცერში წყლის წვეთების ხმას უგ-
დებდა ყურს, დიმიტრიმ თავის საკანში დამჭირველების მიერ
შემოგზავნილი დადუ დამსმენი ელექტრონათურის ნამსხვრევით
გამოასალმა სიცოცხლეს.

- ეს ჩემი ძმა და მეგობარია, ჯეგე ხალდანი, იცნობდეთ,
- თქვა დიმიტრიმ მისთვის დამახასიათებელი სიმკაცრითა და
გამოკვეთილი, ხაზგასმული სიტყვების წარმოთქმის მანერით და
თანასაკნელებს გამოხედა. მერე ისევ ჯეგეს მიუბრუნდა, ხელი

გადახვია ბავშვობის მეგობარს და საკანში შემოიყვანა. – კარგად დაგიბეგვია ის ახვრები, ჯეგე, ღირდა ალბათ მაგის გამო ერთი თვე კარცერში ყურყუტი, ჰა, რას იტყვი?

– იმეი ხაყლე სიმარე, ა?

– ერთი, ჩემი ძმა, ჯეგეს ადგილი დაუთმე, – უთხრა „რუხმა“ იქვე ნარზე ნამოკოტრიალებულ თანასაკენელს.

ჯეგემ საკანს თვალი მოავლო. – არ არის საჭირო, აგერ, აქ მოკვალათდები, – მიუთითა ხალდანმა ორსართულიანი ნარის ზედა ცარიელ სანოლს.

– კაი, როგორც გინდა, ჯეგე, ქვემოთ მე ვიქნები, ოლონდ გაფიცებ ყველაფერს, არავითარი ყიყლიყო.

– რა ყოფილხართ ეს ხალდანები, ერთი თვეა აქ ვარ და ორი მაგარი ხალდანის სახელმა მოაღწია ჩემამდე. ერთი იყო და ხელი დავინვი, მოვახერხე და ადულებული წყალი გადავისხი.

– ყოჩალ.

– ჰოდა, აქ ერთი ღვთისნიერი ვინმე გყავს, სახლში დამზადებული მალამოებით კურნავს ყველანაირ დამწვრობას, გოჩა ჰქვია. ვკითხე კიდევ შენზე და არ ვიცნობო, მითხრა. შენ თუ გსმენია გოჩა ხალდანზე, ჯეგე?

– არა, არ გამიგია, მაგრამ ხალდანები ბევრნი ვართ.

– ეჭვიც არ მეპარება. მაგის მალამომ ორ დღეში მომირჩინა დაფუფქული ხელი, ჯიგარი ტიპია, ნამალს ისე, უფულოდ არიგებს აქ, ზონაზე და კურნავს ყველა დამწვარსა და უბედურს.

– ხალდანებს ადამიანური ამბავი არ ეშლებათ ხოლმე, – შეიფერა ჯეგემ უცხო ხალდანის კაიკაცობა.

– ეგ კიდევ არაფერი. ერთი კვირაა რაც მთელი ციხე სოსო ხალდანზე ლაპარაკობს. დავიჯერო, არც სოსოს იცნობ?

– არა, მაგან რალა ჩაიღინა?

– წლების მანძილზე ზონაზე მუშაობდა, მეზადრაგეთა უფროსად, მაგრამ გამოირჩეოდა მათგან. მოკლედ, ახვარი არ იყო. ჰოდა, ერთი წლით გადაიყვანეს ქალთა სასჯელალსრულების დანესებულებაში. იქ ერთ გოგოს, ლალი კვარაცხელიას, შეჰყვარებია ეს ჩვენი ციხის უფროსი.

– რა ჭორებს მიყვები, „რუხო“, ჰაა?

„რუხს“ სიცილი წასკდა.

„რუხის“ შიში და რიდი ჰქონდათ პატიმრებს, მასთან შეთამამებას იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე, ჯეგე კი ელაზღანდარებოდა.

– მოიცა, მომაცოლე. ეგ ლალი კვარაცხელია შენი მტრის, ვარლამ არავიძის, ვაჟს ჩაუსვია ციხეში.

– რა თქვი?

– ჰოდა, მომისმინე ბოლომდე, ცხვირში ნუ გაქვს სული, ჯეგე. ლალი კვარაცხელია აბელ არავიძის კლასში გადასულა. მოსწონებია აბელს მე-11 კლასელი ლალი, შეყვარებია კიდევ. ეს მეგრელი გოგო ცივად ექცეოდა თურმე, ვარლამის ძე კი გასაქანს არ აძლევდა. ერთ დღესაც ამოსვლია ყელში ლალის ეგ შენი ვარლამის ვაჟი და მორიგი სიყვარულის ახსნისას მიუხვლია, შენ ისეთი ნაძირალა მამის შვილი ხარ, უარს სიყვარულზე კი არა, სალამზეც გეუბნებო. ჩაუდია აბელ არავიძეს გულში ბოღმა. ლალის მამა ტყის მჭრელად მუშაობდა. ქვრივი იყო და ეგ ერთი გოგო ჰყავდა. სკოლის მერე ლალი დიასახლისობასაც ართმევდა თავს და მამასაც ეშველებოდა დაბეჭდილი ხე-ტყის საბუთების მონესრიგებაში. ერთ მშვენიერ დღესაც კვარაცხელიებს სახლში დამჭირველები დაადგნენ და აბელ არავიძის დამწუნებელი მე-11 კლასელი გოგონა ხე-ტყის ყალბი დაბეჭდვისათვის დააპატიმრეს და მიუსაჯეს არც მეტი, არც ნაკლები, 15 წელი, მამამისი გიჟს ჰგავდა, თუ დარღვევა იპოვეთ, მე აგერ ვარო, ჩემს გოგოს თავი დაანებეთო, მაგრამ ტყის მჭრელი კი არა, მისი ქალიშვილი ჩასვეს ციხეში.

– მამის კვალს დადგომია ეგ აბელი, – თქვა ჯეგემ.

– ეგ ნაღდად ეგრეა. მოიცა, მთავარი გითხრა. როგორც კი ლალი კვარაცხელია სრულწლოვანი გახდა, ეტაპით ჩამოიყვანეს გაგაში ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ლალის ათი წელი უკვე მოხდილი ჰქონდა. სოსო ხალდანი ჩვენთან 17 წელი მუშაობდა, ერთი წლით მოულოდნელად გადაიყვანეს ქალე-ბთან ზონაზე, ლალის გულში ჩავარდნია ეს ჩვენი სოსოია ხალდანი, მათ შორის რალაც გაჩარხულა კიდევ, მინერ-მონერაც ჰქონიათ თურმე. მაგრამ მერე მთელ ციხეზე სალაპარაკო თემად

რომ არ ქცეულიყო მათი ამბავი, სოსოს ყურადღება მოუკლია ლალისათვის. ქალმა კი იმის გამო, რომ ციხის უფროსი გაცივდა მის მიმართ, ადგა და თავი მოინამლა. მკედარი იყო ფაქტობრივად რამდენიმე წუთის განმავლობაში. სოსო იმდენად გამწარდა, ღრიალებდა, თუ ამ ქალს არ გადაშირჩენთ, ყველას ციხეში ჩაგყრითო. „გააცოცხლეთ, თქვენი...“, – დაჰბლაოდა სოსო ისედაც დამფრთხალ ციხის პერსონალს, როგორ აღმოჩნდა მაგის საკანში ამდენი აბი, ცოცხლები ვერ გადაშირჩებიო. ლალი მოაბრუნეს ამქვეყნად. გავიდა რამდენიმე თვე და სოსო ხალდანმა ნაცნობების წყალობით იმდენი ქნა, რომ ლალი კვარაცხელია შეინყაღეს და დარჩენილი 5 წელი გაუქარწყლეს.

– კაი უქნია, – თქვა ჯეგემ.

– ჯერ სადა ხარ, გაათავისუფლეს თუ არა ლალი ციხიდან, სოსოიამ არც აცივა, არც აცხელა და ცოლად მოიყვანა. სამსახურს თავი დაანება, ერთი კვირის წინ იყო აქ მოსული და გამოგვემშვიდობა. სოსო ხალდანი გადავიდა გაგადან და თავისი მეუღლითურთ დასახლდა აქედან ბევრად შორს.

– ადამიანი ყოფილა მართლაც, – თქვა ჯეგემ, – მაგრამ ვარლამის ვაჟი მამამისზე უარესი იზრდება მგონი, ეგ აფთრის ნაშიერია და მისგან აწი უარესებია მოსალოდნელი.

– მაგარი ახვარია, ხალხს ამწარებს და პასუხის მომკითხავიც არავინაა, მამის საამაყო გაიზრდება უდავოდ.

ლამემ მალევე მოაღწია გაგას დახურულ ზონამდე, სადაც მეგობრები სულმოუთქმელად საუბრობდნენ. „რუხსა“ და ჯეგეს არ ელეოდათ ერთმანეთისათვის მოსაყოლი ამბები. იხსენებდნენ ბავშვობაში ქუჩაში ერთად გატარებული დროის ათას წვრილმანს, დიმიტრის გულითადობა ჯეგესადმი მსჯავრდებულებში გაოგნებას იწვევდა. ჯეგეს „რუხთან“ შეხვედრამ ყველა სატანჯველი გადააყინა.

– ჯეგე, საცაა დაგვათენდება, ხვალაც გვექნება სალაპარაკო დრო.

ჯეგე წარის მეორე სართულზე აძვრა, ხელი თავქვემ ამოიღო და მეგობარს ჩასძახა:

- შენ გაბისტან ისევ მეგობრობ?
- კი, ჩემი ძმბა, მაგარი გოთვერანი ვინმეა. სამი წელია, და-
საჭერად დასდევენ და ვერ მოიხელთეს ვერაფრით.

- „რუხო“!

- რა არის, ჯეგე?

- ძალიან გამიხარდა შენი ნახვა.

- მეც, ძმურად, დავიძინოთ ანი, თორემ ლაპარაკით ენა და-
მელალა.

- ჯეგე, ჩაგეძინა? - ცოტა ხანში ასძახა დიმიტრიმ.

- არა, რა ხდება?

- მე და შენ ერთად მოვიფიქროთ, როგორ ვუტიროთ იმ შენს
აფთარს ყოფის დღე, იცოდე, ბოლომდე შენთან ვარ.

- ეგ ვიცი, „რუხო“.

ორივენი ერთმანეთის ნახვით გამონვეული სიხარულით იყვ-
ნენ აღვსილნი, წამიერად ჯეგეც და „რუხიც“ ისევ იმ უდარდელ
და რთულ ბავშვებად იქცნენ, როგორებიც იყვნენ ჰელეთის რკი-
ნიგზის სადგურში.

- შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ, შიზიკ. - მთქნარებას
ამოაყოლა ეს ფრაზა „რუხმა“.

ციხე ღრმა ძილს მიეცა. შუალამე კაი ხნის გადასული იყო, 4
საათი იწურებოდა. საკნის რკინის კარი ხრჭილით გაიღო, სიბ-
ნელეში დამჭირველები შემოვიდნენ, შემოჰყვნენ ღამეს. საკანში
ელექტრონათურა გაბდღვიალდა.

- აი, ეგ არის, დადუ რომ მოკლა, - მიუთითა ერთმა დამ-
ჭირველმა დანარჩენებს. ჯეგე სიზმრიდან გამოერკვა, „რუხმაც“
დაჭყიტა თვალები, დანარჩენი პატიმრები ღრმად ჩაძვრნენ საბ-
ნებსა და პლედებში, თავი მოიძინარეს. დამჭირველებმა „რუხის“
ნარისკენ აიღეს გეზი, საკანი ქვესკნელიდან ამოსული უმეტყვე-
ლო სახეებიანი დამჭირველებით იყო სავსე, ციხის ადმინისტრა-
ციის ოთხი კბილებამდე შეიარაღებული კაცი რკინის კართან
იდგა, ექვსი კი ნახევრად მძინარე დიმიტრის დაესხა თავს. ჯეგე
გონს მოეგო, წამოხტა ნარიდან და დამჭირველებს ეძგერა მე-
გობრის დასაცავად. ჯეგეს ხუთი დამჭირველი აკავებდა. მისივე
ნარიდან გადმოათრიეს ზენარი, ხელ-ფეხი შეუკრეს და საკნის

შუაგულში დააგდეს იატაკზე. ამასობაში „რუხის“ ფეხებს ორი დამჭირველი აკავებდა, დიმიტრი იგინებოდა და წინააღმდეგობას უწევდა მის მოსაკლავად მოსულთ. ორმა დამჭირველმა ხელები დაუკავა, ერთი კი გაკავებულ „რუხს“ ზემოდან მოექცა, ჯერ სახეში ურტყამდა გამეტებით ხან სილას და ხანაც მუშტს. ზენრით გათოკილი ხალდანი იატაკზე ბოლო ხმაზე ყვიროდა.

– გაიღვიძეთ, თქვე ნაბოზვრებო, მეგობარს მიკლავენ! – ღრიალებდა მთელი ციხის გასაგონად.

ნარზე მბორგავ „რუხის“ სხეულს ზემოთ მოქცეულმა დამჭირველმა პატიმრის თავს ქვემოდან ბალიში გამოაძრო, პირისახეზე დააფარა და მის გაგუდვას შეუდგა. „რუხი“ აფართხალდა, ბოლო ამოსუნთქვამდე მთელი სხეულით იბრძოდა სიცოცხლისათვის. ჯეგეს ყვირილი ხრიალში გადაიზარდა, სიმწრისაგან კისრის ძარღვები დაჰბერვოდა, მეგობარს თვალწინ უკლავდნენ, ის კი ვერაფერს შეელოდა. ღრიალებდა ჯეგე, ღრმად ეძინათ თანასაკნელებს, შიშის სიზმარეთში ჩაფლულიყო მთელი „კრიტი“. მისი ხმა არავის ესმოდა. „რუხმა“ ბრძოლა შეწყვიტა, მისი სხეული სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ იძლეოდა, ჯეგეს ბავშვობის მეგობარი უსულოდ ესვენა ნარზე. წყვდიადიდან მოსული დამჭირველები გაეცალნენ საკანს. ელექტრონათურა ჩაქრა.

გდია ჯეგე გაკოჭილი, შებორკილი და გაჰყვირის მძინარე „კრიტს“. საკანში შიშის სუნი ტრიალებს, გაუნძრევლად სძინავს ყველას, შეუბრალებელ უმოქმედობაში იძირება ციხე. ხავის ჯეგე ხალდანი სახმო სიმების დანყვეტამდე.

თენდება. რიჟრაჟი და დილის სუსხია საკნის მიღმა. „რუხის“ სხეული ცივდება, მძიმდება. უსიტყვოდ ხავის ჯეგე. ერთ-ერთმა პატიმარმა, როგორც იქნა, გაბედა ნარიდან წამოდგომა, ნელ-ნელა გამოძვრნენ დანარჩენებიც, ზოგი კი უბრალოდ შეირხა ნარზე. რამდენიმე პატიმარი მოხრიალე ჯეგესთან მივიდა, დაიხარნენ მასთან და ხელ-ფეხი გაუხსნეს.

– დადუს მოკვლას არ შეარჩენდნენ ეგენი, – ფრთხილად უთხრა ერთმა.

ჯეგეს ნათქვამი არ გაუგონია, წამოდგა და დიმიტრის უსულო სხეულისაკენ გაეშურა. უხმოდ მტირალმა მეგობარს თვალები

დაუხუჭა. თავს მოერია. ბოლმისა და ბრაზის სიმხურვალისაგან ცრემლები შეაშრა თვალებზე.

– რომელ თქვენგანს შეუძლია, რომ გაბისთან მიმანვდენინოს ხმა? – იკითხა ჯეგემ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა საკანში.

– ერთი ვიცი, რომელიც იცნობს მას, სასადილოში შეგახვედრებ, თუ გინდა.

– თვითონ უთხარი, – გამოსცრა კბილებში ჯეგემ, – გაბის გააგებინონ, „რუხს“ რაც შეემთხვა. ჩემგან გადაეცი, რამდენსაც შეძლებს, იმდენს გაუსწორდეს. მე აქედან მალე ვერ გავალ, ვინც დარჩება „რუხის“ მკვლელთაგან ცოცხალი, როცა თავისუფალი ვიქნები, მერე მივხედავ მაგათ. ჩემი მეგობრის არც ერთი მკვლელი და საკანში ამ ღამით მყოფი დამჭირველი არ უნდა დადიოდეს ცოცხალი მიწაზე. მიანვდინეთ გაბის ჯეგე ხალდანის სიტყვები.

– გადავცემ, მიანვდენენ ხმას. – მცირედი ღუმილის მერე მიიღო ჯეგემ პასუხად.

მეგობრის სიკვდილის მერე ხალდანი არავის სცემდა ხმას, რამდენიმე დღეში კი ჯეგე კატორლაში გადაიყვანეს.

„რუხის“ სიკვდილის ამბავი ელვის უსწრაფესად გავრცელდა მთელ ქალაქში. ამბავმა მალევე ჩააღწია ჰელეთამდეც. „რუხის“ სიკვდილმა და ჯეგეს სიტყვებმა გაბის ყურამდე მალევე მიაღწია. სულ რაღაც სამ თვეში თითოეული დამჭირველი, რომელიც იმ დღეს „რუხის“ მოსაკლავად შევიდა საკანში, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ამ სამი თვის მანძილზე ერთი მეორის მიყოლებით ხვდებოდა მათი სახელები და გვარები ნეკროლოგში.

მიხვდებიან, რომ ქრისტიანი ვარ

როგორც კი ჯეგე კატორლიდან გამოვიდა, ეგრევე არავისაკენ აიღო გეზი, მივიდა თავის ბიძაშვილ ჯეგებ ხალდანთან, იმ ერთადერთ ადამიანთან, რომელსაც არავში ენდობოდა. სახელდახელო სუფრა გაშალა დოდონამ, ჯეგებს დედამ, ჯეგეს მოსვლის პატივსაცემად.

ჯეგებს სახლში ბიძაშვილის საუკეთესო მეგობარი, კაო ლადელიანი, გაიცნო იმ დღეს ჯეგე ხალდანმა. კაო გახლდათ ყმანვილი ღია ფერის სახითა და ღია ლაჟვარდისფერი თვალებით. საფეთქლებს ზემოთ შეტიხრული ქერა თმები ყვრიმალეებთან სიმეტრიულ სამიანს ქმნიდა თავისი მოხაზულობით. კაო ფრესკიდან გადმოსულ ანგელოზს ჰგავდა. ჯეგებს კი ჯეგეს მსგავსი გარეგნობა ჰქონდა, ისეთივე მუქი და ჯმუხი, უხეში მამაკაცური სახის ნაკვეთებით, მუქი თაფლისფერი, მოშავო მკვესავი თვალებით, უბრალოდ შედარებით უფრო დაბალი იყო.

დოდონამ გადამალული არაყი გამოუტანა ბიჭებს.

– კუბდარსაც ხელად დაგიცხობთ, – თქვა დოდონამ, – ჯეგებ, შვილო, უთხარი ჯეგეს, ჩვენთან დარჩეს, სანამ არავში იქნება.

– მაგას თქმა რად უნდა, დედა, დარჩება, აბა, სად წავა, ჩვენ ვართ მისი ოჯახი აქ.

– მიდი, კაო, ერთი კიდევ დაასხი.

– მაგაზე როგორ განყენინებ, – თქვა მარად თვალებმცინარმა სვანმა და სამი შუშის მომცრი არყის ჭიქა შეავსო სასმისით.

– ჰარყი მთე ჰარაყს, ხუთრედ მუხბე! – დააყოლა.

სამეული მალევე შეზარხოშდა. ჭაჭამ ჯეგეს საღერღელი აუშალა.

– მითხარი ერთი, აფთარი რას აკეთებს?

- ვარლამ არავიძეს გულისხმობ?

- კაი სახელი კი შეგირქმევია მისთვის, ჯეგე, - გამოსძახა ფქვილით კალთებზეთეთრებულმა დოდონამ სამზარეულოდან.

- შეშლილია, მომწამლავენო და არავის იკარებს შვილიშვილის გარდა, მის შვილს გადასცემენ ალბათ არავის მმართველობას აფთორის სიკვდილის მერე.

ჯეგემ არაყი გადაკრა.

- მასზე და მის ოჯახზე შური უნდა ვიძიო, ოღონდ ისე, რომ ამოიყაროს მისი ყველა ვერაგი საქმე.

- როგორ? - ჰკითხა ჯეგებმ.

- ეგ ადვილი არ იქნება, თან ჯერ არ მაქვს მოფიქრებული.

- იცოდე, ძმა ხარ ჩემთვის, თანაც კი იცი, აფთარმა ჩემი ოჯახიც გაამწარა, რაც უნდა გადანყვიტო, მარტო ნუ იმოქმედებ, ერთპიროვნულად ნურაფერს გადანყვეტ, ჯეგე, მითხარი და ყველაფერში ბოლომდე ამოგიდგები გვერდში.

- მე არაფერში გამომტოვოთ, ხალდანებო, - ღიმილით თქვა კაომ და სასმისები შეავსო.

ოთახში ცხელი კუბდარების სუნი დატრიალდა, მას ყველის სუნიც შეერია. დოდონამ სუფრაზე ცხელი კუბდარი და ხაჭაპური შემოიტანა.

- მაგ სისხლისმსმელების პარპაშს თუ შეძლებთ, რომ ბოლო მოუღოთ, ქალი კი ვარ, მაგრამ თქვენს თანამზრახველად მიგულეთ, - თქვა ჯეგებს დედამ და დაღვრემილ, სახეკუშტ ჯეგეს დედობრივი სიყვარულით გადაუსვა თავზე ხელი.

- არავიძემ თავისი დამჭირველებით ყველა წამართვა, ვინც მიყვარდა, - თქვა ჯეგემ და არყით სცადა მონოლილი ბოლმის ცეცხლის ჩაქრობა.

- მთავარია სამართლიანობა აღდგეს, - რბილად უთხრა მისმა ახალმა მეგობარმა კაომ.

- სამართლიანობა არაფრით არ აღდგება, სულ რომ ამოვუხოცო ოჯახი, მაინც ვერ მიშველის ეგ მე. - ჯეგემ ეს სიტყვები ისეთი სასონარკვეთით წარმოთქვა, რომ სიტყვა ვერავინ დაძრა.

- კაი, გავალ ცოტა ხნით, რაღაც საქმე მაქვს.

– ჩემს სახლში რომ უნდა დაიდო ბინა, ხომ იცი, ჯეგე? –
ჰკითხა დაეჭვებულმა ჯეგებმა.

– მოვბრუნდები მალე, – უპასუხა დაღლილმა ხალდანმა.
სკამიდან წამოდგომამდე ჯიბეზე გაიკრა ხელი, სადაც თავისი
პატარა შავტარიანი დანა ეგულეობდა, მერე კი წამოიძართა წა-
სასვლელად.

ჯეგე ხალდანმა ბიძაშვილის სახლ-კარი დატოვა.

– კაო, არ მომწონს მე ეგ ამბავი. ეგ რომ მოვიდა, რაღაც არ
უხსენებია, საქმეზე ვარ წასასვლელიო. აჯობებს უკან გავყვეთ,
მინტერესებს ერთი, რა საქმე აქვს ამისთანა.

– მოშორებით მაშინ, ისე, რომ ვერ შეგვაგმჩნიოს.

– რამე შარი არ აუტეხოს საკუთარ თავს.

– მოუკვდეს მაგას ბიცოლა, ეს რა ჯოჯოხეთი გაგვიჩნდა
არავში, ადამიანთა მოხრებელი აფთარი, ეგ მართლა აფთარი!

– დაწყნარდი, დედა, მოვიყვანთ ჯეგეს და მოვალთ.

ჯეგე მიუყვებოდა მოასფალტებულ გზას და ბოლოს არავის
ხიდთან გაჩერდა. „დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, არაფერს
აზრი არა აქვს, შეშლილის მოკვლით რა შურისძიება გამოვა ან
რა ვაჟკაცის საქმეა დაძაბუნებულის სიცოცხლის მოსპობა“, –
ფიქრობდა თავისთვის ჯეგე. მან ჯიბიდან პატარა შავტარიანი
დანა ამოიღო. „უბრალოდ დავიღალე, დედა, და არ მინდა მეც
აფთარი გავხდე“. ჯეგე ჩაიმუხლა არავის ხიდთან, დანის წვერით
ორივე მკლავზე იოტას მსგავსი თევზის ნიშანი ამოიტვიფრა. –
„ვიდრე ჰხვალ“, – ნაილულულა. სისხლი ნაკადულებად ჩამოე-
დინა ჯერ ერთ, მერე კი მეორე მკლავზე. „როდესაც ჩემს ცხე-
დარს იპოვიან, სადაც არ უნდა გამრიყოს წყალმა, მიხვდებიან,
რომ ქრისტიანი ვარ“, – თქვა ჩურჩულით ჯეგემ, დადგა ხიდის
კიდესთან, შედგა წამით.

ამასობაში გზაზე ჯეგე და კაო გამოჩნდნენ. ჯეგებმა ბიძაშ-
ვილის სილუეტს მოჰკრა თვალი.

– სულ გაურეკია ამ უბედურს, ცურვა არ იცის მაგ ლენჩმა...
– თქვა სახეგაფითრებულმა ჯეგებმა. – ჩეს ჩარვენ სიიი მაარეეე
ააა! – დაუყვირა მერე.

ჯეგეს ესმის ხმა, მაგრამ ამჯერად რალაც შორეული და ზედმეტად მინიერია ეს ხმა მისთვის. ცოტაც და ჯეგე ხალდანი არავის წყალში გადაეშვა. ჯვებე და კაო ადგილიდან მოწყდნენ, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, წამში მიცვივდნენ არავის ხილთან, ორივე კაცი ჯეგეს გადასარჩენად გადაეშვა არავის წყალში. ჯვებე ხალდანიცა და კაო ლადელიანიც, ჯეგესაგან განსხვავებით, შესანიშნავი მცურავები იყვნენ, ასე, რომ ჯეგეს არავის წყლიდან ამოყვანა დიდად არ გასჭირვებიათ. უგონო ჯეგეს სხეული გამოათრიეს ნაპირზე.

შეშინებულმა ჯვებემ გვარიანი სილა გაარტყა მიწაზე გაშხლართულ ბიძაშვილს.

– ხელები შევეუხვიოთ? – იკითხა კაომ და თან ჯეგეს დასერილ ხელებს დახედა, – არა ყოფილა საჭირო, სისხლი შედედებულა უკვე, – თვითონვე გასცა თავისსავე შეკითხვას პასუხი. – არავის წყალი იმდენად ცივია, ძარღვებში გაუყინავს კაცს სისხლს, – თქვა ბოლოს კაომ და იქვე, მიწაზე ჩამოჯდა, მუხლები მოკეცა და წყალთან ბრძოლით დაღლილი მკლავები თავის ბარძაყებზე ჩამოკიდა. ჯვებე უღანუნებს თავის უშველებელ ხელისგულებს ჯეგეს. ჯეგემ თვალები გაახილა.

– თავის მოკვლის გარდა სხვა გამოსავალი ვერ ნახე? – დაულრიალა ჯვებემ ბიძაშვილს.

– თუ ძმა ხარ, ძლივს გადავარჩინეთ და ახლა შენ არ გააფრთხოვინო შენი ცემა-ტყეპით სული, – უთხრა კაომ გაცოფებულ ჯვებეს.

ჯვებე ნელ-ნელა დამშვიდდა და ჯეგეს გვერდით სულის მოსათქმელად ჩამოჯდა მიწაზე. ჯერ სიმწრის ოფლი მკლავით მოიწმინდა შუბლიდან, მერე კი მკლავითვე შეიმშრალა არავის წყლის ყინულივით ცივი წვეთებით დაცვარული სახე.

ჯეგე ხალდანი ასვენია არავის წყლის ნაპირზე, მის მარცხნივ კაო ლადელიანი ჩამომჯდარა, მარჯვნივ კი ჯვებე. ჯეგეს რატომღაც მურყვან ხალდანის განუმეორებელი ნაგანი და მისი უნიკალური ფრაზა „ფუ, ისევ არ გამიმართლა, ჩემი!“ გაახსენდა და სიცილი აუვარდა.

- ოჰ, ჯეგე მოგვიბრუნდა ამ ქვეყანაზე უკვე, - ღიმილით თქვა კაომ.

- ბებიამისისა, თვითონ თუ არა, ძალით მოვაბრუნებდით, - ბრაზით უპასუხა ჯეგებმ, - არავის წყალში დასახრჩობი ხალდანისად გვყავს ჩვენ, - დააყოლა მერე და ჯეგეს წამოჯდომაში უშველა.

- გადანყვეტილია, მუხზე, ანი შენს საქმეებზე ჩემთან და კაოსთან ერთად ივლი, საქმეზე მარტო გასაშვები კაცი არ ყოფილხარ შენ, - ჯეგებს გულმოსულ სიტყვებს ძალაუნებურად სიცილი შეერია.

- ყველაფერი კარგად იქნება, ჯეგე, - ამის თქმისას მხარზე ხელი წამოუტყაპუნა კაომ.

- ჰო, უეჭველი, - სიცილით უპასუხა ჯეგე ხალდანმა.

სამსჯავროზე ჯვება მოვიდა

ჯეგე ხალდანის სამსჯავროს უკვე მთელი არავი ესწრებოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მართალია, სამსჯავრო პატარა დარბაზში იმართებოდა, მაგრამ ის პატარა დარბაზი ხალხით რომ გაიჭედებოდა, შემოსასვლელს მოეჯარებოდა ხალხი და კისერნაგრძელებულები ყურს უგდებდნენ „ტყის კაცს“ (პატიმარს ხან რას ეძახდნენ, ხან რას) და შემდეგ ერთმანეთს გადასცემდნენ, ჯეგემ ასე და ასე თქვაო. სამსჯავროზე ნათქვამი ყოველი სიტყვა მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იცოდა. ჯეგე ხალდანმა სამსჯავრო დარბაზს რომ გადახედა, უკანა რიგებში შეამჩნია, რომ ჯეგე მოსულიყო. „რატომ მოხვედი?“ – გაუნყრა გუნებაში ბიძაშვილს.

თავგადახოტრილი, მოსული ვაჟკაცი, ძლიერი ჯეგე ყურადღებას იქცევდა. „გაიგებენ, ვინც არის“, – აწრიალდა ჯეგე. შეთანხმება ასეთი არ იყო. ჯეგე ასპარეზზე სულ ბოლოს უნდა გამოჩენილიყო. ჯეგემ ერთხელ კიდევ გულდასმით მოავლო დარბაზს თვალი. ასე იცოდა: თვალით კარგად შეისწავლიდა სასამართლო დარბაზს და სიტყვას მერე იწყებდა. თორნიკესა და მის მეგობარ ბიჭებში ამჯერად ერთი გოგონა ერია, მეორე მანდილოსანიც ეჯდა გვერდით, მაგრამ ის ერთი იქცევდა ყურადღებას, იჯდა და გაფაციცებული მისჩერებოდა პატიმარს. ჯეგე ვერ იხსენებდა, წინა სხდომებს ესწრებოდა ეს გოგო თუ არა. „აღბათ არ ესწრებოდა“, – გაიფიქრა თავისთვის. ერთ რამეს კი ატყობდა – ახალგაზრდების რიგი იზრდებოდა, ყოველდღე ათეულობით ადამიანი ემატებოდა. გოგონა ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ მონყვეტდა ადამიანი. ჯეგე ხალდანმა ამ გოგონაზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შეაჩერა მზერა, რომ წრფელი თვალები ჰქონდა. გასაოცარ სიკეთეს და სისპეტაკეს ასხივებდა თვალებიდან.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს გოგონა? ვისი ხატობით მოვიდა სამსჯავროზე? მის უკან ისხდნენ თორნიკე და მისი მეგობრები. ალბათ თანაკლასელები არიანო, გაიფიქრა ჯეგემ.

მესჯულე ქალაქებს ათვალთქვამდა, მდივან ქალს მოჰქონდა და მოჰქონდა საქმიანი ქალაქები. მესჯულემ რამდენიმე ქალაქზე მოანერა ხელი; ალბათ წინა სხდომის თუ იყო, მერე წამოდგა და სამსჯავროს სხდომა უნდა დაენყო, რომ სამსჯავროზე აბელ არავიძე შემოვიდა, მიესალმა დამსწრეთ, მიადგა სამსჯავრო მაგიდას და მესჯულეს დაუნყო ჩურჩული. მესჯულემ, სამსჯავრო გადადებულაო, გამოაცხადა. მესჯულესა და მსჯავრმდებლებს გრიგოლ გრიგოლოვი იბარებდა ადლში. ჯეგე ხალდანისათვის ახალი მსჯავრი უნდა გამოეტანათ. დარბაზი აირია.

ჯეგებმ ამით ისარგებლა, გაემართა ჯეგესკენ და ვიდრე ბადრაგი დარბაზიდან გაიყვანდა, შეუმჩნევლად ჩაუარა და სვანურად უთხრა: – ფსიქიატრიულში გაგზავნიან! ნუხელ იოსიმეს დუქანში დურო იყო... ამბავიც იმან გამოიტანა.

ჯეგებ სამსჯავროზე დასასწრებად მხოლოდ ამის სათქმელად არ მოსულიყო. თუ დღეს პატიმრის მსჯავრს გამოაცხადებდნენ, ჯეგებს უნდა ამოეთხარა ვარლამ არავიძე იმ ღამესვე.

– ეს ამათი ხრიკია, – უპასუხა სვანურადვე, – შენი დაჭერა უნდათ.

– თუ რამეა, ჩემი ძმა მიხედავს მაგ ამბავს, – მიაძახა ჯეგეს სვანურად ბიძაშვილმა.

ბადრაგმა წინ გაიგდო ჯეგე, პატიმრისათვის განკუთვნილ ბნელ ოთახში შეიყვანა. ჯეგე კისერს იგრეხდა და უკან-უკან იყურებოდა, კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ მოასწრო, კარი ჩაუკეტეს.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, დამჭირველებით გარშემორტყმული დურო გამოჩნდა ხალხში. პირდაპირ ჯეგებსკენ გაემართა, მივიდა რიხიანად.

– ეს არის, წამოიყვანეთ! – უთხრა დამჭირველებს და უკან გაბრუნდა. დამჭირველები ჯეგებს აქეთ-იქით ამოუდგნენ, დუროს მიჰყვნენ უკან.

- რა გინდათ ჩემგან! - შეჩერდა უცებ ჯვებზე.

- იქ გაიგებთ! - უთხრა დამჭირველმა, ვისაც მკლავში ჩაე-
ვლო ხელი და მიჰყავდა. მეორე მკლავიც გაკავებული ჰქონდა და
ზურგს უკანაც გრძნობდა იარაღის ტუჩს, დროდადრო ზურგში
უბიძგებდნენ ხოლმე რევოლვერის ლულით, ამით თითქოს ეუბ-
ნებოდნენ, არ გაინძრე, დაგვემორჩილე, თორემ გესვრითო.

- დაპატიმრებული ვარ? - იკითხა გაოცებით.

- იქ გაიგებთ! - უთხრეს და ახლა ზურგში უბიძგა სხვა
დამჭირველმა სხვა რევოლვერის ტუჩით. ჯვებზე ძალიან ნელა
ადგამდა ნაბიჯებს და ხალხს გასცქეროდა. შეამჩნია, ის ახალ-
გაზრდები, რომლებიც სამსჯავროზე ხმაურობდნენ, გვერდით
მოსდევდნენ. ჯვებებს დამჭირველები მხრებამდე ვერ სწვდებოდ-
ნენ, გოლიათივით იდგა მათში. დურო მობრუნდა და დამჭირვე-
ლებს დაუცაცხანა.

- რას უდგებხართ, ჩქარა!

- სულერთია, მაინც ამოვთხრით! - თქვა მოულოდნელად, -
არ მოგასვენებთ. იქამდე არ დასრულდება ეს ყველაფერი, ვიდრე
ვარლამს საკუთარი შთამომავალი არ ამოაგდებს მიწიდან და არ
გადაუშვებს ყორნისხევიში! - ეს სიტყვები მოულოდნელი ქუხილის
მსგავსი აღმოჩნდა ირგვლივ მყოფთათვის. ჯვებზე ხმამაღლა და
გარკვევით თქვა. ამის თქმა იყო და თითქოს ხალხისაგან ტყვია
გამოვარდაო, ჯვებებს სახეში მოხვდა მუშტი. ეს თორნიკე იყო.
დამჭირველებმა თორნიკეს სტაცეს ხელი და ჯვებებს მოაცილეს.
თორნიკე ჯვებებსკენ მიიწეოდა.

- აფთრის ნაშიერო! - მიაძახა ჯვებზე.

თორნიკემ გაიგონა, მოხედა და მიაგინა.

ჯვებზე დინჯად მიდიოდა სამსჯავროს გრძელ დერეფანში.
კიბეებით უნდა ჩაეყვანათ ქვედა სართულზე. მანქანა იქ ელო-
დებოდათ. დამჭირველებს ხელბორკილი მზად ჰქონდათ, მა-
გრამ ჯვებზე მშვიდად მიდიოდა, ხელის გარტყმის შემდეგაც არ
აღელვებულა, ამიტომ იკავებდნენ თავს. ხელბორკილის დადების
დროს ეგებ წინააღმდეგობა გაენია და შარს მოერიდნენ. კიბეზე
დაშვების დროს მოხდა მოსახდენი: თორნიკე მაინც გამოუსხლტა
დამჭირველებს და ჯვებებსკენ გამოქანდა. ჯვებზე არც აცია, არც

აცხელა, დასტაცა ტანმორჩილ დუროს ხელი, აიტაცა, უნდოდა თორნიკესთვის საჯდომით დაეთხლიშა თავში. დურო ფეხებს ასხმარტალეზდა, თორნიკეს მხოლოდ გაქნეული ფეხი მოხვდა. დურო კი საჯდომით მის მეგობარს დაეცა. დუროცა და ის ყმანვილებიც კიბეებზე ჩაგორდნენ. დამჭირველები ჯვებეს შემოეხვივნენ თვალისდახამხამებამში. ჯვებე კელავ კიბის თავზე იდგა დინჯად, მაგრამ სუნთქვაზე ეტყობოდა მღელვარება, თვალეზში ცეცხლი ენთო, სულმთლად გაფითრებულეყო. შეურაცხყოფილ თორნიკეს აკავებდნენ და პატიმართან მისვლის საშუალეზას არ აძლევდნენ.

კიბის ქვემოთ დუროს ეხვეოდნენ, – ფეხი მალლა აეშვირა და ყვიროდა:

– მომტეხა შობელძალმა, მომტეხა!..

როცა დურო ყმანვილს დაეცა, ბიჭს თავი კედლისათვის შეუხლია და მერე დაგორებულა კიბეზე. თავი გაპობილი ჰქონდა. ამ საბრალეო ყმანვილისათვის სასწრაფოს გამოძახება დასჭირდათ.

– გაათავისუფლეთ კიბეები! გაათავისუფლეთ კიბეები! – ყვიროდნენ დამჭირველები და ცნობისმოყვარე ადამიანებს დაუნდობლად, ხელის თუ ავტომატის კონდახის კვრით ერეკებოდნენ.

ჯვებეს ხელები უკან ჰქონდა შებორკილი, ფართო მკერდი წინ გამოზნექოდა, გამართული, თავანეული ჩამოდიოდა კიბეზე, თითქოს დამჭირველები იყვნენ დაპატიმრებულეები და არა ჯვებე ხალდანი. „შავი ყვავი“ ზედ კიბესთან იდგა. ჯვებე მანქანასთან შეჩერდა, ხალხი მოჯარულიყო, სამსჯავროს მსვლელობის დროს მომხდარი ამბავი მთელ ქალაქს გაეგო. გამვლელები ჩერდებოდნენ და ახალ „შურისმადიებელს“ ცნობისმოყვარედ ათვალეერებდნენ. „შავ ყვავს“ სასწრაფო დახმარების მანქანა მოადგა. თორნიკეს თავგახლეჩილი მეგობარი საკაცეზე დაანვინეს და მანქანაში შესვეს. დუროს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს და თავისი მანქანით შინ წაიყვანეს. სასწრაფოთი წაყვანა არ მოისურვა. მანქანაში ჩაჯდომის წინ ჯვებემ ხალხს არწივივით გადახედა და თქვა:

– ვარლამ არავიძეს საფლავში არ გავაჩერებთ! მაგის იმედი ნუ გექნებათ.

დამჭირველებმა ჯვებე ძალით შეაგდეს მანქანაში.

– საკუთარი მამა უარვეყავი მაგის შეთითხნილი საქმეების გულისთვის, სასამართლოზე მათქმევინეს უარი მის შვილობაზე, გვარიც კი შემაცვლევინეს. არ მოვასვენებ საფლავში არა! – ბობოქრობდა ჯეგე მანქანაში და დამჭირველებს უხსნიდა საქმის ვითარებას.

ამ ყველაფერს შეესწრო სკოლის ულამაზესი გოგო, ქეთი, რომელიც თანაკლასელთან ერთად მოსულიყო. თორნიკე ბობოქრობდა, ამას და იმას ვიზამო. ქეთი ბიჭებისაკენ გამოემართა. ყმანვილები გაინაზნენ, თორნიკეს სახე გაუბრწყინდა და ლამის ენა დაება, გაულიმა გოგონას.

– ვარლამ არავიძეების საქციელის გამო შენს ადგილზე შემრცხვებოდა, თუ, რა თქმა უნდა, შენც მათსავით ნამდვილი არავიძე არ ხარ! – დაუტოვა ქეთიმ თორნიკესათვის განაჩენის ტოლფასი სიტყვები და თავის თანაკლასელ გოგონასთან ერთად გაუყვა შინისაკენ გზას.

თანგულიას მეორე აპგოხება

პირველად დედას აუჯანყდა. ჯვებესთან შეხვედრამ, მისმა დაპატიმრებამ, ბიჭების აზრმა პატიმარზე და ქეთის სიტყვებმა თანგულიას შეურყიეს რწმენა. პაპას თუ გმირად წარმოისახავდა, სამსჯავროზე თანდათან რწმუნდებოდა, რომ ასე არ იყო. ბიჭები პატიმრებს, ჯეგეს და ჯვებეს, აშკარად თანაუგრძნობდნენ. თორნიკე თანდათან უკან-უკან იხევდა: პაპაჩემი ისეთ სამსახურში იდგა, იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. ჯერ ასე, შემდეგ მშობლების ნათქვამიც დაუმატა: ისეთი დრო იყო, სხვაგვარად არ შეიძლებოდაო. თანგულია გრძნობდა, რომ პატიმარი უფრო დამაჯერებლად ამტკიცებდა პაპამისის ვერაგობას. ტოლებში კარგავდა პატივისცემას, თანაკლასელები მას აღარ უჯერებდნენ და სამსჯავროზე არა მისი მხარდაჭერისთვის, არამედ როგორც კარგ კინოში, ისე მიდიოდნენ. პატიმარს უკვე თვით სამსჯავროს წევრებშიც კი თანაუგრძნობდნენ. შეიძლება ასე არ იყო, მაგრამ თანგულიას ეჩვენებოდა ასე.

იმ დღეს, ჯვებემ რომ უთხრა, შე აფთრის ნაშიეროო, ქეთიმ კი დააყოლა, არავიძეობა სამარცხვინოაო, შინ გაბოროტებული დაბრუნდა. გაფითრებული მიუჯდა მაგიდას. არ შიოდა, უფრო უკეთ, შიოდა, მაგრამ კრიჭა შეკვროდა, ჭამა არ შეეძლო. გული ბოლმით ჰქონდა სავსე. ჩვევა ჰქონდა ასეთი, შინდაბრუნებული სუფრას უნდა მისჯდომოდა და ესაუზმა, მხოლოდ ამიტომ მიუჯდა მაგიდას. დაჟინებით ფიქრობდა სამსჯავროზე, მეგობრებზე, ქეთის სიტყვებზე, პატიმრის ნათქვამზე, ხალხის რეაქციაზე, ჯვებეს შეპყრობაზე, ჯვებეს და ჯეგეს ფიზიკურ და სულიერ ძლიერებაზე და თანდათან მშობლებისადმი, საკუთარი თავისადმი ეჭვებით და ღვარძლით ივსებოდა. ცარიელ მაგიდას დაშ-

ტერებოდა. ცისმარე სამზარეულოში ახმაურებდა ქვაბებსა და თეფშებს, შვილს საუზმეს უმზადებდა.

– დედა! – გასძახა დედას თანგულიამ, – ასეთი გათახსირებულიები თუ ვიყავით, არ უნდა მცოდნოდა? ჩემთვის არ უნდა გეთქვათ?

ცისმარემ ვერ გაიგო შვილის ჯღავილი სასადილო ოთახიდან. იფიქრა, ალბათ საქმელი რომ დავუგვიანე, იმიტომ ბრაზობსო.

– რაო, შვილო, რა გინდოდა? – თეფშები მოიტანა და წინ დაუდგა თანგულიას.

– ვინ იყო პაპაჩემი? სიმართლე მითხარი! – ხელი დაჰკრა მაგიდას. ერთი თეფში მალლა ახტა, მეორე გადაბრუნდა.

– უჰ, ჭურჭელი! რა მოგივიდა? – კვლავ დაულაგა თეფშები წინ.

– ვინ იყო პაპაჩემი?! – ანთებული თვალეები მიაშტერა დედას. ულვაშებს არ იპარსავდა, მაგრამ ყმანვილური ღინღლი მაინც აჩნდა საულვაშეზე. როცა ნერვიულობისაგან ფითრდებოდა, ღინღლი თითქოს უმუქდებოდა და ტუჩებზე ედღაბნებოდა.

– არ იცი, ვინ იყო ვარლამ არავიძე?

– რაც მე ვიცი, ის სიცრუე ყოფილა თურმე! – მოუმატა ხმას თანგულიამ.

– სიცრუე? აბა სიმართლე ის გგონია, რასაც იქ, იმ საგიჟეთში ამბობენ? ის კაცი დალაგებული ვერ არის, ახლა ფსიქიატრიულში გააგზავნიან და ამით დამთავრდება ყველაფერი.

– ფსიქიატრიულში? – გაიოცა თანგულიამ, – ვინ გითხრა?

– მამაშენს უთხრეს...

– ეს ახალი ამბავია! – ჩაფიქრდა თანგულია, – მაგრამ ჯეგეს ფსიქიატრიულში გამომწყვდევით არ მოგვარდება ეგ საქმე. დღეს ახალი ამომთხრელი გამოჩნდა სასამართლოზე.

– ვინ ახალი ამომთხრელი?

– ჯვებე ჰქვია, მისი ბიძაშვილი ყოფილა.

– იმასაც იქ უკრავენ თავს.

– ჯვებემ იცი, რა მოგვაძახა? ეს არ დასრულდება, სანამ ვარლამ არავიძეს, მისივე ნაშიერი არ ამოაგდებს საფლავიდანო.

- ეტყობა, ისიც ვერ არის სულიერად ჯანსაღი, - უშფოთველად უპასუხა დედამ.

- კი, მაგრამ ეს ხალხი თუ ჯანსაღია და ტყუილად ვაგზავნით საგიჟეთში, ხომ გამოვლენ უკან.

- ეს უკვე ჩვენზე იქნება დამოკიდებული. მამაშენს შეუძლია ისინი უკან არ დააბრუნოს.

- რაო, რაო? მამაჩემს შეუძლია? გამაგებინე, ვინ არიან მამაჩემი და პაპაჩემი? - აღმოხდა მოთმინებადაკარგულ თანგულიას.

- თორნიკე, შვილო, თანგულია, არ მომწონხარ დღეს, რა შეკითხვებს იძლევი, არც კი გრცხვენია... მოვალ ახლავე, საჭმელს მოგიტან, - ოთახიდან გავიდა და მოაძახა შვილს, - მშიერი ხარ ალბათ!..

- არ ვარ მშიერი! - დაიღრიალა ხრინწიანი, ჭაბუკური, დაუნმენდავი ხმით, გაგულისებულმა მაგიდას მუშტი დაარტყა, დაიმსხვრა თეფშები. - მითხარი, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე. - რისხვით ანთებული თვალები მიაპყრო უკან მობრუნებულ შეშინებულ დედას.

- რაზე დაამტვრიე ეს თეფში!.. - ნამსხვრევებს დაუნყო კრეფა განბილებულმა დედამ, - სერვიზის თეფში დამიმტვრია!.. რა სიმართლეს დაეძებ, რა ჯანდაბა სიმართლეს დაეძებ! - ახედა გაცეცხლებულმა.

- პაპაჩემი მართლა მკვლელი იყო? თქვენ უნდა მითხრათ ეს, მშობლებმა!.. ქუჩაში მეუბნებიან!

- დანყნარდი, თანგული, დამშვიდდი... ქუჩაში ათას სისულელეს გეტყვიან, უნდა დაიჯერო?

- ხალხი, მეუბნება, ხალხი! - აყვირდა კვლავ თანგულია.

- თორნიკე, შვილო, შენ უკვე პატარა არა ხარ! რა მოგივიდა?

- პატარა რომ არა ვარ, სწორედ იმიტომ მინდა სიმართლე ვიცოდე ჩემს ოჯახზე.

- მამაშენს დაელაპარაკე მაშინ, გადაუბრუნებია შენთვის ვილაცას ტვინი, მე არ მცალია, ათასი საქმე მაქვს!

- მოდი აქ! - იჯლავლა კვლავ თანგულიამ, დედას დასტაცა მკლავში ხელი და არ გაუშვა, - შენ მითხარი სიმართლე, შენ! პაპაჩემმა მართლა ამოწყვიტა ხალდანები?

- არ ვიცი, ვინ არის ხალდანი, პირველად მესმის ეგ გვარი.
- აბა, რატომ არ აყენებენ ვარლამ არავიძეს საფლავში?
- ჯეგე ხალდანი გიჟია, ფსიქიურად შეშლილი, შეურაცხადია და იმიტომ.

- ის გიჟი რატომ არ ერჩის სხვა მკვდარს, რალა მაინცდამაინც პაპაჩემი ამოიჩემა.

- არ ვიცი, რატომ ამოიჩემა, გიჟი რომ არის, იმიტომ ამოიჩემა. გიჟის საქციელს ახსნა არა აქვს! შეიძლება მართლა გადასახლა მისი დედ-მამა. დრო იყო ასეთი, ყველას იჭერდნენ, ვისაც კი რაიმე მიზეზს უპოვიდნენ. ალბათ რალაც დანაშაული მიუძღოდათ.

- არავითარი დანაშაული არ ჰქონიათ. მამა მწერალი ჰყოლია, დედა პედაგოგი, ორივე შეუპყრია და დაუხოცია.

- პაპაშენი არავის ხოცავდა, ხოცავდა კანონი.

- რა კანონი? სამი კაცი შეიკრიბებოდა და განაჩენი გამოჰქონდათ. ის იყო კანონი! იმ „სამეულს“ ემორჩილებოდა ყველა, მთელი მხარე, მთელი ქვეყანა!

თორნიკეს დამაჯერებლად მოეჩვენა დედის პასუხი, დაშოშმინდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ფიქრს მიეცა. ვარდიკომ თანგულიას საუზმე შემოუტანა, მაგიდაზე ფრთხილად დაუდგა. თანგულია ვარდიკოს ბებიას ეძახდა, თუმცა შინამოსამსახურე იყო.

- დაუძახე დედას! - ცივად, გაღიზიანებულმა გამოსძახა ვარდიკოს.

- ახლავე, - გავარდა ოთახიდან შემინებული ვარდიკო.

ცისმარეც უმაღლესი შემოვიდა.

- ეს ფსიქიატრიულში გაგზავნა ვინ მოიფიქრა? - შეაგება დედას.

- თორნიკე, დედა, მათეებს დღევანდელი შენი შეკითხვები, - საყვედურით უთხრა შვილს. როცა დარბაისლური საუბრის ნამონწყებას აპირებდა, მაშინ მიმართავდა შვილს ნამდვილი სახელით. - ვინ მოიგონებდა? ამისათვის სათანადო ორგანოები არსებობენ. ნუთუ შენ ეს არ იცი? ხელფასი ამისთვის ეძლევათ.

– გრიგოლოვმა მოიგონა? გეცოდინება შენ!.. – მრავალმნიშვნელოვნად მიაპყრო თვალი დედას.

– შენს თავს ვფიცავარ, არაფერი ვიცი.

– სულ არაფერი იცი?

– მამაშენმა მოიტანა ამბავი – ფსიქიატრიულში აგზავნიანო, ეს არის და ეს, მე მეტი არაფერი ვიცი.

– როგორღა აგზავნიან საგიჟეთში, როცა ადამიანი გიჟი არ არის! – ხმას აუნია თანგულიამ.

– კი, აგზავნიან, აგზავნიან, იმათ იციან თავიანთი საქმე.

– დედაჩემო, მომხრე ხარ იმისა, რომ ნორმალური ადამიანი საგიჟეთში დაამწყვდიონ?

– ნორმალური ადამიანი არ უნდა დაამწყვდიონ, მაგრამ თუ ადამიანს აჩემებულები აქვს მკვდრის საფლავიდან ამოთხრა, ის სამკურნალოა.

– იმას არ კითხულობ, რატომ აიჩემა მკვდრის საფლავიდან ამოთხრა ან რა დანაშაული მიუძღვის ამისთანა ჩვენს მოდგმას ხალდანების წინაშე? ადამიანს დაუხოცეს უდანაშაულო დედ-მამა, უპატრონო ბავშვთა სახლში ამოაყოფინეს თავი, თხუთმეტიოდე წლის ბიჭი ქუჩაში დარჩა, ესეც არ აკმარეს და ციხეში უკრეს თავი. ამიტომ არ აყენებს საფლავში პაპაჩემს.

– კარგი, ვთქვათ პაპაშენი მართლა დამნაშავეა. რა ექნათ ახლა ჩვენ? მკვდარი არ დავმარხოთ? სად წავილოთ? მითხარი, რა ვუყოთ მკვდარს? მართლა ყორნისხევში გადავაგდოთ? ჩვენთან რომ იყოს კრემატორიუმი, გვამს დავწვავდით და ნეშტს დავმარხავდით, ფერფლს ხომ ვერ ამოთხრიდა. არა გვაქვს ასეთი დანესებულება! რა ექნათ! რა? – მიაჩერდა შვილს. პასუხს ელოდა და მოითხოვდა მისგან.

თანგულიამ იგრძნო, რომ დამარცხდა და არ სწყენია ეს დამარცხება. მიუჯდა მაგიდას და ჭამას შეუდგა. ამით ერთგვარად გამოხატა კმაყოფილება, ვინაიდან დედამ ყველა მის შეკითხვას დამაჯერებელი პასუხი გასცა. თანგულიამ დაინყნარა, დაიმოშმინა სული. შემდეგ მოულოდნელად წამოდგა, შევიდა თავის ოთახში და კარი ჩაიკეტა. ცისმარეს არ მოეწონა კარის შიგნიდან ჩაკეტვა, მაგრამ არაფერი უთქვამს, იფიქრა, მარტოობაში ბავშვი

უკეთ დამშვიდდებო. თორნიკე წამოწვა და ფიქრს მიეცა. ბევრი რამ უნდა გაეანალიზებინა და გაეჩხრიკა, რას ამბობდა პატიმარი, რას ამბობდა ხალხი, რას ფიქრობდნენ მისი მეგობრები, ვარლამ არავიძეზე, აბელ არავიძეზე, თვითონ მასზე – თორნიკეზე. დარბაზში მსხდომთაგან ვინ რა დაილაპარაკა, ვინ რა წამოიძახა – ამაზე უნდა ეფიქრა. ამიტომ ჩაიკეტა თავის ოთახში. სულს უფორიატებდა ქეთის სიტყვები, ჯვებეს მუქარა, და ჰოი, საოცრებაე! გონებაში შემოვიდა ვარლამი და ყველაფერი ერთბაშად დაავიწყა.

„ოთახში მარტო ვარლამი და თორნიკე არიან. თორნიკე პატარაა, ცხრა წლისა იქნება, თეთრი ჩოხა აცვია, მოსირმული პატარა ქამარ-ხანჯალი უკეთია. პაპა გარს უვლის და მის ჩაცმულობას აკვირდება, ჩოხის კალთებს უსწორებს, ღილკილოებს უბნევს.

– ასე! – ამბობს შვილიშვილის ჩაცმულობით კმაყოფილი.

– ვინცებთ! – გამოაცხადებს. შვილიშვილს გვერდით დაუდგება, შემართულია საცეკვაოდ, უჩვენებს ცეკვის ილეთებს. ცეკვავს ხანდაზმული კაცისათვის შეუფერებლად, ჭაბუკურად, ანთებულად.

– ა, ეს ილეთი სხვა ქართულმა ცეკვებმა არ იცის, – უხსნის შვილიშვილს, – ამიტომ ჰქვია ამ ცეკვას არავიძული. დღეს ეს ცეკვა არავის ახსოვს, მამაშენიც კი ვერ იცეკვებს, მარტო მე და შენ გვეცოდინება! – ამაყად ეუბნება ვარლამი თორნიკეს.

– აბა, გაიმეორე! – ტაში შემოჰკრა ვარლამმა და თითქოს სცენაზეაო, გამოაცხადა:

– ცეკვა არავიძული! ცეკვავს თორნიკე არავიძე!..

თორნიკე თავდავინწყებით ცეკვავს“.

ტკბილი მოგონება ძალით გააქრო და მეორე გვერდზე გადაბრუნდა, არ უნდოდა წარსულზე და პაპაზე ეფიქრა. ანმყოში თავსდამტყდარ უბედურებაში სურდა გარკვევა. სად იყო სიმართლე? ვინ იყო მტყუან-მართალი? რას უქადდა მის ოჯახს მომავალი? სამსჯავროზე ქეთიც კი მოვიდა. ქეთი უფროსკლასელი იყო... რისთვის მოვიდა? ვისი ხათრით მოვიდა? რა უთხრეს ასეთი, რით დააინტერესეს? ცნობისწადილი კლავდა ყმანვილს, მაგრამ ვინ ეტყოდა? ქეთი სკოლის თვალი იყო, კარგადაც სწა-

ვლობდა და ლამაზიც იყო. თორნიკეს მზე და მთვარე ამოსდიოდა ქეთიზე, მაგრამ ამას ხომ ვერ გაამხელდა, თან ახლა მით უმეტეს, მისი ტყვიასავით ნასროლი სიტყვების მერე. ქეთი იმდენ ვაჟს უყვარდა, ისეთ „დიდ ბიჭებს“, „ძველ ბიჭებს“ უყვარდათ ეს ერთი გოგო, თორნიკე, აფთარის ნაშიერი, მათში რა სახსენებელი იყო! ქეთიზე უნდა ეფიქრა, როგორ შემოვიდა სამსჯავროზე, ვისთან ერთად შემოვიდა. ეს თინიკო იყო, მსუქანი, მაღალი, ლოყებდა-ულაჟა თინიკო, რომელიც მოახლესავით ყველგან თან დაჰყვებოდა. წინა მერხზე დასხდნენ, ერთი მოხედეს თორნიკესა და მის მეგობრებს და გაუღიმეს. ეს იყო და ეს. შემდეგ მათ უკან აღარ მოუხედავთ. სულ პატიმარს შესცქეროდნენ და რალაცას ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. თორნიკე ატყობდა, რომ რაც უფრო ჭიანურდებოდა სამსჯავრო, მით უფრო მეტი ხალხი ესწრებოდა მას და შურისმაძიებელი უფრო და უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობდა ხალხში. სკოლაშიც კი შემოიჭრა მისი სახელი, მიუხედავად თორნიკეს დიდი მცდელობისა, მხეცად და არაადამიანად წარმოესახა ამხანაგებისათვის პატიმარი, პირიქით მოხდა, მხეცად და ურჩხულად ვარლამ არავიძე მიიჩნიეს, ხოლო პატიმარი ჯეგე ხალდანი გმირად, ვინც ვარლამ არავიძის სიმხეცე და ურჩხულობა ამხილა. ქეთის მოსვლა სხვაგვარად ვერ აეხსნა თორნიკეს. „ქეთი უდავოდ გმირის სანახავად მოვიდა“, – დაჟინებით ფიქრობდა ბიჭი, თან მისი სიტყვებიც ადასტურებდნენ ამ აზრს, – „ვარლამ არავიძეების საქციელის გამო შენს ადგილზე შემრცხვებოდა, თუ, რა თქმა უნდა, შენც მათსავით ნამდვილი არავიძე არ ხარ!“ ქეთის ამ ფრაზის თითოეული სიტყვა სულს უწამლავდა თორნიკეს. ბიჭს თავის ფიქრებსა და გრძნობებში გარკვევა ენადა, ოთახშიც იმიტომ ჩაიკეტა, მაგრამ ვარლამ არავიძე, პაპამისი არ აძლევდა ამის საშუალებას, შემოიჭრა და წარსულს ახსენებდა.

კაო ლადელიანი

არავიძეებსაც და დამჭირველებსაც, როგორც იქნა, ეღირსათ მშვიდი ძილი. არავის ლამეში უშფოთველობამ დაისადგურა. ჯეგე ხალდანი საპყრობილეში იყო და იქიდან ფსიქიატრიულში უკრავდნენ თავს, ჯვებეც დააპატიმრეს და იმასაც მოუგრებდნენ კისერს. ჩაიარა ჩუმმა და მშვიდმა ლამემ, ანი უკვე ვარლამ არავიდის საფლავს ვერავინ შებილწავდა, ჩაიფარცხებოდა ყველაფერი, ვარლამს ისევ დაუბრუნდებოდა თავისი დამსახურებული, დიდებული სახელი, მისი ოჯახიცა და ახლობლებიც კეთილდღეობასა და ძველებურ განცხრომამში გააგრძელებდნენ ცხოვრებას. ასე ფიქრობდნენ არავში.

თუმცა ჯვებეს მეგობარი კაო ლადელიანი შორს იყო ძილისა და უმოქმედობისაგან, ისევე, როგორც მათი ფიქრებისა და ზრახვებისაგან.

გათენდა. არავიდის სახლში პირველმა თორნიკემ გაიღვიძა, მგელიკამ, არავიძეების ძალღმა, წამოიყეფა და გაჩუმდა. ირგვლივ სხვაგვარი, შემადრწუნებელი, ნაყალბევი სიმშვიდე სუფევდა, ნაუცბადევად ჩაიცვა ტანთ და გაეშურა აივნისაკენ.

ვარლამ არავიდის ცხედარი ამჯერად ეზოში, უშველებელ მუხასთანაა მიყუდებული. ვიღაც უცხო არავიძეების ძალღს ეფერება და ისიც კუდს უქიცინებს... თორნიკე ჯერ გახევედა, მერე დაბნეულობამ შეიპყრო, მოერია ყმანვილი მასში არეულ გრძნობებს და ამ უცნობისაკენ გაემართა.

– ვინ ხარ? რა გინდა? – უთხრა მასთან მისულმა თორნიკემ.
– ოჰ, შენ ის არავიძე ხარ მგონი, ჯეგეს რომ ესროლა. თორნიკე გქვია, ხომ?

თორნიკემ ეზოში შემოსული შეათვალიერა. ახმახი, ლამაზიც კი ეთქმოდა მის პირისახეს, მასზე ბევრად უფროსი. უცნობიც ათვალიერებდა ვარლამის შვილიშვილს და დამცინავად უყურებდა გოლიათი თავისი ცივი ცისფერი თვალებით ბიჭს.

– მე კაო ვარ, ლადელიანი. ღამით ვარლამი მე ამოვთხარე საფლავიდან. შეგიძლიათ დამიჭიროთ, მაინც დარჩება მისი მინიდან ამომგდები. – ეწევა სიგარეტს კაო და მწარედ ელიმება.

– შურისძიების სხვა გზა ვერ მონახა თქვენმა ჯეგემ? – იკითხა განინმატებულმა თორნიკემ.

– კაცმა რომ თქვას, კი შეიძლებოდა მთელი თქვენი ოჯახის, გვარის და საახლობლოს ამოხოცვა, მაგრამ როგორც ჯეგემ იცოდა ხოლმე თქმა, მთავარია აფთარს არ დავემსგავსოთო. მისი ამოთხრით მის საქმეებს ვებრძვით, მისიანებს ვებრძვით, ოლონდ ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, მკვლელები არ ვართ, გართმევთ იმ კეთილ სახელს, რომელიც ვარლამს არ დაუმსახურებია და გიტოვებთ სირცხვილს, თუ არა და ჩვენ იმდენნი ვართ, აგაოხრებდით ერთიანად. – თქვა კაომ და ჩამწვარი სიგარეტი ძირს დააგდო, ფეხით გასრისა ჩვევისამებრ.

თორნიკეს ჯერ შეურაცხყოფის მიყენება უნდოდა, მერე შეკითხვების დასმის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ ენა ვერ ამოიდგა. იდგა ასე გაქვავებული.

ამასობაში აივანზე აბელ არავიძე გამოვიდა.

– ეს რა ხდება ჩემს თავს? – დაიღრიალა ვარლამის ვაჟმა.

– ოჰ, როგორც იქნა, გამობრძანდა ვაჟბატონი, – ჩაილაპარაკა კაომ, იქვე, ლობეზე მიყუდებულ ბარს მოჰკიდა ხელი, ეზოში ოღნავ წინ წაინია, აბელს კარგად რომ დაენახა მისი სახე.

– ამოგითხარე მამა! – დაიყვირა კაომ, – ხომ გითხრეს, მინაში არ გაგიჩერებთო.

ცისმარე ქმრის ყვირილზე გამოვარდა ხალათის ამარა.

– მოგკლავ! – დაიბლავლა აბელმა. ცოლი ქმრის მუხლებთან დავარდა, ხელები შემოაჭდო და ისე შეუბორკა აბელს ფეხები.

– მე მომკლავ, სხვა ამოთხრის! იცოდე ეს.

კაომ ცოტა ხანი ინტერესით უყურა მათ ვაი-ვიშს. გაშტერებული თორნიკე მის შორიახლოს იდგა.

- კაი აბა, წავალ მე აწი, - გადაიდო მხარზე ბარი. სანამ ეზოს გასასვლელისაკენ აიღებდა გეზს, თორნიკეს რომ ჩაუარა გვერდით, თვალი თვალში გაუყარა. - მშვიდობიან დღეს გისურვებ, ყმანვილო. - თქვა და წავიდა.

დროულად გონს მოსვლა არა თუ თორნიკემ, აბელმაც ვერ მოასწრო. კაო ლადელიანმა კი გულმშვიდად და გულზვიადად დატოვა არავიძეთა კარ-მიდამო.

თანაგულიას მისამე ამოხება

აბელის სახლში დიდი თათბირი გაიმართა. ვარლამი ისევ სასწრაფოდ მიაბარეს მინას, მცველები დაუყენეს. ადლიდანაც კი ჩამოვიდნენ აბელის პატივსაცემად და თათბირს ესწრებოდნენ, ეძებდნენ გამოსავალს. შეიძლებოდა ჯეგე ხალდანის ყველა ნათესავის, მეგობრისა თუ ახლობლის დაკავება, მაგრამ ინფორმირებულები არ იყვნენ. მანამდე ჯეგე თითქოს არსად ჩანდა მათთვის. გართულდა საქმე, ვერ მონახეს საშველი. თორნიკეს ამ კრებაზე დასწრების უფლება მისცა მამამისმა.

– საკმარისი ჯაშუშები გეყავს საიმისოდ, რომ გამოვარკვიოთ მისი მტერ-მოყვარეები. არც ერთს არ დავტოვებთ თავისუფლებაში და არც ამომთხრელი იქნება ვინმე. ყოველი შემთხვევისათვის, შეგვიძლია ისინიც ჩავსვათ, ვინც მათ თანაუგრძნობს, – თქვა გრიგოლოვმა.

– ის ნაბიჭვარი თუ დაიჭირეთ, დღეს ბარით ხელში ჩემს ეზოში რომ დასეირნობდა? – იკითხა გამწარებულმა აბელმა.

– კვალს ვერ მივაგენით ჯერ, მაგრამ ვიპოვით უსათუოდ, – უპასუხა გრიგოლოვმა.

ფერდაკარგული თორნიკე წამოდგა მოულოდნელად, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, – თქვენის ნებართვით უნდა დაგტოვოთ.

აბელმა შვილს ბრაზნარევი მზერა ესროლა, ნუ მარცხვენო, გაივლო გულში.

თორნიკეს სითეთრეს ბაცი მწვანე ფერი გადაჰკრავდა და სახე დასცვაროდა სიმწრის ოფლის წვეთებით. მამამ როგორც კი შეატყყო, შვილი ცუდად არისო, გული მოუვიდა საკუთარ უხეშობაზე მისდამი. „ბაღლია, ჯერ ვერ უძლებს ამდენს“.

- კი, შვილო, დაგვეტოვე, თუ შეუძლოდ ხარ, ვარდიკოს გამოვგზავნი.

- არ მინდა, - კბილებში გამოსცრა თორნიკემ.

დატოვა მოთათბირებები და საკუთარ ოთახში განმარტოვდა. „ღმერთო, ეს რა საურჩხულეთში ვიზრდები“, - ფიქრობდა თავის სანოლზე მისვენებული თორნიკე არავიძე. თორნიკეს ოთახამდეც კი აღწევდა მათი ხმამალალი ლაპარაკი. „უნდა გავიგო, რა ცოდვა მაქვს ჯეგე ხალდანის წინაშე, რადაც არ უნდა დამიჯდეს“. თორნიკემ ემოციების დამორჩილება სცადა. „მთელი არავი აქაა შეკრებილი, საპყრობილესთან არც ერთი ბობოლა არ იქნება, ნავალ. ჯეგე სიმართლეს მეტყვის. ჯვებესაც გამოვიყვან ციხიდან“. თორნიკემ გადანყვეტილება მიიღო და სახლიდან ჩუმად გამოიპარა.

თორნიკე არავიძე მიიჩქარის, თან გზაში ფიქრობს, რა და როგორ მოახერხოს. „ეს არაადამიანები სრულიად უდანაშაულო ხალხს ჩაყრიან ციხეში. მე დავიხსნი ჯეგესაც და ჯვებესაც, მამაჩემი რას მიზამს, შვილი ვარ მისი“, - ფიქრობს აღელვებული. ამასობაში ვერც კი შეამჩნია, რომ შორიახლოს „შავი ყვავი“ მოჰყვებოდა. მანქანამ მოულოდნელად მკვეთრად მოუხვია და თორნიკეს გზა გადაუჭრა. „დავიღუპე, მამაჩემმა გამოგზავნა ალბათ, ჩამეშალა გეგმა“, - გაიყინა ადგილზე. მძღოლის მხარეს ფანჯარა ჩამოიწია.

- კაო?! - გაცვიფრებისაგან წამოიძახა თორნიკემ.

- საით გაგინევია, შენს სახლში ლამის მთელი არავია შეყრილი, შენ კი თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ, რა ითქვა იქ ამისთანა? ააა? - წყლისფერი თვალებით შესცინა კაომ.

- საპატიმროში მივდივარ, ჯეგე და ჯვებე უნდა დავიხსნა და აქაურობას გავაცალო. თან ჯეგესთან საქმე მაქვს პირადი, - ნაჩქარევად მიაყარა სიტყვები თორნიკემ, - დრო ცოტა გვაქვს.

კაო გადაიხარა და მძღოლის გვერდითა კარი გააღო, - დაჯექი, აბა, ვაჟკაც, ერთი გზა გვექონია მე და შენ.

- იმედი მაქვს, იცი, შენიანებისაგან მაგ საქციელის გამო რომ მოგხვდება, - უთხრა კაომ.

– მათ გეგმას ჩაეშლი. მე ვარლამ არავიძე არა ვარ, – თქვა ბრაზმორეულმა თორნიკემ, – იმედი მაქვს, ყოველ შემთხვევაში, – დააყოლა მერე ჩაფიქრებულმა, – ერთი კი იცოდე, ჩემი ოჯახი მიყვარს. არ იფიქრო, რომ მოლაღატე ვარ. უბრალოდ ვერ დავუშვებ იმას, რისი გაკეთებაც უნდათ.

– მახელვაჟ ხი მუხბე, – გაულიმა კაომ.

– შემაგინე?

– ვაჟკაცი ხარ-მეთქი, გითხარი, – სიცილით უპასუხა კაომ, – მოდი, ასე მოვიქცეთ, ციხის დამჭირველებს ვუთხრათ, რომ ნაძირალა ჯეგე და ჯეგებე დიდ თათბირზე ვარლამ არავიძის სახლში უნდა მივათრიოთ. მე ადლიდან ვარ ვითომ, შენ კი მთელი არავისათვის ნდობით აღჭურვილი პირი. ჰა, რას იტყვი?

– მგონი გაჭრის!

– რამ გადაგადგმევიანა ეგ ნაბიჯი, არ მეტყვი?

– ლამის მთელი არავის ციხეში ჩაყრას გეგმავენ. ჯერ უბრალოდ უნდა გამოიძიონ, ჯეგეს ახლობლები ვინ არიან.

– ამომთხრელი რომ არ დარჩეს, არა? – აუტყდა ხარხარი კაოს. გულიანად იცინა, სული მოითქვა და დაძრა მანქანა.

„შავი ყვავი“ საპრობილესკენ მიემართებოდა, ვარლამ არავიძის სახლში კი მსჯელობდნენ და ცხარედ კამათობდნენ.

კაო ლადელიანის გეგმამ გაამართლა. ჯეგეც და ჯეგებეც მანქანაში აღმოჩნდნენ ბორკილებიანად.

– ეეე, დურაკო, ადლის წარმომადგენლებთან ხელფეხდაბორკილებს ხომ არ წარვადგენ. გასალებები მომეცი! – გასძახა უკვე საჭესთან მჯდომმა კაომ.

– მე გამოვართმევ, – უთხრა თორნიკემ, გადავიდა მანქანიდან და დამჭირველს მიადგა.

– დახვრეტენ, თორნიკე? შენ გეცოდინება, – ჰკითხა ცნობისმოყვარე დამჭირველმა.

– თქმის უფლება არა მაქვს, – სერიოზული სახით მტკიცედ უპასუხა თორნიკე არავიძემ, – ჯერ არ გადაუნყვებთ იათ არაფერი.

ეს ისეთი ტონით უთხრა, თითქოს ყველაფერი იცოდა. ჩაჯდა თანგულია მანქანაში და მიიჯახუნა კარი.

- ნავიღეთ აქედან, - უთხრა კაოს განცდებისაგან გადაღლილმა და ემოციათაგან დაცლილმა.

კაო მიაქანებს მოპარულ „შავ ყვავს“.

- მანქანის ტარება თუ იცი, თორნიკე? - ეკითხება კაო.

- კი.

- ჰოდა, აბა, გზა დაიმახსოვრე, ფეხით რომ არ მოგიწიოს ბორიალი. ამ „შავი ყვავით“ მიბრუნდები შენიანებთან და რას ეტყვი მათ, ეგ უკვე შენი საქმეა.

- კაო, ყველაფერს ველოდი შენგან, მაგრამ ციხიდან ჩვენს დახსნას თუ მოახერხებდი, მაგას ვერაფრით წარმოვიდგენდი.

- მე რა შუაში ვარ, ეს აუბუნტდა თავისიანებს, თქვენი ციხიდან გამოყვანა მაგის აზრი იყო.

მანქანა მიქრის თავისი სამთავრობო ნომრებით. მანქანაში მძიმე სიჩუმემ დაისადგურა.

კაომ მანქანა არავის ტყის მიდამოებში გააჩერა.

- აქედან ფეხით მოგვინევს ნასვლა, - გადაულაპარაკა უკან მსხლომ მეგობრებს.

- ასე ვერ გაგიშვებ, ჯეგე, - აღმოხდა თორნიკეს, - უნდა ვიცოდე, ვარლამ არავიძემ შენ წინაშე რა დააშავა, ის, რაც სამსჯავროზე არ გითქვამს.

- მთელ ჩემს ამბავს ვერ მოგიყვები.

კაო პირდაპირ იმ ხეს მიადგა, სადაც იარალი და საჭმელი ჰქონდა გადამალული. ჯვებეც მას გაჰყვა.

- ოჰ, წინასწარ მოგიმზადებია, - თქვა ჯვებემ.

- ყოველი შემთხვევისათვის, - მიუგო კაომ.

თორნიკე გაფაციცებით უყურებდა ჯეგე ხალდანს.

- ისე, მეცოდები, თორნიკე, არავიძის გვარისა და გენის სატარებლად. ერთს გეტყვი, მამა როდესაც მომიკლა, მერე დედაჩემი უნდოდა საყვარლად დაესვა. ეს რომ ვერავის გაეგო, საამისოდ მთელი უბანი გადაასახლა. დედაჩემმა დამცირებას ველარ გაუძლო, შეიშალა და ყელი ჩვენს სახლში სარკის წინ გამოიჭრა. მე ამას შევესწარი. დედაჩემი ჩემი ხელით დავმარხე, რათა ცხედარი მაგათ არ ჩავარდნოდათ ხელში. მაშინ 15 წლის ვიყავი. მერე ქუჩაში აღმოვჩნდი, გავიქეცი ქვეყნიდან. ერთადერთი მი-

ზანი მქონდა ამ ცხოვრებაში, გადავრჩენილიყავი, რათა ვარლამ არავიძეზე შური მეძია.

თორნიკეს ღაპალუპით ჩამოსდის ლოყებზე ცრემლები. ხმას ვერ იღებს.

– დღესაც პატივისცემით ახსენებენ მაგ აფთორის სახელს, კიდევ მკითხავ, რატომ თხრი მიცვალებულსო?

– მაპატიე, – უნებურად აღმობდა თორნიკეს.

– ტყვია რომ მესროლე, მაგის გამო თუ მეუბნები, ციხიდან დამიხსენი და საბოდიშო არაფერი გაქვს ჩემთან, – ჯეგე დაჟინებული მზერით უყურებს აფთორის ნაშიერს და მოულოდნელად ცრემლი მოერიდა. გონებაში დაინახა, თუ რა ელოდა თორნიკე არავიძეს. დაძლია ემოცია, თავი შეიმაგრა. – ჩათვალე, რომ შენი საქციელით ოჯახის ღირსებაც გადაარჩინე და საკუთარიც.

თორნიკეს ცრემლები ორ ნაკადულად ჩამოსდის ღანწებზე.

– რას გულისხმობ?

– ზუსტად იმას, რაც გითხარი.

ჯეგე და კაო ტყის პირას დგანან, უსმენენ საუბარს და ეჭვით უყურებენ ჯეგეს.

– კაცურ სიტყვას გაძღვე, თორნიკე, ან ი პაპაშენის ცხედარს ჩემიანი არავინ გაეკარება, დამჭირველებს შეუძლიათ დანყნარდნენ. აბა, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი ძმაკაცურად.

თორნიკე დაბნეულია. ვერ ხვდება, როგორ მოიქცეს.

– მართლა აღარ ამოთხრი?!

– კაცური სიტყვა მოგეცი და სიტყვის გამტეხს ვგავარ ახლა მე?

თორნიკემ ჩამოართვა ხელი ჯეგეს.

– ჯობია იჩქარო, ახარო შენიანებს ამბავი, რომ საქმე მოავარე, – უთხრა ჯეგემ.

თორნიკემ მანქანა დაქოქა და სახლისაკენ გააქროლა.

ჯეგე თვალს აყოლებდა მანქანას. როცა თვალთახედვის არეალიდან გაქრა, მერე თავისიანებთან მივიდა.

– რა ნახე მაგ შენს მეშხე თავში ამისთანა, არ გვეტყვი? – ჰკითხა კაომ.

- ვარლამ არავიძეს ამოთხრის აბელი, შვილს რომ დაიტი-
რებს, მერე.

- აბელი? როგორ, საკუთარ შვილსაც მოკლავს? - იკითხა
ჯვებემ.

- ძმურად რა, კაო, რამე საჭმელი თუ გაქვს, ვჭამოთ, თორემ
ვკვდები, ისე მშია.

- ღამე ტყეში გავათიოთ, ასე აჯობებს, - თქვა ჯვებემ.

- თავისთავად. - დაეთანხმა კაო.

მიაქროლებს, მიაქანებს თორნიკე არავიძე „შავ ყვავს“, ჩქა-
რობს, იქნებ სანამ თათბირი დასრულდება, მიასწროს კიდეც.
შუადღეა, მზე აცხუნებს ნორჩ მძლოლს, უწვავს პირისახეს.
კმაყოფილია თორნიკე, დარწმუნებული იმაში, რომ ვაჟკაცურად
მოიქცა, თანაც აღარავის ციხეში ჩასმა არ იქნება საჭირო. დაიც-
ვა ამდენი უდანაშაულო ადამიანი, პატიებაც მოიპოვა, პაპამისის
გვამს ხელს აღარ ახლებენ, მაგრამ ღანვებზე მაინც ჩამოსდის
ცრემლების ნაკადული. ამდენი ხანი სიცრუეში უცხოვრია თურმე,
ტყუილში ამყოფეს წლების მანძილზე.

თორნიკე საკუთარ ეზოს მიადგა, რომელიც ისევ სავსე იყო
მანქანებით. „თათბირი არ დაუსრულებიათ“, - გაივლო გუნებაში.

ყმანვილს გული უფართხალებდა. გადმოხტა მანქანიდან,
შევარდა სახლში, შეიჭრა მოყაყანეთა ოთახში. შეათვალიერა
დამსწრენი. იფიქრა, აჯობებს მამაჩემს მათივე თანდასწრებით
ვუთხრა ყველაფერიო. თორნიკე გაჯგომული დადგა კარში.

- შემოდი და მოგვისმინე, თუ უკეთ ხარ, - შეაგება სიტყვები
აბელმა.

- მე გისმინეთ, ან თქვენ მომისმინეთ, - თქვა და მამამისს
ნაშტირალევი, მრისხანე თვალები მიაპყრო. დამსწრეებმა ბატე-
ბივით მოიღერეს კისრები და მზერა თორნიკესკენ მიმართეს.

- უდანაშაულო ხალხის ციხეში ჩაყრა აღარ მოგიწევს, მამა!
მე ჯეგე და ჯვებე საპყრობილედან გამოვიყვანე და გაეუშვი.
ჯეგესგან პატიებაც მივიღე და გვამსაც აღარ შეგვიბილწავს.
კაცური სიტყვა მომცა!

აბელმა ჯერ ვერ გაიაზრა, მისმა ნაშიერმა რა უთხრა, რო-
გორც კი მიხვდა, შვილმა რა ჩაიდინა, აფთარივით წამოვარდა

ადგილიდან, ორივე ხელით ჩააფრინდა გულის ფიცართან მის სამოსს და ჯაჯგური დაუნყო.

– ეს რა ჩაიდინე?! თავს საქვეყნოდ მჭრი!

– არავიძეობა ისედაც საქვეყნოდ თავის მოჭრაა მამაშენის წყალობით, – უთხრა თორნიკემ.

ჩხუბის ხმაზე ცისმარე შემოვიდა და ამოდ ცდილობდა მამა-შვილის გაშველებას. გაოგნებული დამსწრეები მდუმარედ უყურებდნენ ამ სცენას.

– შე გველის წინილო, რა დღეში მაგდებ?! გინდა, რომ მამაჩემი საკუთარი ხელით ამოვთხარო?!
– მინდა! ჯეგე სიმართლეს ამბობდა და შენ ეს იცოდი. შენც ისეთივე ურჩხული ხარ, როგორიც ვარლამი იყო! – უთხრა თორნიკემ, – ვერ მოგცემ მაგის უფლებას, სანამ პირში სული მიდგას. იგივეს შენ ვერ ჩაიდენ, მამა. არ მოგცემ საშველს.

– მინდა! ჯეგე სიმართლეს ამბობდა და შენ ეს იცოდი. შენც ისეთივე ურჩხული ხარ, როგორიც ვარლამი იყო! – უთხრა თორნიკემ, – ვერ მოგცემ მაგის უფლებას, სანამ პირში სული მიდგას. იგივეს შენ ვერ ჩაიდენ, მამა. არ მოგცემ საშველს.

აბელმა ვაჟს ხალხის თანდასწრებით სილა გააწნა.

– აფარი ხარ და არა ადამიანი! – აღმოხდა გამწარებულ თორნიკეს და იმნამსვე გონებაში ჯეგეს სიტყვები გაუცოცხლდა: „ჩათვალე, რომ შენი საქციელით ოჯახის ღირსებაც გადაარჩინე და საკუთარიც“. თავისი ოთახისკენ გაიქცა და კარი ჩაიკეტა.

დედა დაედევნა შვილს:

– თანგულია, შვილო!

თოფის ხმამ დაიქუხა არავიძეების სახლში და თორნიკე არავიძის უდანაშაულო სისხლიც დაიღვარა.

– დავილუპე... – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა გაფითრებულმა აბელმა.

კაცებმა თორნიკეს ოთახის კარი შეამტკრიეს.

ვარლამის შვილიშვილის უსულო სხეული ეგდო იატაკზე. ხის იატაკი ხარბად ისრუტავდა ბიჭის თავიდან თქრიალით მომავალ შინდისფერ სისხლს.

ცისმარემ კივილი ატეხა. აბელმა შვილის უსიცოცხლო სხეულს შეხედა და სათათბირო კაბინეტში გაბრუნდა. დაბნეული ცხვრებივით დაჰყვებიან აბელს უკან არაველი კაცები.

– გრიგოლოვო, – სხვაგვარი, ოფიციალური ტონით წარმოთქვა მისი გვარი აბელმა, – ერთ საათში მინიმუმ ხუთასი

კაცი მჭირდება, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ჩემი შვილის კლასელები, სკოლელები, პედაგოგები, ყველანი სასაფლაოზე მომიყარე, ყველა ის ხალხი მომიგროვეთ, რომლებიც დიდ სამსჯავროს ესწრებოდნენ.

- თითქმის მთელი არავი?

- ნახევარი არავიც საკმარისი იქნება.

- მერე? - იკითხა გრიგოლოვმა.

- მერე ჩვენ, ყველანი, ავალთ სასაფლაოზე, ვაჟისთვის საფლავი უნდა შევარჩიო.

- ათასზე მეტსაც მოვაგროვებთ, აბელ, რასაც გვეტყვი, ყველაფერს გავაკეთებთ.

- ვიცი. - ცივად უპასუხა აბელმა, - მომიტევეთ, თუ ახლა სათანადო ყურადღებას ვერ გაქცევთ. ეგ ერთი ვაჟი მყავდა - უცრემლოდ თქვა აბელმა. „მე ურჩხული არ ვარ, შვილო, და ამას დაგიმტკიცებ“, - გაიფიქრა აბელმა თავისთვის.

- მსაჯულებიც? - იკითხა გრიგოლოვმა.

- რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მეტი ხალხი. სალამომდე მოასწრებთ მაგ ამბავს?

- ახლა სამი იქნება საათის, მეტი არა, მოვასწრებთ, - გადაჭრით უთხრა გრიგოლმა, - შენთვის შეუძლებელს გავაკეთებთ, ოღონდ გამაგრდი, აბელ!

- თორნიკესათვის მინის შერჩევას მინდა ყველა ის ადამიანი დაესწროს, ვინც დიდ სამსჯავროზე იყო და ჯეგე ხალდანის საქმეს ისმენდა, - ბრაზმორეული ხმით ამბობდა აბელი.

აბელ არავიძე ფანჯარასთან იდგა, ზურგით თავისი გამამხნევებლებისკენ. ხელის მტევანს სიმწრისაგან მეორე მტევნის მაჯაზე იჭერდა, ისე ძლიერად, რომ ხელში ლამის სისხლის მიმოქცევა შეწყვეტოდა.

- დღესვე დაღამებამდე უნდა გავამზადო შვილისათვის საუკეთესო ადგილი, ის მინა რომელსაც უნდა მივაბარო ჩემი ერთადერთი შვილი და ჩემი სურვილია, მთელმა არავმა უყუროს ამ პროცესს.

- შესრულდება, აბელ, - უთხრა გრიგოლმა.

დაფაცურდნენ დამჭირველები. არაველები აყარეს სასაფლაოზე. თორნიკე არავიძეს თავი მოუკლავსო, გაიგო ეს ამბავი მთელმა არავმა.

გლოვის ზარი არ წყდება აბელ არავიძის სახლში, თორნიკე არავიძე აღარ არის. დაიღვარა უდანაშაულო არავიძის სისხლი, ისმის ტირილი, ქვითინი, გმინვა, ვაი-ვიში.

სასაფლაო ხალხით გაივსო, თორნიკეს მეგობრებს ნამდვილად დაენანათ, არავიძეობის სირცხვილს ვერ გაუძლოო, ამბობდნენ ერთმანეთში, გულით დასტიროდნენ. რა მისი ბრალი იყო, რა თორნიკეს ბრალი იყო ვარლამ არავიძის ვერაგობა. არავში ლამის ყოველმა მოსახლემ იცოდა, გამწარებული აბელი განსაკუთრებული პატივით რომ აპირებდა საკუთარი ვაჟის დაკრძალვას, მინის შერჩევასაც კი უნდა დასწრებოდა მთელი არავი.

– ყველაფერი მზადაა სასაფლაოზე, – მოახსენეს ფანჯარასთან მიქვავებულ აბელს, – ლამის მთელი არავი იქ არის.

– მშვენიერია, – თქვა აბელმა და პირი იბრუნა ადამიანებისაკენ, რომლებიც მისგან შემდეგ ბრძანებას ელოდნენ, სახეზე მკვდრის ფერი ელო შვილმკვდარ მამას.

– აბელ, რასაც გვიბრძანებ, ყველაფერში გვერდში გვიგულე, ჩვენ შენი მეგობრები ვართ, – თქვა გრიგოლმა.

– ვიცი, – დაღლილი ხმით მიუგო აბელ არავიძემ, – აქ უამრავი რამ იქნება საჭირო, დატოვეთ რამდენიმე კაცი და ვარდიკოს დამიძახეთ ერთი.

სასწრაფოდ შემოიყვანეს მოქვითინე შინამოსამსახურე, რომელიც აბელს ჩაეკონა, აღრიაღდა და ეს რა დაგვემართაო, ამოთქვა.

– ვარდიკო, ჩემს მეუღლეს შენ გაბარებ, რამე უბედურება არ აუტეხოს საკუთარ თავს, მიმიხედე.

– კი, ბატონო, – უცებ გამოერკვა ქალი, როდესაც ბრძანება მიიღო, – თვალს არ მოვაშორებ, აბელ, მაგაზე არ იღარდო.

– თვითონ ადლიდან ჩამოსულებიც აქ იქნებიან შენთან ბოლომდე, ყოველ შენს სიტყვას პატივისცემით მიიღებენ და ნებისმიერ შენს ბრძანებას დაემორჩილებიან.

– ძალიან კარგი, – თქვა აბელმა და მოქვითინე ვარდიკო მოიშორა.

– ცისმარეს მიმიხედე! – მიაძახა, როდესაც ოთახიდან გადიოდა ქალი.

– თათბირზე ვინც იყო მოსული, ის ადამიანებიც მზად არიან? მინდა ჩემი შვილისადმი პატივის მიგებას დღესვე დაესწრონ.

– კი, აბელ.

– ნავედით, აბა, რაღას ველოდებით, ერთი ღონიერი ბიჭებიც მჭირდება ბარებით, ასე ოთხი ღონიერი ჯეელი, უცებ ამოიღებენ მინას. მგონი მოვიგულე შვილისათვის მინა უკვე და დალამებამდე უნდა გამზადდეს საფლავი.

მდუმარედ ჩასხდნენ არავის მმართველები და ჩინოვნიკები მანქანებში, სიტყვის დაუძვრელად გაჰყვნენ აბელის გაუგებარ გადაწყვეტილებას. არავის სასაფლაოზე უღევი ხალხი შეგროვდა. ინტერესით ელოდნენ, მოაწყდნენ მიცვალებულთა განსასვენებელს ცოცხლები, ზოგი მხოლოდ სანახაობისთვის, ზოგიც კი თორნიკე არავიძეს გულამოსკვნით დასტიროდა. მოადგა სასაფლაოს სამთავრობო მანქანების ჯარი. გადმოვიდა აბელი და პირდაპირ ვარლამის საფლავისაკენ აიღო გეზი. გაჰყვნენ მხლებლები, ხალხი ვარლამ არავიძის საფლავს ირგვლივ შემოეჯარა. აბელი გაჩერდა მამის საფლავთან.

– სად არიან ბარიანი ბიჭები? – იკითხა თვალეზაყინულმა აბელმა.

დამჭირველები დაფაცურდნენ, ოთხი ბარიანი ჯანიანი კაცი დადგა აბელის შორიახლოს.

– დაიწყეთ თხრა, შვილისათვის სამარე მაქვს გასამზადებელი, – თქვა და მიუთითა ვარლამის საფლავზე. სახე დამშვიდებული ჰქონდა, მაგრამ იმისთანა გამომეტყველება მიიღო, შეკითხვის დასმას ვერ გაუბედავდა ვერა ადამიანი, თვალეზა და სახეზე ამოუთქმელი ტანჯვა ეწერა. მთხრელები მალევე ჩავიდნენ კუბომდე. ვინაიდან მინა მრავალჯერ იყო გადათხრილ-გადმოთხრილი, სულ ფხვიერი იყო და იოლი ამოსაღები. ბარიანები მორიგ ბრძანებას ელოდნენ.

– ამოიღეთ კუბო!

ხალხში შარიშური და ჩოჩქოლი ატყდა. აბელმა ისეთი ტონითა და ხმით გასცა ბრძანება, თავად ადლიდან ჩამოსულნიც კი პირდაფრენილნი დარჩნენ.

ამოიღეს კუბო.

– შვილისათვის თეთრი კუბო მინდა, გაითვალისწინეთ, თეთრი! – მზერა დამჭირველებს ესროლა ვარლამის ვაჟმა. მზერი-თვე მიიღო მორჩილება და უსიტყვო დასტური.

– ახადეთ სასახლეს თავი, მამაჩემს მინდა დაეხედო, რომელიც დღეს დილით უკვე მერამდენედ დაეკრძალე.

ხალხი გაოგნებული, გაშტერებული უყურებდა აბელს. „შეიშალა“, – გაისმა ჩურჩული.

ახადეს სასახლეს თავი, გამოჩნდა მრავალჯერ სამარიდან ამოგდებული ვარლამ არავიძის დაზიანებული სახე.

– ხალხნო, გახსოვდეთ, ეს ვარლამ არავიძეა, არავის უბადლო მმართველი, თქვენი დამმონებელი, თქვენი მგლეჯავი აფთარი! – ხმამაღლა და გარკვევით წარმოთქვა აბელმა.

– ამოიღეთ ცხედარი! – დაიქუხა აბელის ხმამ.

მოჯარული ხალხი, დამჭირველები, ჩინოვნიკები გახევდნენ. დამფრთხალმა ოთხეულმა, რომლებიც მინას თხრიდნენ, შიშით შეხედეს აბელ არავიძეს. როდესაც მიხვდნენ, რომ სწორად გაიგეს ნაბრძანები, შეასრულეს კიდეც. აბელმა მათ ზურგი შეაქცია.

– გამიღეთ ვარლამ არავიძე მხრებზე. ვიცი, სადაც უნდა წავიღო, დროზე!

აბელს მხრებზე საკუთარი მამის გვამი გაუდეს. ცხედრის ჩამოკონწიალებულ ხელები აბელმა ჯვარედინად დაიჭირა და მძიმედ დაინყო ნაბიჯების გადაადგმა. იქვეა ყორნისხევი, არავის სასაფლაოსთან, სადაც ოდესღაც უსახელო ძმათა სასაფლაო იყო, უდანაშაულო ხალხს ხვრეტდნენ და მერე ყორნისხევში მარხავდნენ. ხევი მუდამ სავსე იყო ყორნებით, ამიტომაც ერქვა ყორნისხევი.

აბელი მიაბიჯებს, მიათრევს გვამს. ხალხი გაშტერებული შესცქერის მის გაშმაგებულ საქციელს, გაოგნებისაგან ვერც მოდიან გონს და ვერც უბედავენ შვილმკვდარ მამას შეჰკადრონ

რაიმე. უყურებენ უმოქმედოდ და მდუმარედ. მძიმედ მიაბიჯებს. ამღვრეულ გონებაში ამოუტივტივდა ბავშვობის მოგონებები.

„აბელ არავიძეს, თავისი ტოლი ბავშვებისაგან განსხვავებით, არაფერი აკლდა, მისი ყოველი სურვილი სრულდებოდა, იგი ხომ ვარლამის ერთადერთი ვაჟი იყო, ბედის ნებიერა. მის უღრუბლო ბავშვობას ერთი ნაკლი ჰქონდა – მასთან მეგობრობას ყველა ერიდებოდა. ვარლამის შვილობა არა მარტო დიდი ფუფუნება იყო, არამედ მძიმე ტვირთიცა და ცხოვრებისაგან მიღებული დაღიც.

აბელ არავიძე მამის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ცდილობდა ყველაფერში გამორჩეული და პირველი ყოფილიყო. კარგადაც სწავლობდა. სკოლის გარდა, აბიას, როგორც მას მოფერებით ეძახდა ვარლამი, დროდადრო სახლშიც მოსდიოდნენ პედაგოგები, ძირითადად იმისათვის, რომ ვარლამის ძე სკოლაში სიარულით არ გადაღლილიყო და არ შენუხებულიყო ზედმეტად. თუმცა აბიას მოსწონდა თანაკლასელებში რიალი, გრძნობდა, რომ მას განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ. გოროზად მინასრილებდნენ სამთავრობო მანქანით პატარა არავიძეს, სახლში ელოლიავენოდნენ, დამჭირველები ემსახურებოდნენ, თანატოლები მასთან საუბარში ფრთხილობდნენ, პედაგოგები კი მუდამ შიშნარევი სახეებით უყურებდნენ აბიას.

მედიდურად იჯდა 11 წლის აბელ არავიძე წინა მერხზე. სასკოლო ოთახში გაიოზ გაბრიაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ატარებდა მორიგ გაკვეთილს. აბელს გამორჩეულად უყვარდა ეს პიროვნება, გაიოზი არა მხოლოდ თავის საგანს ასწავლიდა თავის მოსწავლეებს, არამედ საინტერესო ამბების თხრობაც იცოდა. აბელ არავიძე გულზვიადი ბავშვი იყო. მის ირგვლივ შექმნილი ვითარება ყოველმხრივ უწყობდა ხელს, ქედმაღლურად იქცეოდა და ზემოდან უყურებდა როგორც თანაკლასელებს, ასევე უფროსებსაც, თუმცა გაიოზ გაბრიაძეს სხვაგვარად ეპყრობოდა, მოსწონდა ეს ადამიანი და იმიტომ. აბია ძალზე ემოციური გახლდათ და მიუხედავად თავისი ხასიათისა, არცთუ იშვიათად მოხვედრილა სხვისი გავლენის ქვეშ.

- ადამიანის თითოეული სახელი გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს, - თქვა გაიოზმა, - აი, თუნდაც შენი სახელი აბელი. თუ იცი, რა სახელის მატარებელი ხარ?

აბელს ეამა, რომ მისით დაიწყო გაიოზმა საუბარი.

- არ ვიცი, პატივცემულო, - თქვა მოკრძალებით აბიამ.

- აბელი ღმერთის რჩეული იყო, იგი სწორად ცხოვრობდა. კეთილი გული ჰქონდა, ღმერთი არ ავიწყდებოდა არასდროს.

აბელი სახეგანათებული უსმენდა ქართულის მასწავლებელს.

- მას ჰყავდა ძმა კაენი, რომელსაც შურდა მისი. კაენმა ერთ დღესაც საკუთარი ძმა აბელი გამოასალმა სიცოცხლეს. სწორედ კაენი იყო პირველი კაცისმკვლეელი.

აბელს სახე მოელუშა, გაიოზს შეუბღვირა კიდეც. გაგულისდა, მთელი კლასის წინაშე გამოუცხადეს, მსხვერპლის სახელი გქვიაო. აბელ არავიძე თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. გაიოზს ყურადღება არ მიუქცევია ბავშვის გაღიზიანებისათვის და მომდევნო მოწაფეზე გადაიტანა ყურადღება.

აბელს მთელი დღე ხმა არ ამოუღია, სკოლიდან შინ მისულს საჭმლისთვის პირიც არ დაუკარებია. სულმოუთქმელად ელოდა მამის მოსვლას საკუთარ სახელზე ბრაზმორეული.

9 საათი გადასულიყო, როდესაც მოვიდა ვარლამი შინ. მოუთმენელი აბელი კარებშივე შეეგება, არ აცალა ოთახში შემოსვლა, ისე მიახალა.

- სხვა გამოსავალი ვერ ნახე, რომ მსხვერპლად შენირულის სახელი არ დაგერქმია ჩემთვის? - აბიას ყვირილისას ხმა დაუნვრილდა და მოულოდნელად მღელვარებისაგან ცრემლები წამოსცვივდა.

- რა ბზიკმა გიკბინა, აბია? - ოდნავი მრისხანებაშეპარული ხმით მიუგო დაღლილმა ვარლამმა, - სახლში შემოსვლა მაინც მაცალე, შე მამაძაღლო!

აბელი უკან გადგა და დაელოდა ვარლამის ზღურბლზე ნაბიჯის გადმოდგმას. ვარლამმა შუა ოთახისაკენ აიღო გეზი. აბელი გვერდით მიჰყვებოდა და ეჩხუბებოდა.

- გაიოზ მასწავლებელმა მითხრა, აბელი ღმერთის რჩეული იყო და ძმამ შურის გამო მოკლაო.

ვარლამს სიცილი წასკდა, თავის ნაშიერს თავზე ხელი გადაუსვა.

– მერე შენ რა გადარდებს, ძმა ხომ არა გყავს, ჰა?
აბელი გაიყურსა.

– რა სისულელეებს გიდებენ მაგ თავში? ყველაფერი კი არ უნდა მიიღო, რასაც გეტყვიან. მაგათ ევალებათ გასწავლონ, თუ იციან რაიმე საერთოდ. რა ღმერთი? რის ღმერთი? რალა დროს შენი ზღაპრებია?

– ღმერთი არ არსებობს? – იკითხა აბელმა, – მაგრამ მისი ხომ სჯერათ და სწამთ, თანაც გაიოზ მასწავლებელმა თქვა.

– შენ ლენჩი მეზრდები მგონია, – თქვა ვარლამმა და ტახტზე მძიმედ ჩამოჯდა, – გაიოზს უნდა დაუჯერო თუ საკუთარ მამას, მოდი, დაჯექი აქ, – თქვა არავის მმართველმა და ხელი ტახტზე მსუბუქად დაჰკრა.

აბია აღარ ტიროდა, წამოწითლებული თვალები ფართოდ დაეჭყიტა და წარამარა ახამხამებდა წამწამებს. მამას გვერდით მიუჯდა.

– მომისმინე, შვილო. კარგად შეუშვი მაგ თავში, რომ არავითარი მამაღმერთი არ არსებობს. ადამიანებს უბრალოდ უნდათ, რომ ჰყავდეთ ზეციური მხსნელი, მათი დამჩაგვრელების იდუმალი მსაჯული. მისი შიშით ზოგი ბრიყვი იკლებს ამქვეყნიურ სიამოვნებებს. მორწმუნეობა სუსტი ადამიანის დამახასიათებელი ნიშანია და მეტი არაფერი. ადამიანის სიცოცხლე მოკლეა, ამ ქვეყანაზე ყოფნისას ყველაფერი უნდა მოასწრო. სულელები ფიქრობენ, იმ ქვეყანაზე ღმერთი დაგვაჯილდოებს, თუ მისი კანონების დაცვით ვიცხოვრებთო. ისინი ბნელები არიან უბრალოდ, არავითარი საიქიო არ არსებობს, სააქაოა მხოლოდ. გესმის, რასაც გელაპარაკები?

– მესმის, – უპასუხა აბიამ გაბუტული ხმით.

– მეტი არაა ჩემი მტერი! – თქვა ვარლამმა, – უნდა იყო ძლიერი, მართო ყველა, მოიპოვო სახელი, პატივი, დიდება, რაც გინდა, ის დაარქვი. მთავარია, ძალაუფლება გქონდეს და ყოველთვის შეძლებ ყოველი ადამიანი შენს დაკრულზე აცეკვო. გაიგე?

– გავიგე, – მიუგო აბიამ.

– ხოდა, თუ გაიგე, ანი სისულელეები აღარ შეუშვა მაგ თავში! – თქვა ვარლამმა და აბიას ხელით გადაუვარცხნა აქოჩრილი თმა“.

აბელი მის ირგვლივ მყოფებს ვერც კი ხედავდა, წინ მიჩოჩავდა ნაბიჯ-ნაბიჯ, გაჭირვებით. როგორც იქნა, მიათრია მამის ცხედარი ყორნისხევის კიდემდე, მოიკრიბა მთელი ძალ-ლონე და გვამი მოისროლა ყორნისხევეში. მთელი სასაფლაო ფრინველთა გუნდის გამკივანმა, მჭახე, განგაშის ხმებმა მოიცვა. ყორნები აიშალნენ, ცა შავად შეიღება მათი ფრთებით. აბელმა შეისვენა, ამოისუნთქა და უკან დაბრუნდა ამოთხრილ საფლავთან.

– ანი მინა მზად არის ჩემი ვაჟის მისაღებად! – თქვა რიხიანად.

– ეს რა ქნა?! – აღმოხდა თორნიკეს ერთ-ერთ თანაკლასელს.

ხალხში თორნიკესადმი და აბელისადმი უსიტყვო პატივისცემასა და კრძალვასთან ერთად ერთსულოვანი თანადგომა დატრიალდა. ხოლო არაველ დამჭირველებს თავზარი დაეცათ.

– აქ, ამ ადგილას დაიკრძალება ჩემი ბიჭი, – თქვა ფერმიხდილმა აბელმა და ხელით ვარლამის ცარიელ საფლავზე მიანიშნა, – თეთრი კუბო მინდა ჩემი ბაღისათვის, არ დაგავინყდე, რომ თეთრი... – მიმართა დამჭირველებს.

– მინა აფთრისაგან თავისუფალია და ანი თორნიკე არავიძის მისაღებად მზად არის. – განაცხადა მერე.

სალამო მოიპარებოდა სასაფლაოზე, ჩრდილები მოიზლახნებოდნენ, ხალხში ჩოჩქოლი და შფოთი ნელ-ნელა მღელვარებაში გადაიზარდა.

– დიდი არავის სამსჯავრო დასრულებულია, ხალხნო, შეგიძლიათ დაიშალოთ. – ხმამაღლა და გარკვევით თქვა აბელმა.

თვითონ თავის მხლებლებთან, დაფეთებულ, დაბნეულ და არეულ დამჭირველებთან ერთად შინისაკენ წასასვლელად შეემზადა, რათა დაკრძალვა წესითა და რიგით აღსრულებულიყო. მანქანაში ჩაჯდომამდე გრიგოლს გახედა.

- გრიგოლოვო, ისეთი მღვდელი მომიძებნე, რომელიც ჩემს შვილს წესს აუგებს.

- კი მაგრამ, აბელ! - გამოერკვა გრიგოლი, უნდოდა, თავისი უკმაყოფილება გამოეხატა თავისი უფროსის საქციელის გამო.

- რა იყო გრიგოლ, შვილი არ გყავს? - ჩააკმენდინა ენა აბელმა.

სამთავრობო მანქანები აბელ არავიძის სახლისაკენ გაემართნენ. ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა. „ეს რა ქნა აბელმა?! - ისმოდა შარიშურად ადამიანთა ჯგუფებში, - ეს რა ქნა?“

არავის მთის გადაღმა ერთი მივარდნილი და მიუდგომელი სოფელია. მას წერაქვი ჰქვია. ამ სოფელში ამბობენ, რომ ოდესღაც ვარძიისთვის ამზადებდნენ სამუშაო იარაღებს, წერაქვებს. სოფელსაც სახელი სწორედ ამ ლეგენდის წყალობით დაერქვა. კლდეზე სამუშაო წერაქვი, მართალია, მეტალისაგან მზადდებოდა, უბრალოდ შიგნით ოქროს ზოდს ჩააყოლებდნენ ხოლმე. ვარძიის მონასტერზე მომუშავენი მხოლოდ მას მერე იღებდნენ თავიანთ გასამრჯელოს, როცა გაცვეთდნენ ამ სამუშაო იარაღს. წერაქვებს ღვთისმშობლის მამათა მონასტერში ბერები ამზადებდნენ. ასე რომ, წერაქვი ოდესღაც ძლიერი სოფელი გახლდათ, მოსახლეობაც მრავალი იყო და სამონასტრო ცხოვრებაც საკმაოდ ღონიერი. დღესდღეობით კი ხუთიოდე ოჯახი შემორჩენოდა ამ მთებში ჩავარდნილ ხეობის სოფელს. ღვთისმშობლის მამათა მონასტერში კი მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ბერი თევდორე ცხოვრობდა.

გრიგოლ გრიგოლოვი თავად ჩაუდგა სათავეში აბიას ბრძანების შესრულებას. ვინაიდან ვერც არავში და ვერც მის ქვემოთ მდებარე სოფლებში მღვდელი ვერ მოიძებნა, დაადგნენ გრიგოლი და მისი მძღოლი წერაქვის გზას. უღრან ტყეში მოუასფალტებელ, საურმე გზაზე გაჭირვებით მიიწევდა წინ „შავი ყვავი“. ძლივძლივობით აათავა აღმართი სამთავრობო ნომრებიანმა მანქანამ და ზედ სამონასტრო კომპლექსის ჭიშკართან გაჩერდა. ამაყად იდგა მრავალსაუკუნეგამოვლილი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, მის მარცხნივ წმინდა გიორგის სახელობისა, ხოლო მათ შორის

და ოდნავ უკან, ბექობზე კი მთავარანგელოზისა. ღვთისმშობლის ეკლესიის მარჯვნივ ბერების კელიები იყო განლაგებული, ხოლო ღვთისმშობლის ეკლესიის ქვემოთ მარანი. მანქანის ბლუილზე ქვის კიბეებზე ბერის შავი სილუეტი გამოჩნდა და მათკენ გაემართა. გრიგოლოვი მანქანიდან გადმოვიდა.

– თქვენი დახმარება მჭირდება, – გასძახა საღმის ნაცვლად.

ბერს კაბის კალთები ფქვილით ჰქონდა დასვრილი, პურის ცხობა დაესრულებინა ახლახან. ჭიშკართან მივიდა. გრიგოლოვის გასაკვირად ზედმეტად ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა მის წინ.

– ჯერ გამარჯობა, ადამიანო, რაი გაგჭირვებია? – ღიმილით უთხრა ბერმა, – მიმსახურე, – დააყოლა მერე.

თევდორე 30 წლამდე თუ იქნებოდა. შეხედულებით მაგდენსაც ვერ მისცემდი, ერთი ჭალარა არ ერია მის შავ წვერ-უღვაშსა და გრძელ ტალღოვან თმაში, ძალზე გამხდარი პირისახის, თეთრ ყვრმალებზე მხოლოდ ძვალი და ტყავი ეკრა.

– ჩემს უფროსს შვილი მოუკვდა და წესის ასაგებად მღვდელი გვჭირდება, – უთხრა ბერის სიახალგაზრდავით გამოწვეული დაბნეულობისაგან მალევე გამორკვეულმა გრიგოლოვმა.

– ღმერთმა აცხოვნოს მისი სული, ერთი წუთით მომიცადეთ, ჩემს კელიაში შევბრუნდები და ახლავე წამოგყვებით, – თქვა თევდორემ და გრიგოლს ზურგი აქცია.

– სახელი მითხარი შენი, ბერო! – მიაძახა გრიგოლოვმა.

თევდორე შედგა და ნახევრად შემოტრიალდა.

– თევდორე მქვია მე. – ბერი წამით დაელოდა, იქნებ კიდევ რაიმეს თქმა სურდა მოსულს.

– მე გრიგოლი ვარ, გრიგოლოვი, თუმცა აქამდე ჩემი სახელი რას ამოაღწევდა. – ნათქვამმა თევდორეს ღიმი მოჰგვარა ფერმკრთალ სახეზე, მსუბუქად გააქნია თავი და შეხედა ისევ გრიგოლს.

– ჰო, მიდი, აბა და გელოდები აქ! – თქვა გრიგოლმა ზედმეტად გამოკვეთილად და მკაცრად ეს სიტყვები, მერე კი მანქანაში მძიმედ ჩაჯდა.

თევდორე მალევე გამოვიდა თავისი კელიიდან. მას ემოსა ოლარი, სანთლები და კანდელი ჩაებლუჯა ხელთ და დამაჯერე-

ბელი ნაბიჯებით მოიწევდა მანქანისკენ, უკანა კარი გამოაღო და დაჯდა.

– ვის დაელუპა შვილი? – იკითხა რბილი და ხავერდოვანი ხმით.

– აბელ არავიძეს, გსმენია მასზე რაიმე? – ჰკითხა გრიგოლოვმა.

თევდორემ დუმილით მიუგო.

– შენ საიდან გეცოდინება, ბერი ხარ, – თავადვე გასცა გრიგოლოვმა თავისსავე შეკითხვას პასუხი. – თორნიკე დაგველუპა, სკოლა ჯერ არც ჰქონდა ბიჭს დამთავრებული და თავს ეს უბედურება დაგვატყდა, დანარჩენს ადგილზე გაიგებ, – უთხრა ბერს ზედმეტად ოფიციალური ტონით. – ნავედით. – გასცა ბრძანება გრიგოლომა და „შავი ყვავი“ დაიძრა, დაუყვა გზას არავისაკენ.

აბელ არავიძეს სახლში გოდება არ წყდება, ცისმარე ტირილიდან კივილზე გადასულიყო და ვერა ადამიანი ვერ ახერხებდა მის დაშოშმინებას. აბელი ფანჯარას მიჰქვავებოდა, ხელები ზურგს უკან დაეწყო, ერთი ხელის მტევანს სიმწრით უჭერდა მეორე ხელის მაჯას, სახე გაფითრებოდა და ელოდა. იქვე მდგომი დამჭირველი ფრთხილად მიეახლა მას. აბელ, მღვდელი მოიყვანესო, უთხრა ჩურჩულით.

– ჩემს კაბინეტში შეიყვანეთ. – მიუგო ჩახლეჩილი ხმით აბელმა.

მართალია, თევდორეს ფრიად გაუკვირდა, როდესაც კაბინეტისაკენ გაუძღვნენ მას გრიგოლი და რიგითი დამჭირველი და ეგრევე არ შეუშვეს მიცვალებულთან, თუმცა მღუმარედ გაჰყვა. იფიქრა, ალბათ ჭირისუფლებს გაიყვანენ და მერე შევალ წესის ასაგებადო. აბელი მოსცილდა ფანჯარას და თავისი კაბინეტისაკენ გაემართა მღვდელთან მოსალაპარაკებლად.

თევდორე კაბინეტში თავს უხერხულად გრძნობდა. მრავალი წელია მონასტერი არ დაუტოვებია და ადამიანთა გარემოცვას ვერ ჰგუობდა, თუმცა წესის აგებაზე ვერავის ეტყოდა უარს. ქვეყანა მაგოგში რთული მოსაძებნი იყო ღვთისმსახური, ძალზე იშვიათად ითხოვდა ვინმე მსგავსს. წესის აგება, ნათლობა თუ ჯვრისწერა აღარ ესაჭიროებოდათ მაგოგელებს. ადამიანები აქ

უკვე დიდი ხანია სათავისოდ ცხოვრობდნენ და მივიწყებოდათ ღმერთი, თავისი კანონებით აღასრულებდნენ ყოველივეს. ქვეყანა მაგოვში ყველაფერს მინიერი წესებით წყვეტდნენ და ზედმეტად მიაჩნდათ თავიანთ ცხოვრებაში ჩაერიათ მღვდელი, ეკლესია. ღმერთი მივიწყებოდა ყველას.

– დაბრძანდი, – უთხრა გრიგოლოვმა, მიუთითა სკამზე და თავადაც იქვე, მაგიდის სიახლოვეს მდგომ რბილ სკამზე ჩამოჯდა.

აბელმა შემოაღო კარი და თევდორეს შეავლო გულგრილად თვალი.

– დაბრძანდით, ბატონო ჩემო, – და თავისი მაგიდის თავთან მდგომ ტყავის რბილ სკამზე მძიმედ დაეშვა, ფერმიხდილი, თვალეხ ამოღამებული. გულწრფელად შეებრაღა ეს ადამიანი თევდორეს. ბერი უძრავად იდგა.

– დაჯექი ნამით, მღვდელო, სალაპარაკო მაქვს. – ამოთქვა ოდნავი გაღიზიანებით აბელმა.

თევდორემ კი გაიფიქრა, რა საჭიროა დავბრძანდე, ჭირისუფლები გამოიყვანეთ, წესს ავაგებ და წავალო, თუმცა არაფერი უთქვამს შვილმკვდარი მამისათვის, გულზე მოხვდა ბერს „ბატონო ჩემოო“. ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდაო, გაივლო გუნებაში, მაგრამ არც ეს უთქვამს, მხოლოდ ერთი მოკლე ფრაზა მოწყდა მის ბაგეებს.

– მე ბერი ვარ და არა მღვდელი, თევდორე მქვია.

– მე კი აბელ არავიძე ვარ, ვარლამის ძე, ჩემმა ვაჟმა თავი მოიკლა და მინდა რომ წესი აუგო.

თევდორემ კი გაიგონა ნათქვამი, მაგრამ რიგიანად ვერ აღიქვა. ბერმა უნებურად იკითხა:

– შეშლილი ხომ არ იყო თქვენი თორნიკე?

აბელს სახე დაეღრჩია. გრიგოლი შემფოთდა.

– არა, ჩემი შვილი არ იყო გიჟი, თუ თქვენ ეს გაინტერესებთ, – მიუგო აბელმა ცივად ბერს.

– უფლება არა მაქვს, თვითმკვლელს ავუგო წესი, – მოუჭრა მოკლედ თევდორემ.

- რამდენი გინდა გადაგიხადო, მითხარი და მოვრჩეთ, - თქვა აბელმა.

- შვილისათვის ცათა სასუფეველში შესასვლელ ბილეთს ფულით ვერ იყიდით - მკაცრი ტონი შეერია თევდორეს სიტყვებს.

- აბა, რა გინდა, ბერო, მითხარი. მე არ მწამს არაფერი, თორნიკეს კი სწამდა, რამდენადაც არ უნდა დააფასო ეგ შენი ლოცვა, გადაგიხდი ბოლო კაპიკამდე, გინდა ფულად და გინდა სხვაგვარად.

- მე არ მაქვს უფლება, თვითმკვლელს ავუგო წესი.

- თუ უფლება არ გაქვს, მე გაძლევ მაგის ნებას.

- თქვენ ადამიანი ხართ და არა ღმერთი.

- ოჰო, ღმერთისაგან იღებ პირდაპირ ბრძანებებს? - მწარე და ირონიული ღიმილი გამოკრთა ვარლამის ვაჟის სახეზე, - გვეყოფა ეს ბავშვურობა, შენ ხომ ბერი ხარ, გევალება ილოცო, შენი საქმე ეგ არის. ჰოდა, მე ვიყიდი მაგ შენს ლოცვას ან ფულით ან საქმით. გარდა ამისა, შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც ყველა სხვა, ქვეყანა მაგოგში მცხოვრები. მე, მამაჩემის შვილს, უსაზღვრო ძალაუფლება მაქვს. ჰოდა, გიბრძანებ, შეასრულო ჩემი სურვილი და არ აღუდგე მას წინ.

- მე ღვთისმსახური ვარ და ადამიანთა ბრძანებებს არ ვემორჩილები. - თევდორეში აბელის სიტყვებმა ამ შვილმკვდარი მამისადმი სიბრალული გააცამტვერა.

- თევდორე, ინანებ, იცოდე! ან ახლავე აუგებ ჩემს შვილს წესს ან არადა, შენს თავს დააბრალე.

- უფალმა შეგინდოთ, ღმერთი მოწყალეა, - თქვა თევდორემ და ფეხზე წამოდგა, მერე გრიგოლს გადახედა, - წამიყვანთ ისევ მონასტერში თუ ფეხით გავუყვე გზას?

გრიგოლი დაიბნა და აბელს გადახედა დამნაშავე თვალებით.

- მითხარი ერთი, ბერო, რა გთხოვე ამისთანა? - ხმის აწვეით გამოუვიდა შეკითხვა აბელს.

- თქვენ გამწარებული მამა ბრძანდებით და რთულია ჩემთვის, რომ ავიხსნათ. ის განსაცდელი, რაც მოგველინათ, იქნებ ღვთის განაჩენია თქვენთვის. შვილები მამათა ცოდვების გამო ისჯებიან ხოლმე, უფლის რისხვას კი ვერავინ გადაურჩება, იცოდეთ

ეს. ვერც ერთ ღვთისმსახურს ვერ იპოვით, არ არსებობს ვინმე, ვინც თვითმკვლელის წესის აგებაზე დაგთანხმდებათ, არც ერთი ღვთისმსახური უფლის კანონს არ დაარღვევს თქვენი გულის მოსაგებად. მე მეტს ვერაფერს გეტყვით. – დაასრულა თევდორემ თავისი სიტყვა და წასასვლელად მოემზადა.

– ფეხით დაბრუნება მოგინწევს მაშინ იმ შენს მონასტერში, – აგდებული ტონით მიუგო სიტყვა აბელმა, – და მწარედ განანებ ჩემთვის უარის თქმას.

– უფალმა გიშველოთ, რომლისაც თურმე არც კი ვწამთ, – თქვა თევდორემ და აბელ არავიძის კაბინეტი დატოვა.

– აბელ, უხერხულია, მართლა ფეხით ხომ არ გავუშვებთ ამხელა გზაზე. – წაილულლულა გრიგოლოვმა.

განზილებული და გამწარებული აბელი გრიგოლის სიტყვებმა შავი ფიქრებისაგან მყისვე გამოარკვიეს.

– მე შენ გიბრძანე, მღვდელი მიშოვე, რომელიც ჩემს შვილს წესს აუგებს-მეთქი და შენ კი ვინ მომითრია? – დაიღრიალა მოულოდნელად აბელმა ვარლამისებურად.

– ადლიდან ჩამოსულ ბიჭებს დამიძახე ერთი, – თქვა მერე ვარლამის ვაჟმა.

– არის უფროსო, – მიუგო ნირნამხდარმა გრიგოლოვმა.

– შენთვის არ მითქვამს, ბრიყვო, ეგდე აქ, დამჭირდები, – თქვა მერე.

აბელის კაბინეტში მყოფი რიგითი დამჭირველი ბრძანების მიღებისთანავე ოთახიდან შურდულივით გავარდა და მალევე შემობრუნდა აბელთან ადლელებით.

– აქ რომ ჩემთან ბერი იყო ახლახან, მასზე მინდა გესაუბროთ. ვითარება ამგვარია: იგი ქვეყანა მაგოგის წინააღმდეგ ეწევა იდეოლოგიურ დივერსიას, ამ წამს გავიდა ჩემი კაბინეტიდან. გიბრძანებთ გაერკვეთ და შემდეგ სათანადო ზომები მიიღოთ, – თქვა აბელმა, – შენ კი, გრიგოლ, გაჰყვები მათ და მომახსენებ მერე შედეგებს.

არავის მიჩუმათებულ ქუჩებში, სადაც კაცის ჭაჭანება არ იყო, მიუყვებოდა თავის გზას ღვთისმშობლის მონასტრისაკენ ბერი თევდორე, ხელში სანთელი და საკმეველი ეპყრა. წამოენია

მას „შავი ყვავი“, ჩასვეს ბერი ავტომობილში და გააქანეს დასაკითხად.

თორნიკე არავიძე წესის აუგებლად დაკრძალეს. აბელს გადაეცა არავის მმართველობა, ისევე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ხოლო ბერი თევდორე კი იდეოლოგიური დივერსიისათვის 7 წლით ჩასვეს ციხეში.

თორღვა, ჯეგე და ცირა გომუანი

ჯეგე, ჯეგე და კაო ცეცხლს უზიან შუა ტყეში და მწვადს წვავენ. კაო ატრიალებს შამფურს, მოპარული გოჭის ხორცი შიშხინებს ნაკვერჩხალზე. ჯეგებს თვალები წამითაც არ მოუშორებია უმი ხორცისათვის.

– თვალებით სულ ნუ შეჭამ, მაცალე შევწვა, – უთხრა კაომ.

– ვკვდებით, ისე გვშია, – მიიღო ჯეგებსაგან პასუხად.

– ჯეგე, მითხარი რა, არავიძეების თავს რა მოხდება ამისთანა? – იკითხა კაომ.

– თორნიკეს მამასთან ჩხუბი მოუვა. მერე თავს მოიკლავს. გამწარებული აბელი კი ყველას დასანახად ამოთხრის საკუთარ მამას საფლავიდან.

– მუხბე, შენს სიტყვებში ეჭვი ვერ შემეპარება, მაგრამ ხომ ვერ მეტყვი, მე რა მელის? – ჰკითხა მუდამ სახემცინარმა კაომ.

– ეგ არ ვიცი ნაღდად, – თქვა დაღვრემილმა ჯეგემ, – მეცოდება ის ბალღი, უდანაშაულოა... – ჯეგეს თვალები ჯიუტად იყო ცეცხლის ალისაკენ მიმართული. – ცეცხლის ყურება ამშვიდებს, – თქვა ხალდანმა ბოლოს.

– ჯეგე, შენ რაც გააკეთე, ამ დროებაში არც არავის გაუბედავს და ვერც ვერავინ გაბედავს ოდესმე მსგავსს. შენ მთელ არსებულ სისტემას შეერკინე ვარლამ არავიძის ცხედართან ბრძოლით და დიდი სამსჯავრო ყველა ადამიანური კანონით მოგებული გაქვს, შურიც იძიე და დამონებულ ხალხს იმედიც დაუბრუნე. რამდენი ადამიანი ჰყავდათ მაგათ გამწარებული შენ გარდა? დაფიქრდი, აბა, რამდენის ბოღმა ამოიღე.

– კი ამბობ მართალს, მაგრამ თორნიკე უდანაშაულოა...

– ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო,

– თქვა მოულოდნელად ჯეგებმ და სამივეს დალღილი, მაგრამ

წრფელი სიცილი წასკდათ. მწვადი შეინვა, სამეული დანაყრდა, არაყიც დააყოლეს და შოთის პურიც მოიგემრიელეს.

– ჯეგე, შენთან წერილია მოსული ხალდეთიდან. მე მომიტანეს, იცოდნენ, რომ შევძლებდი შენთვის მომენვდინა, – თქვა კაომ და თორნიკეს გამოისობით საკუთარი საქციელის მართებულობაში დაეჭვებულ ჯეგეს კონვერტი გაუწოდა. ჯეგემ ნაჩქარევად გახსნა ფითქინა კონვერტი და სამად გაკეცილი წერილი ამოიღო.

„შვილო, ჯეგე, ალბათ არც გემახსოვრები. თორღვა ვარ, ბიძაშენი, მამაშენის, სანდროს ბიძაშვილი, გავიგე რა ამბავშიც გაერიე და ისიც ვიცი, თუ რა სატანჯველი გამოიარე. გული მწყდება, რომ აქედან ვერაფრით მოგეშველე, ჯეგე.“

მინდა რჩევა მოგცე. იმედია, ჩემს ჭალარას სცემ პატივს და გაითვალისწინებ ჩემს სიტყვებს. როგორმე გაერიდე იმ სიბინძურეს, ამ გაუთავებელი საქმის განხილვა რომ ჰქვია. ჩამოდი ჩემთან, ოჯახი მე არ მყავს, არც შვილი მარგუნა ღმერთმა. სახლ-კარიც მაქვს და ურიცხვი საქონელიც მყავს. ჩამოდი ხალდეთში, შვილად მიგიღებ. შენზე ღირსეულ ვაჟს ვერც ვინატრებდი, გადმოსახლდი ჩემთან, ღირდეში. აქ არაფერი მოგაკლდება და შეძლებ ცხოვრება თავიდან დაიწყო.

*ყოველივე, რაც ჩემია, შენია.
ბიძაშენი თორღვა ხალდანი“.*

ჯეგემ თვალებით ჩაურბინა წერილს. მის სიძულვილით გადაღლილ გულს მალამოდ მოხვდა თორღვას სიტყვები.

– რაო, ჯეგე, ვისგან რა არის? – ჰკითხა თვალბმცინარმა კაომ.

– ბიძაჩემი თორღვა თავისთან მეპატიჟება, – თქვა ჩაფიქრებით ჯეგემ.

– ძალიანაც კარგი, შენთვის ახლა არავიდან წასვლაზე უკეთესი არაფერია, თანაც ყველაფერი ისე თუ მოხდა, როგორც თქვი, შურისძიება აღსრულებულია უკვე, მუხბე. ეს კი სულაც არ

ნიშნავს, რომ აქ შენი ცხოვრება მთავრდება, – თქვა გადაჭრით კაომ.

– თავისთავად. მართალს ამბობ, ცხოვრება გრძელდება. შენ შენი გასაკეთებელი გააკეთე უკვე არავში, ჯეგე, – დაეთანხმა კაოს ჯეგე.

– წადი ხალდეთში, მაგაზე უკეთესს ახლა ვერაფერს მოიმოქმედებ. – უთხრა კაომ ისე, რომ მიმქრალი ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია. მერე ფიჩხი მიაყარა მბუხტავ მუგუზლებს.

ლამე ჩამონვა არავის ტყეში. სამი მდუმარე მეგობარი შესცქეროდა აბრიალებულ, მოტკაცუნე ცეცხლს.

– გამთენიისას დავიშალოთ, მე ხალდეთის გზას დავადგები ანი, – გადანყვეტით თქვა ჯეგემ.

კაომ კიტრის ამოღრუტუნულ ნაჭრებში არაყი ჩამოასხა, – აბა ჩვენს ძმობას გაუმარჯოს, ხალდანებო, – თქვა კაომ და ორ მეგობარს გაუნოდა.

სასმისები შეისვა. ლამე თავისი სიჩუმით ეთანხმებოდა სამეულს მათ იდუმალ საქმეში. არავის ტყის ყურრუმეთი იყო მათი გულისნადების მოზიარე. შორს, სიბნელეში, უღრან არავის ტყეში გაჰკიოდნენ ოლოლები:

– იპოვე?

– აარააა, აარააა...

– იპოვე?

– აარააა, აარააა.

ხალდეთი ქვეყანა მაგოგის დაუმორჩილებელი და დაუმონებელი მხარეა, მუდამ დათოვლილი მთებითა და ხალდანური კოშკებით, მშრომელი ხალხით, რომლებიც მზეს ყოველთვის ასწრებდნენ ამოსვლას, ენეოდნენ მესაქონლეობას და ცხოვრობდნენ ბუნებასთან ჰარმონიაში, ისე, როგორც არსად. სჯეროდათ წინაპრების მიერ დატოვებული ლეგენდების და მკაცრად იცავდნენ თაობებით გადმოცემულ ადათ-წესებს. მხოლოდ ხალდეთში თუ იგრძნობდა ადამიანი თავს სრულიად თავისუფლად. ჯეგე ხალდანმა ბიძამისთან დაიდო ბინა, გადასახლდა მასთან.

ყოველი დღე შრომასა და გარჯაში გადიოდა, საქონელი, ეზო-კარი, სახნავ-სათესი მიწები სოფელ ლირდეში ყოველ მოსახლეს სამაგალითოდ ჰქონდა მოვლილი. იცოდნენ ურთიერთის გატანაც და ადამიანური თანადგომაც შეეძლოთ. ერთ მუშტად იყო ეს მხარე შეკრული.

ჯეგემ მალევე იგრძნო სიცოცხლის ხალისი. ამ მხარემ მას ახალი სასიცოცხლო ენერგია ჩაჰბერა. ყოველი დღე ერთი მეორეს ნააგავდა თავისი საკეთებელი საქმეებით და თითოეული მათგანი რაღაც ახლისა და საოცარის მომტანი იყო ჯეგესათვის. მან ხალდეთში წამოსვლისას შეიტყო, თუ რა ბედი ენია თანგულიას. თორნიკე არავიძის თვითმკვლელობა ემძიმებოდა ჯეგე ხალდანს. „უდანაშაულოა ეს ბალდი“, – ფიქრობდა მაშინ, როდესაც თიბავდა და მაშინაც, როდესაც შეშას უნთებდა ლუმელს. თორნიკე არავიძისთვის ხელის ჩამორთმევას ვერ იფიქვებდა. ხალდანს დაამახსოვრდა ამ ახალგაზრდა მეამბოხე ვაჟის სახე და განცდები. ნაღვლობდა კიდეც, რომ გაუშვა ხელიდან საშუალება, შეეჩერებინა ეს ყმანვილი. მისი არავის ტყის პირიდან გაშვებით და იმ ძმაცაკური ხელის ჩამორთმევით გამოუტანა ხალდანმა აფთრის ნაშიერს განაჩენი და ბოლომდე მიიყვანა თავისი უსაშველო შურისძიება. დრო გადიოდა და თორნიკეს სახება არ აძლევდა ჯეგეს საშველს, მთელი გულით ეცოდებოდა ეს ყმანვილი და გული სწყდებოდა მის გამო.

თორღვას სახლში ყოველ კვირას, იმ დღეს, როდესაც ხალდეთში ყველა ისვენებდა, ხანდეთელების წესებით კვირა დღეს ხომ მუშაობა აკრძალული იყო, ხალდანების სახლში გადმოდიოდა მეზობელი გოგონა ცირა გოშუანი. ჯეგეს ჩამოსვლამდე მარტოხელა მოხუც თორღვას პურს უცხობდა პატარა გოგო. ერთ დღესაც, როდესაც ჯეგემ გაიღვიძა და თავისი ოთახიდან გამოვიდა, სახლში უცხოს ფუსფუსის ხმა შემოესმა.

– ვინ არის? – ჰკითხა თორღვას ახალგამოღვიძებულმა ჯეგემ.

– ხობრა დინა ლი, – რბილად მიუგო ბიძამ, – გადმოდის ხოლმე და პურს მიცხობს ასე სამი წელია უკვე, არ ეზარება. – მერე თორღვამ ოდნავ მკაცრი სახით შეხედა ჯეგეს, – იცოდე, ეს

ბაღლი შვილივით მიყვარს, თან ახლახან დედა დაელუპა, მამაც არ ჰყავს, მარტო ცხოვრობს აქვე, ჩვენი კარის წინ, ლირდებში მაგ ბავშვს ყველა ველოლიავენით, ასე რომ, როგორმე შეიკავე თავი და არაფერი უხეში არ უთხრა ცირას.

– კაი რა ბიძა, კაციჭამია ხომ არა ვარ!

– მე ჩემი გითხარი, – უთხრა თორღვამ, – კვირაში მხოლოდ ერთხელ მოდის და მოუუთმინოთ როგორმე, – დააყოლა, თან ჯეგეს გამომცდელი მზერით გახედა.

ჯეგემ უფროსის ნათქვამი მიიღო და შუა ოთახში თორღვას სიახლოვეს ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა. სამზარეულოდან მოურიდებლად და თავნებურად, ისე, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო, გამოვიდა ცირა, ცხრამეტიოდე წლის ქერა, ცისფერთვალემა, მკერდსავსე, ვარდის ფურცელივით ნაზი, ღუმელის მხურვალეებისაგან შევარდისფრებული ლოყებით, თეთრი პირისახის გოგონამ შეანათა თავისი მუქი წყლისფერი თვალები უცხოვს, მერე კი კოკროჭინა თავი ოჯახის უფროსისაკენ მიაბრუნა.

– კვირას ისევ გადმოვალ, როგორც ყოველთვის, თორღვა ბიძია, – წარმოთქვა გოგონამ თავისი წითელი, ბუთხუზა, ბავშვური ტუჩებით.

– მადლობა, დინა, – მიუგო თორღვამ, – ეს ჯეგეა, ჩემი ძმისშვილი, – ხელით მიუთითა გოგონასათვის უცნობ ადამიანზე თორღვამ.

– გასაგებია, – თქვა ცირამ ოდნავი ცხვირის აბზეკით და ჯეგე თავისი კრიალა თვალებით თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, – მე ცირა მქვია, ჯეგე, ერთ კვირაში შეეხვდებით, – მიუგდო ვაჟს კეკლუცად და უმაღვე გაეცალა იქაურობას.

– რა მეტიჩარაა! – თქვა ჯეგემ.

თორღვას სიცილი წასკდა, – დაიბნა უბრალოდ, გიუცხოვა, – მოხუცმა ხელი აიფარა პირზე, რომ სიცილისას მისი ჩაცვნილი კბილები არ გამოჩენილიყო.

– ხო ლამაზი გოგოა? ჰა, რას იტყვი, ჯეგე?

ჯეგემ მოღიმარი სახით გახედა ბიძას.

– დანახვა ვერც კი მოვასწარი, – უთხრა.

- თვითონ კი გვარიანად გაგზომა თვალით. - სიცილს ამოაყოლა თორღვამ ეს სიტყვები.

მდუმარედ ატარებდა ჯეგე ლირდეში დღეებს, დრო შრომასა და გავლილი ცხოვრების გზაზე ფიქრში ილეოდა, ყოველ კვირა დღეს ცირა მოდიოდა ხალდანებთან პურის გამოსაცხობად.

ერთ კვირას ცირა წასვლისას შეყოვნდა, დადგა კართან. ოთახში შემომავალი სინათლე მის სილუეტს ამუქებდა. მისკენ ზურგით იჯდა ჯეგე. ხალდანმა იგრძნო მხრებზე გოგოს მზერა და თვალის კიდიდან გაიხედა მისკენ.

- რაიმე გინდა, ცირა? - ჰკითხა ცივად.

- არა, არაფერი.

- ჰოდა, თუ არაფერი არ გინდა, მომავალ კვირამდე, აბა.

ცირა კარიდან შემომავალ სინათლეში გაუჩინარდა. ჯეგე თანდათან შეეჩვია კვირის სტუმარს, გოგონა კი სულ უფრო და უფრო უთამამდებოდა მას. ჯეგეს მეცხვარის საჯიშე, დედალ-მამალი ლეკვები ჩამოუყვანეს საჩუქრად. მეგობრობის ნიშნად ჯეგემ ცირას აჩუქა დედალი ლეკვი. მას ხიბლავდა ცირას შეურყენელი სილამაზე, უნაკლო ბავშვური მეტიჩრობა, ახალისებდა ცირას გაუთავებელი ტუტუნის. ჯეგეს გოგონასადმი მფარველობის სურვილი გაუჩნდა.

თორღვამ, რომელსაც ჯეგესა და ცირას დამთბარი ურთიერთობა არ გამოჰპარვია, ერთ საღამოსაც მოურიდებლად უთხრა თავის ძმისშვილს.

- მოგეგდო, ჯეგე, ცირიკო ცოლად, ჩვენს სახლს ქალის ხელი აკლია მაინც, თანაც მე ცას ხომ არ გამოვუკეერები. მარტო ხარ სულ, შენც ცოდო ხარ და ის გოგოც ცოდვია, გულში ჰყევხარ ჩავარდნილი და რა ხანია გიტრიალებს, მაგრამ ვერაფრით მოგიდგა.

- ვიფიქრებ მაგაზე, - თქვა ჯეგემ.

- კაი, ბატონო, ოღონდაც დიდხანს ნუ გააჭიანურებ მაგ შენს ფიქრს, - დააყოლა მოხუცმა.

ზაფხულის ცხელი დღე იდგა ლირდეში. სათიბიდან მოსული დაღლილი ჯეგე სახლის კედელთან, ხის სკამზე ისვენებდა

ჩრდილში, გავარვარებული თავითა და მხრებით სახლის ცივ კედელს ეყრდნობოდა, თვალები დაეხუჭა და ცირას უაზრო ტლიკინზე ელიმებოდა. ჯეგეს დახუჭულ ქუთუთოებს მიღმა ჩამობნელდა. „ღრუბელია ალბათ“, – გაივლო გუნებაში და მიღლილი თვალები გაახილა. ცირა წამოდგომოდა თავს. იდგა გოგონა მის წინაშე თხელ ცისფერ სარაფანში, ნიავი არხევდა ცირას სამოსის კალთებს. გოგო ჯეგეს თვალს არ აშორებდა.

– დღეს კვირაა უკვე? – იკითხა ჯეგემ.

– არა, – ხმადაბლა უპასუხა ცირამ და მის გვერდით დასკუპდა.

ჯეგემ ცნობისმოყვარედ გახედა. ცირა სკამზე ფრთხილად და გაუბედავად მიინია მასთან ახლოს და დაჟინებული თვალები მიაპყრო მამაკაცს.

– მაკოცე! – უთხრა მოულოდნელად.

ჯეგეს სიცილი აუვარდა, თავისი ვეება მარცხენა ხელით ცირას ლოყაზე შეეხო და მოეფერა. გოგონამ კაცს ხელის გულზე აკოცა. ჯეგემ ცერა თითი ალერსით გაუსვა ყვრიმალქვეშ ნორჩ, უჩინარ, ქერა ბუსუსებზე.

– მაკოცე! – გაუმეორა გაგულისებით ცირამ.

ჯეგე სიცილისაგან თავს ვერ იკავებდა.

– მე რომ გაკოცო?! – ჰკითხა მოუთმენელმა ცირამ.

ჯეგე გულიანად იცინოდა.

– მაკოცე! – უკვე განანყენებული და გაბუტული სახით უთხრა ცირამ.

– სად გინდა, რომ გაკოცო? – სიცილით ჰკითხა კაცმა.

– ტუჩებში. მოდი ჩემთან. – თქვა გოგონამ და მისკენ გაინია.

ჯეგე სიცილით დაიხარა პატარა ტანის გოგოსკენ საამბოროდ, ცირა ვერ სწყდებოდა მამაკაცის ტუჩებს, ჩაეკონა ქალვაჟი ერთი მეორეს. ცხელოდა ლირდები. ჯეგემ როგორც იქნა, დაიხსნა თავი ცირას მხურვალე ამბორისაგან. კოცნით გაბრუებული გოშუანის ქალი იჯდა სკამზე ჯეგეს გვერდით, ლოყები შეფაკვლოდა, ენა ჩავარდნოდა დაბნეულობისაგან. არაფერი სურდა გარდა იმისა, რომ ჯეგეს მისთვის ისევ ეკოცნა.

– გავბრუვდი, – ამოილულლულა ცირამ.

მის გვერდით მჯდომმა ჯეგემ გვერდულად გახედა მისი სინაზით შემთვრალ გოგოს და ორი თითი ალერსით ჩამოჰკრა მის ცხვირს.

– მაშინ ჯობია შინ წახვიდე, – უთხრა მერე.

დადგა კვირა დღე, მაგრამ ხალდანებთან ცირა არ გამოჩენილა. მიიწურა მეორე კვირაც, თუმცა გოშუანების ქალი ისევ არსად ჩანდა.

– ჯეგე, გადადი ერთი, ნახე, ჩვენს პატარა პურის მცხობელს რამე ხომ არ შეემთხვა, – უთხრა თორღვამ.

ჯეგე ხალდანი მყისვე უსიტყვოდ გაეშურა ცირა გოშუანის სახლისაკენ. შეალო თუ არა ჭიშკარი, ბომბორა ლეკვი მივარდა მის ფეხებთან წკმუტუნითა და წკავილით. მან თვალი მოავლო ეზოს. საძაღლესთან ბომბორას საჭმლისა და წყლის ჯამი ცარიელი იყო, ქათმები დაკრიახობდნენ, აივანზე ასულიყვნენ და ჩამქრალ ღუმელზე დალაგებულ ქვაბებს უტრიალებდნენ. ჯეგეს გულზე შემოეყარა, ნაჩქარევად გაიარა ეზო, აირბინა კიბეები და ოთახის კარი შეალო, სადაც ყოველივე ყირაზე დახვდა. ცირა შუა ოთახში იყო მისვენებული ხის ტახტზე, უაზროდ მისჩერებოდა დაბურული თვალებით კედლის კუთხეს. შემფოთებული ჯეგე ახლოს მივიდა თუ არა, იქვე, ტახტთან მდგარ პატარა ტაბლაზე არყის დაცარიელებული ბოთლი შენიშნა და გულზე მოეშვა.

– არაყი რამ დაგაღლეინა, გოგო? – ჰკითხა ჯეგემ.

– რა ჯანდაბისათვის მოეთრიე აქ? – აჰკვივლა გაკაპასებით ცირამ ტახტიდან ისე, რომ არც უცდია წამოდგომა და არც შეუხედავს ჯეგესათვის.

– ეზო-კარი რას გიგავს, ცირა. ადექი, ქათმები დააპურე, ბომბორამაც წკმუტუნით აიკლო ეზო. შიმშილით რომ მოგეკლა, მაგისათვის კი არ მიჩუქებია ის ლეკვი შენთვის.

– დანყვეტილან სულ სათითაოდ, – ჩაიბურტყუნა ცირამ.

– ჩვენთან რატომ აღარ გადმოდიხარ, მომენატრა შენი გამომცხვარი პურის გემო.

– დახოცილხართ შიმშილით! სულაც არ მენაღვლება. – თქვა ცირამ გესლიანი სიტყვები და გაიყურსა.

ჯეგემ ტაბლასთან მდგარ ჯორკოს დაავლო ხელი, ტახტის ნინ დაიდგა და ცირას ჩამოუჯდა ცხვირნინ.

– აბა მითხარი ერთი, რა გჭირს? – ჰკითხა სახითა და თვალებით მოლიმარმა ჯეგემ.

– ავად ვარ. – უთხრა ცირამ სატირლად შემართული ტონით, გოგონას თვალები წამოსწითლებოდა, სახე მოქუფვროდა. ჯეგეს ელიმებოდა, ცირა მწარდებოდა. გოგონა სანვიმრად განეწყო. ჯეგემ მოულოდნელად ერთი ხელი ქათქათა და უსუსური კისრის ქვეშ შეუცურა, მეორე კი მუხლებს ქვემოთ და გოგონა ხელში აიტაცა.

ცირა შეფრთხილდა.

– სად მიგყავარ?!

– სამკურნალოდ. – უპასუხა ჯეგემ, მოცინარი თვალებით ჩახედა მის წყლისფერ კრიალა თვალებს. ცირამ მამაკაცს ქათქათა ხელები კისერზე შემოაჭდო და თავით მის გულმკერდს მიეყრდნო.

მიაბიჯებს ჯეგე ლირდეს გზაზე და მიჰყავს თავისი სახლსაკენ „სნეული“. თორღვა ხალდანის ჭიშკრამდე სანამ მივიდოდა, გზად მეზობელი შემოხვდა, რომელიც კისერზე ზარებჩამოკიდებულ საქონელს მიერეკებოდა შინისაკენ.

– სად მიგყავს, ჯეგე, ეს ბავშვი? – ჰკითხა მხარზე სახრეგადადებულმა მეზობელმა.

– სახლში, – მიუგო ხალდანმა.

– რად გინდა?

– ცოლად.

– ვოო, იბედნიერეთ, შვილებო.

– გმადლობთ, გმადლობთ. – მიუგო ჯეგემ და ცირა ხელში ატატებული შეიყვანა თავის ღია ჭიშკარში.

– ჰოუუ, ქალებო! ჰოუუ, კაცებო! ჰოუუ-მეთქი, ხალხნოო! – წამოიწყო შეძახილი ჯეგესთან დაშორებისთანავე ლირდელმა მეხრემ, – შენ საითლა მიდიხარ, შე სამგლე, – გადაჰკრა სახრე ურჩ მოზვერს.

– რა მოხდა? – გამოეხმაურა დიასახლისი პირველივე სახლის ავინიდან.

– ქორნილი გვექნება ლირდეში, გაემზადეთ ქალებო, ჯეგემ ცირა მოიყვანა ცოლად.

ატყდა სახლიდან სახლში გადაძახილები, მას სიხარულით გამონვეული ჟივილ-ხივილი მოჰყვა.

ქორნილი დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს ხალდანების სახლში. მთელი ლირდე ლხინში იყო ჩაბმული. გახარებულმა თორღვამ ლამის მთელი ხალდეთი დაჰატიჟა. ქორნილს არც ჯეგეს ძველი მეგობრები გამოჰკლებიან.

ლაპარობა ხალდეთში

ხალდეთი, მაგოგის ქვეყნის დაუმორჩილებელი და მუდამ დაუმონებელი მხარე, დღენიადაც თავსატეხს უჩენდა ადლის ხელისუფალთ. ჩინოვნიკები ხალდეთელების სრულად გასაკონტროლებლად სპეციალური გეგმის შემუშავებას შეუდგნენ. შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი, დამჭირველთა ლაშქარი, რომელთაც თითოეული ხალდეთში მცხოვრების ყოველი ნაბიჯი უნდა გაეკონტროლებინათ. ადლში შემუშავებული გეგმის განხორციელება, ერთი შეხედვით, საკმაოდ იოლი აღმოჩნდა. ხალდეთის ყოველ ოჯახში ჩაასახლეს თითო დამჭირველი, სპეციალური დანიშნულების რაზმის შენახვის სახსრები სახელმწიფოს არ გააჩნიაო, ასე განუმარტეს მმართველთა გადაწყვეტილება. ხალდეთელებს, როგორც გოგისა და მაგოგის რჩეულ შვილებს, ევალეობოდათ და საკუთარ თავზე უნდა აეღოთ ამ რაზმის შენახვა, თითო მოსახლეს ერთი დამჭირველი უნდა შეენახა, განუსაზღვრელი ვადით, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ სახელმწიფო საგანგებო დანიშნულების რაზმის შესანახ სახსრებს გამოინახავდა.

ამ რაზმის კადრი საგულდაგულოდ შეირჩა, თითოეული დამჭირველის პირადი საქმეები და საბუთები ბოლო შემონმებას ადლში გადიოდა, მხოლოდ ამის შემდეგ წყდებოდა დამჭირველის ბედი, ჩადგებოდა თუ არა იგი ქვეყნისათვის განსაკუთრებულად სასარგებლო საიდუმლო საჯაშუშო სამსახურში. ხალდეთელებს, ბუნებრივია, არ ესიამოვნათ მთავრობის ეს გადაწყვეტილება, მათთვის არც კი უკითხავთ, ისე, ერთ სუსხიან ზამთრის დღესაც ხალდეთელების მშვიდ ოჯახურ ცხოვრებაში გაჩნდა უცხო ადამიანი.

მკაცრი ზამთარი იცის ხოლმე ხალდეთში, გადაჭირხლული, ტანმოტიტვლებული ხეები, რომლებიც გარს აკრავენ სოფელ ლირდეს, უღრანი ტყის შესასვლელს იცავენ თითქოს. ამ მეჩხერი ხეებით იწყება ლირდეს ფოთლოვანი, გაუვალი ტყე, რომელიც მწვანედ აბრიალდება ხოლმე ზაფხულში, ახლა კი ყინვისაგან ჭირხლი მარგალიტებივით აესხათ მათ ტოტებსა და ტანს. იანვარი იდგა ლირდეთში. თორღვა ხალდანის სახლში ახლადგამომცხვარი ცხელი პურის სუნი ტრიალებდა, ცირა აცხობდა პურებს გავარვარებულ ღუმელზე. მისი სამი მცირეწლოვანი ვაჟი, მირზა, ერეკლე და უჩა, დედას ფეხებში ებლანდებოდნენ. უმცროსი – უჩა ცირას ქვედაბოლოს ჩაბლაუჭებოდა, მართალია, უკვე ერთი კვირა იყო, რაც მათ სახლში უცხო ჯაშუს დაედო ბინა, მაგრამ ბავშვები მას მაინც ვერაფრით ჰგუობდნენ და მუდამ დედას დასდევენ, არაფრის დიდებით არ შორდებოდნენ გვერდიდან.

– საჭმელი მალე იქნება? – მოურიდებლად, ზედმეტად ხმა-მალა იკითხა დამჭირველმა. თორღვამ უკმაყოფილო სახით შეხედა არასასურველ სტუმარს, მისი უტიფარი, ხმამალალი ტონის გამო. მსცოვანმა ხალდანმა მშვენივრად იცოდა ხალდეთელების სახლებში ამ საგანგებო რაზმის ჩასახლების ნამდვილი მიზეზი. თორღვამ გაჭალარავებული ნარბები ანია და დაღარული შუბლი შეეჭმუნა.

– როცა იქნება მზად, გვაჭმევენ, რუსო, – მშვიდად მიუგო თორღვამ.

რუსი ამ უცხოს ჯეგემ შეარქვა, ვინაიდან მას თავისი ცხოვრების უმეტესი წლები რუსეთში ჰქონდა გატარებული. ხალდანების სტუმარმა თავისი ნამდვილი ეროვნება თავადაც კი არ იცოდა. სახელად ვლადიმერი კი ერქვა, მაგრამ მას სახელით არავინ მიმართავდა. თორღვა დაღონებული იყო, ნამით ვერ ტოვებდა რძალსა და პატარა შვილიშვილებს მარტო, ყოველთვის ისე აგვარებდნენ ხალდანები თავიანთ საქმეებს, რომ ჯეგე თუ გავიდოდა სახლიდან, თორღვა რჩებოდა გაუგებარი სტუმრის სადარაჯოდ, ხოლო თუ თორღვას უნევდა სადმე წასვლა, მაშინ ჯეგე ენაცვლებოდა მას. ამ დღეში იყო ხალდეთში ყოველი ოჯახი, ყოველ ხალდეთელს ჰყავდა რძლები, ქალიშვილები, დედები, ცოლები და

არც ერთ მათგანს არ სურთა უცხო სტუმართან დაეტოვებინათ მარტო. თორღვა და ჯეგე გეგმავდნენ, კაცები შეეკრიბათ და თავიანთი ახალი თავსატიები განეხილათ ხალდეთის თავკაცებთან ერთად. იანვრის ბოლოს გეგმავდნენ სათათბიროდ შეკრებას. მანამდე კი უსიტყვოდ იტანდნენ თავიანთ ოჯახებში უცხოს ყოფნას.

მართალია, თითოეული დამჭირველი ჩინებულად იყო მომზადებული საჯაშუშო საქმიანობისათვის, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა სვანური ენის შესწავლა, ასე რომ, ხალდეთელები უცხოთათვის არასაჭირო თემაზე შინ სვანურად საუბრობდნენ ერთმანეთში. სტუმრებს კი ამას იმით უხსნიდნენ, ოჯახში პატარები გვყავს და გვინდა, ენა იწავლონო.

ამ და სხვა მიზეზთა გამო ვერც ერთმა დამჭირველმა ვერ შეიტყო ხალდეთელების შეხვედრის ნამდვილი მიზეზი. ჯეგემ კი თავის „რუსს“ ასე განუმარტა:

– თვის ბოლოს კაცები უნდა შევიკრიბოთ ტყეში, საკლავით პატივი უნდა მივაგოთ ტყის სულს, რომ კეთილი თვალით გამოგვხედოს და კარგი გაზაფხული დაგვიყენოს, – საკმაოდ სერიოზული სახით უთხრა ეს ვლადიმერს, მერე კი ვითომდა სტუმარს არ ვანყენინოო, შეპარული სიფრთხილით დააყოლა, – ამ რიტუალს მარტო ხალდეთელები ესწრებიან და ნუ მინყენ, შენ ვერ წაგიყვან. დარწმუნებული ვარ, ტყის სულის არ გნამს და ამით ის ჩვენ გაგვინანყენდება. ჩვენ კი მისი განრისხება ხელს არ გვაძლევს, – გულისწყვეტით თქვა ჯეგემ ბოლო სიტყვები და სტუმარს მიაჩერდა სახეში.

– მე რაში მაინტერესებს თქვენი წარმართული ტრადიციები. თანაც ღამით ამ ყინვაში ვერაფრით გამოგყვები, რომც მთხოვო, ჯეგე. – მიუგო გაშინაურებულმა ვლადიმერმა.

ვინაიდან ხალდეთელებმა ერთი და იგივე უთხრეს თავთავიანთ სტუმრებს, დამჭირველებმა იოლად დაიჯერეს ტყის სულის საპატივცემულო დღესასწაულის არსებობა. ადღში კი ამგვარმა ინფორმაციამ ჩააღწია, ხალდეთელები კარგი გაზაფხულის მოსვლისათვის რაღაც რიტუალისათვის ემზადებიანო. რაც შეგვხება ჩვენ, საგანგებო დანიშნულების რაზმის წევრებს, აქაურები

შეეგუენ ჩვენს არსებობას და კარგადაც გვექცევიანო. ამგვარი ამბის შეტყობით ადლის ხელისუფალნი ფრიად კმაყოფილები იყვნენ და რალაც ძველი ხალდანური რიტუალისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მაგოგის მთავრობის მაღალჩინოსნებმა დაადგინეს, ხალდეთელები ცოტა ველური, მაგრამ იოლად სამართავი ხალხიაო.

იანვარი მიინურა. სათათბიროდ შეხვედრა ხალდეთელებმა ლირდესი დათქვეს. შებინდებისას ტყეში მთავარანგელოზის ეკლესიასთან უნდა შეკრებილიყვნენ. ყველა ხალდანური სოფლიდან უნდა ჩამოსულიყო თითო კაცი მაინც. დათქმული დღის, 30 იანვრის, დილაც გათენდა. მზის ამოსვლიდან შეუდგნენ ჯეგეს სახლში მზადებას. ცირამ მცირე ზომის პურები გამოაცხო, ლირდელეებმა ღვინო დიდი ჭურჭლით მოიტანეს ხალდანებთან, დამჭირველთა თვალის ასახვევად და მოთათბირეთა დასაპურებლად. საკლავი ჯეგე ხალდანის ეზოში იყო დაბმული, დაგრეხილრქებიანი უზარმაზარი ყოჩი, რომელიც მთავარანგელოზის ეკლესიასთან უნდა დაეკლათ ტყის სულის პატივსაცემად.

შებინდებისას, ლირდელეების გადანყვეტილებით, ჯეგე და მისი მეგობარი გაბრიელი გაემართნენ თავკაცებთან შესახვედრად. მიუყვებოდნენ ჯეგე და გაბრიელი ტყისკენ მიმავალ გზას, მიჰყავდათ ყულზე ბანარშებმული თვალეებლვერია ყოჩი, მიჰქონდათ პირის გასასველებლად თეთრი ღვინით სავსე ჭურჭელი და ცირას გამომცხვარი ხელისგულისოდენა პურებით სავსე ხურჯინი.

მთავარანგელოზის ეკლესიის მიდამოებში შეგროვილიყვნენ ხალდეთელები და ცეცხლის დანთებაც მოესწროთ. ყოველ სოფელს ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ზოგიერთი სოფლიდან ორი კაციც კი ჩამოსულიყო სათათბიროდ მონყობილ შეხვედრაზე. ხალდეთელები ჯეგესა და გაბრიელს მიეგებნენ, ერთმანეთის ოჯახები მოიკითხეს და ჩვეული სიტყვაძუნნობით შეუდგნენ საქმეს. ჩამოატყავეს ცხვარი. წამოაგეს შამფურებზე ხორცი და მიმქრალ ცეცხლზე ააშიშხინეს მწვადები. ხალდეთელებმა შორიახლოს მოზრდილი კოცონი დააგიზგიზეს. მოთათბირების მოშორებით ყოველ მხარეს ახალგაზრდები გუშაგებად ჩადგნენ.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დამჭირველი გამოჩნდებოდა, მათ დანარჩენებისათვის ნიშანი უნდა მიეცათ ტურისებრი ყმუილით. ეს პირობითი ნიშანი იყო. თუ ვინცოცაა თავზე წამოადგებოდნენ დამჭირველები, სამაგისოდაც ჰქონდათ მოფიქრებული ფანდი. იტყოდნენ, აქაოდა, ცეცხლს ვეთაყვანებით და ამ რიტუალის განუყოფელი ნაწილია ცხოველების ხმათა წაბაძვაო. ნამგზავრმა კაცებმა პური გატეხეს, მწვადებს გაკრეს კბილი, გამშრალი ყელი ღვინით გაისველეს.

– ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს, – წამოიწყო გაბრიელმა, – როგორმე მალევე უნდა მოვულოთ ბოლო ჩვენს ოჯახებში უცხოთა პარპაშს და დამჭირველები, ეს ჩვენი სიცოცხლის გამჭირველები, მართლა ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ თავიდან.

ხალდეთელები სმენად იყვნენ ქცეულნი. აინტერესებდათ, თუ რა გამოსავალი მონახეს ლირდელებმა დამჭირველთა საგანგებო რაზმისაგან თავის დასახსნელად და მათგან გასათავისუფლებლად. ჯეგემ ხმელი ტოტები მუხლზე გადაიმტვრია, შემა ცეცხლს მიაყარა და მერე ხალდეთელებს მიმართა:

– ხალდეთი მუდამ თავისუფალი იყო და ასევე უნდა იყოს მომავალშიც. რაც არ უნდა სასტიკად მოგეჩვენოთ, ის, რასაც ახლა გეტყვით, ლირდელები სხვა ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავთ. – მშვიდად და აუჩქარებლად განაგრძობდა საუბარს ჯეგე, – საკუთარ ოჯახებში ჯაშუშები მოგვიჩინეს, ჩვენი დამონების სხვა გზა ვერ ნახეს და ასე გადანყვიტეს ჩვენი დამორჩილება – ჯეგემ ხელებიდან მტვერი ჩამოიბერტყა და ხელისგულეები ნითლად აბრიალებულ მოტკაცანე ცეცხლს მიაფიცხა, – ახლა საცაა გაზაფხული მოგვადგება, ხალდეთელებმა რა უნდა ვქნათ, სამუშაოდ გავიდეთ თუ უცხოებს ვუდარაჯოთ საკუთარ სახლებში და ვიყოთ ასე გულხელდაკრეფილები? მოვილაპარაკოთ, დავთქვათ ერთი დღე და ყველა ხალდეთელმა თავის დაუპატიჟებელ სტუმარს თავადვე მოუაროს, – ჯეგე შეყოვნდა, – გამოასალმოს სიცოცხლეს, წააცალოს თავი. – ჯეგე დადუმდა, ხალდეთელებს თვალი მოავლო და როგორც კი მათი მზერიდან კმაყოფილება და სრული მზაობა შენიშნა, განაგრძო, – 9 თებერვლის ღამე იყოს, კვირა დღეს ემთხვევა. ამ დღეს ხომ ყველა ხალდეთელი

ისვენებს და უპრიანი იქნება, აღარც გადავაცილოთ. რომელი ხალდეთელიც დაიხსნის თავის ოჯახს, ეზოში ჩირაღდანი დადგას, ისე, რომ ყველა მხრიდან ჩანდეს. ასე დილის 4 საათიდან 7 საათამდე, როდესაც მძინარეს უფრო ღრმად სძინავს, როგორც ნესი. ყოველი სოფლის თავში დაიდგას ლამპარი, როგორც კი გასუფთავდება ყოველი სოფლის მცხოვრების ოჯახი. მე წმინდა გიორგის მთაზე დავანთებ ლამპარს, როდესაც ყოველი ლირდელი დამჭირველთაგან თუ გამჭირველთაგან დახსნილი იქნება და ამით მოგცემთ თქვენ ნიშანს. ეს ყოველივე გათენებამდე უნდა მოესწროს და 9 თებერვალს ღვთის წყალობით ხალდეთი ისევ თავისუფალი იქნება.

ჯეგე გაჩუმდა. კაცები დუმდნენ. მხოლოდ ერთმა იკითხა მოულოდნელად, ცხედრებს რა ვუყოთო. შეკითხვიდან გამომდინარე, ჯეგესათვის იოლი მისახვედრი იყო, რომ ლირდელების მიერ ნაპოვნი გამოსავალი მოწონებული იქნა.

– მე პირადად ტყეში ერთი მიუვალი ადგილი შევარჩიე, სადაც დათქმულ დღემდე ჩვენი გამჭირველებისათვის დიდ სამარეს გავთხრი სხვა ლირდელებთან ერთად. ეგენი არა მარტო უნდა ჩავხოცოთ ერთ დღეს, არამედ კვალიც უნდა გავაქროთ მათი. – თქვა ჯეგემ და ამით თავისი სათქმელი დაასრულა. მცირედი დუმილის შემდეგ ფრთხილად ჰკითხა ხალდეთელებს:

– შევთანხმდით?

– შევთანხმდით, 9 თებერვალი იყოს მაშინ. – მიუგეს ერთხმად კაცებმა.

8 თებერვალი მალევე დადგა, ლირდეში, ისევე, როგორც მთელ ხალდეთში, თითოეული მცხოვრები მზად იყო შეთანხმებისამებრ ემოქმედა. კვალის წასაშლელად გამზადებული იყო უზარმაზარი სამარე ლირდეს უღრად ტყეში. მთელი ხალდეთი ელოდებოდა 9 თებერვალს. ნინა დღით გაამზადეს ვეება ლამპრები. ადამიანის სიგრძის თლილი ხის ლამპარი თითოეული ხალდეთელის ოჯახში კართან იყო მიყუდებული, დამჭირველებს კი აუხსნეს, რომ ტყის სულის პატივსაცემად ყოველ ხალდეთელს უნდა დაენთო ლამპარი 9 თებერვალს, აღდგომის დღესასწაულამდე 70 დღით ადრე. ამჯერად კი 9 თებერვალს ხვდებოდა ლამპრობის დღესასწაული.

დამჭირველებს ამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუციათ. ფიქრობდნენ, ველური ხალხია თავისი წარმართული ტრადიციებითო. ამას გარდა, რალაც ლამპრობას ხომ არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო დამჭირველთა საგანგებო რაზმისათვის, ამიტომაც გულდამშვიდებულნი მიეცნენ ძილს.

ხალდეთი კი ფხიზლობდა. თორმეტს გადასცდა. იდგა 9 თებერვალი. სიცვიეს ძალა დაჰკარგვოდა, ჰაერში უკვე იგრძნობოდა გაზაფხულის რბილი სურნელი, თუმცა ჯერ მაინც ზამთარი ბატონობდა. ჯეგე ხალდანმა პირველმა მოუსწრაფა თავის სტუმარს სიცოცხლე და ლამის 3 საათზე, მაგალითის მისაცემად, პირველმა დადგა თავის ეზოში აალებული ლამპარი. ჯეგეს ეზოში მიწაში ჩასობილი ხის თლილი ლამპარი აუნყებდა ლირდელებს, რომ ჯეგე ხალდანის ოჯახი უკვე გათავისუფლდა. დიდხანს არ მოუწია ჯეგეს ლამპარს ეულად ბრიალი. ერთ საათში უკვე ათზე მეტი ლამპარი ენთო ლირდეში. ჯეგე თავისი სახლის უკან ფერდობზე ავიდა, რათა იქიდან დაენახა, თუ რა ხდებოდა სოფელში, განზრახული ჰქონდა, ყველაზე დიდი ლამპარი დაენტო მთის მწვერვალზე და ამით ნიშანი მიეცა დანარჩენი ხალდეთელებისათვის. მიუყვებოდა ჯეგე ხალდანი წმინდა გიორგის მთის ფერდობს და დროდადრო უკან იხედებოდა. ყოველ ჯერზე აუხსნელი სიხარული იღვრებოდა მის სულში, ვინაიდან ლირდეში ლამპრების რაოდენობა მატულობდა. აღმართი აიარა სვანმა. იდგა მთის მწვერვალზე და ელოდა, იქიდან ხომ მთელი ლირდე ჩანდა ხელისგულივით, სიბნელებში ვეებერთელა სანთლების მსგავს ლამპრებს უყურებდა. „ორიოდე ოჯახიც და ლირდე თავისუფალია“, – გაიფიქრა გულში, ამ აზრის გაელვება და ორი დარჩენილი ოჯახის ეზოში ლამპრების აალება ერთი იყო. ჯეგემ მიწაში ჩაასო სოლივით უშველებელი ცეცხლმოდებული ლამპარი, ნიშნად იმისა, რომ ლირდემ თავისუფლება მოიპოვა და იმედის თვალით გახედა ხალდეთის მთებზე შეფენილ სოფლებს სიშორეში, სიბნელებში სიჩუმეში ჩაძირული ხალდეთის მთების კალთებზე ერთმანეთის მიყოლებით აბრიალდნენ ლამპრები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ხალდეთში პირველი ხალდანური ლამპრობა შედგა და ხალდეთი ისევ თავისუფალი გახდებოდა.

ლამის 5 საათია და ლირდეს წმინდა გიორგის მთის კენწეროზე ჯეგე ხალდანი ამაყად გაჯგიმული დგას თავისუფლების ლამპართან და კმაყოფილების განცდით უყურებს სიშორეში აალებულ შვიდ ლამპარს, - „შვიდი ხალდანური სოფელი დახსნილია უკვე“. თავისუფლების ალი ბრიალებდა ხალდეთის სოფლების მალლობებზე და იუნყებოდნენ, რომ ხალდანური სული დაუმორჩილებელია. მოგებული მებრძოლის სული დატრიალდა ხალდეთში, ციალებდნენ ლამპრები. ჯეგე ხალდანის კიდევ ერთი ბრძოლა უსამართლობასთან მისი სრული გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ამჯერად მარტო არ იყო, ასე ფიქრობდა ხალდეთით ამაყი ჯეგე. ჯეგეს გასახარად და გასაოცრად არც ერთმა სოფელმა არ დაარღვია მიცემული სიტყვა, შეთანხმებისამებრ, დილის 7 საათისათვის ხალდეთი ისევ თავისუფალი გახდა. ყოველი ხალდანური სოფლის მალლობზე გიზგიზებდა თავისუფლების ლამპარი. მომდევნო დღეს ლირდებლმა ცხედრები მოიშორეს თავიდან და წინასწარ გამზადებულ სამარეში განამწესეს დაუპატიჟებელი სტუმრები.

ადლის ხელისუფალთ მარტის თვისაკენ უკვე საგრძნობლად შეეცყოთ შეშფოთება, არც ერთი საგანგებო დანიშნულების რაზმელი დამჭირველი არ გამოცხადებულა მოხსენების ჩასაბარებლად, ხალდეთში საიდუმლო მისიის შემსრულებლები უკვალოდ გაქრნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მთავრობაში ვერაფრით ხვდებოდნენ, ასე ერთბაშად, ამდენი ადამიანის უკვალოდ დაკარგვა როგორ უნდა მომხდარიყო. ხალდეთის დამორჩილების უბადლო გეგმამ სრული კრახი განიცადა. ადლში ამას უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ, სასწრაფოდ გამოგზავნეს დამჭირველები მოსახლეობის გამოსაკითხად, ყოველმა ხალდეთელმა ერთი და იგივე გაუმეორა მათ: ჩვენი სტუმარი წავიდა, დაგვიბარა, აღარ დავბრუნდებით, მეტი ჩვენ არაფერი ვიცითო. საგონებელში ჩავარდნენ ადლის ხელისუფალნი, ბევრი იფიქრეს მაგოგის მაღალჩინოსნებმა და საბოლოოდ ერთხმად გადაწყვიტეს, ხალდეთისათვის თავი დაენებებინათ. ისინი განსაკუთრებულს არაფერს აშავებდნენ და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ მაინცადამაინც. განა დანებდნენ ადლში, არა, რა თქმა უნდა, უბრალოდ

არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად, ხალდეთის გასაკონტროლებლად შეემუშაებინათ რაიმე ახალი გეგმა.

დრო ჩვეულებრივი უდრტივინველობით მიდიოდა ხალდეთში, წელიწადი გავიდა მას მერე, რაც ხალდეთში პირველი ლამპრობა შედგა და ხალდეთელებმა გადანყვიტეს, ყოველ წელს აღენიშნათ ლამპრობა ანუ თავისუფლების დღესასწაული. ამჯერად 18 თებერვალს უწევდა ლამპრობა. ღამით 5-დან 7 საათამდე თითო ოჯახიდან იმდენი ლამპარი უნდა გამოსულიყო, რამდენი ქუდის დამხურავიც იყო ოჯახში, ხოლო ერთი ლამპარი ეზოში უნდა დარჩენილიყო. მზადდებოდა თლილი ხის ლამპრები და მთელი ხალდეთი თავისუფლების დღესასწაულის აღსანიშნავად ფუსფუსებდა.

ჯეგე ლამპრობისათვის ემზადებოდა, მისი სახლიდან 5 ლამპარი გავიდოდა ლამპრობის ღამეს, ერთით ზედმეტი ლამპარი გაამზადა ჯეგემ სიმბოლურად წმინდა გიორგის, როგორც მებრძოლთა მთავარი მფარველის პატივსაცემად. ასევე მოიქცნენ სხვა ხალდეთელებიც. ლირდებში ზამთრის სიცივესა და სიბნელებაში ლამპრებით ხელში მიიწვედნენ მამაკაცები წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ. თითოეული ლირდელის ეზოში ენთო აალებული ლამპარი. მიცოცავდნენ ცეცხლის წითელი ალები ჩაბნელებულ მთაზე. ამ დღის მერე ზღაპრულ დღედ იქცა თავისუფლების დღის აღნიშვნა ხალდეთში. დღევანდელ დღემდე ლამპრობის ათასგვარი ვერსია არსებობს, ცოტამ თუ იცის მისი ნამდვილი არსი და დღესასწაულის ქეშმარიტი მიზეზი. ლირდელები შეგროვდნენ წმინდა გიორგის ეკლესიასთან ლამპრებითა და სანთლებით, საკლავითა და სასმელით. ჯეგემ თანასოფლელებთან ერთად თავისი ოჯახიდან მიტანილი ლამპრები მათ ლამპრებს შეუერთა და ყოველი თავისუფლების სიმბოლო ერთ დიდ ცეცხლად იქცა, ლირდელებმა ლამპრებისაგან კოცონი გააჩაღეს. წმინდა გიორგის შეავედრეს თავიანთი ოჯახები, დაანთეს სანთლები და მხოლოდ ამის მერე მოემზადნენ დიდი ლხინისათვის.

ამ დღის შემდეგ ლამპრობას ყოველ წელიწადს აღნიშნავდნენ ხალდეთელები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე 70 დღით ადრე და იგი დღემდე, როგორც თავისუფლების დღესასწაული, ისე აღინიშნება.

ეფროსინე და ვასასი

– ეფროსინე! – ვილაცა იძახდა სოფლის ცენტრიდან.

– ეფრო!.. – არ ესმოდა ეფროსინეს, გომში ფუსფუსებდა, ნაკელი გამოჰქონდა.

– ეფროსინე ბებო! – ახლა მეზობლის ბიჭმა დაუძახა, ბიჭი ლობეს მისდგომოდა და ეძახდა. ეფროსინემ ნაკელით სავსე ვედრო დადგა და ლობისკენ გაიხედა.

– ეფროსინე ბებო, ვილაც გეძახის სოფლიდან, მგონი ვასასი ბებია.

– რა იყო, ვასასი? – გასძახა ეფროსინემ სოფელს.

გალმა სოფელი მთებს შორისაა მოქცეული, ლირდე პატარა სოფელია, სოფლის ერთ კუთხეში დაიძახებ, მეორეში ისმის, სულ ასიოდე კაცი ცხოვრობს, მაგრამ სოფელი ეთქმის. სოფლის ცენტრი პატარა მოედანია, მაგოგის ქვეყნის მმართველობის აღზევებისას მოასფალტებული, იქ დგას გამგეობის შენობა, იმ მოედანზე ერთი ძველისძველი სკამი დგას, ისიც იმ დროინდელი, ქალაქიდან ჩამოტანილი, თავის დროზე მწვანედ შეღებული ყოფილა. იქ სხდებიან მოხუცები და ჰყვებიან სოფლის ამბებს, ჭორსა და მართალს. ვასასი იქიდან ეძახდა.

– ხელფასი მოვიდა! ხელფასი!

– რამდენი თვის? – იკითხა ეფროსინემ.

– ერთის! ერთის! – ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა ვასასი.

– ჭირი მაგათ! – უკმაყოფილოდ გასძახა მეგობარს და ნაკელით სავსე ვედროს დასწვდა.

– არ მესმის, რა თქვი?..

– ჭირი-მეთქი მაგათ! – მიაძახა ეფროსინემ და ნაკელი ბოსტანში დაყარა.

– გაიმეორე, ადამიანო, არ მესმის!

– ჭირი! ჭირი მაგათ და შენცა! ვითომ არ ესმის!..

ვასასი თვითონ არასოდეს იტყოდა ავს ხელისუფლებაზე, მაგრამ მოსწონდა, როცა სხვა ამბობდა ამას.

– ჩამოვალ ახლავე!.. – მიაძახა მეგობარს და წყალს მიადგა, ემზადებოდა წასასვლელად. შორი გზა კი არ ედო, დაღმართს ჩაივლიდა თუ არა, სოფლის ცენტრიც, გამგეობაც, სადაც ხელფასი უნდა აეღო, და ვასასიც იქვე იყვნენ. ეზარებოდათ ეფროსინეს აღმართის ამოვლა და იმიტომ ეძახდნენ შორიდან.

– მოხვედი?! – შემოეგება ვასასი, – დამაცა, გითხრა, – ტურების ბოლო კიდებებზე ჩამოისვა ცერი და საჩვენებელი, ასე იცოდა, როცა საიდუმლოს მოყოლას აპირებდა. ქირქილებდა და ჰყვებოდა:

– რომ დაიძახე, აი, აქ იდგნენ სოფლის გამგებელი, მთავარი ბუღალტერი და გამგეობის თანამშრომლები. ხელფასი ახალი მოტანილი ჰქონდათ და ტრაბახობდნენ, ჩვენ ყველას დავასწართ, ფული პირველებმა გამოვიტანეთო. ჭირი მაგათო, რომ თქვი, გამიხარდა.

– ყოველთვის მე უნდა ვთქვა? – შენ იმალები ბურქებში – იი, მეხი შენცა და მაგათაც!

– ჰო, კარგი, კარგი!.. შედი, აილე ხელფასი, აქ დაგელოდები, საქმე მაქვს!

ეფროსინემ იცოდა, რა საქმეც ჰქონდა ვასასის. მოხედა, გაუღიმა და გამგეობის შენობის კიბეებს აუყვა. სწრაფად გამოვიდა, ხელფასი ახლახან მოეტანათ, მაგრამ თანამშრომლებს ჯერ ვერ გაეგოთ.

ეფროსინე უკმაყოფილო სახით მიადგა მეგობარს.

– ხუთი თვის ნაცვლად ერთის მოგვცეს, დანარჩენს ჩაყლაპავენ... განყდნენ ესენი! მეხი დავათხლიშე მაგათ და მაგათ უფროსსაც.

– შარშან ექვსი თვის ჩაყლაპეს, ე. ი. წინ მივდივართ...

– კი, წინ მივდივართ... ამათი მოსპობა და გადაშენება ვნახე მე!

– მომისმინე ახლა... ნავიდა შენი სტუმარი?..

– ჰო, ეგ გაინტერესებს შენ, ამისთვის მეძახდი... რაში გაინტერესებს, რა ჭირად გინდა მაგის ცოდნა?

– ვერ ამოვდივარ და რა ვქნა, აი, ჩემი მუხლები! – ვასასიმ კაბა აინია, მეგობარს დასიებული მუხლები უჩვენა. იმდენი რამ ეცვა, არაფერი ჩანდა.

შემოდგომის მზიანი დღე იყო ლირდესი. მოხუცები ძელსკამზე გუგულებივით ისხდნენ, იქაურ-აქაურს კამათობდნენ, მაგრამ მთავარი მაინც ჯერ არ თქმულიყო.

– ნუ დამტანჯე, მითხარი, რისთვის მოვიდა...

– ჩემთან არ მოსულა, მოვიდა გამგეობაში, დილის ავტობუსს ჩამოჰყოლია.

ეფროსინე რატომღაც წამოდგა.

– ა, ახლა შენ ხომ ზიხარ აქ, ასე იჯდა დილის ცხრა საათზე ამ სკამეიკაზე, მე მივდივარ, ვედროთი წყალი ამომაქვს წყაროდან, უნდა მოვრეცხო აი, ეს დასანვაფი შენობა! გამგებლის კაბინეტის იატაკი მაინც.

– კარგი, ნუ ყვირიხარ, ქალო, ხალხი მიდი-მოდის! – ხმადაბლა უთხრა ვასასიმ მეგობარს.

– მითხრა, ჟურნალისტი ვარ, ერთმანეთი გავიცნოთო. ისეთი კარგი გოგო იყო, ისეთი ლამაზი, ისე კოხტად ჩაცმული, უარს ვინ ჰკადრებდა, ჟურნალისტი რომც არ ყოფილიყო! მე ვუთხარი, ძალიან ადრე მობრძანებულხართ, ათ საათამდე გამგეობაში არავინ იქნება-მეთქი. ჰოდა, მანამდე ჩვენ ვისაუბროთო. კი ბატონო, მაგრამ მე დამლაგებელი ვარ, ერთი უსწავლელი, უბირი გლეხის-ქალი, რა შემიძლია-მეთქი და ამ ლაპარაკ-ლაპარაკით დავსხდით აგერ, ამ სკამეიკაზე, ახლა მე და შენ რომ ვსხედვართ, ისე... შენ წარმოიდგინე ჩემი გასაჭირი – რა უნდა ვუთხრა ჟურნალისტს – უცხო ადამიანს, ვიცი? შენ იცი? – ჰკითხა ეფროსინემ ვასასის, – გისაუბრია ჟურნალისტთან?

– კი, უწინდელ დროს. მაშინ მოდიოდნენ, ადლიდანაც ახლდათ ყოველთვის ვიღაც მთავარი დამჭირველი, პირდაპირ ყანაში მოგვაყენებდნენ მანქანას, არ გახსოვს?

– მაშინ სხვა დრო იყო, ვიცოდით, რა უნდა გვეთქვა...

- აბა, იმის შემდეგ მე აქ ჟურნალისტი არ მინახავს. მაინც რა უნდოდა, ღამე შენთან რატომ გაათია. მთელი სოფელი გაოცებულია.

- რა ვიცი, ჩემგან რა უნდოდა, გამომკითხა, აქაოდა, ჰესი უნდა აშენდესო და რას ფიქრობთო.

- რაის ჰესი, დედაკაცო?

- ჰო, ასე მითხრა, ჩვენს ხეობაში, აქ, ლირდეს შუაგულში, ჰესის აშენებას გეგმავს მთავრობაო. ამბობენ, ლირდეჰესი ისეთი ჰესი იქნება, რომელიც მთელ მაგოგის ქვეყანას ელექტრო ენერჯით ყოფსო უზრუნველსო თუ რაღაც ეგეთი.

- მერე ჩვენ, ეფრო?

- ჩვენ რაში ვანალვლებთ ვისმეს, ალბათ ეს ჩვენი ბოლო ხელფასის აღება იყო. ჭირი მაგათ, ჭირი და არგადარჩენა!

- რაებს როშავ, ქალო?

- აბა, ეგ ჰესი თუ აშენდა, მთელი ხეობა, მთელი ჩვენი სოფელი წყალქვეშ აღმოჩნდება და დამხრჩვალებს რაღათ გვინდა მერე ხელფასი?!

- ვუუი! - იტკიცა მარცხენა ხელი ვასასიმ დამჭქნარ ლოყაზე.

- ვუი და ვაი შენს მტერს, რა გაკივლებს, ქალო?

- ვუი, დედა! - მოუმატა ვასასიმ ხმას, წამოდგა ძელსკამიდან, დადგა სოფლის ცენტრში და მორთო სამგლოვიარო კივილის მსგავსი, - ხალხნო, გამოდით! ხალხნო, დავილუპეთო.

- შენი კივილ-წივილით საქმეს ვერ უშველი, - უთხრა სახე-დაღრეჯით მეგობარმა.

- ადე, ეფრო, ადე, შე ქალო, ხალხი შევეყაროთ.

ეფროსინე ამოუდგა ვასასის გვერდში და ერთად მოჰყვნიენ ვიშვიმს.

- გამოდით, ლირდელებო! - გაჰკვივლა ეფროსინემ სოფელს.

ამ დროს ხალხანების სახლში ჯეგეს სამი ვაჟი შეშას აპობდა. ქალის გამყინავ კივილზე ყურები ცქეცთა სამივემ.

- მირზა, გახედე ერთი, ვის დაატყდა უბედურება თავს, - უთხრა ჯეგეს უფროსმა ვაჟმა ერეკლემ შუათანა ძმას.

მირზა სახლის მეორე სართულზე ავარდა, იქიდან კარგად ჩანდა სოფლის ცენტრი.

- ეფროსინე ბებო და ვასასი ბებია დგანან და ხალხს ეძახიან, - ჩასძახა მირზამ მეორე სართულიდან ძმებს. - რა მოხდა ეფრო ბებია? - დაუყვირა აივნიდან სოფლის ცენტრთან მდგომ მომკი-
ვან ეფროსინეს.

- ლირდელებო, გამოდით! დავიღუპეთ, ხალხნო! - ერთსა და იმავეს იმეორებდა შავებით შემოსილი ორი დედაკაცი.

- უჩა, მიდი ჩქარა, მამას დაუძახე, რალაც უბედურებაა ჩვენს თავს, - თქვა ერეკლემ.

ჯეგეს უმცროსი ვაჟი სახლში შევარდა და მალევე გამოიყ-
ვანა ეზოში სამოც წელს გადაცილებული ჯეგე ხალდანი.

- იმესგაილი გვეშ? - იკითხა ჯეგემ.

- რა გითხრა, მამა, ვასასი და ეფროსინე უხმობენ სოფელს, დგას ეგერ მირზა აივანზე, მარა ვერაფერი გაარკვია.

ჯეგემ ყური მიუგდო.

- ლირდელებო, გამოდით! ხალხნო, დავიღუპეთ! - ისმოდა სოფლის ცენტრიდან ქალების კივილი ორ ხმაში.

- დაანებეთ, შვილებო, მაგ შეშას თავი და სასწრაფოდ ჩაირ-
ბინეთ ქალებთან, გაარკვიეთ, რაშია საქმე.

ხალდანები უსიტყვოდ დაემორჩილნენ მამას.

- როდესაც გაიგებთ რა ამბავია ჩვენს თავს, უჩა გამოგ-
ზავნეთ ჩემთან, გული მიგრძნობს, თავკაცების შეყრა იქნება
დღესვე საჭირო, ეგენი ტყუილად არ ატეხავდნენ განგაშს.

- კაი, მამა. - უთხრა ერეკლემ და ხალდანები სოფლის ცენ-
ტრისაკენ დაიძრნენ.

ლირდეს გადარჩენა

ეფროსინესა და ვასასის ნაამბობით თავზარდაცემულმა ლირდელეებმა ჯეგე ხალდანის სახლში მოიყარეს სალამოს თავი. დილით სოფლის ცენტრში ყოფნისთანავე გადაწყვიტეს თავკაცებმა ზუსტად შეეტყოთ საქმის ვითარება. უჩა გაგზავნეს ქალაქში, ლირდელეებს მთავრობაში ერთი ერთგული ადამიანი ეგულეობდათ, მას დედა ჰყავდა ლირდელი. სწორედ ამ ადამიანისაგან უნდა შეეტყოთ, სად და როდის უნდა აშენებულიყო ეს ჰესი ან რატომ იგეგმებოდა სოფელ ლირდეს ჩაძირვა, თან ისე, ხალდე-თელებს არათუ არ ეკითხებოდნენ არაფერს, არც კი კადრულობდნენ, ეცნობებინათ მაინც თავიანთი გეგმები.

ჯეგეს სახლში კამათობდნენ კაცები, თან უარესისათვის ემზადებოდნენ. ქალაქიდან საცაა დაბრუნდებოდა მათ მიერ წარგზავნილი უჩა და უტყუარ ამბავს ჩამოუტანდა ლირდელეებს.

– უნდა გავიგოთ, როდიდან აპირებენ მაგ ჰესის აშენებას და ჩვენი სოფლის რომელი ადგილი შეარჩიეს. იქ გუშაგობა დავანესოთ, რახან არაფრად გვთვლიან და ანგარიშს არ გვინევენ, ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ ჩვენი ულამაზესი მიწა-წყალი, სამწუხაროა, რომ საკუთარ ქვეყანაში გვინევს გადარჩენისათვის ბრძოლა. არ ვიცით, რა მოხდება. თუ გაჭირდა საქმე, შესაძლოა იარაღის ასხმაც კი დაგვჭირდეს, – თქვა სიტყვა ჯეგე ხალდანმა.

– იქნებ მოგვისმინონ ხელისუფლებაში. დაველაპარაკოთ, ავუხსნათ, გაგვიგებენ, ისინიც ხომ ადამიანები არიან, – უთხრა მამას ერეკლემ.

– ეჰ, შვილო, ეგენი ვარლამ არავიძის მოდგმისანი არიან, აფთორის ჯიშია, მაგათ სიტყვებით ვერაფერს შეაგონებ, – ჯეგემ შეშფოთებულ ერეკლეს თვალებს მიაპყრო მზერა, – ღმერთმა

ქნას, შეიგნონ სიტყვა, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

– ჰესის აშენება არაფრის დიდებით არ უნდა დავუშვათ. ჩვენს სახლ-კარზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი სალოცავები, წინაპართა საფლავები, ვინ დათმობს მაგას, თავს შევაკლავთ! – თქვა ბრაზისაგან გამწარებულმა მსცოვანმა გაბრიელმა.

– დამშვიდდი, გაბრო, აქ ყველანი ერთ აზრზე ვართ. მაგ ჰესს არ ავაშენებინებთ, – დაამშვიდა მეგობარი ჯეგემ.

– მთელი ხალღეთი გვერდში ამოგვიდგება, – თქვა გაბრიელმა.

– თუ გაგვირთულდა საქმე, ჩემს ძველ მეგობრებს მოვიხმობ საშველად, ხალდანები ძალიან ბევრნი ვართ, – თქვა სევდიანად ჯეგემ.

კაცების საუბრისას ოთახში უჩა შემოვიდა, სახეზე ფერი ჰქონდა დაკარგული.

– უჩა, რა ამბავი მოგვიტანე ბარიდან? – ჰკითხა მამამ, რომელსაც შვილის ფერმიხდილობა არ გამოჰპარვია.

– ამ დღეებში, შეიძლება ხვალაც კი დაინყონ სამუშაოები. ჰესის საძირკველი გაუთხრიათ უკვე, სამშენებლო მასალა მთავარანგელოზის ეკლესიის მთის მიდამოებშია დაყრილი, სწორედ მთავარანგელოზის ზემოთ, ხეობის თავში იგეგმება კაშხლის აშენება. იქ უნდათ, რომ ააშენონ ლირდეჰესი. მაგრამ ამაზე უარესი რამ არის კიდევ... – თქვა უჩამ და დადუმდა.

– და უფრო საშინელი? – გაკვირვებით იკითხა ჯეგემ.

– ჯერ ჩვენ აგვეყრიან აქედან, ჰესის გულისათვის, მერე კი ბულათის მთის აფეთქებას აპირებენ თურმე. ამბობენ, ბულათის მთა ოქროსა და ურანზე დგასო. ხალღეთელების გასახლება ნელ-ნელა თუ მოხერხდება, აქ სამომავლოდ საკმაოდ დიდი გეგმები აქვს მაგოგის ხელისუფლებას, – უჩა გაყურდა წამით, – იმ ლირდეელმა მთხოვა, ეს ამბავი არ გათქვათ, რომ იცითო.

– კარგად კი მოუფიქრებიათ, ჯერ ჩვენ გაგვეყრიან და მერე ხალღეთს რასაც უნდათ, იმას უზამენ! ბულათის აფეთქება ხალღეთს ერთიანად გაანადგურებს, მაგრამ მაგათ თუ აქ ოქრო ეგულებათ, იოლად ვერ შევძლებთ მათ შეჩერებას, – თქვა ჩაფიქრე-

ბით ჯეგემ, – არავითარი ლირდექესი არ აშენდება, – გამოსცრა კბილებში მერე.

– ვისაც უკან დახევა უნდა, ახლავე გადადგას ეგ ნაბიჯი, ხატზე ამალამვე გავიდეთ, დავიფიცოთ ღვთისმშობლის ხატზე, რომ რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლირდეს გადავარჩინთ.

მირზა წამოდგა.

– მე ახალგაზრდებს გამოვიყვან.

– წადი, შვილო, 14 წლის ზევით ყველა ყმანვილი გამოიყვანე, იცოდნენ, რაზეც მიდიან და ისიც, თუ საიდან მოდის მათი მოდგმა. თუ ვინმემ არ მოისურვა ხატზე გამოსვლა, არ დააძალო, თავი გაანებე.

მირზა ლირდეში კარდაკარ დადიოდა და ნორჩ ლირდელებს ერთსა და იმავეს უმეორებდა:

– იყო ასეთი სოფელი ხალდე. მისი მოსახლეობა საკუთარ მიწა-წყალსა და სიმართლეს იცავდა, აჯანყებისათვის თითოეული მათგანი, ყოველი მოსახლე ჩახოცეს. იგივე ხვედრი რომც გვექონდეს, ხატზე დაფიცების შემდეგ ვეღარ დავიხვეთ უკან, ვინაიდან ჩვენ ხალდეთელები ვართ და უკან დახევა არ არის ჩვენი ჯიშისა და მოდგმის საქმე.

მშვიდი, მთვარიანი ღამე იდგა ლირდეში. ახალი მთვარე დაჰნათოდა სოფელს თავზე. ლირდეს შარაზე გამოსულიყვნენ დინჯი ლირდელები, დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ მხცოვანი მიუყვებოდა გზას მთავარანგელოზის ეკლესიისაკენ. ჩირაღდნებით ხელში მიიკვლევდნენ გზას სიბნელეში. ახალი მთვარე ცნობისმოყვარედ დაჰყურებდა მათ, ალბათ აინტერესებდა, თუ საით მიუძღვებოდა ჯეგე ხალდანი მთელს ლირდეს, ცის მნათობი თითქოს დაბლაც კი დაინია და მთავარანგელოზის ეკლესიის თავზე დაკიდებული უყურებდა, თუ როგორ შეგროვდა მთელი ლირდე ხატზე დასაფიცებლად. არც ერთი მამაკაცი ლირდელი არ დარჩენილა სახლში. ოჯახებში დარჩენილი ქალები ვიშვიშებდნენ და ქოთქოთებდნენ, ღამის სიჩუმეში გაუთავებლად ისმოდა ეფროსინეს – „ჭირი მაგათ! ჭირი, სიკვდილი და არგადარჩენა!“

ლირდეს კაცებმა, უკლებლივ ყველამ 14 წლის ზემოთ, მთავარანგელოზის ეკლესიის მთაზე მოიყარეს თავი. ეკლესიაში პირველი ჯეგე ხალდანი და გაბრიელი შევიდნენ. შემდეგ ლირდელები სათითაოდ შედიოდნენ. ღვთისმშობლის ხატზე დაიფიცა დიდმა თუ პატარამ, რომ ლირდეში ჰესის აშენებას, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, არ დაუშვებდნენ.

მერე ლირდელები ეკლესიის ეზოში გაიშალნენ.

– გუშაგობა უნდა დანესდეს, ყოველ ღამეს 10 კაცი მაინც უნდა იცავდეს ამ ადგილს, – თქვა ჯეგემ.

– მე, მირზა და რამდენიმე ლირდელი ჯეელი დავრჩებით ამაღამ, – თქვა ერეკლე ხალდანმა.

– კაი, შვილო, – მიუგო მამამ.

– მეც დავრჩები, – თქვა უჩამ.

– არა, უჩა, შენ სახლში ნამოხვალ და ამათ მერე საჭმელს მოუტან.

– ახალგაზრდები ერთიმეორეს უნდა შეენაცვლონ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდება, მაცნეს გამოგვიგზავნიან, – თქვა გაბრიელმა, – შეეყაროთ უკვე მთელი ხალდეთი, ჯეგე?

– მოვიცადოთ მცირე ხანი. თუ დაგვჭირდა, მერე. ჯერჯერობით ჩვენითაც მშვენივრად გავართმევთ თავს. – მიუგო ჯეგემ.

გაკერპებული ლირდელები დაიშალნენ. მხოლოდ გუშაგები დარჩნენ მთავარანგელოზის ეკლესიასთან. დანარჩენები, ზოგი შემდეგი დღის გუშაგობისათვის ემზადებოდა, ზოგიც მათთვის საჭმლის მოსამარაგებლად, ასე და ამგვარად, ფიცით შეკრული ლირდელები მიბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ტყეში დარჩენილმა გუშაგებმა ცეცხლი დაანთეს, მათ სიფხიზლეს ახალი მთვარე სდარაჯობდა, რომელიც თითქოს მათ ემხრობოდა მდუმარედ. მთავარანგელოზის ეკლესიის წინ მდგომი ხის ჯვარი და მასზე ჩამოკიდებული ზარი მთვარის შუქზე ბზინავდა. ლირდელები ასე იყვნენ შეთანხმებულნი, თუ ვინცობაა, ჰესის მშენებლებს იარაღიანები მოჰყვებოდნენ და სისხლი დაიღვრებოდა, სწორედ ამ ზარის ჩამოკვრით გაიგებდნენ ამ ამბავს, ნებისმიერი ახალი ამბის შესატყობინებლად კი მაცნე უნდა გაეგზავნათ სოფელში.

ცეცხლის ირგვლივ ჩამოსხდნენ გუშაგები. შემოდგომის მშვიდ ღამეში ნითლად ტკაცუნებდა აბრიალებულ-აალებული კოცონი.

– მირზა, დავიჯერო მთავრობის წარმომადგენლებთან სიტყვით ვერაფერს გავხდებით? – ჰკითხა ერეკლემ ძმას.

– რა გითხრა, რა უჯიშოებიც არიან, კი ვიცი. მაგათ თუ მაგრად არ დაუდექი, გადაგივლიან. რომ არ მივცემთ საშველს, მერე იკადრებენ ჩვენთან, უბრალო ხალხთან, საუბარს და ვნახოთ, ეგებ შეუშვან თავიანთ თავებში რაიმე.

– მუშები თუ მოვლენ, რა ვუქნათ? – იკითხა ერთ-ერთმა გუშაგმა.

– უბრალოდ სამუშაოს ჩატარების საშუალება არ მივცეთ, ეგენი არაფერში არ არიან დამნაშავენი და მაგათი ცემა-ტყევა რაში გვანჯობს, – თქვა მირზამ.

– მერე რა იქნება ნეტა? – უკვე ღიმილით ჰკითხა ძმას ერეკლემ.

– ერთხელ გავყრიოთ მაგათ მუშებს, ორჯერ, ათჯერაც და მერე ვისტანაც გვაქვს საქმე, ჩამობრძანდება ის ხალხიც, შენ ნუ დარდობ, ერეკლე, ჯერ სიტყვით ვცდით.

– ვიცი, მთავარია სისხლი არ დაიღვაროს!

– ჰოდა! ნუ მიგვიყვანენ იქამდე, ჩვენ ანი უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, – მიუგო მირზამ და ცეცხლს ფიჩხი მიაყარა.

– იმედია, მანდამდე საქმე არ მივა, – ჩაილაპარაკა ერეკლემ.

გუშაგების ღამემ სიტყვაძუნობაში ჩაიარა. ცეცხლის ირგვლივ ათიოდე გაგულისებული ახალგაზრდა კაცი იჯდა და ელოდა გათენებას.

კვირაზე მეტი ხანი იცავდნენ გუშაგები მთავარანგელოზის ეკლესიის მთას, ყოველდღე მოდიოდნენ ნაირ-ნაირი მუშები და ყოველ ჯერზე ისტუმრებდნენ მათ ლირდელები შეხლა-შემოხლის გარეშე. ხალდეთელები არ აძლევდნენ მათ მუშაობის დანჯების საშუალებას. ხელისუფლების წარმომადგენელთა მოთმინების ფიალა თანდათანობით ივსებოდა, ლირდელების გაუგონარი საქციელი თავსატეხად ექცა ქვეყანა მაგოგის მაღალჩინოსნებს. თვით ცენტრში – გოგში დაინჯეს იმაზე მსჯელობა, თუ როგორ აღეკვეთათ ერთი პატარა სოფლის უტიფარი მოსახლეო-

ბის დაუმორჩილებლობა. ბოლოს გადაწყდა გამოეყოთ თავიანთი მუშაკი ადლიდან ლირდელებთან მოსალაპარაკებლად, მნიშვნელოვანი პირი, რომელიც განთქმული იყო თავისი შეუვალობითა და უტეხობით. ეს იყო ახალგაზრდა კაცი თენგო შათელია. მას ყოველთვის რთული საკითხების მოგვარებას ავალებდნენ. შავგერემანი, ჩაფსკენილი, გალაკული თმებით, შუბლის მარცხენა მხარეს, იქ სადაც თმა-ქოჩორი იწყებოდა, ალოკილი ჰქონდა დაბადებიდან და რამდენი უელეც არ უნდა გადაეგლისა თავის ყორნის ფრთებივით შავ თმებზე, ალოკილი მაინც ალოკილად რჩებოდა. მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა თენგოს, ოდეკოლონის მძაფრი სუნითაც ამახსოვრებდა ხოლმე ადამიანებს თავს. მსხვილი, ნითელი ტუჩების ზემოთ, უფრო ზუსტად, მარცხენა ტუჩის ზემო კუთხეში, მოზრდილი ყავისფერი ხალი ესვა. მრისხანებისას მარჯვენა ხელის ცერის გვერდული შეხებით ეცაცუნებოდა ხოლმე თავის ხალს, სახე კი მუდამ გაყინული და უმეტყველო ჰქონდა, ვერანაირ ემოციას ვერ შეატყობდა ადამიანი. მაგოგის მთავრობის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, ბრძანების უბადლო შემსრულებელიც იყო და ფართოდ აზროვნებაც შეეძლო. თენგო შათელია ქედმაღალიც გახლდათ და მუდამ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულიც. სწორედ ეს ადამიანი გამოგზავნეს ლირდეში მოსახლეობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

ხალხთან შეხვედრა სოფლის ცენტრში, გამგეობის შენობაში უნდა ჩატარებულიყო. ლირდელებმა კი შეუთვალეს, ჩვენ ერთი ლირდელის სახლში დაგხვდებით და იქ მობრძანდითო. მართალია, ადლის წარმომადგენელს არ ესიამოვნა მსგავსი მიპატიჟება, თუმცა საჭიროდ მიიჩნია ამ დათმობაზე წასულიყო. ლირდელები მზად იყვნენ ჩინოვნიკის მოსასმენად, სოფლის თავკაცები თენგო შათელიას ჯეგე ხალდანის სახლში მოუთმენლად ელოდებოდნენ. კარში, როგორც იქნა, გამოჩნდა ადლის წარმომადგენელი ორ დამჭირველთან ერთად.

– გამარჯობათ, ლირდელებო! – ოფიციალური ტონით მიმართა თენგომ ხალხს.

– გაგიმარჯოს ღმერთმა, – მიუგო ჯეგემ, თუმცა ფეხზე არ წამომდგარა და არც სხვა ლირდელი დაძრულა თავისი ადგილი-

დან საიმისოდ, რომ ადლის წარმომადგენელისთვის ჩამოერთმია ხელი.

– დაბრძანდით, – ხელით მიუთითა ჯეგემ სტუმრისათვის განკუთვნილ სკამზე.

თენგო შათელია დაჯდა. მოუხერხებელი აღმოჩნდა მისთვის ხის უხეში სკამი, კაბინეტებში თბილ და რბილ სავარძლებს იყო ნაჩვევი.

უჩა წამოდგა, რათა დამჭირველებისათვის დაედგა სკამები.

– არა, ყმანვილო, ისინი ფეხზე იდგებიან, – უთხრა მკაცრად თენგომ.

ორი კბილებამდე შეიარაღებული დამჭირველი ჯეგე ხალდა-ნის სახლის კარის წინ ჩადგა.

– რა უპატივცემულობაა ოჯახის მიმართ, იარაღით როგორ მოვიდნენ, – ჩაილაპარაკა გაბრიელმა.

მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელის სიტყვა ყოველმა იქ მყოფმა გაიგონა, თენგო ერთი შეიშმუშნა და ნათქვამს წაუყრუა.

– მე აქ თქვენთან მოსალაპარაკებლად მოვედი.

– გისმენ, – გაანწყვეტინა სიტყვა ჯეგემ.

– მე გახლავართ ადლის წარმომადგენელი თენგო შათელია, საქმის ვითარება ამგვარია: ამ სოფელში ჰესის აშენება ქვეყანა მაგოგის ინტერესებში შედის. ლირდეჰესი მთელ ქვეყანას უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. ამას გარდა, მოგახსენებთ, რომ სახელმწიფოს საკუთრებაა ის მიწა, რომელზეც ჰესის აშენება იგეგმება. თქვენ არ გაქვთ არავითარი კანონიერი უფლება, ლირდეჰესის მშენებლობას აღუდგეთ წინ. მართალია, ხელისუფლებაში თქვენი შემოჭობა ესმით, მინდა დაგამშვიდოთ, თითოეულ თქვენგანს მიეცემა გარკვეული ფულადი კომპენსაცია, რათა ლირდეს ყოველმა მაცხოვრებელმა შეძლოს ახალ ადგილას გააგრძელოს მშვიდი და კანონმორჩილი ცხოვრება, – თენგომ სათქმელი დაასრულა და ლირდელები შეათვალიერა, უნდოდა გაეგო, მათში მთავარი ვინ იყო.

– თუ ეს ჰესი აშენდება, სოფელი ლირდე გაქრება ძველისძველი ხალდეთის მიწიდან, ყველაფერს წყალი დაფარავს, მათ შორის მე-6 საუკუნეში აშენებულ მთავარანგელოზის ეკლესია-

საც, სადაც თქვენ ჩვენთან შეუთანხმებლად მოგიტრევიათ უკვე სამშენებლო მასალა. გეკითხები, ყმანვილო, ჩენი წინაპრების საფლავები და მათ მიერ აგებული სალოცავები უნდა გადა-რეცხოს წყალმა? ლირდეში თითოეულმა მამაკაცმა, 14 წლის ზემოთ, ხატზე დაიფიცა, რომ აქ არავითარი ჰესი არ აშენდება, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენს მინა-წყალს არავის არ დავანებებთ, – თქვა ჯეგემ.

თენგოს ტურები ბრაზისაგან დაებერა და ცმაცუნისაგან დაუსველდა, მარჯვენა ხელის ცერით მარცხენა ტურის კიდეში მოზრდილ ხალზე დაიწყო ნელა ცაცუნი.

– მინდა მოგახსენოთ, მოქალაქევ, რომ სახელმწიფოს გააჩ-ნია ექსპროპრიაციის სრული უფლება, ანუ თუ თქვენ კანონს არ დაემორჩილებით და აჯანყებას გაბედავთ, სახელმწიფოს სრული უფლება აქვს, ჩამოგართვათ თქვენი სახლ-კარი და ყოველგვარი ფინანსური კომპენსაციის გარეშე დაგატოვებინოთ სოფელი ლირდე და სხვადასხვა მიმართულებით გადაგასახლოთ, – თენ-გომ ტონი შეარბილა და დააყოლა, – იმედს ვიტოვებ, ჩვენ ერთ-მანეთს გავუგეთ და...

– დაამთავრე სათქმელი? – წყობიდან გამოვიდა ჯეგე ხალ-დანი და მისმა ხმამ დაიჭეჭა, – იმეი ხაყლე სი ა? რა პროპრიაცია აგიტყდა, შე ლანირაკო?

თენგო, პირველად თავისი სამსახურეობრივი მრავალწლიანი გამოცდილების მანძილზე, დაიბნა და ენაც კი დაება.

– თუ მაინცადამაინც ამ ჰესის აშენება გჭირდებათ თქვენი შვილების კეთილდღეობისათვის, მაშინ ჩვენს ძვლებზე მოგიწევთ ააგოთ ის, – თქვა ჯეგემ.

– მე ჩემს შვილებს და ამ ქვეყნის მომავალ ნათელ თაობას, ქვეყანა მაგოგის შვილებს რა პასუხი გავცე, რომ ერთი პიროვნების და ვილაცების გამო, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, ამ მიზეზთა გამო უნდა იხრჩობოდნენ ჭეშმარი-ტი მაგოგელები სილარიბეში? გეკითხები მე შენ?!

– ეს რა ქვეყანაა ამისთანა, სახელმწიფოს ინტერესი არა-სოდეს რომ არ ემთხვევა ხალხისას? – ჰკითხა მშვიდი ტონით ჯეგემ განიზმატიებულ თენგოს.

გულდანყვეტილი ლირდებები ჩუმად ისმენდნენ ადლის ნარ-
მომადგენლისა და ჯეგე ხალდანის საუბარს.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა ხალდანის სახლში.

– ვარლამ არავიძეზე თუ გსმენია რაიმე, ყმანვილო? – ჰკითხა
მოულოდნელად ჯეგემ.

თენგომ იფიქრა სიტუაციის განსამუხტავად მოსაუბრეს თე-
მის შეცვლა უნდაო და გულზე მოეშვა, მოეხსნა დაძაბულობაც:

– კი, მსმენია, ვიგინდარა არავის მმართველი იყო იგი და
ვილაცამ სამარიდან ამოთხარა, მერე კი ვითარება ისე შემო-
ტრიალდა, რომ საკუთარმა შვილმა ამოაგდო ეგ ვარლამ არავიძე
საფლავიდან, – კმაყოფილი სახით უპასუხა თენგომ.

– ვარლამ არავიძეს იმაზე უარესი არაფერი ჩაუდენია, რის
გაკეთებასაც ახლა თქვენ აპირებთ და რახან გცოდნია, თუ რა
ბედი ენია მას, გეტყვი: მე ვარ ჯეგე ხალდანი, სწორედ ის კაცი,
ვინც თქვენი წინაპარი ამოაგდებინა საკუთარ ვაჟს მინიდან.

თენგო შათელია ერთიანად გაფითრდა, წითელი ტუჩებიც კი
ქალაღდის ფერი გაუხდა.

– მე ვარლამ არავიძესთან არავითარი კავშირი არ მაქვს, ის
ჩემი წინაპარი არ გახლავთ.

– ვინც არავიძის საქმეებს აგრძელებს, აფთრის მოდგმისაა ის
და არა ადამიანი ჩემს თვალში.

– კი, მაგრამ... – თენგომ სცადა სიტყვა ჩაეგლო.

– გაჩუმდი, ბაღლო, და მომისმინე, აქ არავითარი ჰესი არ
აშენდება, თუ თქვენსას არ დაიშლით, მოგინევთ ჯეგე ხალდან-
თან დაპირისპირება, ჩემთან ბრძოლა ერთმა აფთარმა ნააგო უკვე
და არც თქვენ გირჩევთ ჯეგე ხალდანთან შერკინებას, იმიტომ,
რომ ჩემ უკან ლირდებია. თქვენ არც კი იცით, რომ ჩვენებურად
ლირდე სიცოცხლეს ნიშნავს. ლირდე ხალდეთის გულია. ჩვენ მას
ბოლომდე დავიცავთ. მთელი ხალდეთი დაგიპირისპირდებათ.

– კი, მაგრამ... – ველარ იმორჩილებდა საკუთარი ხმის ტემბრს
თენგო.

– სანამ თითო ხალდეთელი მაინც დარჩება, ცოცხალი არავი-
ძეთა ნაშვირები თავისას ველარასოდეს გაიტანენ, გაიგე?

თენგო თავისი ცერით ხალის ცაცუნს მოეშვა, გამტერებულმა თვალები დაახამხამა და პირი მოალო რაღაცის სათქმელად.

– ჰოდა, თუ გაიგე, – განაგრძო ჯეგემ თავისი სიტყვა, – ჩაიტანე ახლა ჯეგე ხალდანის სიტყვები იმ შენს ადლში და აქ თქვენი ფეხი აღარ ვნახო. კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი და გადაეცი შენს უფროსობას; მთავარანგელოზის ეკლესიასთან ვისაც დავინახავ ჰესის ასაშენებლად მოსულს, იქვე დავასამარებ, – თქვა თავისი საბოლოო სიტყვა ჯეგე ხალდანმა.

გამშრალი თენგო ცივად წამოდგა. ლირდელები სდუმდნენ. ადლის წარმომადგენელი წამით შედგა ჯეგე ხალდანის გასასვლელ კართან, გახედა ხალდეთელებს, თავისებური ქედმაღლური მზერა ესროლა მათ და კბილებში გამოსცრა:

– კარგად ბრძანდებოდეთ!

თენგო შათელიამ და მისმა ორმა დამჭირველმა ლირდე კუდამოძუებული ძაღლებივით დატოვეს. მაგოგის მაღალჩინოსნებში არაერთი კამათი გამოიწვია ლირდეჰესის საკითხმა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზთა გამო გადაწყდა, რომ ჰესი ხალდეთში აღარ აშენებულყო. უკვე მერამდენედ იყვნენ იძულებულნი სოფელ ლირდესა და ხალდეთს დროებით შეშვებოდნენ. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ადლში: „საკითხის საფუძვლიანად შესწავლამდე გადაიდოს ხალდეთში ჰესის მშენებლობა ან ნებისმიერი სახის გეოლოგიური თუ სხვაგვარი კვლევა განუსაზღვრელი ვადით“.

ისევ არავში

სათქმელად ადვილია – მკვდარი საფლავიდან ამოთხარესო. აღსრულება კი არ აღმოჩნდა იოლი, მაინცადამაინც იმ ღამეს ამობრძანდა სავსე მთვარე. მთელი კვირა კუნაპეტი ღამეები იდგა, არავში მიცვალებულის დაკრძალვის ღამეს კი ამობარჩხალდა. არავის მთიდან ამობრძანდა ბადრი მთვარე, გაანათა მთელი ცა, მთელი ქვეყანა, თუთარჩელა ჩააყენა არავისწყლის ხეობაში. მთვარის შუქით ისე გააკაშკაშა ღამე, თითქოს მეცხრე ციდან სხვა მნათობნიც ჩამობრძანდნენ დამხმარედ მთვარისა, მანათობლად არავიძეთისა, რათა ოდესღაც უკვე ნანახი საოცარი სანახაობა – მკვდრის ამოთხრა – ეხილათ ისევ და მთელი ქვეყნისათვის ეჩვენებინათ. ასეთ მთვარიანში მოდიოდა უცნობი, ამაყად, გოროზად, ფრთხილად, აუჩქარებლად, გვერდით მოსდევდა საკუთარი გრძელი ლანდი და ესმოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა. უცნობმა სასაფლაოსაკენ აიღო გეზი. სასაფლაოს შესასვლელთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, კარი არ გაუღია, კარის გვერდით ჭირისუფლებისათვის განკუთვნილ ალაგზე გადაალაჯა და ჩქარი, მაგრამ აკრეფილი ნაბიჯებით საფლავებს შორის გაიღანდა, თითქოს ეშინოდა, მკვდრები არ გაეღვიძებინა. არავინ არ იცოდა, ვინ იყო ეს ახირებული, ღამეული ლანდი. როგორც აფთარი, ქარიანი ღამით ტყიდან გამოსული, მშიერი, ლეშს მოწყურებული, ახალდამარხული მკვდრის სუნს იკრავს და მისკენ ისწრაფვის, ისე ილტვოდა უცნობი თავისი მტრის საფლავისაკენ. ამ გამწარებულმა ადამიანმა თავისი მტრის საფლავს პირველი ბარი რომ დაჰკრა, უმაღ შეება იგრძნო, მრავალი წლის ბოლმა და ბალღამი, წვეთ-წვეთად გულში დაგროვებული, შხამი სულში ჩაგუბებული, აქ უნდა დაენთხია, ამ ღამით,

ამ საფლავზე. დაჰკრა ბარი, გადაყარა მიწა, დაჰკრა, გადაყარა, გადაყარა... დაჰკრა ისევ ბარი და ქვევით წავიდა, დაჰკრა ბარი, თითქოს სამართლიანობა გააღვიძა... თეთრი მთვარე სასაფლაოს ცაზე შემოცურებულისყო, ზედ თავზე წამოსდგომოდა უცნობსა და მისი მტრის საფლავს, თითქოს შურისმაძიებელს ეხმარება დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზა გაუნათოსო – ამოთხრილ საფლავში ნემსი რომ ჩაგეგდოთ, იპოვიდით.

მრავალი წელი გავიდა მას მერე, რაც ჯეგე ხალდანმა ვარლამ არავიძის ცხედარი ამოაგდო სამარიდან და ახლა ვილაც უცნობი შურისმაძიებელი ისევ არაეში, ამ ღვთის მიერ დაწყევლილ მხარეში თხრიდა თავისი მტრის საფლავს აფთარივით.

სარჩევნი

საკვირველია, სიყვარული ვარლამ არავიძესაც რომ შეუძლია	3
საოცრებაა, მაგრამ სიბრალულის გრძნობა	17
ვარლამ არავიძესაც ჰქონია	17
ლიარდ ლუშდღვე	23
გზა ტრამალეთისკენ	35
ჯეგე, „რუხი“ და „პატარა გოგო“	42
დედის მკვლეელი.....	65
შევეყან ხალდანი.....	72
ჯეგე დეზერტირია.....	97
მიხვდებიან, რომ ქრისტიანი ვარ.....	113
სამსჯავროზე ჯეგე მოვიდა	118
თანგულიას მეორე ამბოხება	123
კაო ლადელიანი	130
თანგულიას მესამე ამბოხება	133
თორღვა, ჯეგე და ცირა გოშუანი.....	155
ლამპრობა ხალდეთში	165
ეფროსინე და ვასასი.....	174
ლირდეს გადარჩენა.....	179
ისევ არავში.....	189

საგამომცემლო ჯგუფი

**სოფო კობიაშვილი
ვიოლა ტულუში
ალექსანდრე ჯიქურიძე**

ბარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.

ტელ./ფაქსი: 2 25 05 22, 2 91 22 83.

www.intelekti.ge info@intelekti.ge